

2023

დემოკრატიის ინდექსი – საქართველო
დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი

საქვეთი ბაჭინურების პრობლემი საქართველოს საერთო სასამართლოებში



კვლევაზე პასუხისმგებელი პირი:	ეკატერინე ციმაკურიძე
კვლევის ხელმძღვანელი და თანაავტორი:	მაია ბაქრაძე
მკვლევარი და თანაავტორი:	კახა წიქარიშვილი
კვლევის ასისტენტი:	მიხეილ წურწუშია
კვლევის ექსპერტები:	თამარ ლალიაშვილი, მაია ბაქრაძე, ნათია ქუთათელაძე, ეკატერინე ფირცხალავა
სტაჟიორი:	ალა ჯაბიძე
რედაქტორი:	მარიამ იაშვილი
ყდის დიზაინი:	ქეთევან გოგავა

კვლევა მომზადდა დემოკრატიის ინდექსი – საქართველოს მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. კვლევის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „დემოკრატიის ინდექსი“. გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.



კვლევის გუნდი მაღლიერებას გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამართლის უზენაესობის პროგრამის მიმართ მხარდაჭერისთვის.

განსაკუთრებული მაღლობა ადვოკატებს, დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფის წევრებს, იურიდიული დახმარების სამსახურს, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებს, თბილისის მერიის იურიდიული დახმარების სამსახურს – „ჩემი ადვოკატი“, მოსამართლეებს, არბიტრებს, მედიატორებს, საადვოკატო ბიუროებს კვლევაში ჩართულობისა და საქმის მასალების მოწოდებისთვის.

იმედს ვიტოვებთ, წინამდებარე კვლევა საქართველოს სასამართლოებში საქმეთა გაჭიანურების პრობლემაზე ფართო დისკუსიის წარმართვის, სწორი მიდგომების შემუშავებისა და პრობლემების დაძლევის საფუძვლიან წინაპირობას შექმნის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	5
მოკლე შეჯამება	6
ბაზოყენებული თერმინების განმარტება	9
კვლევის მეთოდოლოგია	10
1. საქმის განხილვის გაჭიანურება, მისი დამაზიანებელი ეფექტები და გონივრული ვადის სტანდარტები	14
2. საქართველოში საქმეთა გაჭიანურების პრობლემა და მისი მსახუბარობა	19
2.1. საქმეთა გაჭიანურების მასშტაბები სასამართლოში	20
2.2. საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოს სასამართლოებში	25
2.3. საქართველოში საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობის შედარება ევროპის ქვეყნებთან	32
3. სასამართლოში საქმეთა დამროვებით გამოწვეული გადატვირთულობა	35
4. მართლშაჯულების შენეჭმენდთან დაკავშირებული გაჭიანურების მიზეზები	53
4.1. საქმეთა ნაკადის მართვისა და გაჭიანურების დაძლევის პოლიტიკა, საქმეთა ნაკადის მართვისთვის საჭირო მონაცემების დამუშავება	54
4.2. სასამართლოს რესურსები	59
4.2.1. მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრა	59
4.2.2. მოსამართლეთა რესურსის მობილიზება	66
4.2.3. სამოსამართლო რესურსის ეფექტური გამოყენება	73
4.2.4. მოსამართლის დამხმარე რესურსები	93
4.3. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები	100
5. მოსამართლეების ქცევა	116
5.1. საქმეთა განხილვის ვადები და მათი დაცვა	116
5.2. საქმის დასაშვებობის ეტაპი	122
5.3. საქმეთა დიფერენცირებული მართვა	125
5.4. საქმის არსებითად განსახილველად მომზადება	128
5.5. სხდომის გადადების თავიდან აცილება, განხილვის შემჭიდროვებულად წარმართვა და სხდომის მართვა	132
5.6. სხდომათა გადადების მიზეზები	135
5.7. მოსამართლის მიერ სხდომის ეფექტური წარმართვა	139
5.8. საქმის მორიგებით დასრულება, საპროცესო შეთანხმება	140

5.8. უძრაობის პერიოდები საქმეში	143
5.7. ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ნაკლებობა	145
5.9. სამოსამართლო უნარების განვითარება საქმეთა მართვის კუთხით	145
5.10. მოსამართლის მოტივაცია	146
6. მხარეებთან დაკავშირებული გაჭიანურების მიზეზები	149
6.7. მხარეთა მიერ საქმის მიზანმიმართული გაჭიანურება	150
6.8. საქმეთა გაჭიანურება ადმინისტრაციული ორგანოების მიზეზით	151
დანართი 1: საქმეთა ნაკადის მართვისა და საქმისწარმოების გაჭიანურებასთან ბამკლავების საერთაშორისო სტანდარტები	154
დანართი 2: ევროსასამართლოს პრაქტიკა საქმის ბონივრულ ვადაში ბანხილვასთან დაკავშირებით	162

შესავალი

კვლევის მიზანია საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვის გაჭიანურების მასშტაბებისა და მიზეზების იდენტიფიცირება, მის დასაძლევად არსებული ნორმატიული მექანიზმების შეფასება. კვლევის საფუძველზე გამოვლენილი იქნება ასევე ის შედეგები, რაც ბოლო წლებში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებისა და სასამართლო რეფორმების პრაქტიკაში იმპლემენტაციას მოჰყვა.

წინამდებარე დოკუმენტი შედგება კვლევის შეჯამების, მეთოდოლოგიის აღწერისა და ხუთი თავისაგან. **პირველი თავი** გონივრულ ვადაში საქმის დასრულების მნიშვნელობასა და დავიანებული განხილვის ნეგატიურ შედეგებს აღწერს; **მეორე თავი** პასუხს სცემს კითხვებს, თუ რამდენად მასშტაბურია საქართველოში სასამართლო განხილვათა გაჭიანურება და როგორ იცვლებოდა საქართველოში საქმეთა განხილვის ხანგრძლივობა ბოლო წლების განმავლობაში. პრობლემის მასშტაბურობის შესაფასებლად, შედარებისთვის წარმოდგენილია ევროპის რამდენიმე ქვეყნის მონაცემები; იმდენად, რამდენადაც საქართველოში საქმეთა გაჭიანურების გამომწვევ მიზეზად მოსამართლეთა დატვირთულობა სახელდება, **მესამე თავი** სრულად დაეთმობა მოსამართლეთა დატვირთულობის მდგომარეობის ანალიზს. მოსამართლის დატვირთულობა გაზომილია საქმის საერთო მასის მოსამართლეთა რაოდენობასთან შედარებით და ასახავს თუ რა რაოდენობის საქმე მოდის ერთ მოსამართლეს, წლების განმავლობაში საქმეთა შემოდინების დინამიკის გათვალისწინებით. მოსამართლის დატვირთულობის შესაფასებლად წარმოდგენილია შედარებები ევროპის რამდენიმე ქვეყნის მოსამართლის დატვირთულობასთან; **მეოთხე თავი** ასახავს სასამართლოს ადმინისტრირებას, მის საკანონმდებლო მოწყობასა და როლს საქმეთა ნაკადის ეფექტიან მართვაში. აღწერილია სასამართლო მენეჯმენტის საქმიანობა და როლი საქმეთა დროულ განხილვაში. მათ შორის, საჭირო რესურსების მობილიზების, მიდგომების ეფექტიანობის გაზომვის, ასევე ანგარიშვალდებულების მექანიზმების გამოყენებისა და ალტერნატიული მექანიზმების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით; **მეხუთე და მეექვსე თავები** ეხება მოსამართლის მიერ საქმის ნაკადის მართვას, გაანალიზებულია მოსამართლეთა მიერ საქმეთა მართვის პრაქტიკა, მათ ხელთ არსებული საკანონმდებლო შესაძლებლობები და გამოკვეთილია საქმის განხილვის გაჭიანურებისკენ მიმართული მხარეთა მოქმედებები და მოსამართლეთა მხრიდან რეაგირების პრაქტიკა, მათი მოტივაცია და გულმოდგინება საქმეთა დროული განხილვისთვის.

კვლევას დანართის სახით ახლავს საერთაშორისო სტანდარტების ნაკრები, წყაროების მითითებით, რომლის მეშვეობით დაინტერესებულ პირებს გაუადვილდებათ შესაბამის საკითხზე საერთაშორისო რეკომენდაციების მოძიება.

მოკლე შეჯამება

საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვის გაჭიანურება წლებია პრობლემად აღიქმება. კვლევით გამოიკვეთა, რომ საქმეთა გაჭიანურებული განხილვის საკითხი აწუხებთ როგორც სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელ ცალკეულ ადამიანებს, ისე პროფესიულ საზოგადოებას - ადვოკატებსა და ინდივიდუალურ მოსამართლეებს. თავის მხრივ, პოლიტიკის განმსაზღვრელი და განმხორციელებელი ორგანოები, პარლამენტი და იუსტიციის უმაღლესი საბჭო მრავალი წელია აღიარებენ საქმეთა სიმრავლით გამოწვეულ მოსამართლეთა გადატვირულობის პრობლემას, როგორც საქმეთა გაჭიანურების გამომწვევ ერთადერთ მიზეზს.

გამოიკვეთა, რომ მოსამართლეთა ნაკლებობა არ არის საქმეთა გაჭიანურების ერთადერთი ან გადამწყვეტი მიზეზი. ევროსაბჭოს წევრ რამდენიმე ქვეყანაში, სადაც მოსამართლეთა დატვირთულობა მაღალია, საქმის განხილვის ხანგრძლივობის ზრდის ტენდენციის მიუხედავად, სასამართლოები უკეთ უმკლავდებიან საქმეთა ნაკადს, ვიდრე საქართველოს სასამართლოები ნაკლები დატვირთვის პირობებში. მსგავსი სურათი გამოიხატა საქართველოს სასამართლოების ერთმანეთთან შედარებისას - ზოგიერთი სასამართლო ნაკლები დატვირთვის პირობებშიც მეტად დატვირთულ სასამართლოზე ეფექტურად ვერ უმკლავდება საქმეთა ნაკადს.

2012-2022 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები შეიცავდა სასამართლოში საქმეთა ნაკადის ეფექტიანი მართვისკენ მიმართულ რეგულაციებს. შეიქმნა საქმეთა მართვაზე პასუხისმგებელი ცენტრალიზებული რგოლი - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტი, სასამართლო საქმეთა ელექტრონული განაწილებისა და წარმოების სისტემა, გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა და მოსამართლეთა ანაზღაურება (რაც დამატებითი ფაქტორია სასამართლოში კადრების მოზიდვის ან მოსამართლეთა მოტივაციის გასაზრდელად), დაზუსტდა საქმეთა გაჭიანურების გამო მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის წინაპირობები, ორჯერ შეიცვალა მოსამართლეთა მივლინების წესი, ცვლილებები განხორციელდა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების გამოყენების წახალისების მიმართულებით. ცვლილებების მიუხედავად, სასამართლოში საქმეთა გაჭიანურების საერთო სურათი არ შეცვლილა.

სასამართლოს მენეჯმენტის ერთიანი სისტემის შექმნამ საქმეთა გაჭიანურების პრობლემის დაძლევის მიმართულებით წინსვლა ვერ გამოიწვია. გამოიკვეთა, რომ არ არსებობს საქმეთა ნაკადის ეფექტიანი მართვის ერთიანი პოლიტიკა და სისტემა, რომლის ფუნქცია უნდა იყოს საქმის გაჭიანურების თავიდან აცილებისთვის რეგულარულად ზომების მიღება. საქმეთა ნაკადის მართვა მხოლოდ მოსამართლის ინდივიდუალური მიდგომებისა და ძალისხმევის მიხედვით ხდება. თავის მხრივ, ინდივიდუალური მოსამართლეების მიდგომები, საქმეთა ნაკადის მართვის კუთხით, არაერთგვაროვანია და ხშირად არ ითვალისწინებს საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებს. საქმის ეფექტიანი მართვის საკითხებზე მოსამართლეთათვის სიახლეების, საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის გაცნობის მიზნით არ ტარდება სამუშაო შეხვედრები და არ იმართება დისკუსიები.

2017-2022 წლებში იუსტიციის საბჭო იღებდა საქმეთა ნაკადის მართვაზე გავლენის მქონე ასობით ინდივიდუალურ და ნორმატიულ გადაწყვეტილებას. ისინი არ მიიღებოდა შედეგზე

დაფუძნებული მიდგომით (result based management) და, ზოგ შემთხვევაში, უკუეფექტსაც იწვევდა. საკადრო გადაწყვეტილებები, როგორც მოსამართლეთა რესურსების მობილიზების, ასევე არსებული სამოსამართლო რესურსების გადანაწილების თაობაზე, მთელ რიგ შემთხვევებში იყო არათანმიმდევრული. ზოგ შემთხვევაში იზრდებოდა მოსამართლეთა რაოდენობა ნაკლებად დატვირთულ სასამართლოებში, უფრო მეტად დატვირთულ სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობის შემცირების ხარჯზე.

ეროვნული კანონმდებლობით არ არის დადგენილი საქმის გაჭიანურებაზე რეაგირების ეფექტური სისტემა. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საქმის ამაჩქარებელ ან დაგვიანებული განხილვის მაკომპენსირებელ მექანიზმებს, რაც შეუსაბამოა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციასთან. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის არსებული სისტემა საპროცესო ვადის გადაცილების შემთხვევებზე რეაგირებისთვის არაეფექტურია. იგი ორიენტირებულია, საზოგადოების ნაცვლად, სისტემის შიგნით, სასამართლოს მმართველობის წინაშე მოსამართლის ანაგრიშვალდებულებაზე. კანონის ფართო განმარტებების შესაძლებლობები იწვევს მოსამართლის მიმართ შერჩევითი მიდგომის რისკებს.

მოსამართლე არ სარგებლობს საკმარისი მხარდაჭერით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედი სისტემა ითვალისწინებს მოსამართლის დამხმარე ადამიანური რესურსებით მხარდაჭერას, ამოქმედებულია საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა და არსებობს ადეკვატური საპროცესო კანონმდებლობა, ეს მექანიზმები, არსებული გამოწვევების დასაძლევად, არა-საკმარისი ან მოძველებულია.

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა გაჭიანურება მეტწილად მოსამზადებელ ეტაპზე ხდება. საქმის მომზადების მიზნით მხარეებთან საკომუნიკაციოდ სატელეფონო გასაუბრების ან ვიდეოკონფერენციის გამართვის პრაქტიკა იშვიათია. აქტიურად არ გამოიყენება საქმის მომზადების წერილობით წარმართვის ფორმა. თითქმის ყველა საქმეზე ინიშნება მოსამზადებელი სხდომა და არ მთავრდება ერთი შეკრებით.

საქმის განხილვის გაჭიანურებას ასევე იწვევს უსაფუძვლოდ და ხანგრძლივი ვადით საქმეთა განხილვის გადადება და საქმეთა ხანგრძლივი უძრაობის პერიოდები. პროცესის მართვის დროს მოსამართლე პრიორიტეტს ანიჭებს მხარის (მხარეთა) სურვილებს, მატერიალური და დროითი რესურსების დაზოგვის (ეფექტიანობის) ინტერესებთან მიმართებით, რაც ზედმეტად ლოიალურ მიდგომებში გამოიხატება. მოსამართლეები იშვიათად იყენებენ მხარეთათვის დავალებების შესრულებისა და მტკიცებულებების წარმოდგენის ვადის განსაზღვრის, მისი ეფექტური კონტროლის, მხარეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მექანიზმებს.

ადვოკატების ქცევა ცვალებადია მათი პირადი და წარმოდგენილი პირის ინტერესების მიხედვით. რიგ შემთხვევაში, ისინი თავისუფლად იყენებენ საქმის გაჭიანურების ბერკეტებს, რიგ შემთხვევებში კი, მიმართავენ საქმის დამაჩქარებელ მოქმედებებს. ადვოკატის მხრიდან საქმეთა მიზანმიმართული გაჭიანურების მცდელობის აღსაკვეთად არ მოქმედებს პროფესიული პასუხისმგებლობის მკაფიო რეგულაციები.

უფრო სწრაფად განიხილება ისეთი საქმეები, სადაც მოსამართლე შეზღუდულია კონკრეტული საპროცესო მოქმედებების შესრულების ვადებით (მაგ., სისხლის საქმეები, სადაც ადვოკატის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული). ამ ვადების დაცვის მიზნით, პროკურორი და

მოსამართლე ერთობლივად მოქმედებენ დროული განხილვის ინტერესით, განსხვავებით არასაპატიმრო ან „სუსტი ბრალდების“ საქმეებისგან (სადაც შესაძლოა დადგეს გამამართლებელი განაჩენი), სადაც პროკურორები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი საქმის დაჩქარებით ან პირიქით, აქტიურად იყენებენ საქმის გაჭიანურების საპროცესო მექანიზმებს.

იმის მიუხედავად, აქვს თუ არა საჩივარს წარმატების პერსპექტივა, ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების გასაჩივრების პოლიტიკა ტვირთავს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებს და იწვევს რესურსის გაუმართლებელ ხარჯვას.

რეკომენდაცია

საქმეთა გაჭიანურების პრობლემა უნდა გაიაზრებოდეს როგორც მასშტაბური, მრავალი მიზეზით განპირობებული მოცემულობა. ამ მიზეზებთან გასამკლავებლად, სხვადასხვა მიმართულებით, უნდა დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები იმ პრინციპით, რომ საქმის ნაკადის მართვა სასამართლო სისტემისა და ექსკლუზიურად მოსამართლის მხრიდან განხორციელდეს გულისხმიერი მიდგომით, სხვა აქტორებისა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი მექანიზმების ხელშეწყობით.

რეკომენდებულია:

- კანონმდებლობის საქმეთა მართვის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- საპროცესო კანონმდებლობის გაუმჯობესება, მათ შორის არარეალისტური ვადების შეცვლის, სხდომათა გადადების პრევენციის, პროცესის მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით. საქმეზე მოსამართლის მხრიდან ადრეული და უწყვეტი კონტროლის დაწესების და საქმეთა დაგეგმვის მიზნით მოსამართლის და მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის პრინციპების მკაფიო ასახვა საპროცესო კანონებში. მაგ., შეიძლება მკაფიოდ გაიწეროს მოსამართლის მიერ მხარეებთან ერთად პროცესუალური კალენდრის შედგენისა და მისი შესრულების კონტროლის მექანიზმები;
- საქმის განხილვის დაჩქარების მიზნით გატარებული ღონისძიებების ეფექტების გაზომვისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება;
- სასამართლო სტატისტიკის წარმოების და პროაქტიური გამოქვეყნების მეთოდოლოგიის გადახედვა და განახლება;
- საქმეთა განხილვის შუალედური და საერთო ვადების გამოთვლა/გამოქვეყნება და პერიოდული განახლება;
- ადამიანური რესურსების საჭიროების ანალიზი და შესაბამის ოდენობამდე შევსება, არსებული რესურსის ეფექტურად გამოყენება;
- საქმეთა განზრახ გაჭიანურების გამო პროფესიული პასუხისმგებლობის დაწესების საკითხზე პროფესიული გაერთიანებებს შიგნით დისკუსიის დაწყება;

- საქმის განხილვის დამაჩქარებელი და გაჭიანურების კომპენსატორული მექანიზმების შემოღება.

გამოყენებული ტერმინების განმარტება

შემოსული საქმეები (I) - დროის კონკრეტულ პერიოდში განსახილველად შემოსული (დამატებული) საქმეები.¹

დამთავრებული საქმეები (R) - დროის კონკრეტულ პერიოდში დასრულებული საქმეები.²

ნაშთი (UR) - დროის კონკრეტული პერიოდის ბოლოს დაფიქსირებული განსახილველი საქმეების რაოდენობა.³

განხილვაში მყოფი საქმეები (PE) - დროის კონკრეტული პერიოდის განმავლობაში შემოსული საქმეების რაოდენობისა და წინა პერიოდის ნაშთის ჯამი ($PE=UR+I$)⁴.

საქმეთა წმენდის მაჩვენებელი (CR) - გამოხატავს, როგორ უმკლავდება სასამართლო დროის კონკრეტულ მონაკვეთში იმავე პერიოდში შემოსულ საქმეთა ნაკადს. გამოითვლება როგორც ფარდობა დროის კონკრეტულ პერიოდში დასრულებულ და შემოსულ საქმეთა რაოდენობას შორის, გამოსახული პროცენტებში (დასრულებული საქმეების რაოდენობა გაყოფილი შემოსული საქმეების რაოდენობაზე გამრავლებული 100-ზე) ($CR=(R \div I) \times 100$)⁵.

$CR \geq 1$, სასამართლო უმკლავდება წლის განმავლობაში შემოსულ საქმეებს.

მოსამართლის საშუალო დატვირთულობა - საანგარიშო პერიოდში სასამართლოს განხილვაში არსებული საქმეების რაოდენობა გაყოფილი მოსამართლეთა რაოდენობაზე.

საქმეთა განხილვის ხანგრძლივობა (DT) - გამოხატავს წლის ბოლოს არსებულ საქმეთა ნაშთის განხილვისთვის საჭირო დღეების სავარაუდო რაოდენობას. სიდიდე ასევე გამოიყენება თითოეული ამ საქმის განხილვისთვის საჭირო დღეების სავარაუდო რაოდენობის საჩვენებლად. აღნიშნულ მაჩვენებელს იყენებს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობის შესაფასებლად. გამოითვლება წლის ბოლოს ნაშთის სახით დარჩენილი საქმეთა რაოდენობის შეფარდება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასრულებულ საქმეთა რაოდენობასთან გამრავლებული 365-ზე (საზომი ერთეული - დღე).⁶

¹ CEPEJ მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), გვ. 7 <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 29.08.2023]

² იქვე, გვ. 9.

³ იქვე, გვ. 8 .

⁴ იქვე, გვ. 7, ასევე აღინიშნება ტერმინით „caseload“.

⁵ იქვე, გვ. 5.

⁶ იქვე, გვ. 6 („ეს ინდიკატორი აღწერს სასამართლოს არსებული შესაძლებლობის გათვალისწინებით, რამდენი დღე სჭირდება მიმდინარე ნაშთის გაწმენდას. გამოიყენება საქმისწარმოების ხანგრძლივობის პროგნოზირებისთვის - This indicator estimates how many days should be required to resolve the pending cases based on the court's current capacity to

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი ელემენტების გამოყენებით, რომელთა შერეული გამოყენება გვეხმარება მივიღოთ უფრო სრულყოფილი სურათი, ვიდრე ცალკე რაოდენობრივი ან თვისობრივი კვლევის მეთოდებით სარგებლობისას.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს 2017 წლის იანვრიდან 2022 წლის დეკემბრამდე პერიოდის მონაცემებს. კვლევის 6-წლიანი დროის მონაკვეთი შეირჩა იმ მოსაზრებით რომ, ერთი მხრივ, მასში მოქცეულიყო რეფორმის ოთხი ტალღის დასრულების პერიოდი, ხოლო მეორე მხრივ, კოვიდ პანდემიით გამოწვეულ რეგულაციებს არ გამოეწვია საკვლევი სურათის დამახინჯება⁷.

კვლევა ჩატარდა სამ ეტაპად. **პირველი ეტაპი** - სამაგიდე კვლევა - (desk research) - დამუშავდა საკითხთან დაკავშირებული მასალები - მოხდა საჯარო წყაროების - ანგარიშების, მედია პროდუქტის მეშვეობით ინფორმაციის მოძიება, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა სასამართლოებიდან, იუსტიციის საბჭოდან, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული 200-მდე გაჭიანურებული გადაწყვეტილების, დისციპლინური წარმოების ფარგლებში მიღებული 50 გადაწყვეტილების, ადვოკატების მიერ მოწოდებული 50-მდე საქმის მასალების მოძიება-შესწავლა, სტატისტიკისა და სხვა მონაცემთა ბაზების კვლევა.

უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული გაჭიანურებული გადაწყვეტილები შერჩეულია უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული, არსებითი განხილვით დასრულებული საქმეებიდან და იძლევა შესწავლის შედეგების განზოგადების საშუალებას ხსენებულ სეგმენტში.

კვლევისათვის შერჩეული იქნა გაჭიანურებული საქმეები, რომლებიც საკასაციო ინსტანციაში დასრულდა 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე.

გაჭიანურებულად ჩაითვალა ის საქმეები, რომლებიც ცალკეულ სასამართლოებში განხილულია საპროცესო კანონით დადგენილი ვადის გადაცილებით, ან ერთობლივად სამივე ინსტანციაში განხილულია მინიმუმ შემდეგ ვადებში:

- სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ვადა - 3 წელი;
- სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის ვადა - 2 წელი;
- ადმინისტრაციული სამართლის განხილვის ვადა - 2 წელი.

resolve cases. It is used as a forecast of the length of judicial proceedings). მაგალითისთვის, თუ სასამართლომ წლის განმავლობაში დაასრულა 500 საქმე და ნაშთის სახით განსახილველად დარჩა 1000, საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობა (DT) იქნება $1000:500*365=730$ დღე (ანუ ორი წელი). ანუ თუ სასამართლომ ამ ტემპით გააგრძელა საქმეების განხილვა, მაშინ თითოეულ საქმის განხილვას დასჭირდება საშუალოდ 2 წელი.

⁷ შესაბამისად, კვლევაში მოქცა როგორც პანდემიამდელი, ასევე პანდემიის დროინდელი და მისი შემდგომი პერიოდი.

გადაწყვეტილებები მოძიებული იქნა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა ელექტრონული საძიებო სისტემის მეშვეობით შემთხვევითი შერჩევით 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე დასრულებული გადაწყვეტილებებიდან⁸.

აღნიშნული მეთოდით შერჩეული იქნა სულ 187 გადაწყვეტილება (55 სისხლის, 58 სამოქალაქო, 74 ადმინისტრაციული). ასევე, კვლევის მიზნებისთვის ადვოკატისებისგან გამოთხოვილი იქნა გაჭიანურებული საქმის მასალები (ელექტრონული და მატერიალური ფორმით).

მოსამართლეთა და სასამართლოების დატვირთულობის, წმენდის მაჩვენებლებისა და საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობის შესწავლის, მდგომარეობის ილუსტრირების მიზნით შეირჩა 9 სასამართლო.

- ზუგდიდის რაიონული სასამართლო;
- ქუთაისის საქალაქო სასამართლო;
- გორის საქალაქო სასამართლო;
- მცხეთის რაიონული სასამართლო;
- რუსთავის საქალაქო სასამართლო;
- გურჯაანის რაიონული სასამართლო;
- თბილისის სააპელაციო სასამართლო;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლო;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო.

კვლევის მიზნებისთვის შესასწავლი სასამართლოები შერჩეული იქნა შემდეგი კრიტერიუმებით:

- ინსტანცია (პირველი ინსტანციის, სააპელაციო, უზენაესი სასამართლო);
- გეოგრაფიული განაწილება (დასავლეთ საქართველო, აღმოსავლეთ საქართველო);
- მოსამართლეთა დატვირთულობა (მაღალი, საშუალო და დაბალი).

მეორე ეტაპზე - შეიქმნა „excel“-ის ცხრილები, რომელშიც შეყვანილი იქნა პროექტის მიერ მოძიებული გადაწყვეტილებები, სტანდარტულად აღიწერა საქმის მახასიათებლები (მხარეთა რაოდენობა, საქმის შემოსვლისა და დასრულების ვადები, საქმის სირთულე⁹ და სხვ.). ასევე ცალკე სქემებით დამუშავდა ადვოკატებისგან გამოთხოვილი საქმეები. ამ ეტაპზე მოპოვებული იქნა სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

⁸ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი: <http://prg.supremecourt.ge/Default.aspx> (ბოლოს გადამოწმდა 12/23/2023)

⁹ საქმეთა სირთულის შესაფასებლად, გამოყენებული იქნა რამდენიმე კრიტერიუმი, მათ შორის - სადავო ფაქტობრივი გარემოების, სადავო სამართლებრივი საკითხების, მხარეთა შუამდგომლობების, მოწმეების რაოდენობა, ექსპერტიზის არსებობა და მათი რაოდენობა.

მესამე ეტაპზე - საქმეთა გაჭიანურების გამომწვევი ფაქტორების კვლევის მიზნით, წინასწარ შემუშავდა თვისებრივი კვლევისთვის (სიდრმისეული ინტერვიუს და ფოკუს ჯგუფის) საჭირო სახელმძღვანელო (guide).

კვლევის პროცესში ჩატარდა 5 ფოკუს-ჯგუფი. 2 ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა კვლევის დასაწყისში. კიდევ სამი ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა მოძიებული მასალების შესწავლისა და ფოკუს-ჯგუფების შედეგების საფუძველზე შექმნილი კითხვარის განახლების შემდეგ. კვლევის პროცესში ჩართული ადამიანების თხოვნის გათვალისწინებით, ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა ონლაინ.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები არიან ადვოკატები, მედიატორები და არბიტრები, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეები მოწვეულ იქნენ როგორც ინდივიდუალური, ასევე საჯარო მოწვევით.

პირისპირ ინტერვიუები ჩატარდა მოსამართლეებთან, ადვოკატებთან, არბიტრებთან, მედიატორთან.

თვისებრივი კვლევიდან მიღებული ნარატივის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა კითხვარი - რაოდენობრივი კვლევისთვის (გამოკითხვისთვის). კითხვარი გაეგზავნა 3000-მდე მოქმედ ადვოკატს, 27 პროკურორსა და 187 მოსამართლეს. ონლაინ კითხვარი შეავსო 198 ადვოკატმა, 27 პროკურორმა და 4-მა მოსამართლემ.

კვლევის ბოლო ფაზაში დამატებით ჩატარდა 10 ადვოკატის (თბილისის მერიის იურიდიული დახმარების სამსახური - „ჩემი ადვოკატი“) წერილობითი ინტერვიუ ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით. ადვოკატებს გაეგზავნათ წინასწარ მომზადებული წერილობითი ღია კითხვები, პროექტის გვიანდელ ფაზაზე გამოვლენილ სპეციფიურ საკითხებთან დაკავშირებით.

სამიზნე ჯგუფი/რესპონდენტის ტიპი	კვლევის მეთოდი	გამოკითხულთა რაოდენობა
სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მომუშავე ადვოკატები	ფოკუს ჯგუფი	8
სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ადვოკატები	ფოკუს ჯგუფი	2
იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები	ფოკუს ჯგუფი	10
ადმინისტრაციული ორგანოების იურისტები	ფოკუს ჯგუფი	6
ადვოკატები	ონლაინ გამოკითხვა	198
პროკურორები	ონლაინ გამოკითხვა	27
მოსამართლე	ონლაინ გამოკითხვა	4
მოსამართლე	პირისპირ ინტერვიუ	12
ადვოკატი	პირისპირ ინტერვიუ	8
არბიტრთა ასოციაციის წევრი	პირისპირ ინტერვიუ	2
მედიატორი	პირისპირ ინტერვიუ	1
ადვოკატები (ჩემი ადვოკატის სამსახური)	წერილობითი ინტერვიუ	10

თვითადმინისტრირებული კითხვარების მეშვეობით, რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა საქმეთა გაჭიანურების ყველაზე უფრო ხშირად დასახელებული ან/და სისტემურობის მაჩვენებელი ფაქტორი, აღიწერა და გაანალიზდა წყაროების მითითებით.

ანალიზის საფუძველზე საქმეთა გაჭიანურების გამომწვევი ფაქტორები შემდეგნაირად დაჯგუფდა:

- სასამართლოების გადატვირთულობასთან დაკავშირებული მიზეზები;
- მართლმსაჯულების სისტემის მენეჯმენტთან დაკავშირებული მიზეზები;
- მოსამართლეთა ქცევა;
- საქმისწარმოების სხვა მონაწილეთა ქცევა.

თითოეული ფაქტორის გაანალიზებისას შეფასდა საქმეთა გაჭიანურების ფაქტორების კავშირი კანონმდებლობასთან. ასევე შეფასდა რამდენად შესაბამისობაშია საქმეთა ნაკადის მართვა საერთაშორისო სტანდარტებთან და რა გავლენა იქონია სასამართლოს ადმინისტრირებასთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა საქმეთა ნაკადის დროულად განხილვაზე.

კვლევაში ჩართული იყვნენ ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონმდებლობის ანალიზში, საქმეთა მასალების შესწავლის შედეგად წარმოადგინეს შესაბამისი დასკვნები.

კვლევაში ჩართული იყო ექსპერტი სოციოლოგი, რომელიც საკონსულტაციო დახმარებას უწევდა მკვლევართა გუნდს, მათ შორის კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავებაში, მეთოდების შერჩევასა და სწორ გამოყენებასა და შედეგების ანალიზში.

კვლევის შეზღუდვა

კვლევის შეზღუდავად შეიძლება ჩაითვალოს კვლევის ფარგლებში სასამართლო ხელისუფლების მხრიდან უკუკავშირის სურვილის ნაკლებობა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი.

ნაცადია ამ შეზღუდვის დაძლევა საჯაროდ ხელმისაწვდომი მასალების დამატებითი მოძიებით, მათ შორის სტატისტიკური მონაცემების გადამუშავებითა და გადაანგარიშების გზით. ამ ფაქტორის გათვალისწინებით და სტატისტიკურ მონაცემებში შესაძლო უზუსტობების გამო, კვლევაში მითითებული რაოდენობრივი მონაცემები შესაძლოა შეიცავდეს მცირე უზუსტობებს, რაც გავლენას არ ახდენს საერთო სურათსა და კვლევის ძირითად მიგნებებზე.

1. საქმის განხილვის გაჭიანურება, მისი დამაზიანებელი ეფექტები და გონივრული ვადის სტანდარტები

მოსამართლის/სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვას აქვს ორი განზომილება: მართლმსაჯულების განხორციელების და მართლმსაჯულების ადმინისტრირების. შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელების გაგებით, საქმის გონივრულ ვადაში განხილვა ადამიანის უფლებაა, ხოლო მართლმსაჯულების ადმინისტრირების გაგებით - მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელება, რაც თავის მხრივ, განაპირობებს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემის მიმართ.

დაკავებულისა და ბრალდებულის უფლება - დაუყოვნებლივ იქნას წარდგენილი მოსამართლის წინაშე და მისი საქმე სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში განხილვად, აღიარებულია გაეროს 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლით,¹⁰ რომლის ხელშემკვრელი მხარე, სხვა 170-ზე მეტ სახელმწიფოსთან ერთად, არის საქართველოც. თუმცა, სათავეს აღნიშნული უფლება ჯერ კიდევ XIII საუკუნის „თავისუფლების დიდი ქარტიიდან“ იღებს, რომელიც მიუთითებდა, რომ არავის შეიძლება უარი ეთქვას ან დაუგვიანდეს მართლმსაჯულება.¹¹

საქმის განხილვის გაჭიანურება დამაზიანებელია როგორც ინდივიდისთვის, ისე მას აქვს უარყოფითი ეფექტები ფართო საზოგადოებისთვის. გადაუწყვეტელი სამოქალაქო დავებით მიყენებული ზარალი სახელმწიფოების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე განუზომელია - აღნიშნავს ერთ-ერთი ავტორი¹² და მიუთითებს მსოფლიო ბანკის სპეციალურ განყოფილებაზე, რომელიც ზომავს ზიანს, რაც ადგებათ ინდივიდებს და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, გამოწვეულს სამოქალაქო მართლმსაჯულების სისტემების არაეფექტიანობით. საქმეები შეეხება სახელმეკრულებო, საკუთრებასთან, საოჯახო და სხვა არადანამაულებრივი კატეგორიის დავებს. ზიანზე ორი მთავარი მიმართულებით არის მითითება ლიტერატურაში, რასაც იწვევს საქმეთა გადაწყვეტის გაჭიანურება: სასამართლოს ხელმისაწვდომობა და საზოგადოების დაბალი ნდობა სამოქალაქო მართლმსაჯულების მიმართ.¹³

ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ სამოქალაქო მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა აღარ არის მხოლოდ მოდავე მხარეებისა და სასამართლოს ადმინისტრატორების შორეული ინტერესის საგანი. შეუძლებელია საზოგადოებამ უგულებელყოს პრობლემა, რადგან ის ყველას

¹⁰ International Covenant on Civil and Political Rights, General Assembly Resolution 2200A (XXI), 1966. <https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/international-covenant-civil-and-political-rights> (ბოლოს გადამოწმდა 12/23/2023)

¹¹ English Translation of Magna Carta, para.40. <https://www.bl.uk/magna-carta/articles/magna-carta-english-translation> (ბოლოს გადამოწმდა 12/23/2023)

¹² R. Lee Akazaki, Unconscionable Delay of Civil Justice: Is It Also Unconstitutional, 32 ADVOC. Q. 277 (2007). P.279-280

¹³ Reforming Civil Justice Systems: Trends in Industrial Countries, The World Bank, October 2000.

<https://documents1.worldbank.org/curated/en/668441468164970090/pdf/21602-BRI-REPLACEMENT-premnote46-PUBLIC.pdf> (ბოლოს გადამოწმდა 12/23/2023)

ეხება.¹⁴ იმავე წყაროში მაგალითისთვის მოყვანილია გაჭიანურებული სამოქალაქო სამართალწარმოების მაგალითები, როცა ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაზარალებული ვერ ახერხებს დროულად იმპურნალოს ან გაიაროს რეაბილიტაცია, ელოდება რა ზიანის ანაზღაურების საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებას; ან შემთხვევა, როცა საწარმოს მეწილეს, რომლის გარდაქმნის, შერწყმის, ან სხვა მნიშვნელოვანი ტრანზაქცია შეფერხებულია სასამართლოში გადაუწყვეტელი დავის გამო, ადგება ფინანსური ზარალი ან სხვა სახის პირადი ზიანი. ასევე, სამოქალაქო მართლმსაჯულების სისტემამ უნდა გაითვალისწინოს, რომ დანაშაულის კონტროლი ისევე მნიშვნელოვანია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლისთვის, როგორც მაგალითად, მიწის რეგისტრაციისთვის საკუთრების თუ იპოთეკის დოკუმენტები.¹⁵

ბევრი ქვეყანა ცდილობს ბიზნესის კეთება და ვაჭრობა გახადოს მარტივი. აღნიშნულზე უშუალო გავლენას ახდენს სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურება და მოსამართლეთა გადატვირთულობა. სამოქალაქო ურთიერთობებში დავების განხილვის გაჭიანურება ხელს უშლის ეკონომიკაში ინვესტიციების განხორციელებას, იწვევს ეკონომიკური პროექტების შეჩერებას, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას და სამართლებრივ დავასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდას¹⁶. კონტრაქტების სწრაფი აღსრულება, ფინანსური მოთხოვნების მარტივი აღსრულება და მიყენებული ზიანისთვის სამართლიანი კომპენსაციების მიკუთვნება კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორია ინვესტიციებისა და ეკონომიკური აქტივობების წახალისებისთვის, რაც აუცილებლად მოიცავს ფინანსურ და აღსრულებასთან დაკავშირებულ რისკებს. ამდენად, სტაბილური, ეფექტიანი და დამაჯერებელი დავების გადაწყვეტის მექანიზმი არის სრულიად აუცილებელი სისტემა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.¹⁷

გაჭიანურებული დავა ნაწილობრივ ახდენს მოდავე მხარეების ბიზნეს აქტივობების პარალიზებასაც. მიმდინარე მნიშვნელოვანი სამოქალაქო დავის პირობებში მათ არ იციან როგორ მოიქცნენ, გააფართოვონ ბიზნესი თუ პირიქით, შეამცირონ ხარჯები, დაარეზერვონ კაპიტალი თუ განახორციელონ ინვესტირება. ამასთან, დავების გაჭიანურება იწვევს სასამართლოების მიმართ და უფრო ფართო გაგებით, სამართლის მიმართ პატივისცემის შესუსტებას, რაც, თავის მხრივ, ასევე გულისხმობს მართლმსაჯულების ადმინისტრირების განმახორციელებელთა მიმართ პატივისცემის შესუსტებას. ხშირად, საქმის განხილვის გაჭიანურებით კანონდამრღვევი მხარე ნახულობს სარგებელს, ვინაიდან საქმის განხილვის გაჭიანურება ყველაზე ხშირად სწორედ სამართალდამრღვევის თუ დამნაშავისთვის არის ხელსაყრელი.¹⁸

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ისეთი კატეგორიის დავების გაჭიანურება, რომლებსაც ყველაზე ხშირად აქვს ადგილი და შეეხება ინდივიდებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას (მაგ., ავტოავარიები, პირადი ზიანი და სხვა). მსგავსი სასამართლო დავების გაჭიანურება სერიოზულ

¹⁴ R. Lee Akazaki, Unconscionable Delay of Civil Justice: Is It Also Unconstitutional, 32 ADVOC. Q. 277 (2007). P.279-280.

¹⁵ იქვე.

¹⁶ Arifa Zahra, Delay of Corporate Justice: Need of an Hour to Review Indian Judicial System, 2 INDIAN J. INTEGRATED Rsch. L. 1 (2022).

¹⁷ იქვე.

¹⁸ Delay in the Administration of Justice , 7 NOTRE DAME LAW. 284 (1932).

საფრთხეს წარმოადგენს სასამართლოს ადმინისტრირების მიმართ მოქალაქეთა და საბოლოოდ, ადვოკატთა ნდობისთვის.¹⁹

მართლმსაჯულების მომხმარებლებს ესაჭიროებათ სწრაფი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება. აღნიშნულის არარსებობის პირობებში, ნაცვლად იმისა, მიმართონ სამართალს, ისინი თავის თავზე იღებენ სამართლის აღსრულებას. სწორედ ეს არის, რაც სასამართლო სისტემამ უნდა აირიდოს თავიდან იმისთვის, რომ ადამიანებმა არ გამოიყენონ არასამართლებრივი მეთოდები თავიანთი დავების მოსაგვარებლად და ზიანის ასანაზღაურებლად.²⁰

სისხლის სამართლის საქმეებზე გაჭიანურებული მართლმსაჯულების უარყოფითი ეფექტები არანაკლებ საგანგაშოა. არაერთ წყაროში აღნიშნულია, რომ შეჯიბრებითი სისხლის სამართლის სისტემაში საქმის ადმინისტრირების გაჭიანურება ანგრევს მართლმსაჯულებას: მოწმეებს ავიწყდებათ გარემოებები, აღარ არიან ხელმისაწვდომები მხარეებისთვის, საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები იმატებს, დროული მართლმსაჯულების გავლენა დანაშაულის შეკავებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის ძალისხმევაზე დაკარგულია. თუმცა, იქვე აღნიშნულია, რომ გაჭიანურების თავიდან აცილების პროგრამებმა არ უნდა დააზიანონ სამართლიანი პროცესის პრინციპი და მათ უნდა გაითვალისწინონ ის რისკები, რაც შეიძლება საქმეთა განხილვის დაჩქარებას ახლდეს მართლმსაჯულების მიღწევისთვის. მაგალითად, მართლმსაჯულება ვერ იქნება მიღწეული თუ მოუმზადებელ ადვოკატს ვაიძულებთ შევიდეს საქმის განხილვაში. ამისთვის ლიტერატურაში კონკრეტული გამოსავლებიც არის შეთავაზებული.²¹ მაგალითად, აღწერილია საქმეთა ადმინისტრირების ე.წ. ორ არხიანი სისტემა, რაც ცალკე შესწავლის საგანია და წინამდებარე კვლევის მიზანს არ ეხება.²²

საქმის განხილვის ვადის გონივრულობა განისაზღვრება კანონით და/ან ფასდება მოსამართლის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად. საქმის განხილვის ვადის გონივრულობის შესაფასებლად ქვეყნებში განსხვავებული მიდგომებია შემუშავებული. თუმცა, სანამ ამ მიდგომებს მიმოვიხილავდეთ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქმის განხილვის ვადების კანონით განსაზღვრა არ ემსახურება ძირითადი უფლების დაცვას, არამედ ის გვთავაზობს ზოგად საკანონმდებლო ბალანსს მართლმსაჯულების განხორციელებისა და ადმინისტრირების მიზანს შორის.²³ შესაბამისად, კანონით წინასწარ განსაზღვრული ვადა იმთავითვე მის გონივრულობას არ ნიშნავს.²⁴ ამდენად, უფლების დაცვის თვალსაზრისით,

¹⁹ Benjamin Landis, *Jury Trials and the Delay of Justice*, 56 A.B.A. J. 950 (1970).

²¹ Ernest C. Freisen, Maurice Geiger, Joseph Jordan & Alfred Sulmonetti, *Justice in Felony Courts: A Prescription to Control Delay - A Report on a Study of Delay in Metropolitan Courts During 1978-1979*, 2 WHITTIER L. REV. 7 (1979).

²² იქვე, გვ. 13. This two track system made it possible to force choices on the lawyers to estimate the time they have available as they accept new cases while giving older cases firm dates for conferences and for trial through direct negotiation with lawyers, minimizing the conflicts which potentially occur as a result of running two tracks.

²³ ამ საკითხზე იხილეთ: Roger Townsend, *Pre-Accusation Delay*, 24 S. TEX. L.J. 69 (1983), p.70.

²⁴ საქმის განხილვის და საპროცესო მოქმედებების შესრულების ვადების კანონით დადგენას სხვა მიზანიც აქვს, რაც შემდეგი სამართლებრივი პრინციპიდან გამომდინარეობს: *Interest Reipublicae Ut Sit Finis Litium* ("in the interest of the society as a whole, the litigation must come to an end"), რომელიც ამ კვლევის განხილვის საგანს სცილდება.

მნიშვნელოვანია საქმის განხილვის ვადის გონივრულობის შეფასება ყოველი კონკრეტული შემთხვევაში და არა ზოგადად.²⁵

საქმის განხილვის გაჭიანურების დასადგენად აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ 1972 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში შეიმუშავა ოთხსაფეხურიანი ტესტი:²⁶ ა. გაჭიანურების ხანგრძლივობა, ბ. გაჭიანურების მიზეზი, გ. ბრალდებულის საჩივარი, და დ. გაჭიანურების დამაზიანებელი შედეგი ბრალდებულისთვის. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ, 1974 წელს ძალაში შევიდა ფედერალური კანონი სწრაფი მართლმსაჯულების შესახებ,²⁷ რომელმაც, გარკვეულწილად, შეცვალა უზენაესი სასამართლოს დადგენილი მიდგომები გაჭიანურებულ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით: ერთი მხრივ, განსაზღვრა გაჭიანურების კანონისმიერი ვადები და, მეორე მხრივ, შემოიღო ღია ჩამონათვალი იმ საპატიო შემთხვევებისა, როცა საქმის განხილვის გაჭიანურება გამორიცხავს ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტას.

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მსგავსად, კანადის უზენაესმა სასამართლომაც ოთხსაფეხურიანი ტესტი განავითარა საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლების დარღვევის შესაფასებლად. საინტერესოა, ტესტის მესამე კომპონენტი - გაჭიანურების მიზეზები - რომელიც, თავის მხრივ, შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ვადა, რომელიც საქმის განხილვას ბუნებრივად ესაჭიროება; ბრალდებულის მოქმედებები; ბრალდების მხარის მოქმედებები; ინსტიტუციური რესურსების ზღვარი (რესურსები არ არის უსაზღვრო); სხვა მიზეზები. კანადის სასამართლო პრაქტიკაში განვითარებულია კრიტიკული მსჯელობა იმის შესახებ, რომ გაჭიანურებით ბრალდებულისთვის დამდგარი ზიანის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც საქმის გონივრულ ვადაში განხილვას თავისთავად ახლავს (სტიგმატიზაცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა, სტრესი და შფოთვა, და სხვა), არამედ, კონკრეტული ბრალდებულის შემთხვევაში დამდგარი სხვა ზიანი (ზიანი რომელიც წინასწარ პატიმრობაში ყოფნითაა გამოწვეული, კონკრეტული მოწმის დაკარგვა და სხვა).²⁸ მოგვიანებით, კანადის უზენაესმა სასამართლომ შეცვალა აღნიშნული ტესტი მისი

²⁵ საქართველოს მაგალითზე, კანონზე დაფუძნებული მიდგომის ხარვეზი არის ის, რომ ზოგ შემთხვევაში საქმის განხილვის ვადები მოუქნელია და არ ითვალისწინებს საქმის ინდივიდუალურ თავისებურებებს. ზოგ შემთხვევაში კი კანონით გათვალისწინებული ვადები არარეალისტურად მოკლეა და მათი დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელი. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლით ალიმენტის გადახდევინების, დასასიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეები განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. სამოქალაქო პროცესის სტადიების და მათი მინიმალური ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აღნიშნული საქმეების განხილვისთვის კანონით გათვალისწინებული ერთ თვიანი ვადის დაცვა არის შეუძლებელი.

²⁶ Barker v. Wingo, 407 U.S. 514 (1972) <https://supreme.justia.com/cases/federal/us/407/514/> [ბოლოს ნანახია 18.10.2023]

²⁷ US Speedy Trial Act of 1974 <https://www.ojp.gov/ncjrs/virtual-library/abstracts/speedy-trial-act-1974-defining-sixth-amendment-right#:~:text=SPEEDY%20TRIAL%20ACT%20OF%201974%20%2D%20DEFINING%20THE%20SIXTH%20AMENDMENT%20RIGHT,-NCJ%20Number&text=THE%20SPEEDY%20TRIAL%20ACT%20OF,OF%20EXCLUDABLE%20PERIODS%20OF%20DELA> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

²⁸ აღნიშნულ საკითხზე კანადის უზენაესი სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებში განვითარებული მსჯელობის შესახებ დეტალური მიმოხილვა იხილეთ: Trial Within a Reasonable Time: a working paper prepared for

კომპლექსურობისა და სხვა ნაკლოვანებების გამო და შეიმუშავა „ნავარაუდები ქერის“ პრინციპი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: სასამართლომ წინასწარ განსაზღვრა საქმის განხილვის ვადა ბრალის წარდგენიდან განაჩენის გამოტანამდე (18 თვე პირველი ინსტანციის სასამართლო-ბისთვის და 30 თვე უმაღლეს სასამართლოში); და, თუკი, საქმის განხილვის საერთო ვადას გამოკლებული დაცვის მხარის მიზეზით გამოწვეული გაჭიანურების ვადა ჯამში აღემატება ხსენებულ ქერს, ივარაუდება, რომ ასეთი ვადაგადაცილება არაგონივრულია²⁹.

თუ როგორი გაჭიანურება შეიძლება ჩაითვალოს საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლების დარღვევად, ანუ პრობლემურ გაჭიანურებად, აღნიშნულზე არ არსებობს ერთი უნივერსალური მიდგომა იმ დანაწესიდან გამომდინარე, რომ მართლმსაჯულების საბოლოო მიზანი არის სამართლიანობის მიღწევა და არა სისწრაფე. საქმის მიმდინარეობა ერთი ან ორი წლის განმავლობაში, ცალკე, არ მიაჩნდება მართლმსაჯულების გაჭიანურებაზე.³⁰ აქ იგულისხმება გაჭიანურების ისეთი შემთხვევები, რომლებიც მხარეთა თხოვნით ხორციელდება (ზიანის ანაზღაურებამდე, მორიგებამდე, და სხვა) და რაც გაჭიანურების აუცილებელ ან ღირებულ მიზეზებს წარმოადგენს. პრობლემაა, როცა განსახილველად მზად მყოფი საქმის განხილვას აბრკოლებს ისეთი არასათანადო მიზეზები, როგორებიცაა გარკვეული უნარების ნაკლებობა (საქმეების არასათანადო მენეჯმენტი ინდივიდუალური მოსამართლის მიერ, როცა ერთ მოსამართლეს ძალიან ბევრი განსახილველი საქმე უგროვდება სხვა მოსამართლესთან შედარებით; ისეთი სისტემური მენეჯმენტის პრობლემა, როგორიცაა სასამართლოებს შორის საქმის არათანაბარი განაწილება და სხვა), ან გულგრილობა. გაჭიანურების პრობლემურ მიზეზებად სახელდება ასევე ადვოკატების მხრიდან ხელოვნურად გამოწვეული გაჭიანურება (არაგონივრული მორიგების პირობების შეთავაზება; საქმის გადადების მოთხოვნა ადვოკატის გადატვირთულობის მიზეზით; ადვოკატის საქმისთვის მოუმზადებლობა; ზედმეტი არგუმენტების თუ ფაქტების წარდგენა და სხვა).³¹

განსხვავებით ზემოთ მოყვანილ ქვეყნებში განვითარებული სასამართლო პრაქტიკისა, საქართველოში მოქმედი რეგულაციებით, საქმეთა განხილვის გონივრულობის შეფასება სასამართლოების მიერ არ ხდება. საქართველოში გაჭიანურებულად ჩაითვლება საქმე თუ, საქმის განხილვის შედეგად დაირღვა კანონით დადგენილი ვადა. საქართველოს კანონმდებლობა, როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსები, ადგენს საქმეთა განხილვის საერთო ვალებს სამივე ინსტანციის სასამართლოში. ზოგ შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმის განხილვის კანონით დადგენილ შუალედურ ვალებს, რაც სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გამოიყენება. სწორედ აღნიშნულ მიდგომას ითვალისწინებს საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი ვ.ა. ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით

the Law Reform Commission of Canada, 1994, 115-ე გვერდიდან, https://publications.gc.ca/collections/collection_2022/jus/j32-1/J32-1-67-1994-eng.pdf [ბოლოს ნანახია 18.10.2023]

²⁹ Colton Fehr, Remedying Unreasonable Delay, 60 ALTA. L. REV. 739 (2023).

³⁰ George S. Reynolds, Court Delay Delineated, 12 Washburn L.J. 12 (1972).

³¹ საქმის განხილვის გაჭიანურების მიზეზებზე, ზოგადად, იხილეთ: George S. Reynolds, Court Delay Delineated, 12 Washburn L.J. 12 (1972).

არსებითად დარღვევა.³² მეორე მხრივ, თუ განაჩენი გამოტანილია კანონით დადგენილ ვადაში, ის ვერ ჩაითვლება გაჭიანურებულად, თუნდაც სხვა მიდგომების თანახმად, ის ითვლებოდა გაჭიანურებულად. მაგალითად, თუ მარტივ საქმეზე სასამართლომ განაჩენი გამოიტანა 1 წლის და 11 თვის ვადაში, ის ვერ ჩაითვლება გაჭიანურებულად (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს განაჩენის გამოტანის 24 თვიან ვადას).

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს აქვს ჩამოყალიბებული გონივრული ვადის შეფასების მოცულობითი პრაქტიკა. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო სამართალწარმოების ხანგრძლივობას აფასებს მთლიანობაში მაშინაც კი, როცა ეროვნული კანონმდებლობით, დადგენილია კონკრეტული საპროცესო ვადები. საქმის განხილვის ვადის გონივრულობას ევროსასამართლო აფასებს შემდეგი კრიტერიუმებით: ა. საქმის სირთულე ბ. მომჩივანის ინტერესი - რა დევს სასწორზე (what is at stake for the applicant). გ. მომჩივანის ქმედებები დ. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მოქმედებები. ევროსასამართლოს პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია უფრო დეტალურად იხილეთ დანართში N2.

2. საქართველოში საქმეთა განხილვის პრობლემა და მისი მასშტაბურობა

ძირითადი მიგნებები

- საქართველოს სასამართლოებში საქმეთა განხილვის გაჭიანურება წლების განმავლობაში მრავალმხრივ აღიარებულ და საზოგადოებისთვის მტკივნეულ გამოწვევად აღიქმება.
- სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების მასშტაბურობა ძირითადად განპირობებულია ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა გაჭიანურებით პირველი ინსტანციის სასამართლოებში. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის სავარაუდო საშუალო ხანგრძლივობა წლების განმავლობაში ზრდადია - 2018-დან 2020 წლამდე 1,5-2 ჯერ გაიზარდა და 400 დღეს გადააჭარბა. 2021-2022 წლებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის ხანგრძლივობა მცირდება, ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის ხანგრძლივობა კი კვლავ ზრდადია. პირველი და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობა ბევრად აღემატება, ხოლო სააკველიციო ინსტანციის სასამართლოებში უახლოვდება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს.
- სისხლის სამართლის საქმეთა სავარაუდო საშუალო ხანგრძლივობის ზრდადობის მიუხედავად, მათი გაჭიანურება მასშტაბური პრობლემის ხასიათს არ იძენს და საშუალო ევროპულ მაჩვენებლებთან შესაბამისობაშია.

³² 2019 წლის დეკემბრამდე არსებული რედაქციით გადაცდომა სხვაგვარად იყო ფორმულირებული და ითვალისწინებდა მოსამართლის მიერ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას.

2.1. საქმეთა გაჭიანურების მასშტაბები სასამართლოში

საქართველოში საქმეთა გაჭიანურებას, როგორც სისტემურ პრობლემას, აღიარებს ფაქტობრივად ყველა სუბიექტი, რომელიც კავშირშია სასამართლო რეფორმის საკითხთან, კერძოდ:

- სასამართლო ხელისუფლება, სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიაში³³ აღიარებს საქმეთა განხილვის გაჭიანურების პრობლემას. ასევე, პრობლემაზე მითითებულია 2013-2017 წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის, ვახტანგ მჭედლიძევილის ანგარიშში: „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და პრობლემის მოგვარების გზები“.³⁴
- მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ მის მიერ მიღებულ „სასამართლო რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ დოკუმენტში მითითებს საქმეთა განხილვის გაჭიანურების პრობლემაზე.³⁵
- სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, ასახავენ სხვადასხვა სასამართლოში საპროცესო ვადების დარღვევის მასშტაბურობას³⁶.
- საზოგადოების აზრის კვლევის მიხედვით, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის ბარიერებს შორის, მოქალაქეები პირველ რიგში ასახელებდნენ საქმის განხილვის ხანგრძლივობას (58%), რაც მცირედით აღემატება ხელმისაწვდომობის ისეთ ბარიერს, როგორცაა საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები (57%).³⁷

³³ იხ., სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის, გვ. 21. „სტრატეგია ერთ-ერთ ამოცანად ისახავს საქმეთა გაჭიანურებისა და დაგროვების მასშტაბების შემცირებას“ <https://shorturl.at/djxY> [ბოლოს ნანახია: 29.09.2023]

³⁴ მჭედლიძევილი ვ. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და პრობლემის მოგვარების გზები, 2017 <https://shorturl.at/iBDI9> [ბოლოს ნანახია: 29.08.2023]

³⁵ იხილეთ, სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა - https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/iuridiuli/samushao_jgufebi/shedegebi/sasamartlo_reformis_strategia_da_samoqmedo_gagma.pdf [ბოლოს ნანახია: 29.09.2023]

³⁶ ანგარიშებში საუბარია კანონით დადგენილი ვადის სისტემატური დარღვევის შესახებ „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში თითქმის ყოველი მეორე საქმე ვადების დარღვევით განიხილება, ხოლო უზენაეს სასამართლოში ვადის დარღვევა - ნორმად, ხოლო მისი დაცვა გამონაკლისად დამკვიდრდა“. იხილეთ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში, გვ 115. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში: „2021 წლის პირველ ცხრა თვეში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში დარეგისტრირებული 1257 საჩივრიდან 2 თვის ვადაში დასრულდა მხოლოდ 213 (16.9%) საქმის განხილვა, ხოლო 5 თვის ვადაში - 272 (21.6%) საქმისა. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში 2021 წელს რეგისტრირებული საჩივრების მინიმუმ 61.5%-ის განხილვა არ დასრულებულა“ (. . .) „საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, 2021 წელს 1106 საჩივარი შევიდა, საიდანაც დაუშვებლად ცნობილი 384 საქმიდან, 3-თვიანი საკანონმდებლო მოთხოვნის დარღვევით 297 (77%) საჩივარი იქნა დაუშვებლად ცნობილი. დასაშვებლად ცნობილი 722 საქმიდან, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 6-თვიან ვადაში მხოლოდ 1 საქმე განიხილა“. გვ. 105-106

სახალხო დამცველის ანგარიშები იხ., <https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi> [ბოლოს ნანახია: 29.09.2023]

³⁷ სასამართლოს ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები 2020 გვ 19. https://idfi.ge/public/upload/EU/CRRC-EMC-IDFI%20report_29.04.2020_small%20size%20file.pdf [ბოლოს ნანახია 25.10.2023]

- სამოქალაქო საზოგადოება ასევე მიიჩნევს საქმეთა გაჭიანურებას პრობლემად, რაც ასახულია, მაგალითად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2021 წლის ანგარიშში: „სისხლის სამართლის პროცესების 4 წლიანი მონიტორინგის შედეგები“.³⁸
- ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საქართველოში სასამართლო დავების განხილვის გაჭიანურება გავრცელებული და კარგად ნაცნობი პრობლემაა, რაც არაერთი თვალსაზრისით აზიანების მართლმსაჯულების პროცესს³⁹.
- ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისის შეფასების დოკუმენტში საქართველოს სასამართლოებში საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობის გაზრდისა და საქმეთა წმენდის მაჩვენებლის შემცირების საკითხი პრობლემად არის დასახელებული.⁴⁰


საქმეთა გაჭიანურების, როგორც საზოგადოების პრობლემის აღქმადობაზე მეტყველებს მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკაც. კერძოდ 2020-2022 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ ინსპექტორთან მოსამართლეთა წინააღმდეგ შეტანილი დისციპლინური საჩივრების რაოდენობა მზარდია. აქედან თითქმის ნახევარი ეხება მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევას, ხოლო დანარჩენი, ყველა სხვა დარღვევას⁴¹.

³⁸ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის პროცესების 4-წლიანი მონიტორინგის შედეგები, ტენდენციები და არსებული გამოწვევები, 2021, გვ. 14. <https://shorturl.at/IDUZZ> [ბოლოს ნანახია: 29.09.2023] „სისხლის სამართლის სხდომების გაჭიანურება საიას სასამართლო მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი ხარვეზია. არაერთი საქმე წლების განმავლობაში ისე მიმდინარეობს, რომ მასზე კონკრეტული სამართლებრივი შედეგი არ დგება. შეინიშნება როგორც კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების დარღვევის პრობლემა, ასევე შემთხვევები, როდესაც ვადები პირდაპირ არ ირღვევა, თუმცა, ობიექტური დამკვირვებლის შეფასებით, აშკარად საქმის არაგონივრულ დროში განხილვის შთაბეჭდილება რჩება“.

³⁹ USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა, ბიზნესის შეხედულებები საქართველოში სასამართლო სისტემის შესახებ, ოქტომბერი 31, 2021. https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00ZMH5.pdf [ბოლოს ნანახია: 29.08.2023]

⁴⁰ European Commission, Communication from the Commission to the European Parliament, the European Council and the Council, Brussels, 17.6.2022 COM(2022) 405 final, p.8. „ეფექტურობის თვალსაზრისით სამოქალაქო და კომერციულ დავებზე საქმეთა განხილვის ხანგრძლივობა 274 დღიდან (2018 წლის მონაცემით) გაიზარდა 433 დღემდე. წმენდის მაჩვენებელმა დაიკლო (91 პროცენტიდან 2018-ში) 87 პროცენტამდე. საქმეთა განხილვის ხანგრძლივობა რჩება მთავარი შემოფოტების საგანი“. <https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf> [ბოლოს ნანახია: 29.09.2023]

⁴¹ იხილეთ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის წლიური ანგარიშები <https://dis.court.ge/category/annual-reports/>; [ბოლოს ნანახია 29.08.2023]; 2020 წლამდე სამართალწარმოების ვადების დარღვევა კვალიფიცირდებოდა 2 სხვადასხვა გადაცდომად: საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურებად და მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვან შესრულებად (რომელიც თავისი მხრივ სხვა გადაცდომებსაც მოიცავდა), შესაბამისად 2020 წლამდე საქმეთა გაჭიანურების შესახებ ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ხელმიუწვდომელია. იხ., უფლებები საქართველო, დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში, ანგარიში და რეკომენდაციები, 2021, გვ. 71, 81 <https://drive.google.com/file/d/1S8mUnkbydhuVxxBe-lek2X4a-D3lZfz/view> [ბოლოს ნანახია: 29.08.2023]; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის წლიური ანგარიში, გვ. 12 <https://dis.court.ge/wp-content/uploads/2020/07/dis2.pdf> [ბოლოს ნანახია 29.08.2023]



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის დისციპლინური პრაქტიკის⁴² შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ დისციპლინური ინსპექტორის მიერ საბჭოს წინაშე განსახილველად წარდგენილ საქმეთა 90% ეხებოდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული და მხოლოდ 10% სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურებას.

ონლაინ გამოკითხულ ადვოკატებს⁴³ დაესვათ შეკითხვა საქმეთა გაჭიანურების მასშტაბებთან დაკავშირებით. მათი 94% მიიჩნევს, რომ თითქმის ყველა საქმე ან საქმეების უმეტესობა ჭიანურდება. ადვოკატთა მხოლოდ 5% მიიჩნევს, რომ საქმეების მცირე რაოდენობა ჭიანურდება/საქმეები იშვიათად ჭიანურდება, ხოლო 1 %-ის აზრით, არც ერთი საქმე არ ჭიანურდება.

სისხლის სამართლის საქმეებზე საუბრისას, ფოკუს ჯგუფებში ადვოკატებმა ყურადღება გაამახვილეს ე.წ. არასაპატიმრო საქმეების გაჭიანურებაზე და ეს მდგომარეობა კანონის არაეფექტურობით ახსნეს:

*„არასაპატიმრო საქმეები ძალიან ჭიანურდება. 5 წლის განმავლობაში მქონდა ერთი პროცესი. ორი მოსამართლე ისე გამოიცვალა, საერთოდ არ ჩაუნიშნავთ პროცესი“.*⁴⁴

*„საპროცესო კანონმდებლობით, არასაპატიმრო საქმე უნდა იქნას განხილული 24 თვის ვადაში, თუმცა ამ ვადის დარღვევას რაიმე კონკრეტული სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება. მოსამართლეთა ნაწილი ცდილობს დაიცვას ეს ვადა, ხოლო ნაწილი კი არ ცდილობს. კანონმდებლობაში უნდა იყოს მითითება იმაზე, თუ რა შედეგები მოჰყვება ამ ვადის დარღვევას“.*⁴⁵

⁴² კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა იუსტიციის საბჭოს ვებგვერდზე www.hcoj.gov.ge გამოქვეყნებული 2022 წლის დისციპლინური გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა საქმის გაჭიანურების საფუძვლით მიმდინარე დისციპლინურ წარმოებას.


⁴³ ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობდა 198 ადვოკატი.

⁴⁴ 15 დეკემბრის ფოკუს ჯგუფი, ადვოკატები.


⁴⁵ 15 დეკემბრის ფოკუს ჯგუფი, ადვოკატები.

ადვოკატებისგან განსხვავებული მოსაზრება აქვთ პროკურორებს⁴⁶. გამოკითხული პროკურორების 96% მიიჩნევს, რომ საქმეების მცირე ოდენობა ჭიანურდება/საქმეები იშვიათად ჭიანურდება. 4% მიიჩნევს, რომ არც ერთი საქმე არ ჭიანურდება. არც ერთი რესპონდენტი არ მიიჩნევს, რომ საქმეების უმეტესობა ჭიანურდება.

გრაფიკა#2



გრაფიკა N3



⁴⁶ ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობდა 27 პროკურორი

იმავედროულად, პროკურორთა უმრავლესობა მიუთითებს პირველ ინსტანციაზე, როცა სისხლის სამართლის საქმეები განიხილება 6 თვიდან 15 თვემდე ვადაში (იხ. გრაფიკა N3).

პროკურორების განსხვავებული მოსაზრება სისხლის სამართლის საქმეთა თავისებურებით უნდა იყოს ახსნილი. საქმეებზე, სადაც ბრალდებულის მიმართ საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებაა გამოყენებული, სასამართლოები და პროკურორები მაქსიმალურად ცდილობენ კანონით დადგენილ პატიმრობის 9-თვიან ვადაში საქმის განხილვის დასრულებას⁴⁷, რაც ამცირებს გაჭიანურებულ სისხლის სამართლის საქმეთა რიცხვს. ხოლო ე.წ. არასაპატიმრო საქმეებზე კანონით გათვალისწინებულ 24-თვიან ვადასთან⁴⁸ მიახლოებულ ვადებში საქმის განხილვის დასრულებას პროკურორები არ მიიჩნევენ გაჭიანურებად. მხედველობაშია მისაღები, ისიც, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე სხდომების გადადება, როგორც ჩანს, უმეტესწილად, ბრალდების მხარის მიზეზით ხდება⁴⁹, რაც ამცირებს ამ მხარის პრეტენზიას საქმეთა დროულად დასრულების თაობაზე.


შეკითხვაზე, თუ რომელ ეტაპზე ჭიანურდება ყველაზე მეტად საქმეები, ადვოკატებმა შემდეგნაირად უპასუხეს:

⁴⁷ საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი: ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

⁴⁸ იხ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილი: პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა.

⁴⁹ სისხლის სამართლის საქმეებზე სხდომების გადადების მიზეზების შესახებ იხ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში: „სისხლის სამართლის პროცესების 4 წლიანი მონიტორინგის შედეგები“, <https://shorturl.at/IDUZ2>; ასევე

<https://gyla.ge/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98/%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98/4-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]



როგორც ვხედავთ, რესპონდენტების ყველაზე დიდი პროცენტული რაოდენობა სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმეების გაჭიანჭურებას - საქმის მომზადების, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა გაჭიანჭურებას - არსებითი განხილვის სტადიასთან მიმართებით აფიქსირებს.

2.2. საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოს სასამართლოებში

საქართველოს სასამართლო სისტემა სხვადასხვა დარგის საქმეთა განხილვის ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაციას არ აქვეყნებს (და, სავარაუდოდ, არც ამუშავებს). შესაბამისად, კვლევის ფარგლებში არსებულ საკითხზე წარმოდგენის შესაქმნელად, დამუშავდა სამი სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია:

- ა. ადვოკატების და პროკურორების გამოკითხვის შედეგები;
- ბ. სასამართლო სტატისტიკის ანალიზი;
- გ. საქართველოს შესახებ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) მონაცემები.⁵⁰

ონლაინ გამოკითხულ ადვოკატთა⁵¹ 70%-ზე მეტი მიუთითებს, რომ სამივე კატეგორიის საქმეებისთვის **პირველი ინსტანციით** განხილვის ვადა **6 თვიდან 3 წლამდე მერყეობს**. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოში 6 თვეზე ნაკლებ, ან 3 წელზე მეტ ვადაში საქმეთა განხილვის შემთხვევების სასარგებლო პასუხების რაოდენობა მინიმალურია. გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა (ადვოკატების 51% და პროკურორების 75%) **სისხლის სამართლის**


⁵⁰ ბოლო ანგარიში მოიცავს 2020 წლის პერიოდს: European Judicial Systems, CEPEJ evaluation report 2022, part 1, (tables graphs and analysis), p. 134, 140, 151; <https://www.coe.int/en/web/cepej/special-file-report-european-judicial-systems-cepej-evaluation-report-2022-evaluation-cycle-2020-data>. [ბოლოს ნანახია: 29.08.2023]

⁵¹ ონლაინ გამოკითხვა სულ 198 ადვოკატი.


საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ვადად 6 თვიდან 15 თვემდე პერიოდს ასახელებს.

გამოკითხული ადვოკატების 75%-ზე მეტი პირველი ინსტანციის სასამართლოებში სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებისთვის განხილვის ვადად 6 თვიდან 3 წლამდე პერიოდს მიიჩნევს.

გრაფიკა #5



გრაფიკა #6




ონლაინ გამოკითხულ რესპონდენტთა მოსაზრებით, სააპელაციო ინსტანციაში საქმეთა განხილვის პერიოდები, პირველი ინსტანციის საქმეებთან შედარებით, მცირეა. თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ სისხლის საქმეები სააპელაციო სასამართლოში 6 თვემდე ვადაში სრულდება. პირველ ინსტანციასთან შედარებით, გაზრდილია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა 6 თვემდე ვადაში განხილვის სასარგებლო პასუხების რაოდენობა, და შემცირებულია 15 თვეზე

მეტი ვადის საჭიროების სასარგებლო პასუხების რიცხვი. ამდენად, გამოკითხულ რესპონდენტების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოებში სამივე დარგის საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობა პირველ ინსტანციაზე ნაკლებია და, ძირითადად, 15 თვეს არ აღემატება.


სააპელაციო სასამართლოში დარგების მიხედვით საქმეთა განხილვის ვადებს შორის განსხვავებები იმეორებს პირველი ინსტანციის ლოგიკას. გამოკითხვაში მონაწილე პროკურორებისა და ადვოკატების თითქმის ნახევარი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისთვის საჭირო საშუალო ვადად არაუმეტეს 6 თვეს ასახელებს.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეების სააპელაციო ინსტანციაში განხილვის ვადად ადვოკატების უმეტესობა მიიჩნევს 6-15 თვეს.

გრაფიკა #7



გრაფიკა #8




გამოკითხულთა მხოლოდ 12-16% მიიჩნევს საკასაციო ინსტანციაში სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვისთვის პრაქტიკით განსაზღვრულ ვადად 6-თვიან პერიოდს.


80%-ზე მეტის მოსაზრებით, კანონით დადგენილი ეს ვადა საკასაციო სასამართლოში ირღვევა, თუმცა უფრო ხშირ შემთხვევებში - არ აღემატება 15 თვეს.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს, რესპონდენტ პროკურორთა 63% და ადვოკატების 36% მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საქმეები საკასაციო ინსტანციაში 6-თვიან ვადაში იხილება.

გრაფიკა #9



გრაფიკა #10




შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტთა მოსაზრებით, სისხლის სამართლის საქმეების გაჭიანურებას პირველი ინსტანციის სასამართლოებში უფრო აქვს ადგილი და ზემდგომ

ინსტანციებში, როგორც წესი, მათი განხილვის ვადები ნაკლებია. სამოქალაქოსთან შედარებით, ადმინისტრაციულ საქმეთა მეტი რაოდენობა განიხილება 6 თვეზე ნაკლებ ვადაში. ასევე, სამოქალაქო საქმეებთან საქმეებთან შედარებით, უფრო მეტია ადმინისტრაციულ საქმეთა 3 წელიწადზე მეტ ვადაში განხილვის შემთხვევები.

რესპონდენტთა მოსაზრებით, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები სააპელაციო ინსტანციაში უფრო სწრაფად განიხილება, ვიდრე საკასაციო ინსტანციაში.

CEPEJ-ის მეთოდოლოგიის⁵² გამოყენებით, ოფიციალურ სასამართლო სტატისტიკაზე დაყრდნობით, კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა 2017-2022 წლებში საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობა (DT) 9 საპილოტე სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რის შედეგადაც შემდეგი სურათი გამოიკვეთა⁵³.


გრაფიკა #11




⁵² Disposition time (DT): განხილვაში არსებული საქმეთა რაოდენობის შეფარდება დასრულებულ საქმეთა რაოდენობასთან გამრავლებული 365-ზე. (საზომი ერთეული - დღე). იხ., მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო, 2023, A. <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 29.08.2023]; საქართველოს შესახებ მონაცემი აღებულია უზენაესი სასამართლოს ვებგვერდიდან <https://old.supremecourt.ge/statistics/> [ბოლოს ნანახია: 29.08.2023] და, ასევე, უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებიდან. უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 4 აპრილის წერილი, პ. 248-23, ასევე უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 15 ივნისის წერილი, პ. 499-23. სააპელაციო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის ხანგრძლივობა არ მოიცავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებას, რაც ცალკე იქნა დაანგარიშებული და შედარდა სხვა კატეგორიის სამოქალაქო საქმეებს. იხ., ქვემოთ - გრაფიკა N. 49, 50.

⁵³ გრაფიკის სვეტებზე მოცემული რიცხვები გამოსატავს დღეების რაოდენობას.

გრაფიკა #12



გრაფიკა #13




როგორც ამ გრაფიკებიდან ჩანს, ტერიტორიისა და დატვირთვის განსხვავებულობის მიუხედავად, პირველი ინსტანციის სასამართლოთა უმრავლესობა, ბოლო რამდენიმე წელია, ვერ ახერხებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კანონით დადგენილი 5-თვიანი საგამონაკლისოდ მაქსიმალური ვადის დაცვასაც კი; განსხვავებით ზემდგომი ინსტანციების სასამართლოებისგან,

სადაც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის სავარაუდო ხაგრძლივობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 3-10 თვემდე მერყეობს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში კი, ბოლო ორ წლის მაჩვენებლით, 2-თვიანი ვადითაც შემოიფარგლება.

მკვეთრი განსხვავებები ფაქსირდება სხვადასხვა სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის პერიოდებს შორის. მაგალითად, ადმინისტრაციული საქმეების განხილვის სავარაუდო ვადები 2019-2022 წლებში გორის რაიონულ სასამართლოში მერყეობს 3-6 თვემდე, რაც 10-ჯერ ნაკლებია მცხეთის რაიონული სასამართლოს მაჩვენებელზე, სადაც ადმინისტრაციული საქმის განხილვის ვადა 30-დან 80-თვემდე პერიოდს მოიცავს. მკვეთრი განსხვავებაა თავად მცხეთის სასამართლოს შიგნით სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავათა განხილვის სავარაუდო ვადებს შორის. ამგვარი განსხვავებები შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც ნაკადთან გამკლავებისთვის საჭირო რესურსების უკმარისობას ან არსებულის არაეფექტიან გადანაწილებას ან გამოყენებას, ასევე კონკრეტული გეოგრაფიული მაჩვენებლით დავათა კატეგორიების განსხვავებულობით გამოწვეულ გადატვირთულობას. გარკვეულ სასამართლოებში 2020 წლიდან საქმის განხილვის ხანგრძლივობის კლება გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ covid პანდემიით⁵⁴ გამოწვეულმა შეზღუდვებმა, შესაძლოა, საქმეთა ნაკადის დაგროვება გამოიწვიო, თუმცა დიდი გავლენა არ იქონია განხილვის გაჭიანურებაზე, ან შესაძლებელი იყო მასთან ადგილობრივ დონეზე გამკლავება.

2021-2022 წლებში საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის სავარაუდო ვადები, 2020 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა, ადმინისტრაციულ საქმეების განხილვის ვადები - გაზრდილია, ხოლო სისხლის საქმეებზე მონაცემები ინარჩუნებს სტაბილურობას.

⁵⁴ იხ., საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N. 322 დადგენილება იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ.



2.3. საქართველოში საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობის შედარება ევროპის ქვეყნებთან

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის 2022 წლის ანგარიშის (2020 წლის მონაცემებზე დაყრდნობით)⁵⁶ მიხედვით, საქართველოს მსგავსად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის საშუალო ევროპული ხანგრძლივობა (DT) (სამივე ინსტანციის სასამართლოში) აღემატება სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობას. ამასთან, ადმინისტრაციული საქმეების განხილვის ხანგრძლივობა აღემატება სამოქალაქო საქმეთა განხილვის ხანგრძლივობას. 2020 წლის მონაცემებით, საშუალო ევროპული ნიშნული პირველი ინსტანციით განხილულ სისხლის საქმეებზე 149 დღეს შეადგენს, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კი, შესაბამისად, 237 და 358 დღეა გათვალისწინებული.⁵⁷

2020 წლის მდგომარეობით, საქართველოს სასამართლოებში **სისხლის სამართლის საქმეების** განხილვის პერიოდი, ძირითადად, საშუალო ევროპული სტანდარტის შესაბამისი ან მასზე ნაკლები იყო. გამონაკლისია მესამე ინსტანციის შემთხვევა, რაც საქართველოს უზენაეს სასამართლოში იმ დროს მოსამართლეთა ნაკლებობით შეიძლება იყოს განპირობებული.

საქართველოს პირველი და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობა გაცილებით აღემატება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს.


⁵⁵ მონაცემები გამოთვლილია უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 15 ივნისის, პ-499-23 და 2023 წლის 12 აპრილის N პ 428-23 წერილები.

⁵⁶ ეს არის ბოლო ანგარიში, რომელიც მოიცავს 2020 წლის პერიოდს. European Judicial Systems, CEPEJ evaluation report 2022, part 1, (tables graphs and analysis), p. 134, <https://www.coe.int/en/web/cepej/special-file-report-european-judicial-systems-cepej-evaluation-report-2022-evaluation-cycle-2020-data>. [ბოლოს ნანახია: 29.08.2023]

⁵⁷ იქვე, გვ. 127.

სააპელაციო სასამართლოებში საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობა მიახლოებულია საშუალო ევროპულ ნიშნულთან.

გრაფიკა N. 15




ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებთან საქართველოში საქმეთა განხილვის სავარაუდო ვადების ცვალებადობის შედარების მიზნით, შესწავლილი იქნა ევროსაბჭოს 7 ქვეყნის 2014-2020 წლების მონაცემები⁵⁸ (იხ. გრაფიკა #16, გრაფიკა #17, გრაფიკა #18).


შერჩეული ქვეყნების უმრავლესობაში (ალბანეთი, საქართველო, მოლდოვა, სლოვაკეთი, ფინეთი) შეინიშნება განხილვის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის ტენდენცია 2016 წლიდან. საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც დინამიკაში საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობა ნახტომისებურ და მკვეთრ ზრდას განიცდის, განსხვავებით, მაგალითად, ფინეთისაგან ან ლიეტუვასგან, სადაც ეს ვადები უმნიშვნელოდ იზრდება და დინამიკაც უფრო სტაბილურია.


⁵⁸ ქვეყნები შერჩეული იქნა პირობითად. მოსახლეობის ზომის მიხედვით საქართველოსთან მიახლოებული მაგრამ განვითარების სხვადასხვა დონის და განსხვავებული რეგიონული თავისებურებების მქონე ქვეყნები - ალბანეთი (2,877,797), სომხეთი (2,963,300), ფინეთი (5,540,720), მოლდოვა (2,626,942), სლოვაკეთი (5,459,781), ლიეტუვა (2,795,680). მონაცემები აღებულია მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის (CEPEJ) 2022 წლის კვლევის ანგარიშიდან. იხ., სქოლიო 24

გრაფიკა #16



გრაფიკა#17





ცალკე კვლევის საგანია კონკრეტულად რა ფაქტორები განაპირობებს საქმეთა განხილვის ვადების ცვალებადობას კონკრეტულ ქვეყნებში. ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების დონე შესაძლოა იყოს ერთერთი ასეთი ფაქტორი. მაგალითად, ცენტრალური ევროპის ქვეყნები უკეთ გაუმკლავდნენ პანდემიით გამოწვეულ საქმეთა შეფერხებას, ვიდრე სამხრეთ ევროპის ქვეყნები.⁵⁹ საქმეთა განხილვის ხანგრძლივობაზე სასამართლო რეფორმების ეფექტიც აისახება. მაგალითად, ალბანეთში საქმეთა განხილვის ხანგრძლივობის ზრდა დროში ემთხვევა დაწყებულ მოსამართლეთა ვეტინგის პროცედურებს, რამაც შესაძლოა გამოიწვია საქმეთა ნაშთების და განხილვის ხანგრძლივობის გაზრდა⁶⁰.

3. სასამართლოში საქმეთა დაგროვებით გამოწვეული გადატვირთულობა

ძირითადი მიგნებები:

- 2017-2022 წლების მონაცემებით, საქართველოს სასამართლო სისტემა ვერ უმკლავდება შემოსულ საქმეთა მზარდ ნაკადს, რაც იწვევს საქმეების დაგროვებასა და სასამართლოების/მოსამართლის გადატვირთულობას.
- მოსამართლის დატვირთულობა ნეგატიურად აისახება საქმეთა გაჭიანურებაზე, თუმცა ის არ არის საქმეთა გაჭიანურების გამომწვევი ერთადერთი მიზეზი. არის

⁵⁹ იქვე, გვ. 125.

⁶⁰ European Judicial Systems, Cepej Evaluation Report, (2020 data), part. 2, (country profiles), p.10 <https://rm.coe.int/cepej-fiche-pays-2020-22-e-web/1680a86276> [ბოლოს ნანახია: 29.09.2023]; Balkan Insight, CoE Report: Pandemic Worsened Backlog in Balkan Courts, <https://balkaninsight.com/2022/10/05/coe-report-pandemic-worsened-backlog-in-balkan-courts/> [ბოლოს ნანახია: 29.09.2023]

შემთხვევები, როდესაც უფრო მაღალი დატვირთულობის პირობებში სასამართლოები უფრო ეფექტიანად განიხილავენ საქმეებს, ვიდრე შედარებით ნაკლებად დატვირთული სასამართლოები. საქართველოს პირველი ინსტანციის მოსამართლე, ევროკავშირის რამდენიმე ქვეყნის⁶¹ პირველი ინსტანციის მოსამართლეებთან შედარებით, ნაკლებად დატვირთულია; თუმცა მაღალი დატვირთულობის მიუხედავად, ევროკავშირის ქვეყნების მოსამართლეები უფრო ეფექტიანად უმკლავდებიან საქმეთა ნაკადს.

- საქართველოს სასამართლო სისტემას არ აქვს საქმეთა დაგროვების პრევენციის ან ნაკადის მართვის პოლიტიკა. საქმეთა ნაკადთან გამკლავება, ძირითადად, თითოეული მოსამართლის მონდომებასა და მიდგომებზეა დამოკიდებული.

სასამართლოში საქმეთა დაგროვების ისეთი შემთხვევა, რომელსაც არსებული სისტემა ვერ უმკლავდება, იწვევს მოსამართლის/სასამართლოს გადატვირთვას. საქმეთა დაგროვება შეიძლება მოხდეს, როცა შემოსული საქმეების ნაკადი არის მზარდი და ის აჭარბებს დასრულებული საქმეების რაოდენობას. ასეთ ვითარებაში იზრდება განხილვაში არსებული საქმეების რიცხვი და აღწევს მაჩვენებელს, რომლის მართვაც ვეღარ ხდება არსებული რესურსით. შედეგად, სასამართლო ხდება „გადატვირთული“.

სასამართლო სისტემაში საქმეთა ნაკადის ეფექტიანად მართვისთვის სახელმწიფოები ცდილობენ შედეგზე დაფუძნებული მართვის მეთოდის გამოყენებას. ამ მეთოდით მართვის არსს წარმოადგენს შედეგების გაზომვა და განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება, შემდგომი ღონისძიებების სწორად დაგეგმვის და საბოლოო შედეგის მისაღწევად.

საქმეთა ნაკადის მართვის ეფექტიანობის საზომად გამოიყენება ორი სიდიდე: საქმის განხილვის ხანგრძლივობა (Disposition Time) და საქმეთა წმენდის მაჩვენებელი (Clearance Rate).⁶²

საქმეთა წმენდის მაჩვენებელი აჩვენებს, თუ რამდენად უმკლავდება სასამართლო საქმეთა შემოსულ ნაკადს. იგი გამოითვლება წლის განმავლობაში დასრულებულ საქმეთა შეფარდებით შემოსული საქმეების რაოდენობასთან.

$$CR = \frac{R}{I} \times 100\%$$

თუ ეს ფარდობა 1-ზე (100%-ზე) ნაკლებია, დასრულებულ საქმეთა რაოდენობა სასამართლოში წლის განმავლობაში შემოსული საქმეთა რაოდენობას ჩამორჩება და რჩება განსახილველი საქმეები (ნაშთი).

ნაშთის ზრდა დასრულებულ საქმეთა მაჩვენებლის გაზრდის გარეშე (დაგროვება) ზრდის საქმეთა განხილვის ხანგრძლივობას (Disposition Time), რაც გამოითვლება წლის ბოლოს დარჩენილი

⁶¹ ფინეთი, ლატვია, რუმინეთი, სლოვენია სლოვაკეთი, ხორვატია ესპანეთი, მალტა, იტალია, ავსტრია, პოლონეთი.

⁶² What can be said on clearance rate and disposition time (and some more relations)? by Adis HODZIC (Bosnia and Herzegovina) and Georg STAWA (Austria) <https://rm.coe.int/what-can-be-said-on-clearance-rate-and-disposition-time-and-some-more-/1680786fc9> [ბოლოს ნანახია: 29.09.2023]

განსახილველი საქმეების რაოდენობის (ნაშთის) შეფარდებით წლის განმავლობაში დასრულებულ საქმეთა რაოდენობასთან.

$$DT = \frac{Ur}{R} \times 365$$

ეს ინდიკატორი, სასამართლოს მუშაობის ტემპის გათვალისწინებით, აღწერს რამდენი დღე ჭირდება განხილვაში მყოფი საქმეების დასრულებას. არსებული მონაცემი გამოიყენება საქმისწარმოების ხანგრძლივობის პროგნოზირებისთვის⁶³. მაგალითისთვის, თუ სასამართლომ წლის განმავლობაში დაასრულა 500 საქმე და ნაშთის სახით განსახილველად დარჩა 1000, საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობა (DT) იქნება $1000:500 \times 365 = 730$ დღე (დაახლოებით ორი წელი). ანუ, თუ სასამართლომ ამ ტემპით გააგრძელა საქმეების განხილვა, მაშინ თითოეულ საქმის განხილვას დაჭირდება საშუალოდ 2 წელი.

საერთაშორისო სტანდარტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც საქმისწარმოების დაჩქარებას ეხება, სწორედ სასამართლო სისტემაში საქმეების დაგროვების პრევენციასა და დაგროვების პრობლემასთან გამკლავებას ისახავს მიზნად⁶⁴.

განვიხილოთ გროვდებოდა თუ არა საქმეები 2017-22 წლების განმავლობაში და როგორ აისახება საქმეთა შედინება სასამართლოებისა და მოსამართლის დატვირთულობაზე საქართველოში.


გრაფიკა N. 19 გვაჩვენებს, რომ საქართველოს სასამართლო სისტემაში 2017-22 წლებში სასამართლოებში შესული საქმეების ჯამური რაოდენობა, ძირითადად, მზარდია და მას ჩამორჩებოდა სასამართლოებში დასრულებული საქმეების ჯამური რაოდენობა. შესაბამისად, ყოველწლიურად შენარჩუნებული იყო განსახილველ საქმეთა დაგროვების ტენდენცია⁶⁵.

⁶³ This indicator estimates how many days should be required to resolve the pending cases based on the court's current capacity to resolve cases. It is used as a forecast of the length of judicial proceedings. CEPEJ მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო გვ. 6. (Backlog Reduction Tool, 2023) <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 29.08.2023]

⁶⁴ CEPEJ მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023) <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 29.08.2023]; European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), Revised Saturn Guidelines for Judicial Time Management, (4 th revision), 2021, II.C.8 <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია: 29.09.2023]; Guide to Article 6 of the European Convention of Human Rights, Right to Fair Trial (civil limb), 2022, p. 109 https://www.echr.coe.int/documents/d/echr/guide_art_6_eng [ბოლოს ნანახია: 29.09.2023]

⁶⁵ დაჯამებულია საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლოში შემოსული, დასრულებული და წარმოებაში არსებული სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები. მონაცემები აღებულია უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური კრებულიდან „მართლმსაჯულება საქართველოში“, 2020 - <https://old.supremecourt.ge/statistics/> [ბოლოს ნანახია: 29.09.2023], ასევე უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციიდან. (2023 წლის 15 ივლისის N. 3 - 499-23 და 2023 წლის 12 აპრილის 3-248-23 წერილები). თბილისის და ქუთაისის სასამართლოების ვებგვერდებიდან (საარბიტრაჟო საქმეები) - <http://www.tbappeal.court.ge/#>; <https://kutaisi-appeal.court.ge/> [ბოლოს ნანახია: 29.09.2023]

გრაფიკა #19



თუ როგორ აისახება საქმეთა ამ მასშტაბის დაგროვება სასამართლო სისტემის დატვირთულობაზე, შეფასდა წლის განმავლობაში განხილვაში არსებული საქმეების საერთო რაოდენობისა და ამავე წელს არსებული მოსამართლეთა საერთო რაოდენობის შეფარდებით. ამ ფორმულის გამოყენებით ირკვევა, რომ თუ 2017 წელს ერთ მოსამართლეზე წლის განმავლობაში საშუალოდ 567 საქმე მოდიოდა, 2022 წლის მონაცემებით, ეს საშუალო მაჩვენებელი 737-ს შეადგენს. შესაბამისად, საკვლევ პერიოდში ყოველწლიურად იზრდება ერთი მოსამართლის დატვირთულობა.

ცხრილი #1

წელი	საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობა	სამივე ინსტანციის სასამართლოში განხილვაში არსებული საქმეები	მოსამართლის საშუალო წლიური დატვირთულობა
2017	295	167362	567
2018	296	189411	640
2019	293	195061	665
2020	304	184201	606
2021	328	225570	688
2022	340	250464	737

საქართველოში სასამართლოების გადატვირთულობის პრობლემა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არაერთხელ წამოუწევია. მაგალითად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის 2019 წლის ანგარიშით სასამართლოთა გადატვირთულობა სისტემის ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა⁶⁶. დატვირთულობა უფრო გაზრდილია 2021-2022 წლებში.

მოსამართლის წლიური საშუალო დატვირთულობის პარალელურად, მნიშვნელოვანია შევავსოთ, საშუალოდ რამდენ საქმესთან გამკლავება უწევს მოსამართლეს დროის კონკრეტულ მომენტში (რამდენი საქმე შეიძლება იყოს მოსამართლის სეიფში). ამის საილუსტრაციოდ, გამოთვლილია საანგარიშო წლების ბოლოს (დეკემბრის თვის ბოლო რიცხვი) თითო მოსამართლის განხილვაში არსებული საქმეების საშუალო ოდენობა. მეორე მხრივ, ეს მონაცემი აჩვენებს წინა წლიდან გადაყოლილი რამდენი განსახილველი საქმე (ნაშთი) მოდის ერთ მოსამართლეზე.⁶⁷

ცხრილი #2

წელი	საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობა	სამივე ინსტანციის სასამართლოებში წლის ბოლოს არსებული საქმეების რაოდენობა (ნაშთი)	მოსამართლის განხილვაში წლის ბოლოს არსებული საქმეების რაოდენობა (ნაშთი)
2017	295	59547	202
2018	296	68114	230
2019	293	77615	265
2020	304	90460	298
2021	328	98870	301
2022	340	101551	299

2017-19 წლების პერიოდში წლის ბოლოს განსახილველი საქმეების (ნაშთის) სახით მოსამართლის წარმოებაში რჩება სულ უფრო მეტი საქმე. 2020-2022 წლებში ეს ციფრი უფრო


⁶⁶ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ყოველწლიური ანგარიში, 2018-2019, გვ. 13 <http://hcoj.gov.ge/files/news/angarishi.pdf> [ბოლოს ნანახია: 29.09.2023]

⁶⁷ წლის ბოლოს სასამართლო სისტემაში განხილვაში არსებული საქმეების (ნაშთის) მაჩვენებელი გაყოფილი მოსამართლეთა საერთო რაოდენობაზე. საქმეების რაოდენობა დათვლილია უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური კრებულიდან მართლმსაჯულება საქართველოში <https://old.supremecourt.ge/statistics/>, [ბოლოს ნანახია: 29.09.2023] ასევე უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციიდან. (2023 წლის 15 ივლისის N. 3 - 499-23 და 2023 წლის 12 აპრილის 3-248-23 წერილები). თბილისის და ქუთაისის სასამართლოების ვებგვერდებიდან (სარბიტრაჟო საქმეები) : <http://www.tbappeal.court.ge/#>; <https://kutaisi-appeal.court.ge>. [ბოლოს ნანახია: 29.09.2023] პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეების რაოდენობა (წლების მიხედვით) მოწოდებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 14 ივლისის N. 789/1534-03 წერილით. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა (წლების მიხედვით) გამოთვლილია მოსამართლეთა და ყოფილ მოსამართლეთა ბიოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

სტაბილურია და ერთ მოსამართლეზე საშუალოდ 300-მდე საქმეს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ მომდევნო წლის დასაწყისს მოსამართლე დაახლოებით ამ რაოდენობის საქმით ხვდება.

ჯამური მაჩვენებლების საფუძველზე მოსამართლის დატვირთულობის ილუსტრირების შემდეგ, პილოტური სასამართლოების მაგალითზე შეგვიძლია განვიხილოთ,⁶⁸ საშუალოდ, რამდენ საქმესთან გამკლავება უწევდა კონკრეტული სასამართლოს მოსამართლეს ერთდროულად 2017-2022 წლების განმავლობაში ⁶⁹.

გრაფიკა⁷⁰ #20



როგორც ვხედავთ სხვადასხვა სასამართლოში ვითარება განსხვავებულია. თუ რუსთავის სასამართლოს მოსამართლეს ერთდროულად 300 საქმე ჰქონია წარმოებაში, გურჯაანსა და ზუგდიდში ეს მაჩვენებელი 1000 საქმემდე აღწევს. ერთდროულად, მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეთა რაოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, ძირითადად, მერყეობს ერთ მოსამართლეზე 200-500 ფარგლებში და არასოდეს არის 138 საქმეზე ნაკლები. ამისგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლოებში განსახილველ საქმეთა ნაშთით, მოსამართლის დატვირთულობა წლების განმავლობაში სტაბილური, ხოლო უზენაეს სასამართლოში 2020-22

⁶⁸ სამართლის დარგებს შორის მოსამართლეთა და საქმეთა რაოდენობის განაწილების სტატისტიკაზე წვდომის არარსებობის გამო, მაგალითი განხილულია იმ დაშვებით, რომ ერთ სასამართლოს შიგნით საქმეები თანაბრად ნაწილდება ყველა მოსამართლეზე.

⁶⁹ საანგარიშო პერიოდში თითოეულ სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობა წლების მიხედვით არ იქნა მოწოდებული. შესაბამისად, ცალკეულ სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობის გამოსათვლელად პროექტმა იხელმძღვანელა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემით, <http://hcoi.gov.ge/ka/>, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სასამართლოების ვებგვერდებზე განთავსებული მოსამართლეთა ბიოგრაფიებით.


⁷⁰ წლის ბოლოს განხილვაში არსებული საქმეების რაოდენობა გაყოფილი ამ სასამართლოში მოსამართლეთა ფაქტობრივ რაოდენობაზე.

წლებში - კლებადია. სააპელაციო სასამართლოებში თითოეულ მოსამართლესთან არსებული ნაშთი 40-120 საქმეს შორის მერყეობს.

განსახილველ საქმეთა ნაშთით, მოსამართლის დატვირთულობის პარალელურად, მნიშვნელოვანია განვიხილოთ სასამართლო სისტემაში შემოსულ საქმეთა ნაკადის მოცულობა და დინამიკა, რათა დავინახოთ როგორია მოსამართლის დატვირთულობა საქმეთა შემოდინების ხარჯზე. სასამართლო სისტემაში საქმეთა შედინებას, როგორც წესი, პირველი ინსტანციის სასამართლოებში შემოსული საქმეები განსაზღვრავს.

გრაფიკა #21 აჩვენებს, რომ **2017 წელთან შედარებით, 2022 წელს სასამართლოში შემოსულ საქმეთა რაოდენობა 27% -ითაა გაზრდილი⁷¹. შესაბამისად, ნაშთად დარჩენილ საშუალოდ 300 საქმეს ყოველწლიურად ემატება საქმეთა ნაკადის მზარდი ოდენობა, წელიწადში 475-591 საქმე.**

გრაფიკა ⁷² #21




იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად დატვირთულია საქართველოს სასამართლო სისტემა, ევროპის ქვეყნების მოსამართლეებთან შედარებით, განვიხილოთ N.22, N.23, N.24, N.25 გრაფიკები, სადაც ასახულია სხვადასხვა ქვეყანაში საქმეთა ნაკადის განაწილება ამ ქვეყნების მოსამართლეებზე. როგორც ჩანს, 2020 წელს ერთ ქართველ მოსამართლეზე შემოსული საქმეების რაოდენობით საქართველოს სასამართლო სისტემა უფრო ნაკლებად იტვირთებოდა, ვიდრე რამდენიმე ევროპული ქვეყნის მოსამართლე; თუმცა, უფრო მაღალი დატვირთულობის

⁷¹ ინფორმაციისთვის, საქმეთა აღნიშნული მატება, ძირითადად, სამოქალაქო საქმეთა შემოდინების ხარჯზე დაფიქსირდა (სამოქალაქო საქმეთა შემოსვლის დინამიკისთვის იხ., გრაფიკა N.27).

⁷² ციფრები ასახავს პირველი ინსტანციით შემოსული სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების ჯამს. საქმეების რაოდენობა დათვლილია უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური კრებულიდან „მართლმსაჯულება საქართველოში“, იხ., <https://old.supremecourt.ge/statistics/> [ბოლოს ნანახია: 23.12. 2023], ასევე უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციიდან. (2023 წლის 12 აპრილის კ-248-23 წერილი).


პირობებშიც, ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში მოსამართლეები უკეთ უმკლავდებიან საქმეთა ნაკადს.⁷³

გრაფიკა⁷⁴ #22




⁷³ ევროკავშირის ქვეყნების შესახებ საქმეებისა და მოსამართლეების რაოდენობის შესახებ მონაცემები აღებულია კვლევიდან: Study of functioning of judicial systems in Eu member States, 2021. part 1 - eu scoreboard - indicators - deliverable 0.pdf (europa.eu) [ბოლოს ნანახია: 29.09.2023] შერჩეულია ის ქვეყნები, რომელთა შესახებ სრულ მონაცემებია მოცემული კვლევაში. კვლევაში ბოლო მონაცემები 2020 წლის მდგომარეობით თარიღდება და შედარებაც საქართველოს 2020 წლის მონაცემებთან გაკეთდა. საქართველოს სასამართლოებში საქმეთა რაოდენობის შესახებ მონაცემი აღებულია უზენაესი სასამართლოს ვებგვერდიდან <https://old.supremecourt.ge/statistics/> [ბოლოს ნანახია: 29.09.2023], ასევე უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებიდან. უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 4 აპრილის წერილი, პ. 248-23, ასევე უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 15 ივნისის წერილი, პ. 499-23. საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მიღებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 14 ივლისის N. 789/1534-03 წერილით.


⁷⁴ ერთ მოსამართლესთან შემოსულ საქმეთა რაოდენობა დაანგარიშებულია ფორმულით: სასამართლოებში შემოსული საქმეების რაოდენობა გაყოფილი მოსამართლეთა საერთო რაოდენობაზე.



⁷⁵ ერთი მოსამართლის განხილვაში არსებული საქმეების საშუალო რაოდენობა გამოთვლილია ფორმულით: წლის განმავლობაში სასამართლოების განხილვაში არსებული საქმეების რაოდენობა გაყოფილი ამ სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობაზე. საქართველოში განხილვაში არსებული საქმეების რაოდენობა ადებულია უზენაესი სასამართლოს და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოქვეყნებული, ასევე უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან (იხ., ზემოთ შენიშვნა 64). ევროპული ქვეყნების შემთხვევაში, განხილვაში არსებული საქმეთა რაოდენობა გამოანგარიშებულია ფორმულით: წლის დასაწყისში არსებულ განსახილველ რაოდენობას (წინა წლის ნაშთი) დამატებული წლის განმავლობაში შემოსული საქმეების რაოდენობა.



⁷⁶ საანგარიშო წლის ბოლოს სასამართლოს განხილვაში არსებული საქმეების ნაშთი გაყოფილი მოსამართლეთა რაოდენობაზე. ევროპულ სასამართლოებში ნაშთის სახით დარჩენილი საქმეების რაოდენობა ხელმისაწვდომია მზა სახით (იხ., ზემოთ მენიშვნა 64); ხოლო საქართველოს სასამართლოებში ნაშთის სახით არსებული საქმეების რაოდენობა მიღებულია ფორმულით: წლის განმავლობაში განხილვაში არსებულ საქმეებს გამოკლებული ამავე წლის განმავლობაში დასრულებული საქმეები.



მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს საქართველოში პირველი ინსტანციის ერთ მოსამართლესთან საქმეთა ნაკადის შედინება, სხვა ქვეყნებთან შედარებით, მცირე იყო და ქართველი მოსამართლე არც წინა წლის ნაშთის დამატების ხარჯზე გამოიყურებოდა სხვებთან შედარებით გადატვირთულად, საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოების ეფექტიანობა დაბალია და, საქმეთა წმენდის მაჩვენებლით, საქართველო ამ ქვეყნებს შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილს იკავებდა. საინტერესოა სლოვაკეთის მაგალითი, სადაც საქართველოსთან შედარებით, თითქმის ორმაგი ოდენობის საქმეთა შემოდინების პირობებში, შემოსულზე მეტი საქმე დასრულდა (წმენდის მაჩვენებელი 112%-ს უტოლდებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ წელს სლოვაკი მოსამართლე დაახლოებით 1000-მდე საქმეს ასრულებდა). ცალკე კვლევის საგანია, კონკრეტულად რა ზომებს მიმართავენ ქვეყნები მაღალი დატვირთულობის პირობებში არსებული სამოსამართლო რესურსით საქმეთა წმენდის მაჩვენებლის გასაზრდელად და რომელ მათგანს რა ეფექტი მოაქვს (მოსამართლეთა გადანაწილება, დამხმარე პერსონალი, ტექნოლოგიები, კანონის ცვლილებები და სხვ); თუმცა შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაღალი დატვირთულობა აუცილებლად საქმეთა განხილვის გაჭიანურებას არ განაპირობებს. დატვირთულობის მიუხედავად, შესაძლებელია წლის ბოლოს ნაშთის სახით დარჩენილ საქმეთა რაოდენობის (Ur) შემცირება, რაც დინამიკაში, დასრულების (R) სტაბილური მაჩვენებლის შენარჩუნების პირობებში ამცირებს საქმის განხილვის ხანგრძლივობას (DT)⁷⁷.


⁷⁷ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაშთსა (Ur) და საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობას შორის (DT) პირდაპირი კავშირია. ნაშთის შემცირებით მცირდება საშუალო ხანგრძლივობაც.

მოსამართლეთა დატვირთულობის პირდაპირი გავლენის არქონა საქმის განხილვის ხანგრძლივობაზე კარგად ჩანს საქართველოს სასამართლოების მაგალითზეც. განვიხილოთ განსხვავებული სამართლის დარგების, ტერიტორიული იურისდიქციის, დატვირთვისა და ინსტანციის სასამართლოების მაგალითები.


სამართლის დარგების მიხედვით, საქართველოს სასამართლოები წლების განმავლობაში მეტად დატვირთულები არიან სამოქალაქო დავებით, ვიდრე ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის საქმეებით.

2017-2022 წლებში საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად შესული საქმეების საერთო მასის 73 %-ს სამოქალაქო საქმეები, 14 %-ს სისხლის და 13 %-ს ადმინისტრაციული საქმეები შეადგენენ.

გრაფიკა #26




გრაფიკა #27



როგორც N.27 გრაფიკიდან ჩანს, ადმინისტრაციული და სისხლის საქმეების შემოსვლის დინამიკა უმნიშვნელოდ იცვლება სამოქალაქო საქმეების ნაკადთან შედარებით. საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან ბოლომდე სამოქალაქო საქმეების რაოდენობა 23,047 საქმით (30%) გაიზარდა, თუმცა მზარდი ნაკადის პირობებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის ხანგრძლივობა ბოლო წლებში შემცირებისკენ მიდის (იხ. გრაფიკა N. 14). წლების განმავლობაში ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებთან შედარებით, სისტემაში 6-9-ჯერ მეტი სამოქალაქო საქმე შემოდის. იმავედროულად, სამოქალაქო საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობა აღემატება სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ხანგრძლივობას, თუმცა ჩამორჩება ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის საკარაულო ხანგრძლივობას (იხ. გრაფიკა N. 14).


შემოსული სამოქალაქო საქმეების ნახევარი (49%) სესხიდან გამომდინარე დავებს უჭირავთ. სხვა ცალკეული კატეგორიის დავების რაოდენობა არ აღემატება 6%-ს. სასამართლოების დატვირთვაში 5% მოდის უდავო წარმოების საქმეებზე. დარჩენილ 15 %-ში ერთიანდება ყველა სხვა დავათა მრავალფეროვნება, რაც არ მიეკუთვნება არც ერთ ჩამოთვლილ კატეგორიას.

გრაფიკა #28



9 პილოტურ სასამართლოში⁷⁸ არსებული მონაცემებით, შესაძლებლობა გვექონდა გამოგვეთვალა მოსამართლეთა დატვირთულობა, შესაბამის სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით⁷⁹.


გრაფიკა ⁸⁰ #29



⁷⁸ ზუგდიდის, ქუთაისის, გორის, მცხეთის, რუსთავის, გურჯაანის რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები და უზუნაესი სასამართლო.

⁷⁹ მონაცემები დამუშავებულია კონკრეტულ სასამართლოში მოსამართლეთა ფაქტობრივი რაოდენობის და საქმეთა საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, დარგობრივი დაყოფის გარეშე. იმ გარემოებიდან გამომდინარე, სასამართლოებმა ინფორმაცია კონკრეტულ წლების მიხედვით მოსამართლეთა რაოდენობების და სპეციალიზაციის შესახებ არ იქნა მოწოდებული. სასამართლოებში გაგზავნილი წერილი # 03-424-2022, 21.12.2022. ცალკეულ სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობის გამოსათვლელად პროექტმა იხელმძღვანელა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემით, <http://hcoj.gov.ge/ka/>, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სასამართლოების ვებგვერდებზე განთავსებული მოსამართლეთა ბიოგრაფიებით.

⁸⁰ განხილვაში მყოფი საქმეების რაოდენობა გაყოფილია მოსამართლეთა რაოდენობაზე.



როგორც გრაფიკებიდან ჩანს, სასამართლოს დატვირთულობის ცვალებადობა, ზოგ შემთხვევაში, პირდაპირპროპორციულად აისახება საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობაზე (DT): მაგალითად, 2017-19 წლებში გურჯაანის რაიონულ სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დატვირთულობის ზრდასთან ერთად, გაიზარდა საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობა.

„სააპელაციო ინსტანცია უცებ შეივსო მოსამართლეებით და ნაკლებად გაჭიანურდა მაგ ეტაპზე. სამაგიეროდ, ამან უზენაესი გადატვირთა. დიდი ნაკადი წავიდა უზენაესში. 400 საქმეც კი ჰქონია უზენაესის მოსამართლეს და გამოიწვია საქმეთა გაჭიანურება. ზოგი საქმე ორი წელიც კი არ განხილულა⁸²“.

⁸¹ გრაფიკაზე მოცემული მონაცემები აერთიანებს სამართლის სამივე დარგს (სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული). ციფრები ასახავს დღეების რაოდენობას. გამოითვლება ფორმულით: საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი გაყოფილია საანგარიშო პერიოდში დასრულებულ საქმეებზე გამრავლებული 365 -ზე. საქმეთა განხილვის ხანგრძლივობის დროს არ იქნა მხედველობაში მიღებული არბიტრაჟის საქმიანობასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში. ამ დავების სავარაუდო ხანგრძლივობა ცალკე გამოითვლება. გრაფიკა N. 49, 50 .

⁸² პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, ქალი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.


მეორე მხრივ, ხშირია შემთხვევები, როცა დატვირთულობა არ არის პირდაპირპროპორციულ კავშირში საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობასთან. მაგალითად, ქუთაისის, მცხეთის, რუსთავის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში 2020-22 წლებში დატვირთულობის გაზრდის მიუხედავად, შემცირდა საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობა.

როგორია კორელაცია საქმეთა წმენდის მაჩვენებელს (CR) და სასამართლოს/მოსამართლის დატვირთულობას შორის?

საქმის განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობისა და დატვირთულობის მაჩვენებლების მსგავსად, აქაც გვხვდება კორელაციის განსხვავებული მაგალითები. გრაფიკა N 29, და N. 31 აჩვენებს, რომ როცა სასამართლოებში დატვირთულობა იზრდება, წმენდის მაჩვენებელი მცირდება. თუმცა, არის შემთხვევები, როცა სასამართლოს დატვირთულობასთან ერთად, წმენდის მაჩვენებელიც მატულობს, მაგალითად, ზუგდიდის და რუსთავის სასამართლოებში 2019-22 წლებში, ხოლო გორის სასამართლოში 2021 წელს. წმენდის მაჩვენებლის (CR) ფორმულიდან გამომდინარე, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ დასრულებულ საქმეთა რაოდენობის ზრდის ხარჯზე.

იმის დასადგენად, თუ რამ განაპირობა მეტი რაოდენობის საქმის დასრულება, მივმართეთ გორის რაიონულ სასამართლოს, სადაც ასეთი მკვეთრი ცვლილება დაფიქსირდა 2021 წელს. კითხვით, თუ რა სახის ადმინისტრაციული ღონისძიებები გატარდა ამ პერიოდში, რამაც გამოიწვია მოსამართლეთა დატვირთულობის ზრდის მიუხედავად, წმენდის მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა, პასუხად მივიღეთ - მოსამართლეთა საქმეებს დამოუკიდებლად იხილავენ და სასამართლო არ ერევა მათ საქმიანობაში⁸³.

გრაფიკა⁸⁴ #31



⁸³ გორის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 17 ივლისის წერილი N 854.

⁸⁴ წლის განმავლობაში დასრულებული საქმეების რაოდენობა გაყოფილი შემოსული საქმეების რაოდენობაზე, გამრავლებული 100-ზე. წმენდის მაჩვენებლის გამოთვლისას არ იქნა გათვალისწინებული არბიტრაჟთან დაკავშირებული საქმეები თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში. ეს მონაცემები ცალკე გამოითვლება და შედარდება საერთო სტატისტიკას - იხ., ქვემოთ. გრაფიკა N. 48.

საკითხზე უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად, ყველა რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისგან⁸⁵ გამოთხოვილ იქნა სასამართლოების თავმჯდომარეების მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაგზავნი ანგარიშები⁸⁶.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018-2020 წლის ანგარიშში⁸⁷ სასამართლოს ეფექტურობის გაზრდისკენ მიმართულ ერთ-ერთ ღონისძიებად მიჩნეულია მოსამართლეთა მონდომება - თავი გაართვან საქმეთა ნაკადს, მათ შორის იმით, რომ კოვიდინფიცირებულმა მოსამართლეებმა იზოლაციაში ყოფნის დროს ჩაატარეს დისტანციური სხდომები.

მოსამართლეები პირისპირ ინტერვიუში ასევე აღნიშნავენ, რომ საქმეთა მართვა მართლაც საკუთარი რესურსით, თავისუფალი დროისა და ჯანმრთელობის ხარჯზეც კი უწევთ.

„100-მდე საქმე მაქვს და ამ დატვირთვის შენარჩუნება მუდმივ ჩართულობას ითხოვს, სახლშიც უნდა ვიშუშაო, თავისუფალი დრო არ უნდა მქონდეს, შემოდინება იმდენად მაღალია. ამ რაოდენობის შენარჩუნება შეუძლებელი არ არის, მაგრამ გააჩნია რის ხარჯზე - საკუთარი დასვენების დროის ხარჯზე“.⁸⁸

საქმეთა ოპტიმალურ რაოდენობად, რომლის მართვა სამუშაო და დასვენების დროის ბალანსის შენარჩუნებით შეეძლება, მოსამართლეები 70-80 საქმეს ასახელებენ.

„უზუნაესში, იმის გათვალისწინებით, რომ არსებითი განხილვა ბევრ შემთხვევაში არ ხდება - 70-80 საქმის მართვა შესაძლებელი, აპელაციაში - საშუალოდ 50 საქმე, ასევე პირველ ინსტანციაშიც 70-80 საქმეზე მოსამართლე იგრძნობს თავს პროფესიულად და პიროვნულად ნორმალურად - შეათავსებს დასვენების და შრომის დროს“.⁸⁹

ცხრილი N. 3 გვიჩვენებს 2017-2022 წლებში დასრულებული საქმეებიდან რამდენი მოდის ერთ მოსამართლეზე

⁸⁶ საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 25.1.ე და 32.2.გ მუხლების თანახმად, რაიონული საქალაქო ან სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე: „ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის და განაზოგადებს საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ ინფორმაციას (მათ შორის, საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლებს, საქმისწარმოების ვადებს, სხდომების გადადებისა და საქმისწარმოების შეფერხების მიზეზებს) და ამ ინფორმაციას, წელიწადში ერთხელ მაინც, აწვდის მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს საქმისწარმოების შეფერხების სისტემური მიზეზების აღმოსაფხვრელად“.

⁸⁷ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 იანვრის წერილი N. 77.გ. „რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოებში 2018-22 წლებში სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის შესახებ ანგარიში“.

⁸⁸ მოსამართლე ქალი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.

⁸⁹ მოსამართლე კაცი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.

ცხრილი #3

წელი	მოსამართლეთა რაოდენობა	დასრულებული საქმეების რაოდენობა	თითო მოსამართლის მიერ დასრულებული საქმეების რაოდენობა
2017	295	107815	365
2018	296	121297	410
2019	293	117446	401
2020	304	93741	308
2021	328	126700	386
2022	340	148913	438

ზემოთ აღინიშნა, რომ საქართველოს სასამართლოებში ბოლო 6 წლის განმავლობაში საქმეთა შემოდინების და დაგროვების გათვალისწინებით, ერთ მოსამართლეზე 300-500 საქმე მოდის. ამასთან, მოსამართლეს, რომელსაც სამუშაო დროში 100 საქმის მართვის რესურსი აქვს, ერთდროულად, საშუალოდ 300 საქმის მართვა უწევს და დასვენების დროის და ჯანმრთელობის ხარჯზე მუშაობის პირობებში წელიწადში დაახლოებით 400 საქმეს ასრულებს, რაც არ არის საკმარისი წმენდის მაჩვენებლის როგორც გასაზრდელად, ისე დაგროვების შესამცირებლად.

თუკი ამ პრობლემის გადაჭრას მხოლოდ მოსამართლეთა რესურსის გაზრდით შევეცდებით, ამ დატვირთულობასთან გასამკლავებლად, არათუ საშტატო რიცხოვნობის შევსება, მისი გასამმაგებაა საჭირო. ეს დაახლოებით 1300 მოსამართლით სისტემის დაკომპლექტებას ნიშნავს, რაც ბევრად აღემატება მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის ნებისმიერ მეთოდს⁹⁰. ამდენად, მოსამართლეთა დატვირთულობის შემცირება (მოსამართლეთა რაოდენობის ზრდის ან საქმეთა ნაკადის შემცირების ხარჯზე) მხოლოდ საქმეთა ნაკადის ეფექტიანი მართვისთვის საჭირო ერთი არასაკმარისი კომპონენტია. ამასთან, მნიშვნელოვანია არსებული რესურსის სწორი გადანაწილება, ტექნოლოგიური და საკანონმდებლო მხარდაჭერა, ანგარიშვალდებულების მექანიზმის გამართულობა და შედეგის ანალიზზე დაფუძნებული სწორი მმართველობა, რომელთა პირობებში, არსებულ სამოსამართლო რესურსით შესაძლებელია საქმეთა ნაკადთან უკეთ გამკლავება.

⁹⁰ მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის დაანგარიშების მეთოდების შესახებ იხ., ქვემოთ, ქვეთავი 4.2.

4. მართლმსაჯულების მენეჯმენტთან დაკავშირებული გაჭიანურების მიზეზები

ძირითადი მიგნებები:

- არ არსებობს საქმეთა ნაკადის მართვისა და გაჭიანურების დაძლევის პოლიტიკა და სისტემა;
- არ ხორციელდება საქმეთა ნაკადის მართვისა და გაჭიანურების შემცირებისთვის საჭირო სრული მონაცემების შეგროვება და ანალიზი;
- არ ხდება საქმეთა ნაკადის მართვის საკითხებზე მოსამართლეებსა და სასამართლოს მენეჯმენტს შორის ინსტიტუციური კომუნიკაცია;
- მოსამართლე, როგორც საქმის განმხილველი მთავარი ფიგურა, არ მონაწილეობს საქმის ნაკადის მართვის საკითხების განხილვაში;
- არ არსებობს სასამართლოებში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის გამოთვლის წესი ან კვლევა. იუსტიციის საბჭო მოსამართლეთა სამტატო რიცხოვნობას განსაზღვრავს თვითნებურად;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლა არ ამზადებს კანონით დადგენილი სავალდებულო რაოდენობის მოსამართლეობის კანდიდატებს;
- იუსტიციის უმაღლეს სკოლაში თითქმის ყოველთვის მხოლოდ ისეთი კადრები ირიცხებიან, რომლებსაც აქვთ სასამართლო სისტემაში მუშაობის გამოცდილება, რაც შესაძლოა ამცირებდეს კონკურსში სასამართლოს გარედან კადრების მონაწილეობის მოტივაციას;
- სკოლის კურსდამთავრებულების ნაწილი მოსამართლის ვაკანტურ პოზიციებზე რამდენიმე მცდელობის შემდეგ, ზოგჯერ კი საერთოდ არ ინიშნება;
- უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ 40-მდე მოსამართლიდან მხოლოდ 5 მოსამართლის რესურსი იყო გამოყენებული საქმეთა განხილვის დასრულებისთვის;
- მოსამართლის მივლინების დროებითი, საგანგებო მექანიზმი არ გამოიყენება შესაბამისი მიზნით, რაც არის გაუთვალისწინებელ საქმეთა ნაკადთან გამკლავება;
- სხვა სასამართლოში მოსამართლის კონკურსის გარეშე გადაყვანა არასოდეს გამოიყენება საქმეთა ნაკადთან გამკლავების მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის საბჭო გადაყვანის გამოცხადების საფუძვლად ყოველთვის საქმეთა ნაკადთან გამკლავებას უთითებს;
- სასამართლოების (პალატის, კოლეგიის) თავმჯდომარეები ფაქტობრივად არ იწინააღმდეგებენ საქმეთა ნაკადთან გამკლავების ტვირთს. მათთვის დაწესებულია გაუმართლებელი შეღავათები, რაც ათავისუფლებს თავმჯდომარეს საქმის განხილვის ვალდებულებისაგან. თავმჯდომარეებისთვის დაწესებული საგამონაკლისო შეღავათები ეწინააღმდეგება კანონს;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს, რომ მოსამართლეთა სპეციალიზაციას ახორციელებს საქმეთა ნაკადის ეფექტიანად მართვის მიზნებისთვის, თუმცა, შემდეგ არ შეისწავლის გამოიღო თუ არა სპეციალიზაციამ ასეთი შედეგი. თავის მხრივ, ცალკეული კატეგორიის საქმეების სტატისტიკა ადასტურებს, რომ ამ საქმეებზე მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია საქმის განხილვას ვერ აჩქარებს;
- მოსამართლეების დამხმარე მოხელეების რაოდენობა არასაკმარისია. არსებობს მოსამართლეებზე მოხელეების შერჩევითად არათანაბარი განაწილების პრაქტიკა. მოხელეების მოტივაცია და კვალიფიკაცია საჭიროებს ამაღლებას;
- ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამა არასრულყოფილია. სააპელაციო და საკასაციო წარმოებაში მხარეებს საქმის მასალებზე დისტანციური წვდომა არ აქვთ;
- ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა არ ითვლის სტატისტიკას, რის გამოც საქმეთა ნაკადის მართვისთვის საჭირო ინფორმაცია სრულად ვერ გროვდება, ხოლო არსებული სტატისტიკური ინფორმაციის მიღება დამატებით დროსა და რესურსს საჭიროებს;
- ჰანდემის დასრულების შემდეგ სასამართლოები იშვიათად იყენებენ დისტანციურ სხდომებს, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო საქმის დაჩქარების ეფექტური მექანიზმი;
- არბიტრაჟი ამ ეტაპზე 4%-ის ფარგლებში უზრუნველყოფს სასამართლოთა განტვირთვას. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების გაჭიანურება აქვეითებს არბიტრაჟის ეფექტიანობას და მის მიზნიდველობას. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის განხილვა სააპელაციო სასამართლოებში უფრო დიდხანს გრძელდება, ვიდრე სამოქალაქო დავების არსებითად განხილვა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების საქმეების განსახილველად სპეციალიზებული პალატის შექმნამ არათუ დააჩქარა, არამედ შეაფერხა ამ საქმეთა განხილვა;
- იუსტიციის საბჭოს მხრიდან საწყის ეტაპზე გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯი: შემუშავდა მედიაციის პროგრამა და სამოქმედო გეგმა, თუმცა გეგმის შესრულების შეფასება ვერ ხერხდება. მონიტორინგის შუალედური ანგარიშების არარსებობის გამო, უცნობია გეგმის შესრულებლობის მიზეზები.

4.1. საქმეთა ნაკადის მართვისა და გაჭიანურების დაძლევის პოლიტიკა, საქმეთა ნაკადის მართვისთვის საჭირო მონაცემების დამუშავება

საერთაშორისო სტანდარტებით, მენეჯმენტს მნიშვნელოვანი როლი აკისრია საქმეთა ნაკადის მართვასა და გაჭიანურების შემცირებაში⁹¹. მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის რეკომენდაციით, ცენტრალურ დონეზე უნდა არსებობდეს ორგანო - მართლმსაჯულების

⁹¹ იხ., მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. IV,A,B,C <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

საბჭო, უზენაესი სასამართლო, იუსტიციის სამინისტრო ან ad hoc ორგანო, ან სამუშაო ჯგუფი ან კომიტეტი, რომელიც დააიდენტიფიცირებს პრობლემებს, განსაზღვრავს მიზნებს, განსახორციელებელ ღონისძიებებს და მონიტორინგის მექანიზმებს⁹². ადგილობრივად სასამართლოების დონეზე შეიძლება ამ ინსტიტუციას დაეხმარონ კომიტეტები, რომლებიც შედგება მოსამართლეების, სასამართლო მენეჯერებისა და სასამართლო აპარატისგან⁹³.

საქართველოს სასამართლო სისტემის 2017-21 წლების სტრატეგია ამოცანის სახით ითვალისწინებდა სამართალწარმოების პროცესის ვადებთან არსებული პრობლემებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, ასევე სასამართლოში საქმეთა გაჭიანურებისა და ნაშთად დაგროვილი საქმეების ეფექტიანად შესამცირებლად პოლიტიკის შემუშავებას.⁹⁴ სტრატეგიის შესრულების 2018 წლის პროგრეს ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას - ეყრდნობა თუ არა გატარებული ღონისძიებები სასამართლოში საქმეთა გაჭიანურებისა და გადატვირთულობის პრობლემის ანალიზს.⁹⁵

იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამოთხოვილი იქნა შემდეგი წლების პროგრეს ანგარიში, რაც არ იქნა მოწოდებული.⁹⁶

სტრატეგიის შესრულების 2018 წლის პროგრეს ანგარიშით⁹⁷ საქმეთა გაჭიანურების შემცირებისკენ მიმართულ ღონისძიებებზე დასახელებულია:

- საფინანსო დაწესებულებებთან 5000 ლარამდე დადებულ სესხებზე ვიწრო სპეციალიზაციის კოლეგიის შექმნა თბილისის საქალაქო სასამართლოში;
- მაგისტრი მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეთა წრის გაფართოება და სააპელაციო სასამართლოში საქმის ერთპიროვნულად განხილვის შესაძლებლობის გაფართოება;
- თბილისის საქალაქო სასამართლოში 500 000 ლარზე ზემოთ ღირებულების დავების განმხილველი სპეციალიზებული კოლეგიის შექმნა;
- თბილისის სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში თანამშენებებისა და სხდომის მდივნების რაოდენობის გაზრდა;
- თბილისის საქალაქო სასამართლოში ფლიგელის დამატება 28 ახალი დარბაზით.

⁹² მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool) 2023, გვ. 4.

https://drive.google.com/file/d/1zP5ohlPt_zBu17ZGsEwCRSsnxUr8i27p/view?usp=sharing [ბოლოს ნანახია 22.08.2023]

⁹³ იქვე, გვ. 4. ევროსაბჭოს ფარგლებში მიღებული ადრეული ღონისძიებები ადგილობრივ დონეზე წამყვან როლს სასამართლოს თავმჯდომარეს აკისრებდნენ: "სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა წახალისოს მოსამართლეებს შორის კარგი პრაქტიკის გაზიარება მათ სასამართლოებში, პრიორიტეტებისა და მიზნების დასახვა საქმეთა დაგროვების თავიდან არიდების, შემცირებისა და აღმოფხვრის თვალსაზრისით" - ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის CM/Rec(2010)12 რეკომენდაცია და განმარტებითი მემორანდუმი, პარ. 62 <https://rm.coe.int/cmrec-2010-12-on-independence-efficiency-responsibilites-of-judges/16809f007d> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

⁹⁴ სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-21 წლებისთვის, პარ. 2-2.3.

<https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sasamartlo-sistemis-strategia-2017-2021.pdf> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

⁹⁵ სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში. გვ. 80-84, <https://shorturl.at/dsF57> [ბოლოს ნანახია 10.25.2023]

⁹⁶ 2023 წლის 10 ოქტომბრის წერილი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

⁹⁷ 2018 წის შემდეგ სტრატეგიის შესრულების პროგრეს იუსტიციის საბჭოს არ გამოუქვეყნებია.

სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში, 2017 წელს, თავად სასამართლო სისტემის ინიციატივით, სასამართლოს მენეჯმენტზე ზედამხედველობის ფუნქციით, შეიქმნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სპეციალური სტრუქტურული ერთეული - სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი⁹⁸, რომლის ვალდებულებად განისაზღვრა საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ყოველწლიური შესწავლა და შესაბამისი რეაგირება, საჭიროების შემთხვევაში - იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოებისთვის რეკომენდაციების წარდგენა⁹⁹. მენეჯმენტის დეპარტამენტის საჭიროების დასაბუთებაში სასამართლო სისტემა მიუთითებდა გაჭიანურების პრობლემის სისტემურობაზე, რომელთა გამოსწორება მხოლოდ ცენტრალურ და ადგილობრივ მენეჯმენტთან მჭიდრო თანამშრომლობით იყო შესაძლებელი; ასევე საჭიროდ მიიჩნევა საქმეთა ნაკადის მართვისთვის საჭირო სხვა მონაცემებთან ერთად, წარმოებაში არსებულ საქმეთა ასაკისა და საქმეთა განხილვის შუალედური ვადების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას.¹⁰⁰

საერთო სასამართლოების კანონში შეტანილი იმავე ცვლილებების პაკეტით, სასამართლოში არსებულ საქმეთა ნაკადის მართვის მდგომარეობის ანალიზისა და მოსამართლეთა ინფორმირების ვალდებულება დაეკისრათ სასამართლოს თავმჯდომარეებს. მოსამართლეთა და იუსტიციის საბჭოს მათ ყოველწლიურად უნდა მიაწოდონ განზოგადებული ინფორმაცია საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლების, საქმისწარმოების ვადების, სხდომების გადადების და საქმისწარმოების სხვა შემაფერხებელი მიზეზების შესახებ და მიიღონ შესაბამისი ზომები საქმეთა გაჭიანურების მიზეზების აღმოსაფხვრელად¹⁰¹.

⁹⁸ იხ., „საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის შემოღების საჭიროების დასაბუთება“ - <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sseer.pdf> [ბოლოს ნანახია 22.09.2023] 2017 წლის 8 თებერვლის კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

⁹⁹ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ მუხლი 56¹ მეორე პუნქტის "ა" ქვეპუნქტი; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/206-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების მუხლი 7⁴, პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 31 მარტის ნ. 1/35 გადაწყვეტილება <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/35-2017.pdf> [ბოლოს ნანახია 22.09.2022]

ასევე. იხ., „საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის შემოღების საჭიროების დასაბუთება“ - <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sseer.pdf> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

¹⁰⁰ იხ., „საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის შემოღების საჭიროების დასაბუთება“ - <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sseer.pdf> [ბოლოს ნანახია 22.09.2023], გვ. 4. მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის რეკომენდაციით, საქმისწარმოების ვადების მონიტორინგი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საქმეთა განხილვის მთლიანი ხანგრძლივობის შეფასებით, არამედ ასევე უნდა შეგროვდეს ინფორმაცია საქმისწარმოების ცალკეული ეტაპების შესახებ. მნიშვნელოვანია წარმოებაში არსებული საქმეების ხანგრძლივობის განსაზღვრაც, რაც სასამართლოს აძლევს ნაშთების მართვის და ევროკონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გონივრული ვადის პოტენციურ დარღვევებზე ყურადღების გამახვილების შესაძლებლობას.

იხ., European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), Revised Saturn Guidelines for Judicial Time Management, (4 th revision), 2021, p. 3, 6, 25, <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია: 29.09.2023]


¹⁰¹ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 25-ე პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოების შესახებ კანონი ტერმინ „ვადებს“ იყენებს ხანგრძლივობის მნიშვნელობით. ტერმინის ამგვარი გამოყენება დამკვიდრებულია შესაბამის ლიტერატურაში. იხ., მაგ., სასამართლოს გუშაგი: საქმეთა განხილვის ვადები - <https://courtwatch.ge/articles/disposition-time/> [ბოლოს ნანახია 22.10.2023] იხ., „საერთო სასამართლოების სისტემაში სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის შემოღების საჭიროების დასაბუთება“ - <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sseer.pdf> [ბოლოს ნანახია 22.09.2023], გვ. 4.

კანონით და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებით, პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოსამართლეთა პერსონალური ჩართულობა საქმეთა ნაკადის შესახებ ინფორმაციის ანალიზისა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში. მოსამართლეები მხოლოდ ინფორმაციის მიმღებებად გვევლინებიან. როგორც ჩანს, პრაქტიკაში მოსამართლეებს ეს პასიური როლიც არ აქვთ და მათი ინფორმირებაც არ ხდება. ინტერვიუებში ყველა მოსამართლემ¹⁰² აღნიშნა, რომ არასოდეს სმენიათ თავმჯდომარის ანგარიშების, მენეჯმენტის დეპარტამენტის რეკომენდაციების ან, ზოგადად, საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებული რაიმე ინფორმაციის, პოლიტიკის არსებობის, ან მათი განხილვის შესახებ.

„თავმჯდომარის ინდივიდუალური ანგარიშების განხილვა არ მსმენია, არ მიმიღია მე პირადად მონაწილეობა მათ განხილვაში. არ ვიცნობ ასეთ ანგარიშებს. არც მენეჯმენტის დეპარტამენტის მუშაობაზე ვიცი რამე. სტატისტიკას ვაწვდით პერიოდულად და მერე ქვეყნდება ეს და შეგვიძლია ვნახოთ“.¹⁰³

„არ ვიცი საერთოდ რას აკეთებს ეს დეპარტამენტი. არც გამიგია მისგან რამე აქტივობა. ვიცი რომ არსებობს, მაგრამ რას საქმიანობს არ გამიგია. თავმჯდომარეც ანგარიშებს არ ვიცი წარადგენს თუ არა. მე არ მაქვს ინფორმაცია“.¹⁰⁴

„არ გამიგია, ასეთი, რაღაც საერთო პოლიტიკა არ არსებობს. ჩვენით ვართმევთ თავს. მე პირადად ვცდილობ პრიორიტეტულად ძველი საქმეები განვიხილო“.¹⁰⁵



მოსამართლის, სასამართლოს და მენეჯმენტის დეპარტამენტს შორის კოორდინირებული თანამშრომლობისა და საქმის ნაკადის მართვის საკითხზე სისტემის ხედვის გაანალიზების მიზნით,

როგორც ეს დოკუმენტი მიუთითებს, ტერმინში „საქმისწარმოების ვადები“ შეიძლება მოვიაზროთ როგორც საქმეთა განხილვის **საბოლოო ასევე შუალედური** ვადები, იხ., გვ. 7.

¹⁰² ინტერვიუში მონაწილე 12 მოსამართლე 9 სასამართლოს წარმოადგენდა.

¹⁰³ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, რაიონული სასამართლო.

¹⁰⁴ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე კაცი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.

¹⁰⁵ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

გამოთხოვილი იქნა თავმჯდომარეების ანგარიშები ყველა რაიონული და სააპელაციო სასამართლოდან, ასევე ინფორმაცია იუსტიციის საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტიდან¹⁰⁶. ერთადერთი სასამართლო, რომელმაც მოგვარა ანგარიშები, იყო რუსთავის საქალაქო სასამართლო. რამდენიმე სასამართლოდან მიღებული პასუხით, მოთხოვნილი ინფორმაცია არ მუშავდება ან არ იგზავნება¹⁰⁷, ხოლო ერთმა სასამართლომ მიგვითითა ვებგვერდზე¹⁰⁸.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ანგარიშები (2018-2022) შეიცავს ინფორმაციას საქმეთა გაჭიანურების შესახებ,¹⁰⁹ მაგრამ არ გვხვდება მონაცემები სხდომების გადადების მიზეზებზე, საქმეთა განხილვის საშუალო ვადებზე. მითითებულია მხოლოდ იმ დასრულებულ და მიმდინარე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პროცენტული რაოდენობა, რომელთა ხანგრძლივობა აჭარბებს 5 თვეს¹¹⁰. როგორც ჩანს, კანონით საქმეთა განხილვის 2-თვიანი ვადის¹¹¹ რეგულარული დარღვევის მიუხედავად, სასამართლოს მენეჯმენტის მხრიდან 5 თვის განმავლობაში საქმის დასრულება არ მიიჩნევა ვადის დარღვევად¹¹².

სასამართლოს ანგარიშებში არ არის ასევე ასახული მიღებული იქნა თუ არა რაიმე რეკომენდაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან წინა წლის ანგარიშებთან დაკავშირებით და როგორ აისახა ის წლის განმავლობაში საქმეთა მართვის ეფექტიანობაზე¹¹³.

მოქმედი კანონმდებლობა და სასამართლო სისტემის მიდგომები მხოლოდ ინდივიდუალურ მოსამართლეს უტოვებს საქმეთა ნაკადის მართვის პასუხისმგებლობას, რაც ამცირებს ეფექტიანობას, სრულიად მარტოს ტოვებს მოსამართლეს საქმეთა მოზღვავებულ ნაკადთან, ხდის მას მოწყვლადს დისციპლინური პასუხისმგებლობისთვის და შერჩევითი მიდგომისთვის.

¹⁰⁶ იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მივიღეთ უარი სასამართლოს თავმჯდომარეების ანგარიშის გაცნობაზე იმ მოტივით რომ აღნიშნული ინფორმაცია მისი მოცულობიდან გამომდინარე საჭიროებს დიდი ოდენობით მასალის დამუშავებას და სისტემატიზაციას და გამოიწვევს აპარატის ძირითადი ფუნქციებიდან მოწყვეტას. იხ., 2023 წლის 6 ივნისის N 228/102-03 წერილი. 2023 წლის 22 მაისის N.562/1334 წერილში მითითებულია რომ სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი „გარკვეული პერიოდულობით ახორციელებს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 56¹ მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს“.

¹⁰⁷ ახალქალაქის სასამართლოს 2023 წლის 23 იანვარის N0161 წერილი (სადაც ასევე მითითებულია რომ სასამართლო ამუშავებს მხოლოდ საქმეთა განხილვის საპროცესო ვადების დაცვის შესახებ მონაცემებს) და ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 18 იანვრის N80 წერილი.

¹⁰⁸ თელავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 2 თებერვლის N99 წერილი. აღნიშნული ვებგვერდი შეიცავს მხოლოდ სტანდარტულ სტატისტიკურ ინფორმაციას შემოსულ და დასრულებულ საქმეებთან დაკავშირებით. https://www.court.ge/courts/telavis_raionuli_sasamartlo/?page=699&id=6138 [ბოლოს ნანახია: 23.12.2023]

¹⁰⁹ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 იანვრის ნ. 77/გ წერილით გადმოგზავნილ 2018-22 წლების ანგარიშებში მითითებულია საქმეთა გაჭიანურების მიზეზები: პანდემია და პანდემიის გამო მოსამართლის გადასვლა თვითიზოლაციაში, რუსთავის რაიონულ პროკურატურაში პროკურორების ნაკლებობა, პენიტენციური დაწესებულებებიდან პატიმრების ჩართვის დაგვიანება, დისტანციურ პროცესებში ჩასართავად მხარეთა მოუმზადებლობა, მოსამართლეთა ნაკლებობა და მწერალი თანამშრომლების არარსებობა, სისხლის სამართლის საქმეებზე დასკვნების დაგვიანება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროცესები.

¹¹⁰ ანგარიშში ასევე მითითებულია რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე რომელთა განხილვაც რამდენიმე წელია გრძელდება.

¹¹¹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 59.

¹¹² ანალოგიური განმარტება აქვს იუსტიციის საბჭოს სადისციპლინო წარმოების საქმეებში (დეტალურად იხ., ქვემოთ - თავი 4.4.).

¹¹³ თუმცა მითითებულია სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდისკენ მიმართულ ღონისძიებებზე, რომელთა ნაწილი საჭიროებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჩართულობას (სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სრულად დაკომპლექტება, სასამართლოში მაგისტრი მოხელის გამწესება, 2 დარბაზის დამატება, მაგისტრატის მოსამართლისთვის სისხლის სამართლის კოლეგიაში უფლებამოსილების დაკისრება. იხ., რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 იანვრის ნ. 77/გ წერილი).

„მხარდაჭერას რაც შეეხება, თუ მოითხოვ რომ ძალიან დაიტვირთო, შეიძლება დაგიმატონ თანაშემწე. რამე წესი არ არსებობს. ინდივიდუალურად, მოთხოვნის დონეზე წყდება ეს საკითხი, ან დაგიმატებენ ან არა. ყოფილა შემთხვევა, ზოგიერთ მოსამართლეს ოთხი დამხმარე მოხელე ჰყოლია“.¹¹⁴

როგორც ჩანს, სასამართლოები საქმეთა ნაკადის მართვის მიზნით კოორდინირებულ პოლიტიკას არ ეწევიან და ასევე სრულად არ ამუშავებენ კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას. ინფორმაციის დამუშავების სტანდარტებიც განსხვავებულია სასამართლოების მიხედვით. რჩება შთაბეჭდილება, რომ ანგარიშგება-უკუკავშირის ციკლი სასამართლოსა და იუსტიციის საბჭოს შორის ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც საფრთხეს უქმნის საქმეთა გაჭიანურების/საქმეთა დაგროვების მიზეზების სწორ ანალიზსა და მათ აღმოსაფხვრელად ან პრევენციისთვის საჭირო ადმინისტრაციული, ტექნიკური, სამართლებრივი ან საგანმანათლებლო სახის ღონისძიებების ეფექტიან დაგეგმვას.

4.2. სასამართლოს რესურსები

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის რეკომენდაციით, სასამართლო სისტემას უნდა ჰქონდეს ადეკვატური რესურსები რომ სათანადო ვადაში შეძლოს საქმეთა ნაკადთან გამკლავება. რესურსები უნდა გადანაწილდეს თანაბრად, საჭიროებების შესაბამისად და გამოყენებული უნდა იქნას ეფექტურად¹¹⁵. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს რესურსების გადანაწილება სწრაფად და ეფექტურად, რათა თავიდან იქნას აცილებული გაჭიანურება და საქმეთა დაგროვება¹¹⁶.

სასამართლოს რესურსები შეიძლება გავყოთ ორ ჯგუფად: სამოსამართლო და არასამოსამართლო რესურსებად.¹¹⁷ სამოსამართლო რესურსების საკითხი შეიძლება სამ ნაწილად განვიხილოთ: ა. მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრა. ბ. მოსამართლეთა რესურსის მობილიზება. გ. მოსამართლეთა არსებული რესურსის ეფექტურად გამოყენება.

4.2.1. მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრა

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის რეკომენდაციის თანახმად, ხელი-სუფლებამ უნდა განსაზღვროს მოსამართლეთა რაოდენობა, რაც საჭიროა იმისათვის, რომ სასამართლოებმა დროულად გაართვან თავი შემოსულ და განხილვაში არსებულ საქმეებს¹¹⁸.

¹¹⁴ მოსამართლე კაცი, ზემდგომი ინსტანცია.

¹¹⁵ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. II.A.1. <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

¹¹⁶ იქვე, პარ II.A.3

¹¹⁷ იხ., მაგ. “The Justice System Could Function Better” Speech by Thomas Hammarberg, Commissioner for Human Rights, Council of Europe Justice Ministers Conference: “Modernising Justice in the Third Millennium” Istanbul, 24-26 November 2010, p. 3 <https://rm.coe.int/16806da8df> [ბოლოს ნანახია: 22.08.2023]

¹¹⁸ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), p. 36 <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 22.08.2023]

საერთაშორისო პრაქტიკაში მოსამართლეთა საქრო რაოდენობის გამოთვლის ორ მეთოდს ვხვდებით: შედარებით პირობითი განსაზღვრა - მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით; და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრა - საქმეთა რაოდენობის მიხედვით. თავისი მხრივ, მეორე მეთოდით მოსამართლეთა რაოდენობის გამოთვლა შეიძლება განხორციელდეს ა. მხოლოდ საქმეთა რაოდენობის (unweighted case count) ან ბ. შეწონილი რაოდენობის (case weighting system) საფუძველზე¹¹⁹. მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია რეკომენდაციას უწევს მოსამართლეთა რაოდენობის გამოთვლას საქმეთა „მოცულობის და სირთულის“ შესაბამისად¹²⁰.

სასამართლო სისტემის როგორც 2017-2021 წლების სტრატეგია, ასევე 2022 წელს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ ამოცანად ასახელებს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობის უზრუნველყოფას, რათა მათ შეძლონ დაკისრებული ამოცანების გონივრულ ვადაში განხორციელება¹²¹. ამასთან, 2017-21 წლების სტრატეგია ითვალისწინებდა მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრას საქმეთა მოცულობის შეფასების საფუძველზე¹²².

უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობა (28 მოსამართლე) განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით¹²³, ხოლო პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით¹²⁴.

¹¹⁹ Backlog Reduction Programmes and Weighted Caseload Methods for South East Europe, Two Comparative Inquiries Final Report Lot 3: Analysis of Backlog Reduction Programmes and Case Weighting Systems, p. 37

https://www.rcc.int/download/docs/Court-Backlog-Study_FINAL_zა%20web.pdf/f2bdb2ae4d27f8588034538cb54b6011.pdf [ბოლოს ნანახია: 23.12.2023] „საქმეთა წონების სისტემა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ საქმეები განსხვავდებიან სირთულის მიხედვით, რაც იმას ნიშნავს რომ სხვადასხვა კატეგორიის საქმეებს მოსამართლეების და პროკურორების მხრიდან სხვადასხვა მოცულობის დრო და ყურადღება ესაჭიროება. შესაბამისად, საქმეთა კომპოზიციას ან საქმეთა მთლიან რაოდენობაში სხვადასხვა კატეგორიის საქმეთა პროპორციას შეიძლება ჰქონდეს სიღრმისეული ეფექტი სასამართლოს დატვირთულობაზე“.

¹²⁰ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), p. 36. იმავე დოკუმენტში დაკონკრეტებულია რომ ეს შეიძლება იყოს საქმეთა წონების სისტემა ან სამუშაოს გაზომვის რაიმე სხვა მეთოდოლოგია. გვ. 38. <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 22.08.2023]; მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია არ იძლევა რეკომენდაციას, რომ მოსამართლეთა რაოდენობის დადგენა მოხდეს მოსახლეობის რაოდენობასთან პროპორციით, თუმცა პერიოდული ანგარიშებით დგინდება საშუალო ევროპული მაჩვენებელი. 2020 წლის მონაცემებით, საშუალო ევროპული მაჩვენებელია 22.2 მოსამართლე 100 000 სულ მოსახლეზე. საქართველოში ეს ციფრი 8.8 -ს შეადგენს და ევროსაბჭოს ქვეყნებს შორის ის ბოლოდან მე-7 ადგილზეა. European Judicial Systems, CEPEJ Evaluation Report, 2022, part. 1, p. 48 <https://rm.coe.int/cepej-report-2020-22-e-web/1680a86279> [ბოლოს ნანახია 22.09.2023].

¹²¹ სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის, გვ. 21 <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sasamartlo-sistemis-strategia-2017-2021.pdf> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]. იხ., სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, გვ. 13. https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/iuridiuli/samushao_jgufebi/shedegebi/sasamartlo_reformis_strategia_da_sa_moqmedo_gegma.pdf [ბოლოს ნანახია 22.09.2023]


¹²² სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის, გვ. 21 <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sasamartlo-sistemis-strategia-2017-2021.pdf> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

¹²³ საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 61.2 აღნიშნული ცვლილება აისახა საერთო სასამართლოების შესახებ კანონში და დადგინდა მოსამართლეთა ფიქსირებული რაოდენობა - 28 მოსამართლე. იხ., საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹²⁴ საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი და 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 დადგენილება და 2020 წლის 16 ივნისის №3 გადაწყვეტილება რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების

2017-2022 წლებში სასამართლო სისტემაში ინსტანციების მიხედვით მოსამართლეთა საშტატო რიცხოვნება შემდეგნაირად იყო განსაზღვრული¹²⁵.

გრაფიკა #32



არც საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილება¹²⁶ და არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები¹²⁷ არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რა მეთოდით დადგინდა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობა. სასამართლო სისტემის 2017-21 წლების სტრატეგია მიუთითებს იმაზე, რომ უნდა შემუშავდეს მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის წესი,¹²⁸ თუმცა ასეთი დოკუმენტი ხელმისაწვდომი არ არის¹²⁹.

საქართველოს სასამართლოებში მოსამართლეებისა და აპარატის საჭირო რაოდენობის შესწავლის მიზნით, 2017-20 წლებში ჩატარდა კვლევა ე.წ. „საქმეთა გონიერი შეწონვის“ პრინციპით მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. კვლევაში ჩართული იყო

შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ, შესაბამისი ცვლილებებით.

¹²⁵ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 დადგენილება და 2020 წლის 16 ივნისის №3 გადაწყვეტილება რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ, შესაბამისი ცვლილებებით.

¹²⁶ განმარტებითი ბარათი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3656689?publication=0> [ბოლოს ნანახია: 22.12. 2023]

¹²⁷ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 დადგენილება და 2020 წლის 16 ივნისის №3 გადაწყვეტილება რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ, შესაბამისი ცვლილებებით

¹²⁸ სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-21 წლებისთვის, გვ. 21 <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sasamartlo-sistemis-strategia-2017-2021.pdf> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]


¹²⁹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გაეგზავნა შეკითხვა არსებობს თუ არა ასეთი წესი (2023 წლის 21 სექტემბრის წერილი - თუმცა პასუხი არ იქნა მიღებული.

ადმინისტრაციული ფუნქციების მატარებელ მოსამართლეთა ჯგუფიც. კვლევის შედეგად საქართველოს სასამართლო სისტემის 2016-2018 წლების დატვირთულობის გათვალისწინებით, ოპტიმალურ რაოდენობად განისაზღვრა 380-დან 450-მდე მოსამართლე¹³⁰. კვლევით ასევე შეფასდა სხვადასხვა რაიონისა და ინსტანციის სასამართლოში მოსამართლეთა საჭიროებები. 2018 წლის მდგომარეობით, სასამართლოების მიხედვით, საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოსამართლეთა რაოდენობას და კვლევით გამოვლენილ მოსამართლეთა საჭირო რაოდენობას შორის განსხვავებები შემდეგია¹³¹ (იხ. გრაფიკა N 33).

¹³⁰ მოსამართლეთა რაოდენობა გამოთვლილი იქნა ე.წ. საქმეთა „გონიერი შეწონვის“ მეთოდის გამოყენებით 2016-18 წლების სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. იხ., მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომლების გადანაწილება საქართველოს სასამართლოებში, ფაზა 2, იესპერ ვიტრუპი, 2020. კვლევა ჩატარდა USAID PROLOG-ის დაკვეთით. საჯაროდ ხელმისაწვდომია მხოლოდ კვლევის ზოგადი მიგნებები, რომელიც ეხება მოსამართლეთა მთლიან რაოდენობას: <https://shorturl.at/hrJW5> [ბოლოს ნანახია 28.11.2023]


¹³¹ ციფრები ასახავს მოსამართლეთა რაოდენობას - ლურჯი სვეტები ასახავს მოსამართლეთა ნაკლებობას, ყვითელი სვეტები მოსართლეთა ზედმეტობას.

გრაფიკა #33



გამოიკვეთა, რომ (2016-18 წლების სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით) სასამართლოების ნაწილი (განსაკუთრებით, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის, ფოთის, რუსთავის, ოზურგეთის რაიონული (საქალაქო) სასამართლოები) საჭიროებდნენ მოსამართლეთა საშტატო ნუსხის გაზრდას, ხოლო ნაწილი (მაგ., თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოები, მცხეთის, ამბროლაურის, ცაგერის, ახალქალაქის სასამართლოები) საჭიროებდნენ - პირიქით, შტატების შემცირებას.

მსგავს სურათს გვაჩვენებს 2017-2022 წლების სასამართლოების დატვირთულობის კვლევა, რომელიც ასახავს განხილვაში მყოფ საქმეებს მათი წონების გარეშე (იხ. გრაფიკა N. 34).



ამავე გრაფიკით ჩანს, რომ სასამართლოების დატვირთვა საქართველოს მასშტაბით არათანაბარია. შესაძლებელია, პირობითად, სასამართლოების დაყოფა გადატვირთულ (ბათუმი, ზუგდიდი, ფოთი, ქუთაისი, სენაკი), საშუალოზე მეტად დატვირთულ (სიღნაღი, ოზურგეთი, რუსთავი, თბილისი, საჩხერე, ხელვაჩაური), საშუალოდ დატვირთულ (თელავი, სამტრედია, გურჯაანი, გორი, ბოლნისი, ზესტაფონი, ხაშური, მცხეთა, ახალციხე), ნაკლებად დატვირთულ (თეთრიწყარო, ამბროლაური, ცაგერი, ახალქალაქი, თბილისის სააპელაციო, ქუთაისის სააპელაციო, სოხუმის) სასამართლოებად.


ამასთან, სასამართლოების უმეტესობა, საანგარიშო წლების განმავლობაში, მუდმივად რჩება დატვირთულობის იმავე კატეგორიაში.

2018-2022 წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებით, მოსამართლეთა სამტატო ნუსხით გათვალისწინებული მოსამართლეთა რაოდენობა გაიზარდა მხოლოდ 10

¹³² ასახავს საქართველოს საქალაქო (რაიონული) და სააპელაციო სასამართლოების დატვირთულობას სამტატო ნუსხით განსაზღვრულ მოსამართლეთა რაოდენობასთან მიმართებაში. დატვირთულობა გამოანგარიშებულია თითოეულ სასამართლოში შესაბამის წელს განსახილველი საქმეების რაოდენობის გაყოფით იმავე სასამართლოში მოსამართლეთა სამტატო რიცხოვნობაზე (რაც უდრის ერთი მოსამართლის განხილვაში არსებული საქმეების საშუალო რაოდენობას შტატების სრულად შევსების პირობებში). სამტატო ნუსხის შესახებ იხ., იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები: "რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ". ხელმისაწვდომია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემაში www.hcoj.gov.ge საძიებო ველში სიტყვების „მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის“ ჩაწერით. მოსამართლეთა და საქმეთა მცირე რაოდენობის გამო „სოხუმი, გალი“-ს სვეტი აერთიანებს სოხუმის საქალაქო და გალი გულრიფშის რაიონულ სასამართლოებს.

სასამართლოში¹³³. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას¹³⁴, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში შტატების რაოდენობის ცვლილება არათანმიმდევრული და არალოგიკურია. მაგალითად, გაიზარდა იმ მოსამართლეების რაოდენობა თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში, რომლებიც მიეკუთვნებიან ყველაზე ნაკლებად დატვირთულ სასამართლოებს და არ გაზრდილა ზუგდიდისა და ოზურგეთის რაიონულ სასამართლოებში, რომლებიც მიეკუთვნებიან გადატვირთულ და საშუალოზე მაღალი დატვირთვის მქონე სასამართლოებს და USAID PRoLOG ის კვლევებიდანაც გამომდინარე, საჭიროებდნენ კადრების დამატებას. ასევე, მოხდა ბათუმისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში სამტატო ნუსხის გაზრდა, მხოლოდ 3 და 2 ერთეულით, როცა რეალურად მათთან გაცილებით მეტი რაოდენობის მოსამართლის საჭიროება იდგა.

გრაფიკა #35



¹³³ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 დადგენილება და 2020 წლის 16 ივნისის №3 გადაწყვეტილება რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ, შესაბამისი ცვლილებებით.


¹³⁴ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 და 2020 წლის 16 ივნისის №3 გადაწყვეტილება (დადგენილება) რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ, შესაბამისი ცვლილებებით.

4.2.2. მოსამართლეთა რესურსის მობილიზება

საქართველოში სამოსამართლო რესურსის სიმწირე აღქმულია სასამართლოს დატვირთულობისა და საქმეთა გაჭიანურების განმაპირობებელ ძირითად ფაქტორად¹³⁵.

გრაფიკა N.36 ასახავს მოსამართლეთა შტატით განსაზღვრულ და რეალურ რაოდენობას პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში, 2017-2022 წლებში¹³⁶.

გრაფიკა #36



როგორც ამ გრაფიკიდან ვხედავთ, საკვლევი პერიოდის განმავლობაში სასამართლოებში ყოველწლიურად არსებობდა 50-დან 100-მდე შეუვსებელი ვაკანსია.

როგორ პასუხობდა იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ გამოწვევას? 2017-2022 წლის წლებში პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადდა და ჩატარდა 8 კონკურსი¹³⁷.

¹³⁵ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის 2019-2020 წლის ანგარიში, გვ. 4. ხელმისაწვდომია <http://hcoj.gov.ge/files/news/angarishi.pdf> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

¹³⁶ შტატების რაოდენობა დათვლილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 და 2020 წლის 16 ივნისის №3 გადაწყვეტილებებიდან (შესაბამისი ცვლილებებით). მოსამართლეთა რაოდენობა მოწოდებული იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 14 ივლისის N. 729/1534-03 წერილით.

¹³⁷ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის N. 1/24, 2017 წლის 16 ოქტომბრის N. 1/259, 2018 წლის 30 ივლისის N. 1/238, 2020 წლის 26 ივნისის N. 1/89, 2021 წლის 22 თებერვლის N. 1/6, 2021 წლის 2 მარტის N. 1/148, 2021 წლის 5 აგვისტოს N. 1/248, 2022 წლის 25 ნოემბრის N. 1/130 გადაწყვეტილებები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საძიებო სისტემაში იძებნება 2017-2022 წლებში მიღებული 486 საკადრო გადაწყვეტილება, რომლებიც პირის მოსამართლედ გამწესებას ეხება¹³⁸. ამ რაოდენობის საკადრო გადაწყვეტილებათა მიღების მიუხედავად, პირველ და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობა მხოლოდ 30 მოსამართლით გაიზარდა (2019 წელს პირიქით, დაფიქსირდა კლება).

აღნიშნული შეიძლება რამდენიმე ფაქტორით აიხსნას:

- სისტემას აკლდებოდა მოსამართლეები, რომლებსაც სხვადასხვა საფუძვლით შეუწყდათ უფლებამოსილება¹³⁹.
- მცირეა იუსტიციის უმაღლეს სკოლადამთავრებულთა რიცხვი, რომლებიც შემდგომ ინიშნებიან მოსამართლეებად¹⁴⁰.
- დანიშნული მოსამართლეების უმრავლესობა ყოფილი ან მოქმედი მოსამართლეა, რომელთა დანიშვნა, იმავდროულად, სხვა შტატების გამოთავისუფლებას იწვევდა¹⁴¹.

კითხვაზე, თუ რატომ ვერ ხდება მოსამართლეების მატება სისტემაში, გამოკითხული რესპონდენტები სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ, მაგალითად, მოსამართლის პროფესიის არაპოპულარობა სისტემის გარეთ მყოფი იურისტებისთვის, იუსტიციის სკოლის სახით არსებული ბარიერი და თავად სასამართლო მენეჯმენტის მხრიდან ახალი კადრების მიმართ „პოლიტიკური უნდობლობა“.¹⁴²

„იმის მიზეზი, თუ რატომ არ იღებენ სასამართლოში საკმარისი რაოდენობით ახალ კადრებს, არის მათი სანდოობა. შეიძლება ადამიანი კარგი იურისტი იყოს, მაგრამ პოლიტიკური ნდობა არ აქვს“¹⁴³.

„სკოლაში სწავლის მსურველებიც არ არიან, დაბალი ანაზღაურების გამო. ჩემი ნაცნობი გამოცდილი ადვოკატები არ აბარებენ სკოლაში სწორედ ამ მიზეზით. მიკვირს, ისეთ ხალხს რომ არ ნიშნავენ, ვისაც სკოლა აქვს დამთავრებული“.¹⁴⁴

¹³⁸ გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემაში <http://hcoi.gov.ge/ka/>. გადაწყვეტილებები იძებნება საძიებო ველში სიტყვა „გამწესების“ (485 გადაწყვეტილება) ან „განწესების“ (1 გადაწყვეტილება) ჩაწერით. აქედან, 281 გადაწყვეტილება ეხება მოსამართლის უვადოდ გამწესებას (სიტყვები - „უვადოდ გამწესების“), 59 გადაწყვეტილება მოსამართლის გამოსაცდელი ვადით გამწესებას (სიტყვები „თანამდებობაზე გამწესების“), 145 გადაწყვეტილება ეხება პალატიდან პალატაში ან კოლეგიიდან კოლეგიაში მოსამართლის გადაყვანას („მოსამართლედ გამწესების“ ან „მოსამართლედ განწესების“).

¹³⁹ უფლებამოსილების ვადის გასვლისა და საპენსიო ასაკის მიღწევის გამო მოსამართლეთა გათავისუფლების შესახებ იხ., ქვემოთ.

¹⁴⁰ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხულ პირთა რაოდენობის შესახებ იხ., ქვემოთ გრაფიკა N.37.

¹⁴¹ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში, 2020, N. 8, გვ. 20 <https://gyla.ge/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98/HCoj%20-%208.pdf> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში, 2018, N. 6, გვ. 41, https://transparency.ge/sites/default/files/monitoring-report-of-the-high-council-of-justice-6-geo_1.pdf [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

¹⁴³ 23 წლის 15 დეკემბრის ფოკუს ჯგუფი ადვოკატებთან.


¹⁴⁴ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

„მოსამართლეთა რაოდენობა არ ივსება გარედან (ისევ სისტემის შიგნიდან ხდება). მოსამართლის გამოცდაზეც ის ხალხი გადის, ვინც შიგნით სასამართლოში მუშაობს და არა იმდენად გარე ხალხი. და ეს სასამართლო მოხელეებიც ბევრნი ვერ აბარებენ ამ გამოცდას, მიუხედავად იმისა რომ ყოველდღიური მეხება აქვთ და არ უნდა გაუჭირდეთ, დრო არ აქვთ მომზადების, ისეთი დატვირთულები არიან“.¹⁴⁵

კანონით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის გავლა არის მოსამართლედ დანიშვნის სავალდებულო წინაპირობა. 2019 წლამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებული იყო წელიწადში ორჯერ მაინც ჩატარებინა იუსტიციის სკოლაში მისაღებ მსმენელთა კონკურსი¹⁴⁶. კადრების დეფიციტის პრობლემის მოგვარების ნაცვლად, 2020 წლიდან ეს მოთხოვნა შემცირდა წელიწადში არანაკლებ ერთ კონკურსამდე.¹⁴⁷ მეტიც, კანონის მოთხოვნა ხშირად არც სრულდებოდა: 2013, 2017-18, 2021-22 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღები კონკურსი არ ჩატარებულა, ხოლო 2012, 2014, 2015, 2016 წლებში კონკურსი წელიწადში მხოლოდ ერთხელ ჩატარდა.

გრაფიკა #37 აჩვენებს როგორც კონკურსების სიხშირეს, ასევე იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხულ პირთა რაოდენობას¹⁴⁸.

გრაფიკა #37



2019 წლის 13 დეკემბერს საერთო სასამართლოების კანონში შესული ცვლილების თანახმად, სკოლაში მისაღები კანდიდატების რაოდენობა მოსამართლეთა ვაკანსიების სავარაუდო რაოდენობას 20-ით უნდა აღემატებოდეს. სკოლა უფლებამოსილია დაამტკიცოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილზე ნაკლები რაოდენობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლის ბიუჯეტი ან/და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ იძლევა უფრო მეტი რაოდენობის მსმენელის მიღების შესაძლებლობას¹⁴⁹.

აღნიშნული ცვლილების მიღების შემდეგ, 2019 წლის 26 დეკემბერს და 2020 წლის 5 ივნისს გამოცხადდა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღები კონკურსები, სადაც ჩასარიცხ მსმენელთა

¹⁴⁵ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

¹⁴⁶ იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ 2006 წლის კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი (ძალადაკარგულია 13.12.2019-დან).

¹⁴⁷ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 66¹² მუხლის მეორე პუნქტი.


¹⁴⁸ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 7 ივნისის წერილი N. 631/1488-03.

¹⁴⁹ იხ., საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მუხლი 66¹⁵.

რაოდენობა 10 და 20-ერთეულით განსაზღვრა¹⁵⁰. მიუხედავად იმისა, რომ, აღნიშნულ პერიოდში სასამართლო სისტემაში მუდმივად იყო სამტატო ნუსხით გათვალისწინებული 100-მდე შეუსვებელი ვაკანსია, 2021-22 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღები კონკურსი არ გამოცხადებულა.

2012-2021 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩაირიცხა 119 მსმენელი¹⁵¹, რომელთაგან დღეისათვის 111 გამწესებულია მოსამართლედ.¹⁵² გრაფიკა N.38 აჩვენებს, რომ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სისტემის გარედან კადრების შემოღინება თითქმის არ ხდება. სკოლას ამთავრებენ და მოსამართლედ ინიშნებიან ძირითადად სასამართლო სისტემის შიგნით მომუშავე პირები. მოსამართლედ გამწესებული 111 მსმენელიდან 90 წარმოადგენს სასამართლოს თანამშრომელს, ხოლო 21 - სისტემის გარედან ჩარიცხულ პირს¹⁵³.

გრაფიკა #38



საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი იუსტიციის სკოლადამთავრებული მსმენელი არაერთ-ხელ მონაწილეობდა გამოცხადებულ კონკურსებში, თუმცა მოსამართლედ არ დანიშნეს,¹⁵⁴ ხოლო ზოგიერთს კი უარი უთხრეს მოსამართლედ დანიშვნაზე. შესაბამისი ვაკანსია დარჩა შეუსვებელი,

¹⁵⁰ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 26 დეკემბრის N. 1/365, 2020 წლის 5 ივნისის N. 1/69 განკარგულებები იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ <http://hcoj.gov.ge/ka/> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]; ამასთან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ივნისის N. 1/69 განკარგულება სკოლაში მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ ბათილად იქნა ცნობილი 2023 წლის 24 მაისის 1/55 განკარგულებით (<http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/6/55-2023.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023])

¹⁵¹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 7 ივნისის წერილი N. 631/1488-03 .

¹⁵² თითოეული კანდიდატის დანიშვნის შესახებ ინფორმაცია მოპოვებული იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა საძიებო ბაზიდან (www.hcoj.gov.ge)

¹⁵³ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ მსმენელთა ბიოგრაფიები, რომლებიც მოგვიანებით გამწესდნენ მოსამართლედ ხელმისაწვდომია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდებზე (www.hcoj.gov.ge; <https://tcc.court.ge/ka/Justice>).

¹⁵⁴ მაგ. მოსამართლედ დანიშვნაზე უარი ეთქვა ნინო ხაბალაშვილს (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის 1/58, 2020 წლის 18 ნოემბრის 1/202, 2023 წლის 7 თებერვლის 1/29 გადაწყვეტილებები), ნინო მელაძეს (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის N. 1/45 და 2023 წლის 1/24 გადაწყვეტილებები).

მაგრამ მათი გამწესება მოხდა გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ¹⁵⁵. ეს ვითარება მხოლოდ ორი ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული: იუსტიციის სკოლაში შერჩევა, სწავლება და საგამოცდო სისტემა არ არის საკმარისად გამართული იმისთვის, რომ მოამზადოს კადრები, ან დანიშვნები არ ხორციელდება პროფესიული და დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომით.

მოსამართლეთა რესურსის მობილიზებას უკავშირდება აგრეთვე მოსამართლის უფლება-მოსილების ვადის გაგრძელების საკითხი. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მოსამართლისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას მის წარმოებაში არსებულ საქმეთა დასრულებამდე ორ შემთხვევაში: თუ მოსამართლემ მიაღწია საპენსიო ასაკს; თუ გაუვიდა უფლებამოსილების ვადა¹⁵⁶. პირველ სახის ვადის გაგრძელებას იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთოდ არ იყენებს, ხოლო მეორე სახის ვადის გაგრძელებისას ხელმძღვანელობს შერჩევითად.

2017-2022 წლებში საპენსიო ასაკის მიღწევის გამო უფლებამოსილება შეუწყდა 18 მოსამართლეს.¹⁵⁷ იუსტიციის საბჭომ არც ერთ მათგანს ვადა არ გაუგრძელა. საქმეთა ნაკადის მართვის ევროპული სტანდარტები სასამართლოების გადატვირთულობის დროს დროებითი ღონისძიების სახით რეკომენდაციას უწევენ პენსიაში გასული მოსამართლეების რესურსის გამოყენებას¹⁵⁸. ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობა, არც თუ იშვიათად, კონკრეტული საქმის გაჭიანურებას იწვევს. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის საქმე, რომლის არსებითი განხილვაც 2021 წლის ნოემბერში დაიწყო¹⁵⁹ და თითქმის ორწლიანი მიმდინარეობის შემდეგ

¹⁵⁵ მაგალითად ნინო გოგატიშვილს და ალექსანდრე ლომიძეს 2018 წლის 11 იანვარს უარი უთხრეს მცხეთის სასამართლოში დანიშვნაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ სასამართლოში ვაკანსიები კონკურსის შედეგად დარჩა შეუვსებელი. თუმცა ისინი მოგვიანებით (ნინო გოგატიშვილი 2 წლის და 10 თვის შემდეგ, ალექსანდრე ლომიძე 1 წლის და 4 თვის შემდეგ) გამწესდნენ მოსამართლეებად სხვა სასამართლოებში. იხ., იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის N. 1/259 გადაწყვეტილება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს: 2018 წლის 11 იანვრის N 1/38 (იხ.: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/38-2018.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]); 2020 წლის 18 ნოემბრის 1/165 (იხ.: <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/2/165-2020.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]); 2019 წლის 11 იანვრის 1/44 (იხ.: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/44-2018.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]); 2019 წლის 24 მაისის 1/84 (იხ.: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/84.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]); 2020 წლის 18 ნოემბრის 1/165 გადაწყვეტილებები (იხ.: <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/2/165-2020.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]); 2018 წლის 11 იანვრის კონკურსის შედეგები იხ., იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე: <https://shorturl.at/xyEJ5> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]).

¹⁵⁶ ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ მუხლი 36.5.

¹⁵⁷ გიორგი ლონდარიძე, მურმან ისაევი, ელენე ოსაძე. ლეილა გურგუჩიანი, მარინე ხოლოაშვილი, თეიმურაზ სვანიძე, მარინა კიკნაძე, გურამ გოცირიძე, დავით კეკელიძე, ნაირა გიგიტაშვილი, ნანა ჯანხოთელი, ჯემალ კოპალიანი, ზოია კვარაცხელია, ანჟელი ხუროძე, ლაბაზა დუმიშვილი, თეიმურაზ ფარეიშვილი, თეიმურაზ დგვარელი, შალვა მჭედლიშვილი. იხ., იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებები გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემაში www.hcoj.gov.ge [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁵⁸ "the use of "retired judges to limit retired judges to limit the impact on the length of pending cases". მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო, 2023. p. 39. <https://rm.coe.int/cepei-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია 29.08.2023]

¹⁵⁹ პრესა. ჯი., თბილისის საქალაქო სასამართლოში მიხეილ სააკაშვილის საქმის განხილვა დაიწყო, 29-11-2021, https://presa.ge/ka/74679/page/tbilisis-saqalaqo-sasamartloshi-mikheil-saakashvilis-saqmis-gankhilva-daitckho?fbclid=IwAR2_ZovRtx3mUSYsbUffe7bBpt0rdD0oHsBbCLU7rCthi4-WWhmpTVqMzdY [ბოლოს ნანახია 22.09.2023].

აღსანიშნავია, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო სისხლის სამართლის საქმეებზე ევროკონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული "გონივრული ვადის" ათვლას ბრალის წარდგენიდან იწყებს (იხ., მაგ., Neumeister v. Austria, 27 June 1968, §18; Alimena v. Italy, 19 Feb. 1991, §15). მიხეილ სააკაშვილს ბრალი აღნიშნულ საქმეზე 2014 წლის ივლისში წარედგინა.

მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპი თავიდან გახდა დასაწყები¹⁶⁰ იმის გამო, რომ საპენსიო ასაკის მიღწევის საფუძველზე, მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა შეუწყდა და აღარ გაუგრძელდა¹⁶¹.

2017-22 წლებში უფლებამოსილების ვადები ამოეწურათ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების 40-მდე მოსამართლეს¹⁶². მათგან უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდა 5 მოსამართლეს წარმოებაში არსებულ საქმეთა დამთავრებამდე¹⁶³. საბჭოს გადაწყვეტილებები უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ დასაბუთებულია, როგორც წესი იმით, რომ ამ მოსამართლეებს აქვთ წარმოებაში არსებული საქმეები და/ან მიმდინარე კონკურსში იღებენ მონაწილეობას. ეს მოსამართლეები მოგვიანებით გამწესდნენ იმავე ან სხვა სასამართლოში უვადოდ¹⁶⁴.

მეორე მხრივ, არც ერთ ისეთ მოსამართლეს ვინც უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ კონკურსში ან კონკურსებში მონაწილეობა მიიღო, მაგრამ არ დაინიშნა, უფლებამოსილების ვადებიც არ გაუგრძელდა¹⁶⁵.

საბჭოს ეს მიდგომა ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების საკითხი წყდება არა საქმის დროული განხილვის ან გადატვირთულობის პრობლემის მოგვარების ინტერესით, არამედ გამოიყენება შერჩევითად და იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხელმძღვანელობს წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობით კანდიდატის სამომავლო დანიშნასთან დაკავშირებით.

საკვლევ პერიოდში ჩატარებულ კონკურსებში მოსამართლეთა ვაკანტური ადგილების უმეტესობა შეუვსებელი რჩებოდა.¹⁶⁶

¹⁶⁰ იხ., კვირა, 7 ნოემბრის საქმის განხილვა სააკაშვილისა და სხვა მაღალჩინოსნების წინააღმდეგ ხელახლა დაიწყება <http://kvira.ge/866975> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁶¹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 24 მაისის 1/53 გადაწყვეტილება <http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/6/53-2023.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁶² ცისანა სირბილაძე, როინ კახიძე, დავით კვეცაძე, მიხეილ ბებიაშვილი, კობა გოცირიძე, ეკატერინე პარტენიშვილი, ვახტანგ მრულაშვილი, მაია შოშიაშვილი, ვაჟა ფუხაშვილი, დავით მგელიაშვილი, ბადრი კოჭლამაზაშვილი, ნინო ელიეშვილი, შორენა ჯანხოთელი, მევლუდ ხათაშვილი, მამუკა წიკლაური, ანა ჩოგოვაძე, თეა ბერაია, ლაშა ჩხიკვაძე, ლაშა ქოჩიაშვილი, დავით პაპუაშვილი, თეა ძიმისტარაშვილი, თამარ ზამბახიძე, ლილი ტყემალაძე, გიორგი ლობჯანიძე, თამარ ჭუნიაშვილი, ტარიელ ტაბატაძე, ია ლაბაძე, შალვა კაკაურიძე, გიორგი არევაძე, ნინო კორძაძე, გიორგი ზვიადაძე, გიორგი დარახველიძე, ქეთევან დუგლაძე, ეკატერინე ბიწაძე, ხათუნა არევაძე, ნათია ქუთათელაძე, ასმათ კობრეიძე, გიორგი სულაკაძე, ირაკლი შავაძე, ვალერი ცერცვაძე. ინფორმაცია ხელმისაწვდომია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემით <http://hcoj.gov.ge/ka/> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁶³ თამარ ჭუნიაშვილი, ტარიელ ტაბატაძე, ია ლაბაძე, შალვა კაკაურიძე, გიორგი არევაძე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 12 დეკემბრის N. 1/135, N. 1/136. 2022 წლის 12 ოქტომბრის N. 1/190, 2020 წლის 23 ივლისის N. 1/105, 2018 წლის 12 ნოემბრის N. 1/272 გადაწყვეტილებები.

¹⁶⁴ 2023 წლის 7 თებერვლის N. 1/111, N. 1/13, N. 1/19, 2020 წლის 18 ნოემბრის 1/168, 2019 წლის 24 მაისის N. 1/168 გადაწყვეტილებები.


¹⁶⁵ გიორგი ზვიადაძე, გიორგი დარახველიძე, ქეთევან დუგლაძე, ნათია ქუთათელაძე, ლეილა კობრეიძე. 2023 წლის 7 თებერვლის N. 1/122, 2020 წლის 18 ნოემბრის N. 1/182, 2021 წლის 17 ივნისის 1/99, 2023 წლის 7 თებერვლის 1/23 გადაწყვეტილებები. ხელმისაწვდომია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემით - <http://hcoj.gov.ge/ka/> ასევე, ნეტგაზეთი, "ხვალ მოსამართა კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა გაიმართება", <https://ipress.ge/news/sazogadoeba/khval-mosamarthletha-kandidatebis-shesarchevi-konkursis-kentchisqhra-gaimartheba-sia> [ბოლოს ნანახია 22.09.2023].

¹⁶⁶ მაგალითად, 2020 წლის ივნისში გამოცხადებულ 99 ვაკანსიაზე კონკურსის შედეგად დაინიშნა მხოლოდ 38 მოსამართლე, 2021 წლის თებერვალში გამოცხადებულ 85 ვაკანსიაზე დაინიშნა 47 მოსამართლე, 2021 წლის აგვისტოში გამოცხადებულ 42 ვაკანსიაზე დაინიშნა მხოლოდ 7 მოსამართლე, 2022 წლის ნოემბერში გამოცხადებულ 76 ვაკანსიაზე


სამოსამართლო რესურსის მობილიზების კონკრეტული შემთხვევები განვიხილოთ პილოტური სასამართლოების მაგალითზე.

წინამდებარე გრაფიკებში წარმოდგენილია შესწავლილი სასამართლოებიდან ყველაზე უფრო მეტად დატვირთულ 3 სასამართლოში - ზუგდიდის, ქუთაისისა და გურჯაანის სასამართლოებში გამოცხადებული ვაკანსიების და დანიშნული (უარყოფილი) კანდიდატების რაოდენობა.

გრაფიკა #39




გრაფიკა #40



დანიშნა მხოლოდ 8 მოსამართლე. იხ., იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის 1/89 განკარგულება <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/89.pdf>; კონკურსის შედეგები <https://shorturl.at/aDRTY>; 2021 წლის 5 აგვისტოს 1/148 განკარგულება <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/8/148.pdf>, კონკურსის შედეგები <https://shorturl.at/ekzDF>; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 25 ნოემბრის განკარგულება 1/130, <http://hcoj.gov.ge/Uploads/2022/11/130-2022.pdf> კონკურსის შედეგები იხ., <https://shorturl.at/ijprD>; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 22 თებერვლის განკარგულება 1/6, <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/2/6-2021.pdf> კონკურსის შედეგები: <https://shorturl.at/begqA> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

გრაფიკა #41



როგორც ამ გრაფიკებიდან ჩანს, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში 2022 წელს¹⁶⁷, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 2021 და 2022 წლებში¹⁶⁸, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში 2020 და 2021 წლებში გამოცხადებულ კონკურსებში¹⁶⁹ მონაწილე ყველა კანდიდატს უარი ეთქვა დანიშვნაზე და გამოცხადებული ვაკანსიები დარჩა შეუვსებელი.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს ის შემთხვევა, როდესაც, მართალია „კანდიდატს უარი ეთქვა მოსამართლედ დანიშვნაზე და ვაკანსია დარჩა შეუვსებელი“, თუმცა მოგვიანებით ის მაინც დანიშნა მოსამართლედ სხვა სასამართლოში. მაგალითად, მათა ჯავახიშვილს 2020 წელს უარი ეთქვა მცხეთის და ქუთაისის საქალაქო (რაიონულ) სასამართლოებში დანიშვნაზე¹⁷⁰ და შესაბამისი ვაკანსიები დარჩა შეუვსებელი¹⁷¹, თუმცა 2021 წელს ის დანიშნა ახალციხის რაიონში მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე¹⁷².

4.2.3. სამოსამართლო რესურსის ეფექტური გამოყენება

სამოსამართლო რესურსის ეფექტიანი გამოყენების საკითხს რამდენიმე ჭრილში განვიხილავთ, როგორებიცაა მოსამართლის მივლინება და კონკურსგარეშე სხვა სასამართლოში გადაყვანა,

¹⁶⁷ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 25 ნოემბრის განკარგულება 1/130, <http://hcoj.gov.ge/Uploads/2022/11/130-2022.pdf> კონკურსის შედეგები იხ., <https://shorturl.at/ijprD> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁶⁸ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 25 ნოემბრის 1/130 განკარგულება <http://hcoj.gov.ge/Uploads/2022/11/130-2022.pdf>, კონკურსის შედეგები: <https://shorturl.at/ijprD> 2021 წლის 5 აგვისტოს 1/148 განკარგულება <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/8/148.pdf>, კონკურსის შედეგები იხ., <https://shorturl.at/ekzDF> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁶⁹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის 1/89 განკარგულება <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/89.pdf>, კონკურსის შედეგები: <https://shorturl.at/dnuvD> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 22 თებერვლის განკარგულება <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/2/6-2021.pdf> კონკურსის შედეგები: <https://shorturl.at/begqA> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁷⁰ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 18 ნოემბრის 1/205 განკარგულება <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/2/205-2020.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁷¹ კონკურსის შედეგები იხ., <https://shorturl.at/dyEJL>

¹⁷² იხ., იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 17 ივნისის განკარგულება <http://hcoj.gov.ge/Uploads/2022/6/82-2021.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]; მსგავსია ნინო გოგატიშვილისა და ალექსანდრე ლომიძის შემთხვევები, იხ., ზემოთ.

ადმინისტრაციულ თანამდებობის მქონე მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის საკითხი და მოსამართლეთა სპეციალიზაციის საკითხი.

4.2.3.1. მოსამართლეთა მივლინება

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მოსამართლის მივლინებას განიხილავს როგორც სასამართლოების გადატვირთულობასთან გასამკლავებელ დროებით ღონისძიებას, რომელმაც არ უნდა ჩაანაცვლოს შესაბამისი სასამართლოების მუდმივი დაკომპლექტების მექანიზმი¹⁷³.

საერთო სასამართლოების შესახებ კანონის თანახმად, მივლინების განხორციელების საფუძველია მოსამართლეთა ნაკლებობა ან/და განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა, ან მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესი¹⁷⁴.

საქართველოს კანონმდებლობით, მივლინება შეიძლება განხორციელდეს როგორც მოსამართლის თანხმობით, ასევე თანხმობის გარეშე. მოსამართლის თანხმობის შემთხვევაში მივლინების ვადა კანონით შეზღუდული არ არის და მას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო¹⁷⁵. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში 2017 წელს განხორციელებულ ცვლილებებამდე, კანონმდებლობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლის მივლინების ინსტიტუტის გამოყენების განუსაზღვრელ უფლებამოსილებას ანიჭებდა. სხვა სასამართლოში იუსტიციის საბჭო მოსამართლის მივლინებას ხშირად დაუსაბუთებლად და არალოგიკურად იყენებდა, რაც ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მისი გამოყენების მიზანი არა საქმეთა ნაკადთან გამკლავება, არამედ მოსამართლეთა დასჯა/წახლისება და კონკრეტულ საქმემდე მისი „მიყვანა“ იყო. ეუთოს მონიტორინგის ანგარიშში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ერთ დღეს ერთ სასამართლოში მივლინებული სამი მოსამართლიდან სამივეს განსახილველად გადაეცა გახმაურებული საქმე.¹⁷⁶ ყოფილა შემთხვევები, როდესაც მოსამართლე მიუვლენიათ ისეთ სასამართლოში, რომლის მოსამართლეს სხვაგან იყო მივლენილი¹⁷⁷. იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებების არათანამიმდევრულობა და დაუსაბუთებლობა არაერთხელ ყოფილა გაკრიტიკებული სხვადასხვა ანგარიშით¹⁷⁸. თავად მოსამართლეების მხრიდან მივლინება აღქმული იყო მოსამართლის დამოუკიდებლობის შემზღუდველ მექანიზმად¹⁷⁹. ამ საფრთხეების

¹⁷³ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრება no. 6 (2004), რომელიც ეხება გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლებას და მოსამართლის როლს საქმის განხილვაში დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალებების მხედველობაში მიღებით, პარ. 60.

¹⁷⁴ ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ მუხლი 37¹ მუხლი.

¹⁷⁵ ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ მუხლი 37¹ მუხლის მეორე პუნქტი.

¹⁷⁶ ეუთოს სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, 2014, გვ. 36 <https://www.osce.org/files/f/documents/b/1/130686.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁷⁷ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის 3 წლიანი შემაჯამებელი ანგარიში (2012-14 წლები), გვ. 14 <https://shorturl.at/hvJU9> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

¹⁷⁸ იხ., მაგ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა, იუსტიციის საბჭოს მონიტორინგის ანგარიში #3, გვ. 26 <https://shorturl.at/euNV9> [ბოლოს ნანახია 23.09.2023]; ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში, 2013-21 წლები გვ 49-50.; <https://shorturl.at/efFJP> [ბოლოს ნანახია 23.09.2023] ეუთოს სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, 2014, გვ 36 <https://www.osce.org/files/f/documents/b/1/130686.pdf> [ბოლოს ნანახია 23.09.2023]

¹⁷⁹ ეკა არეშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა წიკლაური და თამარ ხაყოშია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, კონსტიტუციური სარჩელი N. 1693, <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13488> [ბოლოს ნანახია 22.09.2023];

თავიდან აცილებას ემსახურებოდა მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ საკანონმდებლო ცვლილებით იუსტიციის საბჭოს დისკრეციის შეზღუდვა მოსამართლეთა თანხმობის გარეშე მივლინებისას და მოსამართლეთა მივლინების პროცედურის კანონით განსაზღვრა¹⁸⁰. ამ ცვლილებას, თავის მხრივ, მივლინების მექანიზმის საქმეთა ნაკადის ეფექტიანი მართვის მიზნით გამოყენება უნდა უზრუნველყო.

2021 წლის 30 დეკემბრამდე არსებული რედაქციით, მოსამართლის არანებაყოფლობითი მივლინება დაიშვებოდა პირველ რიგში ახლომდებარე სასამართლოდან და არ დაიშვებოდა სააპელაციო სასამართლოდან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. მისავლინებელი მოსამართლის გამოვლენა ხდებოდა წილისყრით. მოსამართლის მივლინების შესახებ გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო დასაბუთებული. მივლინება შეიძლებოდა დაშვებულიყო 1 წლის ვადით, რომლის გაგრძელებაც შეიძლებოდა კიდევ 1 წლით. მივლინების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მოსამართლეთა ნაკლებობა ან განსახილველ საქმეთა მკვეთრი ზრდა.

2021 წლის 30 დეკემბერს კანონში შესული ცვლილებით¹⁸¹, კვლავ გაფართოვდა იუსტიციის საბჭოს დისკრეცია არანებაყოფლობით მივლინებასთან დაკავშირებით და გაუქმდა ის პრევენციული რეგულაციები, რაც ხელს უშლიდა ამ ინსტიტუტის ბოროტად გამოყენებას: ცვლილებას საფუძვლად დაედო მივლინების მექანიზმის მოქნილი გამოყენების საჭიროების არგუმენტი¹⁸². მივლინების წინაპირობად განისაზღვრა ზოგადი ჩანაწერი „მართლმსაჯულების ინტერესები“. შედეგად:

- გაუქმდა ახლომდებარე სასამართლოდან პრიორიტეტულად მოსამართლის შერჩევის ვალდებულება.
- გაუქმდა სააპელაციო სასამართლოდან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლის მივლინების შეზღუდვა.
- გაუქმდა მოსამართლის წილისყრით შერჩევის წესი და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიეცა დისკრეცია, თავად შეარჩიოს კანდიდატი.
- გაუქმდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება.
- მოსამართლის მივლინების ვადა გაიზარდა 2 წლით, რომლის გაგრძელებაც შეიძლება კიდევ 2 წლით¹⁸³.

¹⁸⁰ „ეს არის ძველი კულტურა, რომელიც მეტ-ნაკლებად დღესაც გრძელდება მართლმსაჯულების შესვურების მიერ - როდესაც მოსამართლე გაბედავს და დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას მიიღებს, მას გზავნიან თბილისიდან, რუს-თავიდან ან დიდი ქალაქიდან სადღაც სხვაგან, მისთვის მიუღებელ ადგილას. ეს ინსტიტუტი გაუქმდება. მივლინებაში გაგზავნა იქნება მხოლოდ მაშინ, თუ არის ვაკანსია, თუ არის საქმეთა ისეთი ოდენობა, როცა აუცილებელია მოსამართლის დამატება და, რა თქმა უნდა, მოსამართლე უნდა იყოს თანახმა, რომ მივლინებაში წავიდეს და იმუშაოს რაიონში ან რაიონიდან წამოვიდეს ქალაქად“ - იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის კომენტარი 2014 წლის ივლისი. იხ., <https://reportiori.ge/old/?menuid=2&id=34200> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁸¹ 2021 წლის 30 დეკემბრის ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁸² განმარტებითი ბარათი ხელმისაწვდომია <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/289974> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

¹⁸³ განმარტებითი ბარათით მივლინების ვადის ცვლილება შემდეგნაირად განიმარტა: „პრაქტიკამ ცხადყო, რომ მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების დღეს მოქმედი მაქსიმალური ვადები არასაკმარისია შესაბამისი

2017-2022 წლებში განხორციელდა სულ 22 მივლინება¹⁸⁴. თითოეული მათგანი მოსამართლეთა თანხმობით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული 22 მივლინებიდან 12 განხორციელდა იმის გამო, რომ მიმღებ სასამართლოში აღარ იყო დარჩენილი მოსამართლე, 1 მივლინება განხორციელდა იმის გამო, რომ საქმეს იხილავდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და საქირო იყო სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა, ხოლო დანარჩენი 9 მივლინება განხორციელდა მიმღები სასამართლოს განტვირთვის მიზნით. მათი ხანგრძლიობა მერყეობდა 4 თვიდან 4 წლამდე¹⁸⁵. 4 შემთხვევის გარდა,¹⁸⁶ ყველა ამ მივლინების დროს, მოსამართლე უფლებამოსილებას ახორციელებდა პარალელურად საწყის სასამართლოში.

ქვემოთ მოცემულია მივლინებების დასაბუთება შესაბამისი სასამართლოებისა და თარიღების მითითებით.

ცხრილი #4

მოსამართლე	საიდან	სად	საწყისი თარიღი	ბოლო თარიღი	მითითებული საფუძველი
ლ. ცანავა	სოხუმის გუდაუთის	თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეჯი	5/6/2017	10/8/2022	სამოქალაქო საქმეთა კოლეჯის გადატვირთულობა. სოხუმის სასამართლოში მოსამართლეთა დატვირთულობა დაბალია - 4.5 საქმე თვეში. მივლინების ვადა გაგრძელდა ზედიზედ რამდენჯერმე ¹⁸⁷ .
დ. კეკელიძე	ფოთი	ბათუმი	6/10/2021	10/22/2021	ბათუმის საქალაქო სასამართლოში არის 14 შტატი და მხოლოდ 10 მოსამართლე. ფოთის სასამართლო არის ნაკლებად დატვირთული და ბათუმში გაიზარდა შემოსულ საქმეთა რაოდენობა. ამასთან, ფოთში კონკურსის შედეგად შეირჩა ერთი მოსამართლე.

სასამართლოების გადატვირთულობისა და იქ განსახილველ საქმეთა სიჭარბიდან გამომდინარე“. იხ., განმარტებითი ბარათი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/289974> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

¹⁸⁴ ინფორმაცია მიღებული იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემიდან. <http://hcoj.gov.ge/ka/> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]. მივლინებები განხორციელდა შემდეგ სასამართლოებში: თბილისის საქალაქო სასამართლო; ბათუმის საქალაქო სასამართლო; ქუთაისის საქალაქო სასამართლო; თელავის რაიონული სასამართლო; საჩხერის რაიონული სასამართლო; გალი გულრიფშის და ოჩამჩირე ტყვარჩელის სასამართლო; ამბროლაურის რაიონული სასამართლო; მცხეთის რაიონული სასამართლო; ცაგერის რაიონული სასამართლო; ზუგდიდის რაიონული სასამართლო; სოხუმის და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო

¹⁸⁵ გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემაში www.hcoj.gov.ge [ბოლოს ნანახია 23.12.2023] სიტყვა „მივლინების“ ჩაწერით.

¹⁸⁶ როინ კახიძე, მურთაზ კაკანაძე, ნინო ჩახნაშვილი, ეკატერინე კულულაშვილი.

¹⁸⁷ მივლინებული 2019 წლის ივნისიდან 2020 წლის ოქტომბრამდე. შემდეგ ახალი ვადით იქნა მივლინებული, რომელიც რამდენჯერმე გაგრძელდა.

ე. კულუღაშვილი	თბილისის საქალაქო	მცხეთა	8/12/2020	1/1/2021	მცხეთის რაიონის სასამართლოში არის 9 შტატი, მაგრამ რეალურად მუშაობს მხოლოდ 3 მოსამართლე
ი. ზარქუა	სოხუმი გაგრა გუდაუთის	თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში	5/6/2017	5/6/2019	სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადატვირთულობა. სოხუმის სასამართლოში მოსამართლეთა დატვირთვა დაბალია 4.5 საქმე თვეში. მივლინების ვადა გაგრძელდა რამდენჯერმე.
მურთაზ კაპანაძე	სამტრედია	ქუთაისის საქალაქო	6/15/2017	6/14/2019	ქუთაისში სისხლის კოლეგიიდან წავიდა ორი მოსამართლე და მათი 73 საქმე უნდა გადანაწილდეს დანარჩენ 2 მოსამართლეზე (რომელთაც წარმოებაში აქვთ 58 და 49 საქმე). სამტრედიაში 2 სისხლის მოსამართლეა, რომელთაც წარმოებაში აქვთ 19 და 7 საქმე. მივლინება მათ ერთხელ კიდევ გაუგრძელდათ.
მ. ბიჭია	ზუგდიდი	გალი გულრიფშის და ოჩამჩირე ტყვარჩელის	03/13/2018	03/13/2019	მისავლინებულ სასამართლოში მხოლოდ ერთი მოსამართლე არის უკვე მივლინებული და ისიც დატვირთულია. ამიტომ სისხლის საქმეები მ. ბიჭიამ უნდა განიხილოს ¹⁸⁸ .
დ. კეკელიძე	გალი გულრიფშის და ოჩამჩირე ტყვარჩელის	ზუგდიდი	6/24/2019	6/23/2020	ზუგდიდში არის სამი ვაკანტური თანამდებობა, რომლებიც კონკურსის შედეგად ვერ შეივსო. იმავდროულად, გალი გულრიფშის და ოჩამჩირე ტყვარჩელის სასამართლოს დატვირთულობა თვის განმავლობაში 13 საქმით განისაზღვრება.
ნ. ჯოხაძე	ოზურგეთი	ქუთაისის საქალაქო	6/24/2019	6/26/2021	ქუთაისის სასამართლოდან წავიდა 2 სისხლის მოსამართლე, რომელთა წარმოებაში არსებული 121 საქმე გადანაწილდა 1 სისხლის და 2 სამოქალაქო მოსამართლეზე. ამან გააუარესა სამოქალაქო სპეციალიზაციით მოსამართლეთა მდგომარეობა. ოზურგეთის მოსამართლე ნ. ჯოხაძეს წარმოებაში აქვს 60 საქმე და ისინი

¹⁸⁸ აღსანიშნავია რომ უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, 2018 წელს გალი გულრიფშის სასამართლოში განსახილველი იყო 133 სამოქალაქო და 5 სისხლის სამართლის საქმე, 2019 წელს 3 სისხლის სამართლის და 200 სამოქალაქო საქმე, ხოლო 2020 წელს 5 სისხლის სამართლის და 119 სამოქალაქო საქმე. იხ., <https://www.supremecourt.ge/> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

					გადანაწილება მის ორ კოლეგაზე. მივლინება გაგრძელდა ერთხელ.
ნ. ჩახნაშვილი	თბილისის საქალაქო	მცხეთა	8/12/2020	1/1/2021	მცხეთაში არის 9 შტატი და მხოლოდ 3 მოსამართლე.

როგორც ვხედავთ, უმრავლეს შემთხვევაში, კონკრეტული ციფრებით არ არის დასაბუთებული თუ რაში გამოიხატება მიმღები სასამართლოს დატვირთულობა. აქედან გამონაკლისია მურთაზ კაპანაძისა და ნანა ჯოხაძის შემთხვევები. მურთაზ კაპანაძის მივლინება დასაბუთებულია იმით, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიიდან (სადაც განხორციელდა მივლინება) წავიდა ორი მოსამართლე და მათი 73 საქმე უნდა გადნაწილდეს დანარჩენ 2 მოსამართლეზე, რომელთაც წარმოებაში აქვთ 58 და 49 საქმე, ხოლო სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (საიდანაც განხორციელდა მივლინება) 2 სისხლის მოსამართლეა, რომელთაც წარმოებაში აქვთ 19 და 7 საქმე¹⁸⁹.

ნანა ჯოხაძის მივლინების საჭიროება დასაბუთებულია იმით, რომ ქუთაისის სასამართლოდან წავიდა 2 სისხლის მოსამართლე, რომელთა წარმოებაში არსებული 121 საქმე გადნაწილდა 1 სისხლის და 2 სამოქალაქო მოსამართლეზე. ამან გააუარესა სამოქალაქო სპეციალიზაციით მოსამართლეთა მდგომარეობა¹⁹⁰.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში სასამართლოებს საშუალოდ მუდმივად განხილვაში აქვთ 200-დან 300-მდე საქმე (იხ., ზემოთ ცხრილი N.4 - წლის ბოლოს ნაშთის სახით არსებული საქმეები), რაც ზოგ სასამართლოში 1000-მდე აღწევს (იხ., ზემოთ გრაფიკა N. 20 - პილოტურ სასამართლოებში თითო მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეები), იმ მოტივით განხორციელებული მივლინება, რომ მიმღებ სასამართლოში მოსამართლეებს წარმოებაში აქვთ 58 და 49 საქმე, ვერ წარმოჩინდება როგორც მივლინების მიზნობრივად გამოყენება. შესაბამისად, კანონმდებლის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისკრეციის გაფართოება მოსამართლის მივლინებისთვის არ არის ნაკარნახევი საქმეთა ნაკადის დაძლევის მიზნებით, როგორც ეს კანონპროექტის ახსნა-განმარტებით ბარათში იყო მითითებული.

¹⁸⁹ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 12 ივნისის N. 1/196 გადაწყვეტილება.

¹⁹⁰ აღნიშნული ვითარება შეიქმნა იმის გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც რეალურად იყო მოსამართლეთა ზედმეტობა, გამოცხადდა კონკურსი და უვადოდ დაინიშნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლერი თედორაძე. (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის 1/62 გადაწყვეტილება). ხოლო მოსამართლე მურთაზ კაპანაძეს გაუვიდა მივლინების ვადა და დაბრუნდა სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (იხ., ცხრილი N. 4).

4.2.3.2. მოსამართლეთა გადაყვანა კონკურსის გარეშე ერთი თანამდებობიდან მეორეზე

საანგარიშო პერიოდში საერთო სასამართლოებში რაიონული და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების გადაყვანა კონკურსის გარეშე პოზიციიდან მეორე პოზიციაზე ხორციელდებოდა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 37-ე მუხლით, რომლის თანახმადაც: „ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში შესაძლებელია თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლე მისივე თანხმობით კონკურსის გარეშე დაინიშნოს რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე კონკურსის გარეშე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნება, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის 41-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს“.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-13¹ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკითხის ინიცირების საფუძველი შეიძლება იყოს: ა) სასამართლოში მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობის არარსებობა ან განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა; ბ) ორგანული კანონით გათვალისწინებული წესით ვაკანტურ ადგილებზე ახალი კონკურსის გამოუცხადებლობა, ან კონკურსის დადგენილ ვადაში ჩატარების შეუძლებლობა; გ) მოსამართლის განცხადება სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნის თაობაზე.

აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს მოსამართლის უკონკურსოდ გადაყვანის დროს „საწყისი“ სასამართლოს დატვირთულობას ან მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობას, რომლებიც ნაწილდება სხვა მოსამართლეებზე და რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი გადატვირთულობა და საქმეთა განხილვის გაჭიანურება¹⁹¹.

2017-22 წლებში 29-ჯერ მოხდა კონკურსის გარეშე საკითხის ინიცირება, როგორც სააპელაციო ასევე რაიონულ სასამართლოებში. აქედან თბილისის სააპელაციო სასამართლოში საკითხის ინიცირება მოხდა 16-ჯერ, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 14-ჯერ¹⁹².

აღნიშნული 29 გადაწყვეტილებიდან 27-ში საკითხის ინიცირების საფუძველად მითითებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-13¹ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (ა) სასამართლოში მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობის არარსებობა ან განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებში მხოლოდ მითითებულია რეგლამენტის შესაბამისი ნორმა, თუმცა არ არის დასაბუთებული რაში გამოიხატება მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობის არარსებობა ან განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა.

¹⁹¹ იხ., იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/56 2017 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება №1/56 საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ, მე-4 მუხლის მე-16 პუნქტი: მოსამართლის მიერ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების გამოყენებისას, ასევე მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის, სხვა სასამართლოში/კოლეგიაში/პალატაში გადასვლის ან სხვა სასამართლოში მივლინების შემთხვევაში, მის წარმოებაში არსებული საქმეები ნაწილდება სხვა მოსამართლეებზე ამ მუხლის შესაბამისად. <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/4/1-56.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁹² შესაბამისი გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საძიებო სისტემაში www.hcoj.gov.ge [ბოლოს ნანახია 23.12.2023] სიტყვების „კონკურსის გარეშე“ ჩაწერით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის¹⁹³ და 2021 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებებში¹⁹⁴ საკითხის ინიცირების საფუძვლად მითითებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-13¹ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი (მოსამართლის განცხადება სხვა სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნის თაობაზე).

იუსტიციის უმაღლესი საბჭო 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით, საკითხი ინიცირებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (1 შტატი) და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში (1 შტატი), კონკურსის გარეშე მოსამართლის დასანიშნად. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული ვისი განცხადებით მოხდა საკითხის ინიცირება, თუმცა აღნიშნული საკითხის ინიცირების და კონკურსის გარეშე მოსამართლედ გამწესების შედეგად ადმინისტრაციული თანამდებობები შეიცვალეს მოსამართლეებმა - დიმიტრი გვრიტიშვილმა და ვასილ მშვენიერაძემ¹⁹⁵. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით, ინიცირებული იქნა საკითხი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში უკონკურსო წესით მოსამართლის დანიშვნის შესახებ¹⁹⁶. აღნიშნული პროცედურის შედეგად, სიღნაღის რაიონული სასამართლოდან მოსამართლე გაყვანილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში¹⁹⁷.

პროექტმა შეისწავლა 2021-22¹⁹⁸ წლებში კონკურსის გარეშე მოსამართლეთა გადაყვანის პრაქტიკა¹⁹⁹, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ აღნიშნული ნორმა არ გამოიყენება სასამართლო სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით და რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო აგრძელებს ამ ნორმის გამოყენებას არა საქმეთა ნაკადის მართვის საჭიროების, არამედ კანონით დადგენილი რეგულაციის გვერდის ავლით მოსამართლეთა დაწინაურების²⁰⁰, „ფავორიტი“ მოსამართლეების

¹⁹³ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის N. 1/106 განკარგულება <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/106-2020.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁹⁴ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 2 მარტის N. 1/12 განკარგულება <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/3/12-2021.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁹⁵ იხ., საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულებები <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/112-2020.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023] და <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/111-2020.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]; აგრეთვე, საერთაშორისო გამჭვირვალობა, „მოსამართლეთა დაწინაურება, სისტემური და პრაქტიკული გამოწვევები“, 2021, გვ. 36 <https://transparency.ge/ge/post/mosamartleta-dacinaureba-sistemuri-da-praktikuli-gamocvevebi> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁹⁶ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 2 მარტის N. 1/12 განკარგულება <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/3/12-2021.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁹⁷ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 მარტის N. 1/18 განკარგულება <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/3/18-2021.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

¹⁹⁸ 2015-20 წლებში მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის პრაქტიკა შეწავლილი იქნა საერთაშორისო გამჭვირვალობის კვლევით: „მოსამართლეთა დაწინაურება, სისტემური და პრაქტიკული გამოწვევები,“ 2021. <https://transparency.ge/ge/post/mosamartleta-dacinaureba-sistemuri-da-praktikuli-gamocvevebi> [ბოლოს ნანახია 22.09.2023] შესაბამისად ეს პრაქტიკა პროექტის მიერ აღარ იქნა ცალკე შესწავლილი.

¹⁹⁹ გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემაში www.hcoj.gov.ge [ბოლოს ნანახია 23.12.2023] სიტყვა „მოსამართლედ დანიშვნის“ ჩაწერით.

²⁰⁰ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 41-მუხლით გათვალისწინებულია მოსამართლეთა დაწინაურება კრიტერიუმების გამოყენებით, რომელიც უნდა შეიმუშაოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ. ეს კრიტერიუმები დღეს არ არსებობს, შესაბამისად, კანონის 37-ე მუხლის გამოყენება ხდება 41-ე მუხლის გვერდის ავლით მოსამართლეთა დასაწინაურებლად. იხ., საერთაშორისო გამჭვირვალობის კვლევა: „მოსამართლეთა დაწინაურება, სისტემური და პრაქტიკული გამოწვევები“, 2021, გვ. 4.5. <https://transparency.ge/ge/post/mosamartleta-dacinaureba-sistemuri-da-praktikuli-gamocvevebi> [ბოლოს ნანახია 10.25.2023]

წახალისების, ადმინისტრაციულ თანამდებობებზე გავლენიანი მოსამართლეების როტაციის მიზნით²⁰¹, კერძოდ:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საძიებო სისტემაში იძებნება 2021-22 წლებში მოსამართლის უკონკურსო გადაყვანის სულ 17 გადაწყვეტილება, სადაც 13 შემთხვევაში პირველი ინსტანციის მოსამართლე გადავიდა სააპელაციო სასამართლოში²⁰².
- საშუალოდ დატვირთული (ბოლნისი, ახალციხე), საშუალოზე მეტად დატვირთული (თბილისი) და გადატვირთული (ბათუმი) სასამართლოებიდან 11 მოსამართლე გადაყვანილი იქნა ნაკლებად დატვირთულ სასამართლოში - თბილისის სააპელაციო სასამართლოში²⁰³.
- დატვირთული სასამართლოებიდან მოსამართლის უკონკურსოდ გადაყვანის დროს მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეები უნაწილდება სხვა მოსამართლებს, რითაც კიდევ უარესდება ამ სასამართლოების მდგომარეობა²⁰⁴.
- მოსამართლე ირაკლი ბონდარენკო გადაყვანილი იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და დანიშვნის დღესვე (23 მარტს) დაინიშნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად²⁰⁵, ხოლო 4 თვის შემდეგ დაინიშნა ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ²⁰⁶.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი თეა ლეონიძე დაწინაურდა ბოლნისის რაიონული სასამართლოდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რის შემდეგაც მან საბჭოს წევრობა დატოვა²⁰⁷. გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე შალვა კაკაურიძე გადაყვანილი იქნა გორის სასამართლოდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში²⁰⁸, ხოლო კობა გოცირიძე გადაყვანილი იქნა ქობულეთის მაგისტრატი სასამართლოდან გორის რაიონულ სასამართლოში. მას დაეკისრა გორის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება²⁰⁹.

²⁰¹ ანალოგიურ დასკვნებს შეიცავს საერთაშორისო გამჭვირვალობის კვლევა: „მოსამართლეთა დაწინაურება, სისტემური და პრაქტიკული გამოწვევები“, 2021 გვ. 4, 5. <https://transparency.ge/ge/post/mosamartleta-dacinaureba-sistemuri-da-praktikuli-gamocvevebi> [ბოლოს ნანახია 10.25.2023]

²⁰² ამავე წესით, 2015-2020 წლებში 35 მოსამართლე იქნა დაწინაურებული. საერთაშორისო გამჭვირვალობა, „მოსამართლეთა დაწინაურება, სისტემური და პრაქტიკული გამოწვევები“, 2021, გვ. 29. <https://transparency.ge/ge/post/mosamartleta-dacinaureba-sistemuri-da-praktikuli-gamocvevebi> [ბოლოს ნანახია 10.25.2023]

²⁰³ სასამართლოთა დატვირთულობის შესახებ იხ., ზემოთ, გრაფიკა N.29.

²⁰⁴ იხ., შენიშვნა 204.

²⁰⁵ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 16 მარტის N.1/22 განკარგულება <http://hcoj.gov.ge/Uploads/2022/10/22.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

²⁰⁶ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 18 ივლისის N. 1/169 განკარგულება <http://hcoj.gov.ge/Uploads/2022/9/69-2022.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

²⁰⁷ ნეტგაზეთი, „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორმა წევრმა პოსტი ვადამდე დატოვა“. <https://netgazeti.ge/law/572982/> [ბოლოს ნანახია 10.25.2023]

²⁰⁸ იხ., იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 7 ნოემბრის N. 1/121 განკარგულება <http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/1/121-2022.pdf>. [ბოლოს ნანახია 10.25.2023]; იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავადვე აღიარებს რომ გორის რაიონული სასამართლო არის „დატვირთული“ სასამართლო და ამ დროს იღებს გადაწყვეტილებას გორის რაიონულ სასამართლოზე უფრო ნაკლებად დატვირთულ სასამართლოში მოსამართლის გადაყვანის თაობაზე

²⁰⁹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 7 ნოემბრის 1/121 განკარგულება <http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/1/121-2022.pdf> [ბოლოს ნანახია 10.25.2023]

- მოსამართლე ალექსანდრე გზირიშვილი²¹⁰ გადაყვანილი იქნა მცხეთიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო იმავე გადაწყვეტილებით, მოსამართლე რომან კუპატაძე რუსთავიდან მცხეთის სასამართლოში გადაიყვანეს²¹¹.
- მიუხედავად იმისა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, მოსამართლის უკონკურსოდ დანიშვნის პროცედურებში მრავალი კანდიდატი მონაწილეობდა და გადაწყვეტილება მიღებული იქნა მხოლოდ ერთის სასარგებლოდ, არ არის დასაბუთებული თუ რატომ მიენიჭა ამ კონკრეტულ კანდიდატს უპირატესობა სხვებთან შედარებით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები დასაბუთებულია შაბლონურად, ერთი და იგივე ტექსტებით: „მოსამართლეს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება, რაც ქმნის საფუძველს რომ წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ უფლებამოსილებას“, „შესწევს უნარი შეასრულოს დაკისრებული უფლებამოსილებები ნებისმიერი სირთულის თუ დატვირთვის პირობებში“, აქვს „მრავალწლიანი გამოცდილება და მოტივაცია“, „აქვს უნარი განაგრძოს მუშაობა მაღალი დატვირთვის პირობებში“.

	მოსამართლე	გადაწყ. თარიღი	საიდან გადავიდა	სად გადავიდა
1	პაატა ნოზაძე	03.17.2021	სიღნაღის რაიონული	თბილისის საქალაქო სასამართლო
2	თეა ლეონიძე	06.18.2021	ბოლნისის რაიონული სასამართლო	თბილისის სააპელაციო სასამართლო
3	თამარ ოქროპირიძე	06.18.2021	თბილისის საქალაქო სასამართლო	თბილისის სააპელაციო სასამართლო
4	დავით მამისეიშვილი	07.29.2021	ბათუმის საქალაქო სასამართლო	თბილისის სააპელაციო სასამართლო
5	გოჩა ჯეირანაშვილი	07.29.2021	ახალციხის რაიონული სასამართლო	თბილისის სააპელაციო სასამართლო
6	ეკატერინე კულუღაშვილი	07.29.2021	თბილისის საქალაქო სასამართლო	თბილისის სააპელაციო სასამართლო
7	ლავრენტი მალაქელიძე	07.29.2021	თბილისის საქალაქო სასამართლო	თბილისის სააპელაციო სასამართლო
8	ირაკლი ბონდარენკო	03.16.2022	თბილისის სააპელაციო სასამართლო	ქუთაისის სააპელაციო სასამართლო
9	მადი ჩანტლაძე	10.13.2022	თბილისის საქალაქო სასამართლო	თბილისის სააპელაციო სასამართლო

²¹⁰ ალექსანდრე გზირიშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრის ლევან გზირიშვილის შვილია. ჯერ კიდევ მისი მოსამართლე გამწესების დროს არასამთავრობო სექტორი ყურადღებას ამახვილებდა სავარაუდო ნეპოტიზმის ნიშნებზე. საერთაშორისო გამჭვირვალობა, მოსამართლეთა დაწინაურება, სისტემური და პრაქტიკული გამოწვევები, 2021, გვ. 33 https://transparency.ge/sites/default/files/mosamarleta_dacinaureba_2.pdf [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

²¹¹ ამ გადაადგილებამ გამოიწვია სამოსამართლო კადრის ნაკლებობა რუსთავის საქალაქო სასამართლოში. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის ანგარიში (რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 იანვრის წერილი).

10	ნინო მამულაშვილი	10.13.2022	თბილისის საქალაქო სასამართლო	თბილისის სააპელაციო სასამართლო
11	შალვა კაკაურიძე	10.13.2022	გორის რაიონული სასამართლო	თბილისის სააპელაციო სასამართლო
12	ნათია მერაბიშვილი	10.13.2022	თბილისის საქალაქო სასამართლო	თბილისის სააპელაციო სასამართლო
13	გიორგი კერატიშვილი	10.13.2022	თბილისის საქალაქო სასამართლო	თბილისის სააპელაციო სასამართლო
14	რომან კუპატაძე	10.13.2022	რუსთავის საქალაქო სასამართლო	მცხეთის რაიონული სასამართლო
15	კობა გოცირიძე	10.13.2022	ქობულეთის მაგისტრატი სასამართლო	გორის რაიონული სასამართლო
16	ალექსანდრე გზირიშვილი	10.13.2022	მცხეთის რაიონული სასამართლო	თბილისის საქალაქო სასამართლო
17	მალხაზ ჩუბინიძე	10.13.2022	წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლო	ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსამართლის გადაყვანამ შესაძლოა მნიშვნელოვანი შეფერხებები გამოიწვიოს საწყის სასამართლოში.

*„მოსამართლის შეცვლის დროს, საქმე შეიძლება 2 წელი დარჩეს უძრავად. ახალ მოსამართლეს შეიძლება იმდენი საქმე ჰქონდეს, რომ ორი წელი ვერ მოახერხოს სხდომის დანიშვნა“.*²¹²

*„რაიონებიდან თბილისში, სააპელაციოში გადაყავთ მოსამართლეები ისე, რომ მათი ჩანაცვლება არ ხდება. მათი საქმეები დანარჩენებზე ნაწილდება, ზოგჯერ ისეც ყოფილა, შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლე არ დარჩენილა და სხვა სპეციალიზაციის მოსამართლეებისთვის დაუწერიათ საქმე. ასე ფორსმაჟორულად როგორ შეძლებს მაგალითად სამოქალაქო მოსამართლე ყაჩაღობის საქმის განხილვას. საქმეები მინახავს, მეხუთე მოსამართლე ვყოფილვარ, ვისთანაც მოხვედრილა და ზოგს საერთოდ ვერ მოუსწრია რამე მოქმედების ჩატარება“.*²¹³

²¹² 10 მაისის ფოკუს ჯგუფი ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან. საქმეზე მოსამართლეების ცვლას როგორც გაჭიანურების ხელშემწყობ ფაქტორს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოც ხაზგასმით აღნიშნავს: „უდავოა, რომ მოსამართლეების მრავალგზის შეცვლამ საქმის გაჭიანურება გამოიწვია ვინაიდან ყველა ახალ მოსამართლეს თავიდან მოუწია საქმის გაცნობა, თუმცა ეს ვერ ამართლებს სახელმწიფოს, რომელიც პასუხისმგებელია მართლმსაჯულების განხორციელების ჯუროვან ორგანიზებაზე“. იხ., ლეჩენერი და ჰესი ავსტრიის წინააღმდეგ, 1987 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება, პარ. 58.

²¹³ მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

4.3.3.3. სასამართლოს (პალატის, კოლეგიის) თავმჯდომარეების მიერ საქმეთა მცირე რაოდენობით განხილვა

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებებით²¹⁴, 31 დეკემბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონი და შეიცვალა სასამართლოებში საქმეთა განაწილების მანამდე არსებული წესი. თუკი მანამდე სასამართლოების თავმჯდომარეები მოსამართლეთა წინასწარ განსაზღვრული რიგითობით ანაწილებდნენ, 2017 წლიდან რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით. განაწილების წესს ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო²¹⁵.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევითობის პრინციპთან ერთად ითვალისწინებს საქმეთა განაწილების თანაბრობის პრინციპს²¹⁶, რომელიც გულისხმობს შემოსული საქმეების მოსამართლეთა შორის **თანაბარ** განაწილებას, მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეების გათვალისწინების გარეშე²¹⁷. ამასთან, გადაწყვეტილება ადგენს გამოწვევის შემთხვევებს, რა დროსაც შემთხვევითი ან თანაბარი განაწილების პრინციპიდან ხდება გადახვევა²¹⁸.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ითვალისწინებს საშედავათო დატვირთვას ადმინისტრაციული თანამდებობების მქონე მოსამართლეებისათვის, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია ასახული.

²¹⁴ 2017 წლის 8 თებერვლის ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3536739?publication=0#DOCUMENT:1> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

²¹⁵ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება №1/56 საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ, <http://hcoi.gov.ge/Uploads/2021/4/1-56.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

²¹⁶ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება №1/56 საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

²¹⁷ იქვე, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი: ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს მოსამართლეთათვის საქმეთა შეძლებისდაგვარად თანაბარ განაწილებას, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთაგან წარმოებაში არსებულ საქმეთა რაოდენობის გათვალისწინების გარეშე.

²¹⁸ მაგალითად, ერთმანეთთან დაკავშირებული განცხადებების და საქმეების შემოსვლის, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების, საქმის აცილების, მოსამართლის მორიგეობის, შვებულების, დროებითი შრომისუუნარობის და სხვა შემთხვევებში. იქვე, მუხ. 3, 4.

ცხრილი #5

	თანამდებობა	საქმეთა განაწილების პროცენტული მაჩვენებელი
1	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	20%
2.	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც, იმავდროულად, არის სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე	10%
3	სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე (იქ სადაც 7-ზე ნაკლები მოსამართლეა)	50%
4	სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე (იქ, სადაც 7-ზე მეტი მოსამართლეა)	20%
5	საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე და კოლეგიის თავმჯდომარე (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული განსჯადი საქმეებისა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი, განსაკუთრებულ შემთხვევებში	5%

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება საქმეთა განაწილების წესის დამტკიცების თაობაზე არ ასაბუთებს - რა საფუძვლების გამო ენიჭებათ ამ თანამდებობის პირებს დადგენილი შეღავათები.

ყურადღებას იქცევს ცხრილის მე-5 მწკრივში მოცემული თანამდებობის პირებთან არსებული ჩანაწერი „განსაკუთრებულ შემთხვევაში“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ თანამდებობაზე მყოფი მოსამართლეები საქმეებს უნდა იხილავდნენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და ისიც არაუმეტეს 5 პროცენტისა.

აღნიშნული ჩანაწერი წინააღმდეგობაშია საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 25-ე მუხლის პირველ პუნქტთან, რომელიც ადგენს, რომ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე „პირადად“ განიხილავს საქმეებს. ამ ვალდებულების შესასრულებლად კანონი რაიმე წინაპირობას არ ადგენს. ამასთან ერთად, ჩანაწერი ბუნდოვანია და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მისი განმარტების კრიტერიუმებს არ იძლევა.

2010 წელს სასამართლოების სესტემაში შეიქმნა სასამართლოს მენეჯერის პოზიცია, რომელსაც დაევალა აპარატის ორგანიზაციული ხელმძღვანელობა²¹⁹. სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს

²¹⁹ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი.

უფლება მისი ადმინისტრაციული ფუნქციების ნაწილის დელეგირება მოახდინოს მენეჯერზე²²⁰, რაც მას გამოუთავისუფლებს მეტ დროს საქმეების განსახილველად.

რაც შეეხება კოლეგიებისა და პალატების თავმჯდომარეებს, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის თანახმად, მათ რაიმე საგანგებო ადმინისტრაციული ფუნქციები არ გააჩნიათ²²¹, შესაბამისად, გაუგებარია მათთვის საქმეთა დაწერის დროს 50, 20 და 5 პროცენტიანი შეღავათების დაწესება.

სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021-2022 წლების ანგარიშებში ხაზგასმულია მოსამართლეთა გადატვირთულობის პირობებში ამ წესების პრობლემურობა და მოყვანილია შემდეგი რიცხვები:

სახელი და გვარი	თანამდებობა	დროის პერიოდი	განაწილებული საქმეების რაოდენობა	იმავ კოლეგიის (პალატის) მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების საშუალო რაოდენობა
შალვა თაღუმაძე	უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის თავმჯდომარე	2021 წლის 11 თვე	24	370
გიორგი მიქაუტაძე	უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე	2021 წლის 11 თვე	15	143
ნინო ქადაგიძე	უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ადმ. საქმეთა პალატის თავმჯდომარე	2021 წლის 11 თვე	2	161
ირაკლი ბონდარენკო	ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე	2022 წლის 11 თვე	3	222
მიხეილ ჩინჩალაძე	თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე და საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარე	2022 წლის 11 თვე	27	368

²²⁰ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი.

²²¹ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კოლეგიის (პალატის) თავმჯდომარე დროებით ასრულებს სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას მისი არ ყოფნისას. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მუხ. 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

რეალურად ადმინისტრაციული თანამდებობების მქონე მოსამართლეთა ნაკლები დატვირთვა ავტომატურად გულისხმობს მათივე კოლეგა მოსამართლეების მეტ დატვირთვას.

საბოლოო ჯამში, საქმეთა განაწილების ეს საშედავათო წესი არ უწყობს ხელს სასამართლოს ეფექტურ საქმიანობას, არამედ მიმართულია გარკვეული პირებისთვის შეღავათის მინიჭებისკენ.

*„მე არ ვიცი რა დატვირთვა აქვთ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფ მოსამართლებს სამოსამართლო საქმიანობის მიღმა, რომ ვთქვა რამდენად არის ეს შეღავათები სწორად დადგენილი, თუმცა არათანაბრობა გავლენას ახდენს საქმეების დაგროვებაზე“.*²²²

4.2.3.4. მოსამართლეთა სპეციალიზაციის საკითხი

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის რეკომენდაციით, „მოსამართლეების და სასამართლო აპარატის სპეციალიზაციას შეუძლია შეამციროს საქმეთა განხილვისთვის საჭირო დრო და გააუმჯობესოს საქმეთა განხილვის ხარისხი“.²²³ სპეციალიზაცია შეიძლება განხორციელდეს სამართლის ამა თუ იმ დარგში, ან საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში²²⁴.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით, შექმნილია სპეციალიზებული პალატები საკასაციო და სააპელაციო სასამართლოებში. კანონი ასევე ითვალისწინებს მოსამართლეთა სპეციალიზაციას რიონულ (საქალაქო) სასამართლოებში²²⁵.

საქართველოს კანონმდებლობა მოსამართლის პროფესიაში შესვლის საწყის ეტაპზე ითვალისწინებს მისი სპეციალიზაციის განსაზღვრას და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, პირებს ენიჭებათ სპეციალიზაცია სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის, ან საერთო სპეციალიზაციის მიხედვით²²⁶. ამის მიუხედავად, კანონი არ ავალდებულებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და სკოლას გაითვალისწინოს კანდიდატის სპეციალიზაცია სამოსამართლო სწავლების ან სამოსამართლო

²²² პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.

²²³ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), p. 38, <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 22.08.2023] იხ., აგრეთვე: ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრება 2012 N. 15., პარ. 18. მოსამართლეთა სპეციალიზაციის თაობაზე <https://rm.coe.int/ccje-opinion-2012-no-15-on-the-specialisation-of-judges/16809f0078> [ბოლოს ნანახია: 22.08.2023]; „კანონი გახდა ისეთი კომპლექსური ან სპეციფიური გარკვეულ საკითხებში, რომ საქმეთა ჯეროვანი განხილვა ამ დარგებში მოითხოვს სპეციალიზაციის უფრო მაღალ ხარისხს“. (პარ. 28); ამასთან ერთად, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ყურადღებას ამახვილებს გარკვეულ საფრთხეებზე: სპეციალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს პროცესუალური და მატერიალური სამართლის „კომპარტმენტალიზაცია“ და სპეციალიზებული მოსამართლეები მოწყვიტოს სხვა დარგებში არსებულ სამართლებრივ რეალობებს და სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს (პარ. 16); შესაბამისად, CCJE რეკომენდაციას გასცემს, რომ მართლმსაჯულება განახორციელონ უპირატესად „გენერალისტ“ მოსამართლეებმა და სპეციალიზაცია შემოღებული იქნას მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია სამართლის ან ფაქტების კომპლექსურობის ან მართლმსაჯულების ჯეროვანი ადმინისტრირების საჭიროებიდან გამომდინარე (პარ. 67).

²²⁴ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრება 2012 N. 15., პარ. 18. მოსამართლეთა სპეციალიზაციის თაობაზე, პარ. 5. <https://rm.coe.int/ccje-opinion-2012-no-15-on-the-specialisation-of-judges/16809f0078> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

²²⁵ საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-15-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

²²⁶ იხ., 2018 წლის 19 მარტის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ <https://shorturl.at/gBJQ5> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

კარიერის სხვადასხვა ეტაპზე. მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის გათვალისწინებით იუსტიციის სკოლაში ჩასარიცხ პირთა შერჩევას, იუსტიციის საბჭო არ ყოფს ვაკანსიებს კონკრეტული დარგის მიხედვით²²⁷. სკოლაში სწავლების ოთხივე ეტაპზე (თეორიული კურსი, სტაჟირება, სემინარული მუშაობა, დამამთავრებელი გამოცდა) მიმდინარეობს ყველა დარგის სწავლება/შეფასება²²⁸. მოსამართლედ დანიშვნის ეტაპზე კანდიდატი არ არის შეზღუდული განაცხადოს თავისი სპეციალიზაციისგან განსხვავებულ დარგში დანიშვნა, ასევე კანდიდატისთვის სასურველი სპეციალიზაციით დანიშვნის შეუძლებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია მისთვის ალტერნატივად განსხვავებული დარგით დანიშვნის შეთავაზება²²⁹. მოსამართლეთა შიდა გადაყვანის ან დაწინაურების შემთხვევაშიც შესაძლებელია მისი დანიშვნა სხვა კოლეგიაში ან პალატაში მისი საგამოცდო სპეციალიზაციის გათვალისწინების გარეშე²³⁰.

კვლევის მიზნებისთვის გამოკითხული რესპონდენტები საქმეთა გაჭიანურების ხელშემწყობ ფაქტორად ასახელებენ სამართლის ერთ დარგში სპეციალიზებული მოსამართლეების მიერ სხვა დარგს მიკუთვნებული საქმეების განხილვას.

*„მე ვარ სისხლის სამართლის სპეციალისტი. სისხლის პროცესზე რომ ვზივარ, როგორც თევზი წყალში, ისე ვარ. ადმინისტრაციულში რომ ვნიშნავ საქმის განხილვას, მეტ დროს ვანდომებ მოშადებას. გაჭიანურებული მაქვს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები“.*²³¹

*„ერთეული შემთხვევები არ იქნებოდა პრობლემა, მაგრამ ბევრია ასეთი მოსამართლე და უარყოფითი გავლენა აქვს საქმის ეფექტიან განხილვაზე. სისხლის მოსამართლე სამოქალაქო საქმეს ისე ეფექტიანად ვერ განიხილავს, როგორც სამოქალაქო. დროც მეტი დასჭირდება, შეცდომების ალბათობაც მეტია. შესაბამისად, უფრო მოსალოდნელია ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება“.*²³²

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი ითვალისწინებს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციას სააპელაციო სასამართლოში, ასევე საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობის მქონე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა²³³.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია ხორციელდება მხოლოდ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოში სპეციალიზაცია ხორციელდება 16 (სამოქალაქო - 6, ადმინისტრაციული - 4, სისხლი - 6), ხოლო სააპელაციო სასამართლოში 11 (სამოქალაქო 6, ადმინისტრაციული - 2, სისხლის - 3) სფეროში.

²²⁷ იხ., მაგ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 24 მაისის განკარგულება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ <http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/6/55-2023.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

²²⁸ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მუხლები 66¹² და 66¹³ ; იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდების მუხლები 7, 15, 20-23-ე <https://www.hsoj.ge/uploads/tsesdeba.pdf> [ბოლოს ნანახია: 27.09.2023]; ნიმუშად იხ., იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/69, 5 ივნისი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია - <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2020/69.pdf> [ბოლოს ნანახია 27.09.2023]

²²⁹ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

²³⁰ საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ასევე 37-ე და 41-ე მუხლები.

²³¹ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

²³² პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, კაცი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.

²³³ საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 23-ე მუხლის მე-2¹ პუნქტი და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში ვიწრო სპეციალიზაციების განსაზღვრა, რაიმე წინასწარი კვლევის საფუძველზე, არ მომხდარა²³⁴.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია ხორციელდება დავის კატეგორიების (სანივთო, ვალდებულებითი, საგადასახადო), ასევე დავის საგნის ღირებულების (500,000 ლარს ზემოთ, ასევე, სასესხო დავებზე 5,000 ლარის ქვემოთ), დავის განხილვის ეტაპების (საგამოძიებო, წინასასამართლო, არსებითი განხილვის), საქმის განხილვის ფორმის (ნაფიც მსაჯულთა სასამართლო) და პროცესუალური სუბიექტების (არასრულწლოვნები) მიხედვით²³⁵.

ვიწრო სპეციალიზაცია ხორციელდება ასევე ერთმანეთთან დაუკავშირებელ სამართლებრივ საკითხებშიც: მაგალითად, სქესობრივი დანაშაულები და სამოხელეო დანაშაულები თავმოყრილია ერთ სპეციალიზაციაში, ხოლო ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და ფინანსური დანაშაულები თავმოყრილია მეორე მეორე სპეციალიზაციაში. როგორც ჩანს, დარგობრივი სპეციალიზების შიგნით დავის საგნის მიხედვით დაჯგუფებისას იუსტიციის საბჭო პრიორიტეტს არ ანიჭებს საქმეთა თემატურ სიახლოვეს.

სასამართლო სისტემის რეფორმის 2017-2021 წლების სტრატეგიის პროგრეს ანგარიშით, 2016 წლის ბოლოს თბილისის საქალაქო სასამართლოში 5000 ლარამდე სასესხო დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაციის მქონე პალატის შექმნა განხილულია როგორც საქმეთა ნაკადის მართვისა და გაჭიანურების შემცირების ეფექტური მექანიზმი. ანგარიშში მითითებულია შემდეგი:

„ძველი, ნაშთად დარჩენილი საქმეების შემცირების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2016 წლის ბოლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში განსაზღვრა მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია, რომელიც განიხილავს საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავებს, თუ სარჩელის ფასი 5 000 ლარს


²³⁴ საერთაშორისო გამჭვირვალობა, ვიწრო სპეციალიზაციის ფორმა საერთო სასამართლოების სისტემაში, 2020, გვ. 51 <https://transparency.ge/ge/post/vicro-specializaciebis-porma-saerto-sasamartloebis-sistemashi> [ბოლოს ნანახია 10.25.2023]. „ძალიან ზოგადია ვიწრო სპეციალიზაციების შექმნის შესახებ პროცედურა. რომელიმე მოსამართლეს, ძირითადად საბჭოს მდივანს, შემოაქვს ხოლმე პროექტი და უბრალოდ გვეუბნებიან, რომ აი, ეს საჭიროა. მაგალითად წინასაარჩევნოდ მანსოვს, თქვეს, რომ საარჩევნოდ საჭიროა რაღაც ტიპის ცვლილებები ამ სპეციალიზაციებში. არაფერი რაიმე საფუძვლიანი, ან კვლევა არ უძღოდეს ამას წინ, ან რაიმე სტატისტიკური ინფორმაცია, ან რაიმე ისეთი ანალიზი, რომელიც დაგვარწმუნებს, რომ დიახ, ეს სპეციალიზაციები უნდა შეიქმნას, არ არსებობს. არსებობს მხოლოდ პროექტი და შემდეგ იმართება მსჯელობა ზეპირი, რომელიც ძალიან ზოგადია. საჭიროებების კვლევა არ ხდება“.

²³⁵ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს დადგენილება N. 9 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ, პირველი მუხლის ა.ვ. ქვეპუნქტი http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/4/9_1.pdf [ბოლოს ნანახია 10.25.2023]; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 11 აგვისტოს დადგენილება N. 10 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ, პირველი მუხლის ა.გ. ქვეპუნქტი <http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/4/10.pdf> [ბოლოს ნანახია 10.25.2023]

არ აღემატება. სპეციალიზებული მოსამართლეების მიერ, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ათასობით სარჩელის ვადებში ეფექტიანმა მართვამ, მართლმსაჯულების პროცესის დაჩქარება გამოიწვია“.²³⁶

CEPEJ-ის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, სამოქალაქო საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2016-2022 წლებში შემდეგ მონაცემებში გამოიხატება²³⁷.

გრაფიკა #42




მეორე მხრივ, სასესხო დავების განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობა 2016-2022 წლებში შემდეგია²³⁸:

²³⁶ სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესის ანგარიში. გვ. 80-84, <https://shorturl.at/dsF57> [ბოლოს ნანახია 10.25.2023]

²³⁷ სავარაუდო ხანგრძლივობა გამოთვლილია ფორმულით: წლის ბოლოს არსებული ნაშთი გავყოთ წლის განმავლობაში შემოსულ საქმეთა რაოდენობაზე და გავამრავლოთ 365-ზე. საქმეთა რაოდენობები მიღებულია უზენაესი სასამართლოს საიტზე არსებული სტატისტიკური ინფორმაციიდან და უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 12 აპრილის 3-248-23 წერილის საფუძველზე.

²³⁸ მონაცემები მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდიდან <https://tcc.court.ge/> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]. სრულად ხელმისაწვდომია მხოლოდ 2016, 2017, 2018, 2020, 2022 წლების მონაცემები.



როგორც ვხედავთ, სესხიდან გამომდინარე დავებისთვის ცალკე სპეციალიზაციის შექმნას საქმეთა განხილვის დაჩქარების კუთხით რაიმე განსაკუთრებული შედეგი არ ჰქონია. პირიქით, სამოქალაქო საქმეთა განხილვის სავარაუდო ვადები 2016-2020 წლებში უფრო გაიზარდა.

მეორე მხრივ, თავად სესხიდან გამომდინარე დავების ხანგრძლივობა თბილისის საქალაქო სასამართლოში ორჯერ და სამჯერ აღემატება მთლიანად სამოქალაქო საქმეების ხანგრძლივობას.

ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ვიწრო სპეციალიზაცია **მხოლოდ** სარჩელის ფასის მიხედვითაა განსაზღვრული სამოქალაქო საქმეებზე და ეს ეხება დავებს, სადაც სარჩელის ფასი აღემატება 500 000 ლარს (ე.წ. კომერციული დავების პალატა (კოლეგია)²³⁹.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სპეციალიზაცია გულისხმობს მოსამართლის „დახელოვნებას“ კონკრეტული მიმართულებით. შესაბამისად, სადავო თანხის მიხედვით, მოსამართლის ვიწრო სპეციალიზაცია საერთოდ არ შეიძლება მივიჩნიოთ „სპეციალიზაციად“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

არ არსებობს ვიწროდ სპეციალიზებულ პალატაში ან კოლეგიაში მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის წესი ან მათი გამწესების რაიმე კრიტერიუმი ან წესი. ამ პალატებში ან კოლეგიაში მოსამართლეთა დანიშვნა მათი სურვილის ან სხვა გაუჭვირვალე ფაქტორების გათვალისწინებით ხდება²⁴⁰.

ზოგადად, პროექტის მიერ გამოკითხული რესპონდენტები მიესალმებიან ვიწრო სპეციალიზაციით საქმეთა განხილვას, რადგან ამ მიდგომით საქმეთა მართვა უზურუნველყოფს პროცესის

²³⁹ შეიქმნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 24 ივლისის N1/238 და 2018 წლის 30 აპრილის N. 1/175 გადაწყვეტილებების - http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/250-2017.pdf?fbclid=IwAR1wEsgi9lkWNoSu0rR_e0cXZV0AQYHI9c6mh [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]; <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/175-2018.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023] - საფუძველზე.

²⁴⁰ საერთაშორისო გამჭვირვალობის კვლევა, გვ. 29, 46.

ეკონომიურობას, ამდღებს გადაწყვეტილებების ხარისხს და ამცირებს გასაჩივრების რაოდენობას.

ადვოკატი რესპონდენტი: „ბევრი საქმე მიმაქვს სააპელაციო სასამართლოში და გვიწევს სპეციალიზებულ მოსამართლეებთან გასაჩივრება. [...] პირველ ინსტანციას რომ აპელაციის მსგავსად განმარტა კანონი, იქ აღარ წავიდოდა საქმე“.²⁴¹

როგორც მოსამართლეები აღნიშნავენ, ვიწრო სპეციალიზაციის შიგნით საქმის განაწილება თანაბრად ხდება, თუმცა სპეციალიზირებული კოლეგიების და პალატების დატვირთვა არათანაბარია.

„ერთი და იგივე სპეციალიზაციის შიგნით თანაბარია, თუმცა სხვადასხვა ვიწრო სპეციალიზაციებს შორის არ არის თანაბარი. ეს რაოდენობის გამოც აისახება, სირთულის გამოც“.²⁴²

სასამართლო სისტემის 2017-21 წლების სტრატეგიის შესრულების 2017-18 წლების პროგრეს ანგარიშში ვიწრო სპეციალიზაციის გაფართოება და კომერციული კოლეგიების (პალატების) შექმნა დასახელებულია როგორც საქმეთა ნაკადის უკეთ გამკლავებისკენ გადადგმული ღონისძიება²⁴³.

საჯარო ინფორმაციის სახით, გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებიდან კომერციული პალატის (კოლეგიის) მიერ განხილული საქმეთა რაოდენობის შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული პასუხის თანახმად, ამ „ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება, ამასთან ინფორმაციის მოცულობის გამო ინფორმაციის მოძიება/დამუშავება საჭიროებს დიდ დროსა და სასამართლო რესურსს“.²⁴⁴ - მსგავსი წერილი იქნა მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოსგან²⁴⁵.

სასამართლო სისტემა, ერთი მხრივ, არ ზომავს ვიწრო სპეციალიზაციის შემოღებით მიღწეულ შედეგს, მეორე მხრივ, სტრატეგიის შესრულების პროგრეს ანგარიშში კომერციული კოლეგიების (პალატების) შექმნას საქმეთა ნაკადის უკეთ გამკლავების ღონისძიებად აფასებს.

აჩქარებს თუ არა ე.წ. კომერციულ საქმეთა სპეციალიზაცია საქმეთა განხილვას, რესპონდენტ ადვოკატებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა:

„ობიექტურად აჩქარებს ამ საქმეთა განხილვას, ვინაიდან ცოტა საქმე ეწერებათ, მაგრამ პრობლემა მოსამართლეთა კვალიფიკაცია და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხი“.²⁴⁶

²⁴¹ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, ქალი.

²⁴² პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

²⁴³ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ყოველწლიური ანგარიში 2018-19, გვ. 5 - <http://hcoi.gov.ge/files/news/angarishi.pdf> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

²⁴⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 25 სექტემბრის N. 04125/7889385-7895220 წერილი.

²⁴⁵ 2023 წლის 2 ოქტომბრის N2/15460 წერილი.

²⁴⁶ ადვოკატი, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია.

„ე.წ. კომერციული კოლეგიებისა და პალატების შექმნით არაფერი შეცვლილა. არანაირი განსხვავება არაა 500 000-ის ზემოთ არის საქმე თუ ქვემოთ. როცა ინტერესია სწრაფად იხილავენ, როცა ინტერესია აჭიანურებენ“²⁴⁷.

სადავო თანხის მიხედვით, ვიწრო სპეციალიზაციის პრობლემაზე ზოგიერთი რესპონდენტი მოსამართლეს მიუთითებს:

„დავის საგნის ღირებულებით როდესაც იყოფა, იქ აზრს კარგავს, რადგან მოსამართლე იხილავს სამემკვიდრეოსაც, ვალდებულებითსაც, ზიანსაც, ანუ შერეული კატეგორიების დავას, მხოლოდ იმიტომ რომ მოთხოვნილი თანხაა დიდი. ის ეფექტი იკარგება, რასაც სპეციალიზაცია იძლევა, რომ მოსამართლე კონკრეტულ კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული“.²⁴⁸

არსებობს მოსაზრებები, რომ ამ სპეციალიზაციის შექმნა ემსახურება არა სასამართლოს ეფექტიანობის, არამედ კორუფციულ მიზნებს (ე.წ. დიდი ფულის პალატა)²⁴⁹.

4.2.4. მოსამართლის დამხმარე რესურსები

მოსამართლის დამხმარე რესურსები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად - ადამიანურ რესურსებად და მატერიალურ-ლოჯისტიკურ რესურსებად.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის რეკომენდაციით, მოსამართლეები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი საკმარისი რაოდენობის დამხმარე ადამიანური რესურსით, რომლებიც მათ დაეხმარება როგორც საქმის გადაწყვეტაში, ასევე ადმინისტრაციული და ტექნიკური საკითხების მოგვარებაში²⁵⁰.

საქმისწარმოების პროცესში მოსამართლის მხარდაჭერას ახორციელებს მოსამართლის თანაშემწე და სხდომის მდივანი.

პროექტის მიერ გამოკითხული ადვოკატების 44% მიიჩნევს, რომ საქმეთა გაჭიანურების მიზეზია მოსამართლის დამხმარე პერსონალის ნაკლებობა.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ვებგვერდებიდან მოპოვებული ინფორმაციით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლეებსა და დამხმარე აპარატის რაოდენობა, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით²⁵¹:

²⁴⁷ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.


²⁴⁸ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, ქალი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.

²⁴⁹ იხ., თავისუფლების მონიტორი: დიდი ფულის პალატა. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31593728.html> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

²⁵⁰ იქვე, გვ. 21.

²⁵¹ ინფორმაცია ამოღებულია იმ სასამართლოების ვებგვერდებიდან, სადაც სრულად არის ხელმისაწვდომი მონაცემები მოსამართლეთა და სხდომის მდივნების რაოდენობის შესახებ. პროექტმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოდან გამოითხოვა ინფორმაცია 2017-22 წლებში საქართველოს სასამართლოებში მოსამართლის თანაშემწეებისა და სხდომის მდივნების რაოდენობის თაობაზე, თუმცა აღნიშნული დოკუმენტაცია არ იქნა მოწოდებული (2023 წლის 26 ივლისის N 03-551-2023 წერილი).

გრაფიკა #44



გრაფიკაზე წარმოდგენილი 21-დან 17 სასამართლოში თანაშემწეების რაოდენობა უტოლდება ან აღემატება მოსამართლეების რაოდენობას; ფოთისა და ბოლნისის სასამართლოებში ჩამორჩება, ხოლო ამბროლაურის და თეთრიწყაროს მოსამართლეებს არ ჰყავთ თანაშემწე. 19 სასამართლოში სხდომის მდივნების რაოდენობა უტოლდება ან აღემატება მოსამართლეების რაოდენობას. სხდომის მდივანი არ ჰყავს თეთრიწყაროსა და ამბროლაურის სასამართლოებს. მოსამართლეები განსაკუთრებით უჩივიან ე.წ. მწერალი თანაშემწეების ნაკლებობას.

„უზუნესში უკეთესი ვითარებაა - სამი ადამიანი ეხმარება მოსამართლეს. აქლაციაში არის საზიარო თანაშემწე და ეს ცუდია. პირველ ინსტანციაში არიან მოსამართლეები, რომლებსაც თანაშემწე საერთოდ არ ჰყოლიათ და მდივანი ასრულებს ორივე მოვალეობას“.²⁵²

„ერთი მწერალი თანაშემწეა 2 მოსამართლისთვის, რაც ძალიან ცოტაა. ერთზე ერთი უნდა იყოს. კვირაში დასაწერად ვაძლევთ საშუალოდ 5 გადაწყვეტილებას/საქმეს. საქმეს გააჩნია, შეიძლება დაწეროს ამდენი, შეიძლება 5 ვერ გააკეთოს და გადაყვეს ერთი საქმეს“.²⁵³

მოსამართლეები საუბრობენ როგორც თანაშემწეთა რაოდენობრივ ნაკლებობაზე, ასევე მათ დატვირთულობაზე. თანაშემწეები იმდენად დაკავებული არიან ტექნიკური საკითხებით, რომ მოსამართლის ინტელექტუალური მხარდაჭერისა და საკუთარ თავზე მუშაობის დრო აღარ რჩებათ. ეს ფაქტი ერთიორად ზრდის მოსამართლეთა დატვირთვას.

„თანაშემწეებს ინტერესი არ აქვთ, ხელფასი არ არის მიშხიდველი, პროფესიულად ვერ ვითარდებიან, მოსამართლის გამოცდა რომ ჩააბარონ მაგის მოშხადებასაც ვერ ახერხებენ პარალელურად. არც რაოდენობრივად არის საკმარისი და ვერც კვალიფიკაციით გვენმარებიან“.²⁵⁴

²⁵² პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, კაცი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.

²⁵³ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

²⁵⁴ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

ზოგიერთი მოსამართლე ფიქრობს, რომ გარკვეული ფუნქციები, რომლებსაც ღღეს მოსამართლეები ასრულებენ, აპარატზე უნდა იყოს დელეგირებული.

*„ბევრი საკითხი შესაძლოა მოგვარდეს მოხელეების დონეზე. მაგალითად, ბაჟის ქვითარი რომ არ ახლავს საჩივარს, ამაზე მოსამართლე არ უნდა ცდებოდეს, მოხელემ უნდა უზრუნველყოს ამ ხარვეზის შევსება მხარესთან კომუნიკაციით, განჩინებაც არ უნდა სჭირდებოდეს. თანამშემწეს მიეცეს საპროცესო დოკუმენტების შექმნის უფლება და მოსამართლემდე მივიდეს წარმოებაში მიღებული საქმე“.*²⁵⁵

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2011 წლის 11 ნოემბერს შეტანილი ცვლილებით, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის უფლებამოსილება მიეცა მაგისტრ მოხელეს.

მაგისტრი მოხელის შტატი გათვალისწინებულია მხოლოდ ორ - თბილისის (5 შტატი) და რუსთავის (1 შტატი) საქალაქო სასამართლოებში²⁵⁶.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2018-2022 წლებში უფლებამოსილებას ახორციელებდა 3 მაგისტრი მოხელე, სასამართლო მათ მიერ განხილული საქმეების სტატისტიკას არ აწარმოებს.²⁵⁷

რუსთავის საქალაქო სასამართლოდან მიღებული წერილის თანახმად, 2018-2022 წლებში ამ სასამართლოში უფლებამოსილებას ახორციელებდა 1 მოხელე 2018- 2020 წლებში, ხოლო 2019-2021 წლებში 2 მაგისტრი მოხელე. მოწოდებული იქნა სტატისტიკური ინფორმაცია მათ მიერ განხილული საქმეების თაბაზე, რომლის თანახმად, მაგისტრი მოხელეები ყოველწლიურად იხილავენ 30-დან 146-მდე საქმეს²⁵⁸.

საქართველოს სასამართლოებში განხილულ სამოქალაქო საქმეთა 5 პროცენტს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები შეადგენენ (იხ., ზემოთ, გრაფიკა N.28), რაც ყოველწლიურად 2500-დან 5000-მდე საქმეს შეადგენს. შესაბამისად, სათანადო რაოდენობით მაგისტრი მოხელეები სრულად შეძლებენ ამ კატეგორიის საქმეთაგან მოსამართლეთა გამოთავისუფლებას.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის რეკომენდაციით, სასამართლოს უნდა ჰქონდეს აუცილებელი მატერიალური ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს ახალ დარბაზებს,

²⁵⁵ მოსამართლე, კაცი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო. მსგავს რეკომენდაციას ევროპული ავტორებიც გასცემენ: „მოსამართლეებმა შეიძლება დახარჯონ მნიშვნელოვანი დრო მარტივი პროცედურული საკითხების გადასაწყვეტად, რაც შეიძლება თანამშემწეებმა და ადმინისტრაციულმა აპარატმა მოგვაროს (მაგ., საქმეთა რეგისტრაცია, ბაჟის გადახდა, სარჩელის დასაშვებობა, სასამართლოს განსჯადობა). მოსამზადებელ პროცედურებში როლების შეცვლით შეიძლება მიღწეული იქნას ხარჯთ ეფექტურობა და გაიზარდოს პოტენციალი. ამისთვის თანამშემწეებს და ადმინისტრაციულ პერსონალს უნდა მიეცეს უფლება რომ თავი გაართვას საქმის მომზადების ყველა ასპექტს“ - Caseflow Management Handbook, Guide for Enhanced Court Administration in Civil Proceedings, 2016, გვ. 14. https://dspace.library.uu.nl/bitstream/handle/1874/343766/Caseflow_Management_Handbook_English_02122016.pdf?sequence=1 [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

²⁵⁶ იხ., იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 16 იანვრის განკარგულება N. 1/2 თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურის, სამტაატო ნუსხისა და მოხელეთა თანამდებობრივი სარგობის დამტკიცების შესახებ - <http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/1/2-2023.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

²⁵⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 04 აპრილის N. 2-0434/7082887-7082316 წერილი.

²⁵⁸ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 აპრილის N. 586/გ. წერილი.

შენობებს, ტექნიკურ მოწყობილობებს. ადეკვატური რესურსებით უზრუნველყოფა ხელს უწყობს საქმეების სწრაფად განხილვას²⁵⁹.

სხდომის დარბაზების ნაკლებობა, როგორც პრობლემა, მითითებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთა 2017 წლის ანგარიშში²⁶⁰. თუმცა დარბაზების ნაკლებობას როგორც გაჭიანურების გამომწვევ პრობლემას, პროექტის მიერ გამოკითხული პროკურორების მხოლოდ 30 პროცენტი და ადვოკატების 19 პროცენტი ასახელებს²⁶¹.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის 2019 წლის ანგარიშში საქმეთა ნაკადის დაძლევისთვის გატარებულ ერთ-ერთ ღონისძიებად მიჩნეულია თბილისის საქალაქო სასამართლოში 24 ახალი სხდომის დარბაზის დამატება, ასევე მითითებულია, რომ ერთი ახალი დარბაზი განკუთვნილია ბიზნეს დავებისათვის²⁶².

გამოკითხული მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ მეტი დარბაზები შესაძლებლობას მისცემდა, რომ საპროცესო დღე (დღე როდესაც სხდომის ჩატარება არის შესაძლებელი) დაემატებინათ.

*„დარბაზები გვაქვს კვირაში 2 დღე, რაც ცოტაა. მოსამართლეს დარბაზი სამი დღე მაინც უნდა ჰქონდეს და 2 დღე კი წერისთვის უნდა გქონდეს“.*²⁶³

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის რეკომენდაციით, „ციფრული მართლმსაჯულების შემოღებას და მისი მოცულობის გაზრდას შეიძლება ჰქონდეს დადებითი ეფექტი საქმეთა დროული განხილვის, ეფექტური საქმისწარმოებისა და ხარჯების შემცირების თვალსაზრისით“.²⁶⁴

ტექნოლოგიური საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება მხარეებისგან უკუკავშირის სწრაფად მიღებასა და მასალებზე წვდომის მიზნებისთვისაც მოსახერხებელია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ მიმართულების განვითარებას იმ პირობებში, როცა საფოსტო გზავნილების პრაქტიკა ხარვეზიანია და წლების განმავლობაში ფოსტის გაუმართავი მუშაობით გამოწვეული გაჭიანურებები პრობლემად რჩება. ფოსტის გაუმართავ მუშაობას, როგორც საქმეთა გაჭიანურების მიზეზს, უჩივის გამოკითხული ადვოკატების 33 %. იმავე შეფასებას აკეთებენ მოსამართლეები: *„ხშირად კურიერებს არ მოაქვთ ჩაბარების ან ჩაუბარებლობის კვალიფიციური დასტურები. ბევრჯერ უჭვი შეგვპარვია, რომ რეალურად არც მისულა ადგილამდე და ისე მოაბრუნა*

²⁵⁹ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), გვ. 36 <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 22.08.2023]

²⁶⁰ იხ., იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ანგარიში (2013 ივნისი - 2017 მაისი) <http://hcoj.gov.ge/files/news/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202013%20-%202017.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

²⁶¹ ადვოკატების და პროკურორების ონლაინ გამოკითხვა.

²⁶² იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ყოველწლიური ანგარიში 2018-19, <http://hcoj.gov.ge/files/news/angarishi.pdf> [ბოლოს ნანახია 10.25.2023]; პროექტმა გამოითხოვა ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან სასამართლო სისტემაში დარბაზების რაოდენობის თაობაზე (2023 წლის 21 სექტემბრის წერილი), მაგრამ აღნიშნული დოკუმენტი არ იქნა მოწოდებული.

²⁶³ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

²⁶⁴ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), გვ. 37 <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4>

უწყება მინაწერით. ასეთ დროს პროცესის გადადება გვიწევს²⁶⁵“. „ფოსტა ვერ გვემსახურება კარგად და ლამის კურიერებად ვამუშავებთ შსს-ს თანამშრომლებს²⁶⁶“.

საერთო სასამართლოების სისტემაში ტექნოლოგიური რესურსების დანერგვა დაწყებულია, თუმცა მისი დახვეწა და განვითარება არ ხდება. საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა, მხარეებს აძლევს საქმის მასალებზე ელექტრონული წვდომის შესაძლებლობას (სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე) მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში²⁶⁷.

ელექტრონული სისტემის არსებობით კმაყოფილები არიან კვლევის რესპონდენტთა ყველა ჯგუფის წარმომადგენლები. სისტემის ნაკლოვანებად მიიჩნევენ სააპელაციო და საკასაციო განხილვის ეტაპზე საქმის მასალებზე დისტანციური წვდომის შეუძლებლობას, ასევე პროკურატურასთან საკომუნიკაციო პროგრამის არარსებობას. პროკურატურიდან საქმის მასალები კვლავ ქაღალდის ფორმით შემოდის. სასამართლოს პროგრამა და პროკურატურის პროგრამა ერთმანეთთან არ არის ინტეგრირებული და მონაცემთა გაცვლა არ ხდება²⁶⁸.

„სამოქალაქო საქმეებზე მხოლოდ პირველი ინსტანციის წარმოება არის მხარეთათვის გახსნილი და ხელმისაწვდომი. ვერ ვხვდები, რატომ არ ხდება ამის დანერგვა აპელაციაში და უზენაესში. ეს ხელს შეგვიწყობდა პრაქტიკოსებს და აღარ დაიკარგებოდა დრო“.²⁶⁹

სარჩელის ელექტრონულად წარდგენა შეუძლია მხოლოდ ავტორიზებულ მომხმარებელს და ეს სერვისი ფასიანია. მინიმალური გადასახადი არის თვეში 180 ლარი (ლიმიტი - დღეში 2 ტრანზაქცია, მთლიანობაში - 60 ტრანზაქცია²⁷⁰). საქმის სხვა მასალებს სასამართლოები, როგორც წესი, ელექტრონული ფორმითაც იღებენ, თუმცა არის გამონაკლისებიც. სასამართლოები ითხოვენ ბაჟის ქვითრის ფიზიკურად წარდგენას, რაც რესპონდენტი ადვოკატებისთვის გაუგებარია, გამომდინარე იქედან, რომ ელექტრონულად წარდგენილი ბაჟის ქვითარი ექვემდებარება გადამოწმებას²⁷¹.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია რეკომენდაციას უწევს სასამართლოების მიერ დისტანციური სხდომების, სატელეფონო და ვიდეო კონფერენციების ჩატარებას²⁷².

²⁶⁵ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე კაცი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.

²⁶⁶ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

²⁶⁷ იხ., საქართველოს სასამართლოების საქმისწარმოების სისტემის ვებგვერდი - <http://ecd.court.ge/> [ბოლოს ნანახია 22.12.2022]

²⁶⁸ 2013 წლამდე სისხლის სამართლის მოსამართლეები მუშაობდნენ პროკურატურის საქმისწარმოების პროგრამაში (შესაბამისად, ყველა დოკუმენტი ინახებოდა პროკურატურის სერვერებზე).. 2013 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება პროკურატურის პროგრამიდან სასამართლო სისტემის გამოყოფის თაობაზე თორნიკე დარჯანია, სასამართლო საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, თბილისი 2015 <https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/212257/1/SasamartlosSaqmiscarmoebisEleqtronuliSistema.pdf> [ბოლოს ნანახია 10.25.2022]

²⁶⁹ 15 დეკემბრის ფოკუს ჯგუფი ადვოკატებთან.

²⁷⁰ <https://www.ecourt.ge/#> რესპონდენტების ნაწილი მიუთითებს რომ ეს პროგრამა ძვირია და ამიტომ არ იყენებს. იხ., 15 დეკემბრის ფოკუს ჯგუფი.

²⁷¹ რესპონდენტი ადვოკატი, კაცი.

²⁷² იხ., მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. III.D.10 <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია 18.10.2023], ასევე, Recommendation Rec(2001)3 of the Committee of Ministers to member states on the delivery of court and other legal services to the citizen through the use of new technologies.

დისტანციური სხდომები ფართოდ გამოიყენებოდა 2020 წლის პანდემიის დროს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანი ცვლილებების საფუძველზე, განისაზღვრა დისტანციური სხდომების ჩატარების შესაძლებლობა ბრალდებულის თანხმობით, ან თანხმობის გარეშე (თავისუფლებაადკვეთილი პირის შემთხვევაში). ასევე განისაზღვრა, რომ დისტანციური სხდომის გამართვის შემთხვევაში, მასში მონაწილე არც ერთ პირს არ აქვს უფლება, უარი განაცხადოს სხდომის დისტანციურად გამართვაზე, მასზე უშუალოდ დასწრების სურვილის მოტივით²⁷³. ეს ნორმა შეტანილი იქნა კოდექსის გარდამავალ დებულებებში და მისი მოქმედების ვადა ამოიწურა 2023 წლის პირველ იანვარს.

მიუხედავად ამისა, სხდომაში მხარის შუამდგომლობით და მოსამართლის გადაწყვეტილებით მხარეთა დისტანციურ მონაწილეობას ითვალისწინებს სსსკ-ს 188-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ზოგადად დისტანციური სხდომების გამართვას არ ითვალისწინებს, თუმცა მხარისგან დისტანციურად ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია მოსამართლის გადაწყვეტილებით²⁷⁴. ეს ნორმა იძლევა მხარის დისტანციური ჩართვის შესაძლებლობას მხოლოდ კონკრეტული ლოკაციებიდან, სადაც მისი იდენტიფიცირება შესაძლებელია. შესაძლებელია მოწმის დისტანციურად დაკითხვაც²⁷⁵.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს საქმის მომზადებას ვიდეოკონფერენციით ან სატელეფონო კომუნიკაციით²⁷⁶, მხარეებთან ვიდეოკონფერენცია ძირითადად მხოლოდ პანდემიის დროს იმართებოდა, ხოლო სატელეფონო კონფერენციებს, როგორც ჩანს, სასამართლო პრაქტიკა ნაკლებად იცნობს²⁷⁷.

საკანონმდებლო ჩანაწერისა და ტექნოლოგიური შესაძლებლობების მიუხედავად, ვიდეოკონფერენციის ფორმატს მოსამართლეები მხოლოდ 2020 წლის 13 მარტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების ფარგლებში იყენებდნენ, რომლითაც ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით საქმეების განხილვას დისტანციური ფორმით, საბჭომ რეკომენდაცია გაუწია.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ინფორმაციით, 2020 წლის 15 ივლისის მდგომარეობით, უკვე 16 900-ზე მეტი სხდომა ჩატარდა²⁷⁸.

²⁷³ სსსკ. 332⁵ მუხლის პირველი ნაწილი.

²⁷⁴ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

²⁷⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მე-3 ნაწილი; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

²⁷⁶ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ნაწილით: „მოსამართლესთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია ხორციელდება სატელეფონო ხაზზე მხარეების ან მათი წარმომადგენლების ერთდროულად ჩართვით და ფიქსირდება ოქმის სახით. თუ მხარეები კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული არიან სატელეფონო გასაუბრების ან ვიდეოკონფერენციის შესახებ და ვერ ხერხდება ერთ-ერთ მხარესთან ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება, სასამართლო უფლებამოსილია გაესაუბროს მხოლოდ მეორე მხარეს ან მის წარმომადგენელს“.

²⁷⁷ პირისპირ ინტერვიუები ადვოკატებთან.

²⁷⁸ უფლებები საქართველო, ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობა პანდემიის დროს, შეფასების ანგარიში, გვ. 4. <https://rights.ge/uploads/project/gallery/300271610704197.pdf>, [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

ადვოკატი რესპონდენტები მიუთითებენ, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ, სასამართლო სისტემატურად ამბობს უარს დისტანციური სხდომების ჩატარებაზე, თუნდაც ორივე მხარე თანახმა იყოს დისტანციურ პროცესზე²⁷⁹.

„მოსაზრადებელ სხდომას პანდემიის დროს ატარებდნენ ვიდეო კომუნიკაციით და მის მერე აღარ ატარებენ, სატელეფონო კომუნიკაციით ჩემ პრაქტიკაში არ მქონია“²⁸⁰“.

„არასწორი მიდგომაა, რომ სასამართლოები სრულად ამბობენ უარს დისტანციურ განხილვაზე. 15-წუთიანი წინასასამართლო სხდომის გულისთვის გავდივართ 5 – 6-საათიან გზას“²⁸¹.

მოსამართლეთა ნაწილი უკმაყოფილია ონლაინ პროცესების ხარისხით და გამართულობით. მათი აზრით, არის მხარეებთან კომუნიკაციის სირთულეებიც, განსაკუთრებით, თარჯიმანის მონაწილეობისას. ამასთან, დარბაზში კომუნიკაციას ამჯობინებენ.

„ონლაინ სხდომა სასამართლოს დროს არ ზოგავს. პირიქით, ჩართვა დამატებით დროს მოითხოვს. უფრო მხარეებს სჭირდებათ, რომ ვერ ასწრებენ მოსვლას, ან სხვა რაიონიდან ერთვებიან. ხარვეზები აქვს ამ ჩართვებს ტექნიკური თვალსაზრისით, ყველას არ აქვს კარგი ინტერნეტი, თარჯიმანთან და მოწმესთან კომუნიკაციაც უმჯობესია დარბაზში. სასამართლოს დროს არანაირად არ ზოგავს“²⁸².

იმის გამო, რომ ყველა დარბაზი არ არის აღჭურვილი მონიტორით, პრობლემურია ე.წ. ჰიბრიდული სხდომების ჩატარება (როდესაც მხოლოდ მონაწილეთა ნაწილი ერთვება დისტანციურად).

„ყველა დარბაზში არ არის მონიტორი იმ შემთხვევისთვის, როცა ერთი მხარე დარბაზშია და სხვა დისტანციურად ერთვება“²⁸³.

ზოგიერთი მოსამართლე მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ დისტანციური სხდომის წესები დეტალურად იქნას გაწერილი ისე, რომ სხდომას ხელი არ შეეშალოს²⁸⁴.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის რეკომენდაციით, დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოებში ავტომატიზირებული სისტემის გამოყენებას, რომელიც მყისიერად იძლევა საქმეთა ნაკადის მართვასთან და საქმისწარმოების ვადებთან დაკავშირებულ ინფორმაციას (რაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ასევე ფართო საზოგადოებისთვის), ასევე ადგენს ინდივიდუალურ შემთხვევებს, სადაც საქმეთა არაგონივრულად გაჭიანურებას ჰქონდა ადგილი²⁸⁵.

²⁷⁹ ადვოკატი რესპონდენტი: 29 მარტის ფოკუს ჯგუფი; ადვოკატი რესპონდენტი: 30 მარტის ფოკუს ჯგუფი

²⁸⁰ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

²⁸¹ 4 მაისის ფოკუს ჯგუფის შეხვედრა, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები.

²⁸² პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

²⁸³ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

²⁸⁴ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

²⁸⁵ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. I. C. 11, პარ. I.A.4 <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია 18.10.2023] ასევე, მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), p. 37 <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 22.08.2023]

სასამართლო სისტემაში დღეს მოქმედი საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა სტატისტიკას ვერ აწარმოებს²⁸⁶. შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება სასამართლო აპარატის მხრიდან დამატებით დროსა და რესურსს მოითხოვს.

4.3. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ისევე, როგორც მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, რეკომენდაციას უწევს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების, მათ შორის, არბიტრაჟის და მედიაციის განვითარებას²⁸⁷.

საქართველოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების განვითარება პრიორიტეტულ მიმართულებებად არის მიჩნეული, საქმეთა გაჭიანურების შემცირებისა და სასამართლოების განტვირთვის მიზნით, როგორც 2017-21 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიის, ასევე საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მიერ 2022 წელს შემუშავებული დოკუმენტით (სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა).²⁸⁸

საქართველოში არბიტრაჟის არსებობას უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს, მედიაცია შედარებით ახალი ინსტიტუტია. 2009 წლის კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავების არბიტრაჟისადმი დაქვემდებარებას ითვალისწინებს²⁸⁹. 2018 წლიდან გაფართოვდა არბიტრაჟის კომპეტენცია და მას უწყებრივად დაექვემდებარა ასევე „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“

საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები²⁹⁰.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც არბიტრაჟს მხარეებისთვის მიმზიდველად აქცევს, განხილვის მოკლე და მოქნილი პროცედურაა. კანონით, დავის საარბიტრაჟო განხილვის ვადა საარბიტრაჟო

²⁸⁶ European Commission, Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, p. 8. <https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf> [ბოლოს ნანახია 10.25.2023]

²⁸⁷ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), p. 34

<https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია 08.22.2023]

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო. დასკვნა #6(2004) para 140, <http://www.euromed-justice-iii.eu/document/coe-2004-opinion-no-6-ccje-fair-trial-within-reasonable-time-and-judge%E2%80%99s-role-trials-taking> [ბოლოს ნანახია 18.10.2023]

²⁸⁸ სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, გვ. 13 https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/iuriduli/samushao_jgufebi/shedegebi/sasamartlo_reformis_strategia_da_samoqmedo_gegma.pdf [ბოლოს ნანახია 10.25.2023]

სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-21 წლებისთვის, გვ.22 <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sasamartlo-sistemis-strategia-2017-2021.pdf>

²⁸⁹ არბიტრაჟის შესახებ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁹⁰ არბიტრაჟის შესახებ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. როგორც რესპონდენტები მიუთითებენ ამ კატეგორიის დავებზე პრაქტიკა მცირეა. მხოლოდ ცალკეულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში არის გათვალისწინებული არბიტრაჟის განსჯადობა დავის წარმოშობის შემთხვევაში. პირისპირ ინტერვიუ, არბიტრი, კაცი. პირისპირ ინტერვიუ, არბიტრი, ქალი.

განხილვის დაწყებიდან 180 დღეს არ უნდა აღემატებოდეს. მისი გაგრძელება მხარეთა შეთანხმებით მაქსიმუმ 180 დღით შეიძლება²⁹¹.

საარბიტრაჟო წარმოებისას საერთო სასამართლოებს²⁹² დამხმარე და საზედამხედველო კომპეტენცია გააჩნიათ. სასამართლოს ჩარევის ფარგლები მინიმალურია, მკაცრად შეზღუდულია არბიტრაჟის დამოუკიდებლობით და განსაზღვრულია კანონით „არბიტრაჟის შესახებ“ და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. ეს კომპეტენცია ძირითადად მოიცავს: საარბიტრაჟო დავის მიმდინარეობისას - მტკიცებულების მოპოვებასა და მოწმის დასწრების უზრუნველყოფაში დახმარებას, არბიტრის დანიშვნა-აცილებას და უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფას, ან სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების ცნობა-აღსრულებას, არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხის განხილვას. საარბიტრაჟო დავის დასრულების შემდეგ - არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას და საჩივრის განხილვას არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა კანონში 2015 წლის მარტში.

- კანონში გაჩნდა ჩანაწერი, რომ მხარეები შესაძლოა ხელშეკრულებით თავად შეთანხმდნენ განხილვის წესებზე,
- გაუქმდა კანონის მოთხოვნა საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობისთვის ადვოკატების ხელმოწერის ან სანოტარო ფორმის სავალდებულობის შესახებ, რამაც კანონის დონეზე გააფართოვა მხარეთა თავისუფალი არჩევანის პრინციპი და გაამარტივა არჩევის პროცედურა²⁹³.
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ან მისი გაუქმების მოთხოვნით, სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში ბაჟის ოდენობა განისაზღვრა ფიქსირებული 150 ლარით. ამ ცვლილებით, შეიცვალა მანამდე არსებული წესი და შემცირდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისთვის გადასახდელი ბაჟის ოდენობა.
- შეიცვალა წესი, რომლითაც სასამართლო სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე, მოპასუხის პოზიციის გარეშე განმარტავდა - დავა იყო სასამართლოს თუ არბიტრაჟის განსახილველი. არსებული რეგულაციით, მოსამართლე ელოდება მოპასუხის პოზიციას შესაგებლის ვადის გასვლამდე, ეყრდნობა თუ არა იგი საარბიტრაჟო შეთანხმებას, რის შემდეგაც იღებს განჩინებას არბიტრაჟის კომპეტენციის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული რეგულაცია თავიდან იცილებს ზემდგომ ინსტანციებში არსებითი განხილვის დროს სასამართლოსა და არბიტრაჟს შორის კომპეტენციის საკითხის წამოწევის შესაძლებლობას.
- საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს განსახილველად საარბიტრაჟო მოპასუხის მხრიდან ცნობა-აღსრულებაზე უარის საფუძვლად იმ გარემოების მითითებას, რომელზეც ამ

²⁹¹ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტი.

²⁹² იხ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹³ მუხლი.

²⁹³ საქართველოს 2015 წლის 18 მარტის კანონი №3218 – ვებგვერდი, 26.03.2015წ. საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ, იხ., <https://matsne.gov.ge/ka/document/view/89284?publication=8> [ბოლოს ნანახია: 22.23.2023]

უკანასკნელს უარი ეთქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების ფარგლებში, ან თუ საარბიტრაჟო მოპასუხემ გაუშვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე საჩივრის წარდგენის ვადა. და პირიქით, თუკი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხი უკვე დაკმაყოფილებულია, მხარე ვეღარ მოითხოვს ამ გადაწყვეტილების გაუქმებას იმ საფუძვლით, რითიც მან მიმართა სასამართლოს ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის მოთხოვნით. ამ ცვლილებით შეიცვალა მანამდე არსებული წესი, რომლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო არსებითად ემსჯელა ერთსა და იმავე საკითხზე ორჯერ. ეს ჩანაწერი, თავის მხრივ, საშუალებას აძლევდა მოვალეს სასამართლოსთვის მიმართვით გაეჭიანურებინა მის წინააღმდეგ აღსრულების დაწყება²⁹⁴.

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის ცვლილებებმა შესაბამისი ასახვა ჰპოვა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაშიც.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები სათანადო ეფექტისთვის არასაკმარისად შეფასდა. ერთი მხრივ, არბიტრაჟი როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, კვლავ არ არის საკმარისად პოპულარული და ბიზნეს დავების განხილვის სანდო ადგილი, ხოლო მეორე მხრივ, თავად სასამართლოს მხრიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების არაერთგვაროვანი პრაქტიკა და აღსრულების საკითხის გაჭიანურება, უკარგავს მას დავის სწრაფი მოგვარების მექანიზმის ეფექტს²⁹⁵.

„იმის გადასაწყვეტად, მიანდოს თუ არა საქმე არბიტრაჟს, ბიზნესი მხედველობაში იღებს რამდენიმე ფაქტორს, მათ შორის, ერთ-ერთი არის ვადები. თუ არბიტრი გადაწყვეტილებას იღებს 2-დან 6-თვემდე ვადაში, მერე კი 6 თვე ჭირდება ცნობა-აღსრულებას, მაშინ ურჩევნია პირდაპირ სასამართლოში წავიდეს“.²⁹⁶

არბიტრაჟის არაპოპულარობა, განაპირობა წლების განმავლობაში მისმა ჩამოყალიბებამ სასესხო ურთიერთობების განმხილველ ინსტიტუტად, თუმცა განსხვავებით 2018 წლის მდგომარეობისგან, ტენდენცია ნელ-ნელა იცვლება და ბიზნესი ახლა მეტად ინტერესდება საარბიტრაჟო შეთანხმებების დადებით.

„საქართველოში არბიტრაჟმა მიიღო უფრო სამომხმარებლო ხასიათი (სესხები), ნაცვლად კომერციულია. დავების დიდი წილი სწორედ საკრედიტო ინსტიტუტებისაა, თუმცა არის 2-3 წამყვანი არბიტრაჟი, რომელიც განიხილავს კომერციულ დავებსაც, სამშენებლო დავებს, ბიზნეს დავებს, ერთი - საერთაშორისო დავებსაც კი“.²⁹⁷

არბიტრაჟის მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, ვინაიდან საარბიტრაჟო დაწესებულებების დიდი ნაწილი სტატისტიკურ

²⁹⁴ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლები 356²¹, 356.²⁴


²⁹⁵ არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, CRR, 2018, გვ. 19 https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_DG_Arbitration_Study_20180312_geo.pdf [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

²⁹⁶ პირისპირ ინტერვიუ, არბიტრთა ასოციაციის წევრი, კაცი.

²⁹⁷ რესკონდენტი: არბიტრთა ასოციაციის წევრი, ქალი.

ინფორმაციას არ აგროვებს, ან არ აქვეყნებს²⁹⁸. თუმცა საარბიტრაჟო დავების რაოდენობაზე მიახლოებულ წარმოდგანას გვაძლევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე სააპელაციო სასამართლოების სტატისტიკა საარბიტრაჟო საქმეთა რაოდენობის შესახებ. - გრაფიკა N. 45. ამ რაოდენობის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არბიტრაჟი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი, **სასამართლოს აცილებს დავების დაახლოებით 4-6%-ს**²⁹⁹.

გრაფიკა #45



გრაფიკა N. 46, გრაფიკა N. 47 გრაფიკა N. 48 გვაჩვენებს სააპელაციო სასამართლოებში საარბიტრაჟო საქმეების განხილვების დინამიკას (2017-2022).

კანონით, არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისა და გაუქმების საკითხებს განიხილავს სააპელაციო სასამართლო შესაგებლის მიღების 7-დღიანი ვადის გასვლიდან ერთ თვეში³⁰⁰. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების განხილვისას სასამართლო არ ამოწმებს არბიტრაჟის გადაწყვეტილების კანონიერებას ან დასაბუთებულობას. საკითხი განიხილება, როგორც წესი, ზეპირი მოსმენის გარეშე, ერთინსტანციურად³⁰¹.

გრაფიკებიდან ჩანს, რომ წლების განმავლობაში თბილისის სააპელაციო სასამართლო იშვიათად უმკლავდება შემოსულ ნაკადს, რაც იმას ნიშნავს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი, ნაცვლად ერთი თვისა, რიგ შემთხვევებში, ერთ წელზე მეტ ხანსაც განიხილება, მაშინ, როდესაც თავად არბიტრაჟი არსებით განხილვას ექვს თვეში ასრულებს.


²⁹⁸ არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, CRRC, 2018, გვ. 19 https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_DG_Arbitration_Study_20180312_geo.pdf [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

²⁹⁹ იხ., გრაფიკა N. 45.


³⁰⁰ იხ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356²¹ მუხლის მე-3 ნაწილი.


³⁰¹ გამოწვევისა სააპელაციო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება, რომელიც საჩივრდება უზენაეს სასამართლოში საჩივრით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 356⁴⁸

გრაფიკა #46



გრაფიკა #47





ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შედის თბილისის სააპელაციო სასამართლოში შესული საარბიტრაჟო საქმეების რაოდენობის 1%-4%. რაიონულისგან განსხვავებით, კანონი არ აწესრიგებს სააპელაციო სასამართლოების განსჯადი საკითხების ტერიტორიული განაწილების (თბილისი, ქუთაისი) წესს³⁰². სავარაუდოდ, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების განსჯადი საქმეები რაიონული განსჯადობის ანალოგიის პრინციპით ნაწილდება, თუმცა საარბიტრაჟო შუამდგომლობის განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობის არ არის ტერიტორიული პრინციპის დაცვა და შესაძლებელია მკაფიოდ განსჯადობის სპეციალური წესის დადგენა, რაც საქმეთა თანაბარ გადანაწილებასა და უფრო ეფექტიან განხილვას გამოიწვევდა.

სასამართლოში საარბიტრაჟო საქმეთა განხილვის დაყოვნების მიზეზებს შორის განიხილება ასევე სასამართლოს მხრიდან კონტროლის ფარგლების გაფართოებული განმარტება და აქედან გამომდინარე უეჭველი ზედმეტი პროცედურული მოქმედებები, მოსამართლეთა არაერთგვაროვანი მიდგომები და საპროცესო კანონმდებლობის არბიტრაჟის შესახებ კანონთან ერთობლიობაში განმარტების ნაკლებობა, მხარეთათვის შეტყობინების და კორესპონდენციების ჩაბარებების სირთულე³⁰³.


სააპელაციო სასამართლოების მიერ საარბიტრაჟო საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობა და ამავე სასამართლოებში (სხვა კატეგორიის) სამოქალაქო საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობა ასეთია:

³⁰² სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 356.¹³


³⁰³ დეტალურად, იხ.: არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, 2018, თავი მე 4, გვ 20-29, 48.

https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_DG_Arbitration_Study_20180312_geo.pdf
[ბოლოს ნანახია 18.10.2023]

გრაფიკა #49



გრაფიკა #50



თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობას 2-4 ჯერ აღემატება საარბიტრაჟო საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობა. რთული ასახსნელია შემთხვევები, როდესაც არსებითად, ზეპირი მოსმენით განსახილველ დავებს უფრო ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე გამართივებული პროცედურით განსახილველ საარბიტრაჟო საკითხებს. განხილვის ხანგრძლივობის შესამჩნევი ზრდა 2020 წელს ემთხვევა პანდემიის პერიოდს, რაც

იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ პანდემიით გამოწვეულმა რეგულაციებმა, რიგ შემთხვევებში, გავლენა იქონია ზეპირი განხილვის გარეშე საქმეთა დასრულებაზეც.

2018 წლის აპრილამდე საარბიტრაჟო დავებს სამოქალაქო პალატის ყველა მოსამართლე განიხილავდა. 2018 წლის 30 აპრილიდან სამოქალაქო საქმეთა პალატაში შემოდებული იქნა საარბიტრაჟო დავების განმხილველი ვიწრო სპეციალიზაცია. შესაბამისად, ამ პერიოდისა და საქმეები მხოლოდ რამდენიმე მოსამართლეს ეწერება³⁰⁴.

ზოგი მოსამართლე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო დავებს სააპელაციო სასამართლოში კოლეგიური განხილვა საჭირო არ არის და უფრო მეტად აქცენტი დამხმარე პერსონალის მობილიზებაზე უნდა გაკეთდეს.

*„არბიტრაჟის საქმეები რომ სწრაფად იქნეს განხილული, მოსამართლეთა კოლეგიები არ იყოს დაკავებული და ერთპიროვნულად იყოს შესაძლებელი განხილვა, თანამშრომლებით დაკომპლექტებული ცალკე დეპარტამენტი რომ არსებობდეს, ეს, სასამართლოს საქმეებსაც დააჩქარებდა, თან არბიტრაჟიც უფრო პოპულარული იქნება. ახლა მხარეს არბიტრაჟში წასვლას ურჩევნია პირველ ინსტანციაში წავიდეს და მორიგდეს; უფრო მალე აღწევს აღსრულების მიზანს“.*³⁰⁵

მოქმედი კანონმდებლობით³⁰⁶, განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე გამოტანილად ითვლება და სასამართლო ვალდებულია დაინტერესებულ მხარეს დაუყოვნებლივ მისცეს სააღსრულებო ფურცელი, როდესაც დარღვეულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისთვის დადგენილი 30-დღიანი ვადა; მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში სასამართლოს სააღსრულებო ფურცლის გაცემა ევალება, სასამართლო ამას არ აკეთებს.

*„კანონის ამ ჩანაწერს სასამართლო არ ასრულებს და ამ პირობის შემთხვევაში სააღსრულებო ფურცელს არ გასცემს. ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ კანონის ეს ჩანაწერი მორგებულია მხოლოდ ერთ მხარეზე. ეს იგივეა, სააპელაციო ინსტანციაში პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრებისას ეს გადაწყვეტილება ავტომატურად კანონიერ ძალას რომ იძენდეს, იმ შემთხვევაში თუ სააპელაციო სასამართლომ საჩივრის განხილვის ვადა დაარღვია“.*³⁰⁷

როგორც აქედან ჩანს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების დროში გაჭიანურება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, რომელიც ხელს უშლის არბიტრაჟის განვითარებას. სასამართლო სისტემა არ იღებს ადეკვატურ ზომებს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

³⁰⁴ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება N. 1/175. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ. <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/175-2018.pdf> [ბოლოს ნანახია 18.10.2023]

პროექტმა გამოითხოვა ინფორმაცია თბილისის სააპელაციო სასამართლოში საარბიტრაჟო საქმეების განმხილველ მოსამართლეთა რაოდენობასთან დაკავშირებით (2023 წლის 27 ოქტომბრის წერილი), თუმცა პასუხი არ იქნა მიღებული.

³⁰⁵ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო. მგავს მოსაზრებას იზიარებს სხვა მოსამართლე რესპონდენტიც. პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.

³⁰⁶ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356²¹ მუხლის მე-5 ნაწილში.

³⁰⁷ პირისპირ ინტერვიუ, მოქმედი ადვოკატი, კაცი.

მედიაცია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმია, რომელიც მესამე პირის- მედიატორის მონაწილეობით მხარეებს შორის არსებული დავის მორიგებით დასრულებისკენ არის მიმართული.

მედიაციის დანერგვის საწყის ეტაპზე მთავარ გამოწვევებად სახელდებოდა:

- მედიაციასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობა³⁰⁸.
- მართლმსაჯულების სისტემაში მონაწილე პროფესიონალების - ადვოკატებისა და მოსამართლეების არასაკმარისი მოტივაცია მედიაციის გზით დავის გადაწყვეტაში.
- წარუმატებელი მედიაციის შემთხვევაში, საქმისწარმოების მთლიანი ხანგრძლივობის ზრდა.
- მედიატორთა არასაკმარისი ანაზღაურება³⁰⁹.

მედიატორის ინსტიტუტის შემოღების საწყის ეტაპებზე მედიაციის მიმართ მოსამართლეები სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი.

„ჩვენ ჩავატარეთ ტრენინგები მოსამართლეებთან, რომლებიც თავიდან სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი და ამბობდნენ, რომ მეც კი შევეცდები მხარეების მორიგებას, სხვისი ჩარევა რაში მჭირდებაო (მედიაციას აღიქვამდნენ კონკურენტებად და ამიტომ დაგვჭირდა ტრენინგები რომ ეს კონკურენტი კი არ არის, არამედ დამხმარე ინსტიტუტია)“³¹⁰.

2019 წელს მიღებული იქნა მედიაციის შესახებ კანონი, რომელიც საქართველოში მედიაციის პრინციპებს, პროცედურებსა და ორგანიზაციულ მოწყობას განსაზღვრავს. კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს სასამართლო მედიაციასა და კერძო მედიაციას. სასამართლო მედიაცია არის პროცესი, რომელიც ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის შემთხვევაში, ხოლო კერძო მედიაცია ხორციელდება მხარეთა ინიციატივით, მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის გარეშე³¹¹;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია დავათა კატეგორები, რომელთა მედიაციისთვის გადაცემა მოსამართლეს შეუძლია მხარეთა თანხმობის გარეშე. ასეთია საოჯახო (გარკვეული კატეგორიის), სამემკვიდრეო, შრომითი, საზიარო უფლებების, ქონებრივი (20 000 ლარამდე), სესხის (10 000 ლარამდე), არაქონებრივი დავები. მოსამართლეს, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, პროცესის ნებისმიერ სტადიაზე შეუძლია მედიაციას გადასცეს ნებისმიერი სამოქალაქო დავა საქმის კატეგორიის ან დავის საგნის ღირებულების მიუხედავად³¹².

³⁰⁸ ალექსანდრე წულაძე, სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, 2016, გვ. 139-142 http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/aleqsandre_wuladze.pdf [ბოლოს ნანახია 10.25.2023]

³⁰⁹ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით მედიატორთა საქმიანობა ანაზღაურდება საათობრივად - მხარეებთან ინდივიდუალურად და ერთობლივად წარმართული კომუნიკაციის პირველი 10 საათი ანაზღაურდება საათში 20 ლარის ოდენობით ხოლო შემდეგი საათები საათში 10 ლარის ოდენობით. <https://mediators.ge/uploads/files/5f26dee9c3155.pdf> [ბოლოს ნანახია 10.25.2023]

³¹⁰ პირისპირ ინტერვიუ, მედიატორი, ქალი.

³¹¹ იხ., მედიაციის შესახებ კანონი, მუხ. 1. , ბ. და გ. პუნქტები.

³¹² სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187³ მუხლი.

იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებით, განისაზღვრა გარემოებათა ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც, მოსამართლე წყვეტს დავის სავალდებულო მედიაციისთვის გადაცემის მიზანშეწონილობას³¹³. როგორც ჩანს, მოსამართლეები ყოველთვის არ მიმართავენ ამ მეთოდს:

*„არ ვიყენებ მედიაციაზე გადაცემას ხშირად, არ უნდათ მხარეებს, არ აინტერესებთ და როცა არ უნდათ, ტყუილად უფრო გაჭიანურდება“.*³¹⁴

სასამართლო მედიაციის ვადა 45 დღეს შეადგენს, რაც შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმებით იმავე ვადით³¹⁵. რაც შეეხება კერძო მედიაციას, ის ვადებში შეზღუდული არ არის. მედიაციის პროცესი შეიძლება დასრულდეს მხარეთა მორიგებით, რომლის იძულებით აღსრულების საჭიროებისთვის მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს³¹⁶.

მედიაციისადმი მხარეთა მიმართვის წახალისების მიზნით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2¹ პუნქტი ითვალისწინებს ფინანსურ შეღავათს მხარეებისთვის. სასამართლო მედიაციის პროცესში დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ასევე, მედიაციას დაქვემდებარებულ დავებზე დაეკისრება შემცირებული ბაჟის (1%) გადახდა, რაც აღარ გაიზრდება მხარეთა შეთანხმებით დავის დასრულების შემთხვევაში.

2019 წელს სასამართლოების კანონში შესული ცვლილებებით, მედიაციის პროგრამის შემუშავება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და სასამართლოებს დაევალა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით³¹⁷ დამტკიცდა 5-წლიანი (2020-2025) პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც მედიაციისთვის საჭირო რესურსებით, მათ შორის სამედიაციო სივრცეებით უზრუნველყოფას, მედიაციის შესახებ ცნობადობის ამაღლებას, სტატისტიკის განზოგადებას, მონიტორინგის და შეფასების გეგმის შემუშავებას³¹⁸. მედიაციის პროგრამის თანახმად, სასამართლო მედიაცია 2021 წლის 31 დეკემბრამდე უნდა ამოქმედებულიყო ყველა რაიონულ და საქალაქო სასამართლოში. სოხუმისა და გაგრა გუდაუთის, ასევე გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე- ტყვარჩელის სასამართლოების (რომელთა სამედიაციო ფუნქციებს სხვა სასამართლოები ითავსებენ)³¹⁹ პროგრამით, მედიაციის ცნობადობის ამაღლების მიზნით, მათ შორის, განისაზღვრა მოსამართლეებისა და მედიატორების ერთობლივი კვარტალური საინფორმაციო სესიების ჩატარება.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ გასცა ინფორმაცია 2019 წლის გადაწყვეტილებით დამტკიცებული მედიაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ³²⁰. საჯაროდ ხელმისაწვდომია³²¹

³¹³ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება #1/366-2019 მუხლი მე 5. <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/366.pdf> [ბოლოს ნანახია 22.12.2023]

³¹⁴ მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

³¹⁵ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187¹ მუხლი.

³¹⁶ მედიაციის შესახებ კანონის მე-13 მუხლი.

³¹⁷ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის 1/366 გადაწყვეტილება სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ

<http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/366.pdf> [ბოლოს ნანახია 22.12.2023]

³¹⁸ იხ., ზემოთ, მუხ. 3.

³¹⁹ იქვე, მუხ. 8 .

³²⁰ 2023 წლის 27 ოქტომბრის წერილი.

³²¹ თბილისის და ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოები, რუსთავის სასამართლოს, მცხეთის, გორის, ბათუმის, ხელვაჩაურის, დედოფლისწყაროს, ახალციხის სასამართლოები, იხ.:

მხოლოდ 11 სასამართლოში მედიაციის ცენტრების ამოქმედების თაობაზე არსებული ინფორმაცია. სასამართლოების ვებგვერდებზე უმრავლეს შემთხვევაში არ არის განთავსებული რაიმე ცნობა მედიაციის ან მედიაციის ცენტრების შესახებ.

თბილისისა და რუსთავის სასამართლოს ვებგვერდების ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2022 წლის განმავლობაში თბილისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოების მიერ მედიაციას გადაეცა შესაბამისად 140 და 28 საქმე (რაც 2022 წელს შემოსულ სამოქალაქო საქმეთა რაოდენობის 0.35 და 0.61 პროცენტს შეადგენს). აქედან 42 საქმე (თბილისში) და 14 საქმე (რუსთავში) დასრულდა მხარეთა შეთანხმებით. რუსთავის სასამართლოში 2021 წელს მედიაციას დაექვემდებარა 24 საქმე (რაც 2021 შემოსულ საქმეთა 0.58 პროცენტს შეადგენს), საიდანაც 8 (24%) დასრულდა მხარეთა შეთანხმებით³²².

ინფორმაციის ნაკლებობის გამო ვერ მოხერხდა სტატისტიკის შეფასება, თუ რამდენი საქმე დასრულდა შეთანხმებით და სასამართლოს არსებითი განხილვის რამდენი ეტაპი აარიდა მედიაციამ³²³.

ხელმისაწვდომია მხოლოდ მედიატორთა ასოციაციის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2022 წელს კერძო მედიაციით წარმართა 30 დავა³²⁴.

ცხადია, მედიაციის, როგორც სასამართლოს განტვირთვის მექანიზმის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მხოლოდ შეთანხმებით დასრულებული საქმეები. სხვაგვარად, არსებობს ალბათობა, რომ კონფლიქტურ სიტუაციაში დარჩენილი მხარეები დავას გააგრძელებენ და პოტენციურად ეს საქმეები სასამართლოს განსახილველი გახდება. განსაკუთრებით ეს ეხება სასამართლო მედიაციით წარმართულ საქმეებს, რომელთა წარუმატებლობის შემთხვევაში სასამართლო წარმოების განახლების ალბათობა მაღალია.

ამ დროისთვის არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი მედიაციის განვითარების მონიტორინგის შუალედური ანგარიშებიც, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა გვცოდნოდა, რა ეფექტი ჰქონდა მედიაციის მიმართულებით განხორციელებულ ორწლიან აქტივობებს. არ მიმდინარეობს აქტიური კამპანია სასამართლოების ან იუსტიციის საბჭოს მხრიდან მედიაციის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით.

<https://www.interpressnews.ge/ka/article/692829-sakartvelos-mediator-ta-asociaciis-iniciativit-axali-mediaciis-centrebi-amokmedda/>; <https://mediators.ge/ka/article/kidev-erti-axali-sasamartlo-mediaciis-centri-gaixsna-acharis-regionshi-xelvachauris-raionul-sasamartloshi/444/>; <https://mediators.ge/ka/article/kidev-erti-axali-sasamartlo-mediaciis-centri-gaixsna-dedofliswyaros-raionul-sasamartloshi/402/>; <https://www.court.ge/courts/axalcixis-raionuli-sasamartlo/?page=25&id=6899>; <https://www.interpressnews.ge/ka/article/709417-goris-raionul-sasamartloshi-kidev-erti-axali-sasamartlo-mediaciis-centri-gaixsna/> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

³²² იხ., <https://shorturl.at/diMP9> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

³²³ ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა თბილისის და ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებიდან, ბათუმის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, მცხეთის, რუსთავის, ახალციხის რაიონული (საქალაქო) სასამართლოებიდან. თუმცა პასუხი იქნა მიღებული მხოლოდ თბილისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული წერილით (N. 04106/7566431) გვეცნობა, რომ აღნიშნული მონაცემების დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება არ ხორციელდება. ინფორმაციის მოცულობის გამო მისი მოძება და დამუშავება საჭიროებს რესურსს. რუსთავის საქალაქო სასამართლოს წერილით ინფორმაცია განთავსებულია სასამართლოს ვებგვერდზე.

³²⁴ მედიაცია გენდერულ ქრილიში, 2022 <https://mediators.ge/ka/article/2022-wlis-mediaciis-statistika-genderul-chrilshi-/436/> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

4.4. დისციპლინური წარმოება - ანგარიშვალდებულება ვადის დარღვევის გამო?

სასამართლოების შესახებ კანონით საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა მოსამართლის მიერ გულისხმიერების და კომპეტენციის პრინციპის დარღვევის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს. ამ დარღვევისთვის მოსამართლის მიმართ დისციპლინური ღონისძიებად უნდა შემოწმდეს:

- სახეზეა თუ არა კანონით დადგენილი ვადის გადაცილება;
- რამდენად არსებითია ვადის დარღვევა;
- ხომ არ არსებობს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ობიექტური მიზეზი (მათ შორის საქმეთა სიმრავლე), რამაც ვადის დარღვევა გამოიწვია;
- ობიექტურად შეეძლო თუ არა მოსამართლეს დისციპლინური გადაცდომის თავიდან ასაცილებლად მოქმედება, მაგრამ არ განუხორციელებია იგი;
- აცნობიერებდა თუ არა მოსამართლე ვადის გადაცილებით გამოწვეულ ზიანის დადგომას, ან არ ითვალისწინებდა, მაგრამ უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა ზიანის დადგომის შესაძლებლობა.
- რამდენად მნიშვნელოვანია ზიანი, რომელიც საპროცესო ვადის გადაცილებამ გამოიწვია³²⁵

საქმეთა განხილვის ვადის გაჭიანურების საფუძველით მოქალაქეები ყველაზე ხშირად მიმართავენ დამოუკიდებელ ინსპექტორს მოსამართლის მიმართ ღონისძიების დაწყების მოთხოვნით.³²⁶

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა საქმეთა გაჭიანურების გამო დისციპლინური ღონისძიების საბჭოს 2022 წლის პრაქტიკა. ამ პერიოდში ჩატარდა 2 სხდომა. სხდომებზე გაჭიანურების საფუძველით იუსტიციის საბჭომ განიხილა 2018-2020 წლის საჩივრები, რითიც თავად დაარღვია დისციპლინური წარმოების ვადა. მოსამართლის მიერ საპროცესო ვადის დარღვევის საფუძველით მიღებული 49 გადაწყვეტილებადან 49 შემთხვევაში შეწყვეტილია სადისციპლინო წარმოება. დისციპლინური წარმოების გადაწყვეტილებებიდან გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია:

1. მინიმალურია სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურების გამო მოქალაქეთა მომართვიანობა. 49 განხილული საქმიდან 4 საჩივარი ეხება სისხლის საქმეზე ვადის დარღვევას, 45- სამოქალაქო და ადმინისტრაციულს.
2. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეების განხილვის ვადის დარღვევად იუსტიციის საბჭო მიიჩნევს განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეთა განხილვის 5-თვიანი ვადის გადაცილებას.
3. **ერთიანი სტანდარტი არ არის კანონით დადგენილი ვადის არსებითი გადაცილების შესაფასებლად.** სხვადასხვა გადაწყვეტილებაში განსხვავებული დროის პერიოდებით

³²⁵ ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ მუხლი 75.¹

³²⁶ დისციპლინური საჩივრით მიართვიანობის სტატისტიკაზე იხ., ზემოთ, თავი. 2.1.

ვადის გადაცილება შეფასებულია განსხვავებულად. მათ შორის, ძირითადად, ვხვდებით „გონივრულობის ფარგლების“ და „დევნის დაწყების „მიზანშეწონლობის“ სტანდარტით შეფასებას³²⁷.

4. გადაწყვეტილებების დასაბუთებაში არ არის გამოკვეთილი საქმეთა სიმრავლე, რომლის პირობებშიც მოსამართლის მიერ ვადის გადაცილება, შესაძლოა, შეფასდეს არასაკატიოდ. მაგალითისთვის, მოსამართლის მიმართ დატვირთულობის გამო არაბრალეულობის მოტივით არ დაიწყო დევნა მხარისთვის 11 თვის დაგვიანებით განჩინების ჩაბარების შემთხვევაზე. ამ მოსამართლის დატვირთულობა შეფასდა ორი მომიჯნავე წლის მდგომარეობით, რომელშიც ეს 11 თვე ექცეოდა. პირველ წელს განსახილველი 455 საქმიდან დაასრულა 230 მომდევნო წლის 11 თვეში, განსახილველი 378-დან 223 საქმე (თვეში დაახლოებით 20 საქმეს ასრულებდა).³²⁸
5. გადაწყვეტილებებში არ არის დასაბუთებული, კონკრეტული მოსამართლის დატვირთულობასა და საჩივარში მითითებულ საპროცესო ვადის გადაცილებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. საქმეთა სიმრავლე (სავარაუდო დარღვევის წელს მოსამართლის მიერ საქმეთა განხილვის მაჩვენებლები) აპრიორი დევნის დაწყებაზე უარის საფუძვლად მიჩნეული.
6. გადაწყვეტილებებში არ არის მსჯელობა მოსამართლის ბრალეულობის საკითხზე - შეეძლო თუ არა თავიდან აეცილებინა ვადის გადაცილება.
7. გადაწყვეტილებები არ შეიცავს არსებით მსჯელობას ვადის გადაცილებით გამოწვეულ ზიანზე³²⁹.
8. მიუხედავად იმისა, რომ კანონით მკაცრად არის რეგლამენტირებული დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლად საპროცესო კანონით დადგენილი ვადის დარღვევა, დისციპლინური დევნის დაწყების საკითხი არსებითად განიხილება ისეთი საპროცესო მოქმედებების დაყოვნების გამოც, რომლის შესრულების ვადა კანონით დადგენილი არ არის³³⁰.
9. ნაცვლად ცალკეული საპროცესო მოქმედების ვადის დარღვევის შეფასებისა (როგორებიცაა მაგ., სხდომის დანიშვნის ვადები, მხარის შეტყობინების ვადები, დაუსწრებელი

³²⁷ იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილება #102-19, #141-19.

³²⁸ საქმე # 146-19

http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/2/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%20146-19_1.pdf [ნანახია 30.10.2023]

³²⁹ საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 75¹ მუხლის მე-4 პუნქტი ზიანის გათვალისწინებადობას ყველა დისციპლინური გადაცდომის სავალდებულო ელემენტად მიიჩნევს.

³³⁰ საქმე #126-19 შუამდგომლობის განხილვის ვადა არ ჩათვალა საბჭომ კანონით დადგენილად, თუმცა მიიჩნია, რომ გონივრული ვადის სტანდარტით უნდა შეემოწმებინა.

<http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/2/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%20126-19.pdf> [ბოლოს ნანახია 22.12.2023]

საქმე #141-19 დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარებისთვის კანონით სპეციალური ვადა დადგენილი ვადა არ არის. გონივრულად ჩაითვალა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მოპასუხისთვის პოლიციის წესით ჩაბარების შესახებ განჩინების მიღება 3 თვის შემდეგ.

გადაწყვეტილების გამოტანის, მხარისთვის განჩინების გაგზავნა და ა.შ., საჩივარში მითითებული ნებისმიერი დარღვევა ფასდება გადაწყვეტილების ჩაბარების და საერთო განხილვის (როგორც წესი 5-თვიანი) ვადებთან მიმართებით³³¹

10. საქმეზე მოსამართლის შეცვლის შემთხვევაში განიხილება მხოლოდ იმ მოსამართლის მიმართ დევნის საკითხი, ვისაც ასახელებს მომჩივანი³³². იმის გათვალისწინებით, რომ დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ძირითადად ხდება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ორი ვადის - საქმის განხილვის საერთო ვადისა და გადაწყვეტილების ჩაბარების ვადის კონტროლი, მოსამართლის ცვლილების შემთხვევაში დისციპლინური წარმოებით ვერ მოხდება კანონით დადგენილი ვადის ეფექტიანი კონტროლი, რამეთუ, თითოეულ მოსამართლესთან მიმართებით სადისციპლინო ორგანო 5-თვიან ვადას ითვლის იმ მონეტიდან, როცა საქმე ამ მოსამართლეს გადაეცა. პირობითად, თუ საქმე ერთ ინსტანციაში მიმდევრობით სამ მოსამართლესთან მოხვდა, თითოეულთან 5 თვით დაყოვნდა, საქმე 15 თვე განიხილებოდა, თუმცა არ არსებობს ვადის გადაცილებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი.

შესაძლოა ითქვას, რომ კანონის არსებული რედაქციის სულისკვეთებას, საქმეთა განხილვის ვადების დარღვევის სისტემურობის პირობებში მოსამართლის პასუხისმგებლობის იოლი გამორიცხვა წარმოადგენს. იქმნება ერთგვარი, შეკრული წრე:

- ყველა მოსამართლე დატვირთულია;
- დატვირთული მოსამართლის მიერ ვადის გადაცილება საპატიოა;
- დატვირთული მოსამართლე საქმის გაჭიანურების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებულია.

იუსტიციის საბჭოს ამგვარი დამოკიდებულება, ერთი შეხედვით, შეიძლება სამართლიანად მოგვეჩვენოს, რადგან სავსებით გასაგებია, რომ მოსამართლეს არ შეიძლება პასუხი მოეთხოვოს ქმედებაზე, რომელიც მხოლოდ მასზე არ არის დამოკიდებული,³³³ თუმცა, მეორე მხრივ, იუსტიციის საბჭოს ფართო დისკრეცია კორპორატიული მართვის პირობებში სრულიად განუჭვრეტად მდგომარეობაში ამყოფებს მოსამართლეს, ზრდის შერჩევითი მიდგომის რისკებს და მათი პერსონალური დამოუკიდებლობის საფრთხეს ქმნის.

³³¹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლები 205, 207, 373.

საქმე # 102-19 შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა 6 თვის შემდეგ შეფასდა განსაკუთრებული სირთულის საქმის განხილვისთვის დადგენილი 5-თვიანი სტანდარტით. ამ ვადის ერთი თვით გადაცილება არ ჩაითვალა დევნის დაწყებისთვის საკმარის ვადის დარღვევად (მიზანშეწონილობის სტანდარტი).

³³² იგვე მიდგომა აქვს დამოუკიდებელ ინსპექტორს: „მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური გადაცდომების შეფასება მოხდეს ინდივიდუალურ მოსამართლესთან მიმართებით, რადგან დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი მოსამართლეს ეკისრება მხოლოდ მის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომაზე. მოსამართლის ქმედება არა მთლიანად საქმის საერთო ვადიდან გამომდინარე, არამედ უშუალოდ მის წარმოებაში საქმის ყოფნის პერიოდით უნდა შეფასდეს, ხოლო შეფასების დროს თითოეული მოსამართლის მიერ განხორციელებული მოქმედებები უნდა იქნეს გათვალისწინებული“. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის ანგარიში <https://dis.court.ge/damoukidebeli-insegtoris-samsakhuris-2022-tslis-saqmianobis-angarishi/> [ნანახია 30.10.2023]

³³³ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მოსამართლის შეფასების შესახებ დასკვნაში მიუთითებს, რომ მოსამართლის უარყოფითი შეფასება კი უსამართლობაა მაღალი დატვირთვით, სასამართლო მოხელეთა სიმცირით, ან არასათანადო ადმინისტრაციული სისტემით გამოწვეული გაჭიანურების გამო.

დასკვნა #17, პარა 26.

რაც შეეხება სადისციპლინო კოლეგიას, 2022 წლის განმავლობაში დისციპლინური კოლეგიის მიერ საქმის განხილვის გაჭინურების გამო, მოსამართლის მიმართ საქმე არ განხილულა. განხილული ერთადერთი საქმე მოსამართლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებით დასრულდა, რაც ირიბად უკავშირდება მოსამართლის მიერ საქმის განხილვის ვადის დარღვევის საკითხს. გადაცდომას წარმოადგენდა მოსამართლის მხრიდან სადისციპლინო ორგანოსთვის ხელის შეშლა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში დისციპლინური ინსპექტორისთვის საქმის მასალების გადაცემის ვადის დარღვევაში გამოიხატებოდა³³⁴.

მოსამართლემ საქმის მასალები დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს გადაუგზავნა ერთი თვისა და 25 დღის შემდეგ, მაშინ, როდესაც დამოუკიდებელ ინსპექტორს დასკვნის მომზადებისათვის ჯამში მხოლოდ 2 თვე ჰქონდა.

რამდენიმე ფაქტობრივი გარემოება, რომელიც აჩენს ვარაუდს, რომ მოსამართლის მიმართ დევნა არ შეესაბამებოდა დისციპლინური პასუხისმგებლობის რეალურ მიზანს, მდგომარეობს შემდეგში:

- მოსამართლის მიმართ დევნა დაიწყო დამოუკიდებელი ინსპექტორის აპარატის თანამშრომლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე;
- საქმის მასალების გადაცემის ვადა³³⁵, რომლის დარღვევის გამო მოსამართლე დაისაჯა, არ არის დაწესებული კანონით და არც დამოუკიდებელ ინსპექტორს დაუწესებია.
- დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნის მომზადების 2-თვიანი ვადა, დაახლოებით 2 თვით იყო დარღვეული თავად დამოუკიდებელი ინსპექტორის მხრიდან, იმ მომენტში, როცა დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მოსამართლეს საქმის მასალების მოთხოვნით მიმართა.
- გარდა ამისა, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას დისციპლინური პასუხისმგებლობის აუცილებელ ორ ელემენტზე - მოსამართლის ბრალეულობაზე და მოსამართლის ქმედებით გამოწვეულ ზიანზე.

გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ საქმე, რომლის გამოც ამ მოსამართლის მიმართ პირველი დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობდა და ეხებოდა მოსამართლის მიერ მხარისთვის გადაწყვეტილების 7 თვის შემდეგ ჩაბარებას, იუსტიციის საბჭომ შეწყვიტა სტანდარტული პრაქტიკით, მათ შორის მოსამართლის გადატვირთულობის გათვალისწინებით³³⁶.

უკანასკნელი გადაწყვეტილებით და იუსტიციის საბჭოს შესწავლილი პრაქტიკის საფუძველზე, კარგად ჩანს სადისციპლინო ორგანოების განსხვავებული სტანდარტით მიდგომა. ფაქტობრივად,

³³⁴ სადისციპლინო კოლეგიის 2022 28 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე ნომერი 1/01-22 http://dcj.court.ge/uploads/gadackvetilebebi/18_12_2022_101.pdf [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

³³⁵ გადაწყვეტილებით ამ ვადად მიჩნეული იქნა დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის განსზღვრული საქმის მოკვლევის ორთვიანი ვადა.

³³⁶ იუსტიციის საბჭოს 208-18 გადაწყვეტილება, იხ. -

<http://hcoj.gov.ge/Uploads/2021/2/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%20208-18.pdf> [ბოლოს ნანახია 22.12.2023]

ერთსა და იმავე მოსამართლის მიერ დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის მასალების დაგვიანებით გადაცემის გამო, მოსამართლე დაისაჯა, ხოლო მხარისთვის გადაწყვეტილების დაგვიანებით გადაცემის გამო - არა. როგორც აქედან ჩანს, ერთი მხრივ, სასამართლო სისტემა მეტად მგრძობიარეა შიდა ადმინისტრაციული ანგარიშვალდებულების მიმართ, ვიდრე საზოგადოების წინაშე მოსამართლის ანგარიშვალდებულების მიმართ და, მეორე მხრივ, შერჩევითად იყენებს დისციპლინური სამართალწარმოების მექანიზმს შიდაკორპორატიული „წესრიგის“ შესანარჩუნებლად.

დისციპლინური სამართალწარმოების, როგორც საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიების ეფექტიანობა შეაფასა ევროსასამართლომ 2021 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებაში *შრადე საქართველოს წინააღმდეგ* (Schrade v. Georgia, საჩივარი **N15016/07**). ეს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში ორ წელიწადნახევარი, ხოლო სააპელაციო სასამართლოში თითქმის სამი წელი გაგრძელდა. აღნიშნულ საქმეზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევასთან ერთად, მე-13 მუხლის დარღვევაც დაადგინა (ეფექტური დაცვის საშუალება).

აღნიშნულ საქმეზე საქართველოს მთავრობას არ წარმოუდგენია იმისი მტკიცებულება, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებდა საქმისწარმოების გაჭიანურების შემთხვევაში რაიმე სახის კომპენსატორულ მექანიზმს. საქართველოს მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს შეეძლო გაჭიანურებული სამართალწარმოების შესახებ შეეტანა დისციპლინური საჩივარი და მოსამართლის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენება დააჩქარებდა საქმის წარმოებას. როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ აღნიშნა, ხელისუფლებამ ვერ მოიყვანა ვერც ერთი საქმე, როდესაც დისციპლინურმა სამართალწარმოებამ დააჩქარა მოსამართლის მიერ საქმის განხილვა. დისციპლინური სამართალწარმოება მიეკუთვნებოდა სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და განმცხადებელს არ ჰქონდა გასაჩივრების შესაძლებლობა. ხელისუფლებას ასევე არ განუცხადებია რომ დისციპლინური წარმოების შედეგები შესაძლოა გამხდარიყო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი. შესაბამისად, დისციპლინური საჩივარი ვერ ჩაითვლებოდა ეფექტიანად სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ საჩივართან მიმართებით და აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან ერთობლიობაში.

5. მოსამართლეების ძვევა

ძირითადი მიგნებები:

- მოსამართლეები არ იყენებენ საქმის ეფექტური მართვის რეკომენდებულ მექანიზმებს, როგორებიცაა აღრუული ეტაპიდან საქმის უწყვეტი კონტროლი, მხარეებთან ერთად საქმის მსვლელობის დაგეგმვა და პროცესუალური კალენდრის შედგენა, ნაკადის მართვა საქმეთა დიფერენცირების გზით.
- მხარეთათვის დავალებების შესრულებისა და მტკიცებულებების წარმოდგენის ვადის განსაზღვრა, მისი ეფექტური კონტროლი; ასევე დადგენილ ვადებში საპროცესო მოქმედებების შეუსრულებლობის გამო ეფექტურად არ გამოიყენება მხარეთათვის პროცესუალური პასუხისმგებლობის დაკისრება .
- თითქმის ყველა საკითხი განიხილება ზეპირად, მოსამზადებელ სხდომაზე, რაც იწვევს მოზადების სტადიის განხგრძლივებას და მოსამზადებელი სხდომების რაოდენობის ზრდას.
- საქმეთა გადადება ხშირად ხდება უსაფუძვლოდ, ხანგრძლივი ინტერვალებით.
- საქმეებზე სისტემატურია ე.წ. უძრაობის ხანგრძლივი პერიოდები, როდესაც არ ხორციელდება რაიმე საპროცესო მოქმედება და შემდეგი მოქმედებაც არ არის ჩანიშნული.
- სამოქალაქო საქმეთა მორიგებით დასრულების მაჩვენებელი 2017 წლის შემდეგ მუდმივად ეცემა. 2022 წლის მდგომარეობით დასრულებულ საქმეთა 4 პროცენტს შეადგენს.
- საქმეთა მართვის უნარების შესახებ მოსამართლეთა განგრძობადი სწავლება 2018 წლის შემდეგ არ განხორციელებულა.
- მოსამართლეთა ნაწილი არ არის მოტივირებული რომ საქმეები დროულად და ეფექტურად განიხილოს. მოსამართლის დემოტივაციაზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის საქმეთა დაგროვება, წახალისების და მხარდაჭერის სისტემის არარსებობა.

5.1. საქმეთა განხილვის ვადები და მათი დაცვა

მართლსაჯულების ეფექტიანობის ევროპული სასამართლოს რეკომენდაციით, საქმისწარმოების ვადები უნდა იყოს განჭვრეტადი³³⁷. საკანონმდებლო ან სხვა აქტებით საქმეთა განხილვის ვადების ნორმატიულად განსაზღვრა უნდა მოხდეს ფრთხილად, ისე რომ მხედველობაში იქნას მიღებული საქმეთა შორის განსხვავებები. თუ ვადებს აღგენს კანონი, ამ ვადების აღეკვატურობა და მათი დაცვა მუდმივად უნდა შემოწმდეს³³⁸.

³³⁷ მართლსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. I.A.2-3 <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნაწახია 22.09.2023]

³³⁸ იქვე, პარ I. D. 17.

საპროცესო კანონმდებლობა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში ადგენს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის ვადებს, რომელთა დაცვა მოსამართლისთვის სავალდებულოა. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით,³³⁹ მოსამართლემ სამოქალაქო საქმე უნდა განიხილოს განცხადების მიღებიდან 2 თვეში, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე, სასამართლო გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა³⁴⁰.

პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლომ განაჩენი უნდა გამოიტანოს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა³⁴¹. სააპელაციო სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე უნდა განიხილოს საჩივრის შეტანიდან 2 თვისა და 10 დღის ვადაში³⁴².

საკასაციო წარმოებაში როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო (და ადმინისტრაციულ) საქმეებზე ვრცელდება საქმის განხილვის 6-თვიანი ვადა³⁴³.

სპეციფიკური შემჭიდროვებული ვადები არის დადგენილი ცალკეული კატეგორიის საქმეთა განხილვისთვის, მაგ., ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეები სასამართლომ უნდა განიხილოს არაუგვიანეს 1 თვისა³⁴⁴.

გარდა საქმეთა განხილვის ვადებისა საპროცესო კანონმდებლობა ასევე იცნობს საქმისწარმოების შუალედურ ვადებს, მაგალითად, სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილება უნდა მომზადდეს სარეზოლუციო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 14 დღეში,³⁴⁵ ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე 5 დღეში, ხოლო რთულ და მრავალტომიან, ან მრავალბრალდებულის საქმეებზე 14 დღეში.³⁴⁶ სააპელაციო სასამართლოში სამოქალაქო/ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ვადაა 10 დღე, ხოლო საკასაციო სასამართლოში 3 თვე და ა.შ.³⁴⁷

³³⁹ იგივე წესი ვრცელდება ადმინისტრაციულ საქმეებზე.

³⁴⁰ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის ძალით საქმეთა განხილვის იგივე ვადები გავრცელდება სააპელაციო საქმეთა წარმოებაზე.

³⁴¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილი. სამოქალაქო საქმეთა განხილვისას სააპელაციო ინსტანციის სასამართლოზე ვრცელდება პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის დადგენილი ვადები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლი: „საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით“).

³⁴² საჩივრის შეტანიდან დასაშვებად ცნობამდე 10 დღე, დასაშვებად ცნობიდან განაჩენის გამოტანამდე 2 თვე. იხ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 295-ე მუხლი.

³⁴³ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლის მე-6 ნაწილი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-8 ნაწილი. ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

³⁴⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

³⁴⁵ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257 მუხლის მე-2 ნაწილი

³⁴⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 278 მუხლი.

³⁴⁷ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374 და 401-ე მუხლები.

სასამართლოს მიერ საქმის კანონით დადგენილი ვადების დარღვევით განხილვა როგორც წესი რაიმე **პროცესუალურ** სამართლებრივ შედეგს არ იწვევს.

კანონმდებლობით დადგენილი ვადები უმეტესწილად ირღვევა. ეს, ერთი მხრივ მათი არაგონივრულობით შეიძლება აიხსნას. დავების გამრავალფეროვნების და სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საკითხების გაზრდის, ისევე როგორც მხარეთათვის განკუთვნილი საპროცესო ვადების ცვლილების მიუხედავად, კანონით დადგენილ საერთო ვადას ცვლილება არ განუცდია და არადეკვატურია. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, სარჩელის მიღებიდან მოპასუხის შესაგებლის მიღებამდე ყველა ვადის მაქსიმუმის გამოყენების შემთხვევაში ჯამური 92 დღეა გათვალისწინებული, რაც უკვე აღემატება ჩვეულებრივ საქმის განხილვის საერთო ორთვიან ვადას.

მოსამართლეები ვადების დარღვევის მიზეზად დატვირთულობას და მათ არაგონივრულობას ასახელებენ, მიიჩნევენ რომ გონივრული ვადის პრინციპზე გადასვლა უმჯობესია:

*„საქმის განხილვის კანონით დადგენილ ვადაში თითქმის ვერასდროს ხერხდება საქმის განხილვა. კანონით დადგენილი ვადები არ შესაბამება რეალურად საქმის განხილვის ვადებს და იმთავითვე შეჰყავს მხარეები შეცდომაში“.*³⁴⁸

*„ეს ვადები არის ფიქცია. ფაქტობრივად, იძულებულს მხდებიან რომ დავარღვიო. გონივრული ვადის პრინციპს ვემხრობი უფრო. ისე, ვფიქრობ, ერთ ინსტანციაში 5 თვის ვადაში შესაძლებელია საქმის განხილვა ნორმალური დატვირთვის პირობებში“.*³⁴⁹

*“ვადები არაგონივრულია. რომ გადავიყვანოთ საათებში პროცესის ციკლი, არ ჩაეტევა მაგ ვადაში. გადაწყვეტილების დაწერის ვადაც არ არის გონივრული“.*³⁵⁰

ირღვევა არა მხოლოდ საქმის განხილვის საერთო, არამედ ასევე შუალედური ვადებიც, თუმცა როგორც ჩანს, მხარეთათვის განსაკუთრებით მტკივნეულია დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების ვადის დარღვევა, სხვა საპროცესო მოქმედებების ვადებთან მიმართებით.

*„ყოფილა შემთხვევები, როცა 2 წლის წინ გამოაცხადეს გადაწყვეტილება და მოვიდა 2 წლის შემდეგ დასაბუთებული“.*³⁵¹

*„მოსამართლეები გადაწყვეტილების დაწერას კანონით დადგენილ ვადაში ვერ ასწრებენ, ამიტომ მხარეებს გვიწევს ფორმალურად საჩივრის შეტანა, რომ გასაჩივრების ვადა არ გავუშვათ. ფაქტობრივად, მაკულატურით ვავსებთ სასამართლოს. სააპელაციო საჩივრის ფორმას, შიგნით ვწერთ რეკვიზიტებს და ვუთითებთ რომ არ მაქვს გადაწყვეტილება, ამიტომ დასაბუთებულ საჩივარს წარმოვადგენ მოგვიანებით, ეს ძალიან ხშირად ხდება“.*³⁵²

*„ჩვენ შევეჩვიეთ იმას, რომ მოსამართლე არღვევს ვადას. მოსამართლე, რომელსაც მოეთხოვება კანონის დაცვა, საზოგადოებრივ პატივისცემას კარგავს ვადების დარღვევის გამო“.*³⁵³

³⁴⁸ ონლაინ რესპონდენტი, ადვოკატების ონლაინ გამოკითხვა.

³⁴⁹ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

³⁵⁰ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

³⁵¹ 10 მაისის ფოკუს ჯგუფი ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან.

³⁵² პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, ქალი.

³⁵³ 29 მარტის ფოკუს ჯგუფი ადვოკატებთან.

მთელ რიგ ქვეყნებში საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი ვადები არ არსებობს. თუმცა ასეთ ქვეყნებში, როგორც წესი, საქმეთა განხილვის საორიენტაციო ვადებს თავად სასამართლოები აღგენენ.

მიუხედავად იმისა ვადები კანონით იქნება დადგენილი თუ არა, საერთაშორისო პრაქტიკით, რეკომენდებულია საორიენტაციო ვადების (მენეჯერული ვადები) დადგენა, რომელიც უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და მიღწევადი. საორიენტაციო ვადები უნდა გამოქვეყნდეს და პერიოდულად გადაიხედოს. თუ ვადები ვერ იქნა დაცული, მაშინ კონკრეტული მოქმედებები და ნაბიჯები უნდა გადაიდგეს სიტუაციის გამოსასწორებლად³⁵⁴.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც წესი, საქმეთა განხილვის მკაცრად დადგენილი ვადები არ არსებობს, მაგრამ არსებობს ე.წ. მენეჯერული ვადები, ანუ სხვადასხვა კატეგორიის საქმეთა განხილვის საშუალო ვადები რომლებსაც ადგენს თავად სასამართლო. ეს ვადები ეხება არა კონკრეტულ საქმეს, არამედ საქმეთა ნაკადს მთლიანობაში.

ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ შემუშავებული სტანდარტებით, სამოქალაქო საქმეების 75 % უნდა დასრულდეს 180 დღეში, 90 % კი - 65 დღეში, ხოლო 100 % - 540 დღეში³⁵⁵. დღეისათვის საქმეთა განხილვის საორიენტაციო ვადები საშტატო სასამართლოების უმრავლესობას აქვს შემუშავებული³⁵⁶. საქმეთა ნაკადის დასასრულებლად საორიენტაციო ვადების დადგენის პრაქტიკას ევროპული ქვეყნების ნაწილიც (უმეტესწილად ჩრდილოეთ ევროპა - დანია, ნიდერლანდები, ფინეთი, შვედეთი) იზიარებს³⁵⁷.

1.1. საქმის განხილვის დაგეგმვა

სამართალწარმოება კომპლექსური პროცესია, რომელშიც ჩართულია მრავალი სუბიექტი - მოსამართლე, მხარე, ადვოკატი, მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი და ა.შ.. მათ შუიქლიათ ზეგავლენა მოახდინონ საქმის მსვლელობასა და ხანგრძლივობაზე. მიუხედავად ამისა, საქმის მართვაზე მთავარი პასუხისმგებლობა მოსამართლეს ეკისრება. აღნიშნულ პრინციპს სპეციალურ ლიტერატურაში აქტიური სასამართლო კონტროლის პრინციპს უწოდებენ³⁵⁸.

³⁵⁴ სატურნის გაიდლაინები IV.C.6-8. კომისიის მოსაზრებით, ვადები შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად, „მაგ., დადგინდეს რომ საქმეთა 90 პროცენტი განხილული იქნას დადგენილ დროში“. როგორც კომისია აღნიშნავს, თავის-თავად ვადების დადგენა არ არის „გაჭიანურების პრობლემის მოგვარების მთავარი საშუალება, მაგრამ მათ დაამტკიცეს თავისი სარგებლიანობა სასამართლოს პოლიტიკის და საქმიანობის შეფასების თვალსაზრისით, რაც შედეგად იწვევს სამართალწარმოების ვადების გაუმჯობესებას“. (მაგ. 9-10 თვეში) მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023) გვ. 27. ამ საკითხზე უფრო დეტალური გაიდლაინები იხ., CEPEJ, *Towards European Timeframes for Judicial Proceedings Implementation Guide*, 2016 <https://rm.coe.int/16807481f2> [ბოლოს ნანახია 22.12.2023]

³⁵⁵ The National Center for State Courts (NCSC) , Model Time Standards for State Trial Courts, 2011, p. 17 - https://www.ncsc.org/_data/assets/pdf_file/0032/18977/model-time-standards-for-state-trial-courts.pdf [ბოლოს ნანახია 22.12.2023]

³⁵⁶ National Center for State Courts (NCSC) - <https://www.ncsc.org/consulting-and-research/areas-of-expertise/court-management-and-performance/high-performance-courts/cpts> [ბოლოს ნანახია 22.12.2023]

³⁵⁷ Regional Cooperation Council, Backlog Reduction Programmes and Weighted Caseload Methods for South East Europe, Two Comparative Inquiries, 2016, p. 19.

³⁵⁸ „იმისთვის რომ მოხდეს საქმეების სამართლიანი და ეფექტიანი განხილვა, საქმისწარმოების სისწრაფეს უნდა აკონტროლებდეს სასამართლო და არა ადვოკატები ან მოდავე მხარეები“. - To enable just and efficient resolution of cases,

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განმარტებით, საქმის გონივრულ ვადაში განხილვაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო. როდესაც საქმისწარმოების ხანგრძლივობა ერთი შეხედვით გადაჭარბებული ან უჩვეულოა, მოპასუხე სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს „დამაჯერებელი განმარტება“. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება რომ დარღვეულია გონივრული ვადის მოთხოვნა³⁵⁹. ასეთ შემთხვევებში წარმოიქმნება გარკვეული სახის პრეზუმფცია, რომ სამართალწარმოება გაჭიანურდა და სახელმწიფომ უნდა აჩვენოს, რომ ის არ არის პასუხისმგებელი ამ გაჭიანურებაზე³⁶⁰. იმ სამართლებრივ სისტემებშიც, სადაც პროცესი სრულად დისპოზიციურ პრინციპს ემყარება (principle of determination, იტალიურად - principio dispositivo) და მხარეები აკონტროლებენ სამართალწარმოების მსვლელობას, სასამართლოს ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს საქმის სწრაფი განხილვა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად³⁶¹. მოსამართლეთა ქვევის ბანგალორის პრინციპებით, მოსამართლეთა ვალდებული აწარმოოს საქმეთა კონტროლი, რათა შეამციროს და აღმოფხვრას ფუჭი ხარჯები, ზედმეტი დაგვიანება და გაჭიანურება³⁶². საქმეზე სასამართლო კონტროლი იწყება საქმის შემოსვლიდან და მიმდინარეობს უწყვეტად (early and continuous)³⁶³.“ შესაბამისად, მოსამართლის მიერ საქმის კონტროლი ხორციელდება როგორც საქმის დასაშვებობის, მომზადების, არსებითი განხილვის, ისე გადაწყვეტილების მომზადების ეტაპებზე.

მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია რეკომენდაციას უწევს მოსამართლის მიერ მხარეებთან ერთად პროცესის წინასწარ დაგეგმვას, სადაც გაწერილია საპროცესო მოქმედებების კალენდარი.³⁶⁴ ამ გრაფიკიდან გადახვევის შემთხვევები უნდა იყოს მინიმალური და უნდა დაიშვებოდეს მხოლოდ საპატიო შემთხვევებში³⁶⁵.

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს პროცესუალური კალენდრის წინასწარ შედგენის ვალდებულებას, თუმცა მოსამართლეს მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების პირობებშიც შესაძლებლობა აქვს უკეთ დაგეგმოს პროცესი მხარეებთან შეთანხმებით. დაგეგმვის მინიმალური ელემენტების გამოყენება არსებული რეგულაციების პირობებშიც ხდება, მიუხედავად იმისა, რომ კანონი პირდაპირ ამას არ ითვალისწინებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული

the court, not the lawyers or litigants, should control the pace of litigation, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, გაჭიანურების შემცირებასთან დაკავშირებული სტანდარტები, სტანდარტი 2.50. ციტირებულია წყაროდან: Fair, Timely and Economic Justice, National Judicial College, p. 5.

https://bja.ojp.gov/sites/g/files/xyckuh186/files/Publications/NJC_CaseflowManagement.pdf [ბოლოს ნანახია 22.12.2023] იხ., აგრეთვე, Civil Caseflow Mananagement System, Institute for the Advancement of American Legal System, p. 8 https://www.uscourts.gov/sites/default/files/iaals_roadmap_for_reform_civil_caseflow_management_guidelines_0.pdf [ბოლოს ნანახია 22.12.2023]

³⁵⁹ იხ., მაგ.: Foti and others v. Italy, 10 Dec. 1982, §§65, 68, 69, 72 and 76, and Corigliano v. Italy (merits), 10 Dec. 1982, §47;

³⁶⁰ The right to trial within reasonable time under Article 6 ECHR A practical handbook prepared by Ivana Roagna 2018, p. 23 <https://rm.coe.int/the-right-to-trial-within-reasonable-time-eng/16808e712c> [ბოლოს ნანახია 22.12.2023]

³⁶¹ იხ., მათ შორის, Guincho v. Portugal, 1984, § 32; Buchholz v. Germany, 1981, §50; Baraona v. Portugal, 1987, § 48.

³⁶² ". მოსამართლეთა ქვევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები, გვ. 192.

<https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.gcevis-wes2.pdf> [ბოლოს ნანახია 22.12.2023]

³⁶³ David Steelman, Improving Caseflow Management, a Brief Guide. National Center of States Courts, 2008. P. 7. <https://ncsc.contentdm.oclc.org/digital/api/collection/ctadmin/id/1022/download> [ბოლოს ნანახია 22.12.2023]

³⁶⁴ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. V.B.5 <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

³⁶⁵ იქვე, V.B.5.

სარჩელის, შესაგებლის (და სხვა) ფორმებში მხარეთათვის განკუთვნილია რამდენიმე კითხვა როგორც კომუნიკაციის, ასევე პროცესის დროის დაგეგმვის შესახებ. მაგალითად, სურს თუ არა მასალების მიღება ელ. ფოსტით. დღის რა შუალედში შეუძლია გზავნილების მიღება და რომელ მისამართს ანიჭებს უპირატესობას, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას კომუნიკაციის ფორმის შესახებ, ირჩევს მოსამართლე³⁶⁶.

აღნიშნულ ფორმაში შეტანილია სამი კითხვა მხარის მოსაზრების გასაგებად პროცესის დაგეგმვის თაობაზე :

- თანახმა ხართ თუ არა საქმე განიხილოს სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე?
- რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისთვის?
- რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად საქმის განხილვა³⁶⁷?

საქმის მომზადების მიზნით, მოსამართლის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები არ არის ამომწურავი. კანონი განსაზღვრავს სანიმუშო ჩამონათვალს და უშვებს სხვა მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობებსაც³⁶⁸. ზოგიერთი პრაქტიკოსი იურისტის აზრით, ეს ჩანაწერები მხარეებთან ერთად პროცესის დაგეგმვისა და მოქმედებათა გრაფიკის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა³⁶⁹.

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პროცესში მოსამართლეები მხარეებთან ერთად პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას ეფექტიანდ არ იყენებენ.

*„საპროცესო მოქმედებების კალენდარი არავის გაუკეთებია ჩემს პრაქტიკაში. ერთადერთი, რაზეც ერთხელ გამაფრთხილეს, იყო ის, რომ მოსაშზადებელი სხდომა გადაიზრდება მთავარში და მზად იყავითო“.*³⁷⁰

სხდომების გადადებების შემცირების მიზნით საერთაშორისო გამოცდილება ითვალისწინებს სასამართლოს მიერ სხდომის თარიღის ჩანიშვნას მხარეებთან შეთანხმებით. თუ სასამართლო ჩანიშნავს სხდომებს რუტინულად, მხარეებთან და ადვოკატებთან კონსულტაციისა და მათი ხელმისაწვდომობის გარკვევის გარეშე, მაღალია ალბათობა, რომ ისინი არ გამოცხადდებიან; ხოლო როდესაც სხდომები იგეგმება ინტერაქტიული, მხარეებთან კონსულტაციით, გამოუცხადებლობის გამოც მხარის დაჯარიმება უფრო ლეგიტიმურ ხასიათს ატარებს³⁷¹.

როგორც რესპონდენტები მიუთითებენ, მხარეებთან სხდომების თარიღების შეთანხმების პრაქტიკა დამოკიდებულია იმაზე, სხდომა პირველია თუ შემდგომი.

³⁶⁶ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე და 178-ე მუხლები.

³⁶⁷ იხ., სარჩელის ფორმა <https://old.supremecourt.ge/form-of-court/> [ბოლოს ნანახია 22.12.2023]

³⁶⁸ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 203.

³⁶⁹ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

³⁷⁰ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

³⁷¹ Regional Cooperation Council, Backlog Reduction Programmes and Weighted Caseload Methods for South East Europe, Two Comparative Inquiries, 2016, p. 15.

„პირველი სხდომის ჩანიშვნას არავინ გვითანხმებს, რაც ზოგჯერ სხდომის გადადების საფუძველი ხდება, ვინაიდან შეიძლება ადვოკატი სხვა სხდომაზე იყოს დაბარებული. შემდგომ დანიშნულ სხდომებს გვითანხმებენ მხარეებს, როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო საქმეებზე“.³⁷²

„როცა სატელეფონო შეტყობინების დროს თანაშემწეს ვუბნები, რომ დანიშნულ დროს სხვა პროცესი მაქვს და არ მცალია, მუბნება - მერე შემოიტანე განცხადება და მოითხოვე გადადებაო. მიჩნდება განცდა, რომ ამ შემთხვევაში, მოსამართლისთვის მთავარია ფორმალურად პროცესი ჩანიშნოს, რათა მერე ჰასუხი არავინ მოთხოვოს პროცესის ჩაუნიშნაობისთვის“³⁷³“.

რესპონდენტი მოსამართლეებიდან მხოლოდ ერთმა მიუთითა, რომ იყენებს მხარეებთან ერთად საქმის დაგეგმვის მეთოდს საქმისწარმოების დაჩქარების მიზნით, ისიც, მოსამზადებელ სხდომიდან და არა სასამართლოში საქმის შესვლის ეტაპიდან³⁷⁴.

სისხლის სამართლის პროცესი ითვალისწინებს მხარეებთან ერთად საქმის დაგეგმვის გარკვეულ ელემენტებს, ბრალდებულის პირველი წარდგენისა და წინასასამართლო სხდომების ეტაპზე, რასაც ქვემოთ, აღნიშნულ სხდომებზე მსჯელობისას განვიხილავთ.

5.2. საქმის დასაშვებობის ეტაპი

საქმის დასაშვებობის ეტაპი ცალკე შეიძლება გამოვყოთ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ წარმოებაში, სადაც დავა მოსარჩელის მიერ სარჩელის სასამართლოში შეტანით იწყება. სისხლის სამართლის პროცესში საქმის წარმოებაში მიღების ან დასაშვებობის ეტაპი ცალკე არ არსებობს. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სარჩელის გაუმართავობის დროს მოსამართლე მოსარჩელეს ხარვეზის შესავსებად ვადას აძლევს და მხოლოდ მისი უშედეგოდ გასვლის შემდეგ არ მიიღებს სარჩელს განსახილველად. კვლევის პერიოდში (2023 წლის 30 ივნისამდე მოქმედი რეგულაციით) სამოქალაქო საქმეზე სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე მოსამართლეს არ შეეძლო მოსარჩელისთვის ხარვეზის გამოსწორების დავალება: ან უნდა მიეღო სარჩელი წარმოდგენილი სახით, ან - არა³⁷⁵. ცხადია, მოსარჩელეს არ ეზღუდებოდა უფლება სარჩელის მიღებაზე უარის შემდეგ კვლავ მიემართა სასამართლოსთვის იმავე შინაარსის სარჩელით. კანონის ამგვარი რეგულაცია სასამართლოების განტვირთვის ინტერესით იყო ახსნილი³⁷⁶. იგი საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდა. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული რეგულაცია შეაფასა კონსტიტუციის 31-ე მუხლთან წინააღმდეგობრივად. მისი გამოყენება დაზუსტებადი სარჩელების მიმართ მიიჩნია არალოგიკურად, მოსარჩელის და სასამართლოს ადამიანური მატერიალური და დროის რესურსის არამიზნობრივ ხარჯვად, რომელიც აჭიანურებს სარჩელის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტას და ამცირებს სასამართლოს ეფექტიანობას³⁷⁷.

³⁷² პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

³⁷³ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, ქალი.

³⁷⁴ ონლაინ გამოკითხული მოსამართლე.

³⁷⁵ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლი.


³⁷⁶ იხ., საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის პოზიცია საკონსტიტუციო სარჩელზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება #2/1/1481. პარა 10.

³⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/1481 – ვებგვერდი, 07.02.2023წ. იხ.: <https://constcourt.ge/ka> [ბოლოს ნანახია 23.12.2023]

საქართველოს 2023 წლის 30 ივნისის კანონი №3447 – ვებგვერდი, 30.06.2023წ. პარ. 21-25.

ხელმისაწვდომი არ არის სტატისტიკური მონაცემი, თუ რამდენი საქმე დაბრუნდა უკან სასამართლოში წარმოებაში მიღებაზე უარის შემდეგ, რის გამოც შეუძლებელია შეფასება, რამდენად გამოიწვია სასამართლოთა განტვირთვა ამ მიდგომამ და როგორ „მუშაობდა“ ეს ნორმა. წლების განმავლობაში იზრდებოდა იმ სამოქალაქო საქმეების რაოდენობა, რომლებიც განსახილველად არ იქნა მიღებული და 2021 - 2022 წლების მდგომარეობით, ყოველი მეორე სამოქალაქო სარჩელი არ მიიღებოდა სასამართლო წარმოებაში³⁷⁸.

გრაფიკა #51



რესპონდენტი ადვოკატები მიიჩნევენ, რომ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის შემთხვევების სიხშირე, მოსამართლეების მიერ საქმეთა რაოდენობის თავიდან აცილებით შეიძლება ყოფილიყო ნაკარნახევი, რის გამოც ეს მექანიზმი ყოველთვის მიზნობრივად არ გამოიყენებოდა.

*„მოსამართლეს წარმოებაში მიუღებელი საქმე განხილულ საქმედ ეთვლება სტატისტიკაში. სტატისტიკისთვის ძალიან ცუდად იქცეოდნენ მოსამართლეები. მაგალითად, მოწინააღმდეგე მხარის შეიღი არ მქონდა მითითებული და მოსამართლეს არ მიუღია საქმე წარმოებაში“.*³⁷⁹

მოსამართლეები ზოგჯერ მრავალჯერადად ადგენენ უარს საქმის წარმოებაში მიღებაზე და თითოეულ ჯერზე სხვადასხვა საფუძვლით³⁸⁰. პრობლემა იყო ასევე ამ განჩინებების დასაბუთების ხარისხი.³⁸¹

³⁷⁸ სტატისტიკური ინფორმაცია აღებული იქნა უზენაესი სასამართლოს ვებგვერდიდან, www.supremecourt.ge [ბმომს ნანახია: 22.12.2023]; ასევე უზენაესი სასამართლოს 15 ივნისის N. პ. 499-23 წერილი.

³⁷⁹ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, ქალი. იხ., აგრეთვე, „დაუსაბუთებელი უარი ხშირად იმით არის მოტივირებული რომ მოსამართლე ცდილობს საქმე თავიდან მოიცილოს, ხოლო თუ იგივე სარჩელი ხელმოკრედ იქნა შეტანილი სტატისტიკურად ერთი საქმე ორ საქმედ ეთვლება“ - პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი კაცი.

³⁸⁰ 29 მარტის ფოკუს ჯგუფი, ადვოკატები.

³⁸¹ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი: „წარმოებაში მიღების განჩინებები ზოგჯერ დაუსაბუთებელია. მაგ., წარვადგინე დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა მხარის მძიმე ქონებრივ მდგომარეობას და მოსამართლისგან მოვითხოვე ბაჟისგან გათავისუფლება, ბაჟის შემცირება ან გადავადება. მოსამართლე თვლის, რომ ეს დოკუმენტები არ არის საკმარისი და

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის რეკომენდაციით, ერთ-ერთი საკითხი, რაც სასამართლომ ადრეულ ეტაპზე უნდა გადაწყვიტოს, არის საქმეზე სასამართლოს განსჯადობა³⁸². ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. შესაძლებელია სასამართლოებს შორის დავა განსჯადობაზე, რასაც უზენაესი სასამართლო წყვეტს.

განსჯადობით საქმის დაგვიანებულმა გადაგზავნამ შეიძლება საქმისწარმოების ხანგრძლივობაზე მნიშვნელოვნად იმოქმედოს. პროექტის მიერ შესწავლილ ადმინისტრაციულ საქმეზე სარჩელი სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ შეტანილი იქნა ადმინისტრაციულ სასამართლოში. საქმეზე სარჩელისა და შესაგებლის, დაზუსტებული სარჩელისა და შესაგებლის წარმოდგენის შემდეგ საქმეზე ჩატარდა მხოლოდ ერთი მოსამზადებელი სხდომა. მხარეების მიერ ყველა მასალა წარდგენილი იქნა სარჩელის წარმოებაში მიღებიდან წელიწადისა და 2 თვის შემდეგ. თუმცა, ამის შემდეგ, საქმე უმოძრაოდ იმყოფებოდა მოსამართლესთან წელიწადი და 4 თვე, რის შემდეგაც, მოსამართლემ საქმე განსჯადობით გადააგზავნა სამოქალაქო სასამართლოში. მოსამართლეს რომ საქმის მასალები დროულად შეესწავლა, ის მალევე გადაწყვეტდა განსჯადობის საკითხს და საქმეს გააგრძელებდა სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე.

2012 წლის მაისამდე სამოქალაქო სარჩელისა და თანდართული მასალების მოპასუხისთვის ჩაბარებას სასამართლო უზრუნველყოფდა, ხოლო 2012 წელს მიღებული ცვლილებებით, მოსარჩელეს თავად დაეკისრა გზავნილის ჩაბარების ვალდებულება³⁸³. ადვოკატები მეორე მხარისთვის გზავნილის ჩაბარების ვალდებულების დაკისრებას პრინციპულად არ ეწინააღმდეგებიან, თუმცა მიიჩნევენ, რომ მოპასუხისთვის გზავნილის ჩაბარების ორთვიანი ვადა აჭიანურებს პროცესს. ერთი მხრივ, შეიძლება მოხდეს ამ ვადის ბოროტად გამოყენება, ხოლო, მეორე მხრივ, ხშირია შემთხვევები, როცა მხარე ვერ აბარებს და მაინც სასამართლოს ჩასაბარებელი ხდება. შესაბამისად, აჯობებს დროულად გამოვლინდეს ჩაუბარებლობის შემთხვევა, რათა დროულად ჩაერთოს სასამართლო“.³⁸⁴

სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, სასამართლო მოპასუხეს განუსაზღვრავს დროს შესაგებლის წარმოსადგენად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე - 21 დღეს. რესპონდენტები მიუთითებენ, რომ კანონის ამ ჩანაწერის მიუხედავად,

მუშებზე უარს სარჩელის მიღებაზე. განჩინებაში არ გვხვდება მსჯელობა - ამ სამი მოთხოვნიდან, რომლისთვის არ არის საკმარისი მტკიცებულებები“.

³⁸² იხ., ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2004 წლის 24 ნოემბრის მოსაზრება სამართლიანი პროცესისა და მოსამართლის როლის შესახებ დავის ალტერნატიული მოგვარების საშუალებების გათვალისწინებით N. 6, პარ. C 15. <https://rm.coe.int/168074752d> [ბოლოს ნანახია 23.12. 2023]

³⁸³ ეს მოთხოვნა არ ვრცელდება სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლებულ პირებზე, ასევე პატიმრობაში მყოფ და იმ პირებზე რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

³⁸⁴ 15 დეკემბრის ფოკუს ჯგუფი, ადვოკატები.

სასამართლო ყველას სტანდარტულად განუსაზღვრავს 10-დღიან ვადას და ინდივიდუალური მიდგომა აქ არ არსებობს³⁸⁵ (საქმეთა დიფერენცირებული მართვის პრინციპზე იხ., ქვემოთ).

5.3. საქმეთა დიფერენცირებული მართვა

საქმეთა ნაკადის მართვის საერთაშორისო გამოცდილებაში ვხვდებით საქმეთა დიფერენცირებული მართვის მეთოდს, როდესაც მომზადების ეტაპზე საქმეების დახარისხება და მართვა ხდება მათი სირთულის გათვალისწინებით³⁸⁶.

„საქმეთა დიფერენცირებული მართვისას განხილვა არ ხდება ე.წ. „პირველი შემოვიდა, პირველი გავიდას“ პრინციპით. არამედ ისეთი სისტემით ხორციელდება, რომელიც მხედველობაში იღებს საქმის სირთულეს და მას მიკუთვნებს სპეციალურ პროცესუალურ რეჟიმს. ამ გზით, მარტივი საქმეები, მართვისას, შედარებით სწრაფად განიხილება.“³⁸⁷

მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის რეკომენდაციით, მოსამართლეს შეუძლია:

- ა. დაახარისხოს საქმეები რაც შეიძლება ადრეულ სტადიაზე, რათა განსაზღვროს, როგორი მსვლელობით უნდა იქნას განხილული საქმე (ე.წ. ადრეული გადარჩევა - early triage);
- ბ. განსაზღვროს ვადები სხვადასხვა კატეგორიის საქმის დასრულებისთვის (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული)³⁸⁸.

საქმეების დახარისხება მოხდეს ორი სხვადასხვა პრინციპით:

- საქმეების სირთულე ან სხვა პროცესუალური თავისებურებები;
- საქმეების პრიორიტეტული ხასიათი³⁸⁹.

³⁸⁵ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი. ადვოკატების მიერ მოწოდებული საქმეების შესწავლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ სასამართლოები სტანდარტულად 10 დღეს აძლევენ მოპასუხეს შესაგებლის წარმოსადგენად.

³⁸⁶ US Department of Justice, Bureau of Justice Assistance, Differentiated Case Management, November, 1995 <https://www.ojp.gov/sites/g/files/xyckuh241/files/archives/ncjrs/dcm.pdf> [ბოლოს ნანახია 23.12. 2023]

³⁸⁷ Regional Cooperation Council, Backlog Reduction Programmes and Weighted Caseload Methods for South East Europe, Two Comparative Inquiries, 2016, p. 22. მეორე მხრივ, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს მოსამართლის წარმოებაში არსებული „ძველი“ საქმეები: „თითოეულმა მოსამართლემ უნდა გაანალიზოს ბოლო მოქმედება, რაც განხორციელდა ვადაგადაცილებულ საქმეზე (backlog case) და დაადგინოს შემდგომი მოქმედებები რაც აუცილებელია საქმის ეფექტური გადაწყვეტისთვის. ამ ანალიზის საფუძველზე, მოსამართლემ შეიძლება პრიორიტეტი მიანიჭოს ვადაგადაცილებულ საქმეებზე სხდომის ჩანიშნვას, გადახედოს პროცედურულ კალენდარს, მოაწყოს მხარეებთან ერთად საქმის მენეჯმენტის კონფერენცია, ან მიიღოს სხვა ორგანიზაციული ზომები საქმის დასრულებისთვის“. მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), p. 40, <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 22.08.2023]

³⁸⁸ მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), გვ. 38. <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 22.08.2023]

³⁸⁹ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა გამოარჩევს საქმეებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ან განსაკუთრებულ ყურადღებას. The right to trial within reasonable time under Article 6 ECHR A practical handbook prepared by Ivana Roagna 2018, p. 26. ასევე კანონმდებლობა ითვალისწინებს საქმეთა კატეგორიებს, სადაც განხილვის ვადები შემცირებულია. მაგ., შრომითი დავები, ალიმენტის გადახდასთან დაკავშირებული დავები და სხვ. იხ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

დიფერენცირებული მართვის მეთოდი ფართოდ გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია, ინგლისი და უელსი³⁹⁰.

საქართველოში ზოგიერთი მოსამართლე იყენებს დიფერენცირებული მართვის მეთოდს.

*„ვცდილობ კარგად დავახარისხო და აღვრიცხო. ჩანიშნა და განხილვა უნდა მოხდეს რაღაც პრინციპით და არა სპონტანურად; მაგალითად, ერთგვაროვანი შინაარსის საქმეები ერთად დაჯგუფდეს, ან მხარეთა იგივეობა სადაც არის, ისინი დაჯგუფდეს. აქედან გამონაკლისი შეიძლება იყოს სასწრაფო დავები, არასრულწლოვნების საქმეები“.*³⁹¹

*„როცა ვიცი, შედეგი ძალიან სასწრაფოა, ან ძალიან მარტივი საქმეებია და მალე დასრულდება, რომ აღარ დავაყოვნო, ძველთან ერთად, რაღაც პროცენტს ახალსაც ვნიშნავ ამ შერჩევით. ეს იმიტომ, რომ არ დაგროვდეს და მარტივი საქმეებიც ტყუილად არ იდოს გაჩერებული“.*³⁹²

ზოგი მოსამართლე იცავს რიგითობის წესს, თუმცა პერიოდულად აკეთებს გამონაკლისებს:

*„მიმაჩნია, რომ საქმეები, როგორც წესი, რიგითობით უნდა განიხილებოდეს. თუმცა, შეიძლება ისეთი საქმე იყოს, ან განცხადება, რომ თავისი მნიშვნელობით დააპრიორიტეტო ეს საქმე“.*³⁹³

საქმეთა დიფერენცირების გარეშე, სრულად მიმდევრობითი მეთოდით განხილვა შესაძლოა იყოს საქმის მუდმივი დაგროვების და, პრაქტიკულად, ყველა საქმის ასაკის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი. გაჭიანურებულ საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლით გამოვლინდა, რომ პრაქტიკაში ყველანაირი სირთულის საქმე ჭიანურდება და საქმის სირთულე პირდაპირ კავშირში არ არის მის ხანგრძლივობასთან. მაგალითად, ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-723(2კ-19) საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენდა საგადასახადო სამართალდარღვევა (სასაქონლო შედნადების გარეშე სამეწარმეო საქმიანობისთვის განკუთვნილი საქონლის ტრანსპორტირება) პირველად იყო ჩადენილი თუ განმეორებით. საქმის წარმოება სამივე ინსტანციაში გაგრძელდა 1724 დღე. პირველ ინსტანციაში საქმისწარმოება გაგრძელდა 821 დღე, მეორე ინსტანციაში დაახლოებით 200 დღე³⁹⁴, ხოლო მესამე ინსტანციაში - დაახლოებით 600 დღე³⁹⁵. უზენაესი სასამართლოს განჩინებით, საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ადმინისტრაციულ საქმეში ბს-1056(კ-19) მთავარი სადავო საკითხი იყო ერთსა და იმავე ობიექტზე საჯარო რეესტრში არსებული ორი ჩანაწერს შორის არსებული კოლიზია. სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა იმ უფლებას, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე იყო რეგისტრირებული. საქმე არ გამოირჩეოდა ფაქტობრივი ან სამართლებრივი სირთულით. მიუხედავად ამისა, საქმისწარმოება სამივე ინსტანციაში გაგრძელდა 1801 დღე - პირველ ინსტანციაში 626 დღე,

³⁹⁰ Regional Cooperation Council, Backlog Reduction Programmes and Weighted Caseload Methods for South East Europe, Two Comparative Inquiries, 2016, p. 21.

³⁹¹ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე კაცი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.

³⁹² პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

³⁹³ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.

³⁹⁴ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე გასული ვადა შეადგენს 247 დღეს.

³⁹⁵ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე გასული ვადა შეადგენს 656 დღეს.

მეორე ინსტანციაში დაახლოებით 150 დღე³⁹⁶, ხოლო საკასაციო ინსტანციაში - დაახლოებით 1000 დღე³⁹⁷. უზენაესი სასამართლოს განჩინებით, საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

სამოქალაქო საქმეში №ას-106-106-2018 ერთადერთ სადავო საკითხს წარმოადგენდა შესაგებლის წარუდგენლობის გამო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერება (მოსარჩელე ამტკიცებდა რომ შესაგებელი წარადგინა, თუმცა დაკარგა სასამართლომ). საქმე რაიმე სხვა სადავო გარემოებებს არ შეიცავდა. საქმისწარმოება პირველ ინსტანციაში (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების გამო) გაგრძელდა 100 დღე, აპელაციაში დაახლოებით 200³⁹⁸, ხოლო კასაციაში დაახლოებით 400³⁹⁹ დღე.

სისხლის სამართლის საქმე №601აპ-18. საქმე ეხება საცხოვრებელი ადგილის მფლობელობის დარღვევას (დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ს 160-ე მუხლით). ბინა აუქციონის წესით ჩამოერთვა ძველ მესაკუთრეს, თუმცა ის სადავო ბინაში თვითნებურად შესახლდა და ამტკიცებდა, რომ ამ ფართის ნაწილი კვლავ მას ეკუთვნოდა. სასამართლომ ეს არგუმენტი არ გაიზიარა. საქმე არ მოიცავდა ფაქტობრივად ან სამართლებრივად რთულ გარემოებებს. მიუხედავად ამისა, საქმისწარმოება სააპელაციო სასამართლოში გაგრძელდა დაახლოებით 250 ხოლო საკასაციო სასამართლოში დაახლოებით 1000 დღე. საკასაციო სასამართლოს მიერ საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი⁴⁰⁰.

საქმეთა დიფერენცირება არ ხდება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებშიც. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ზოგიერთი კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე შემოკლებულ ვადებს ითვალისწინებს. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი ალიმენტის გადახდევინების დავებსა და შრომით დავებზე ერთთვისიანი განხილვის ვადას ითვალისწინებს.

გრაფიკა N.52 ასახავს 2017-2022 წლებში ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობას, ყველა კატეგორიის სამოქალაქო საქმეთა განხილვის ხანგრძლივობასთან შედარებით⁴⁰¹.

³⁹⁶ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე გასული ვადა შეადგენს 173 დღეს.

³⁹⁷ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე გასული ვადა შეადგენს 1002 დღეს.


³⁹⁸ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე გასული ვადა შეადგენს 209 დღეს.

³⁹⁹ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე გასული ვადა შეადგენს 448 დღეს.

⁴⁰⁰ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენიდან სააპელაციო სასამართლოს განაჩენამდე გასული ვადა შეადგენს 255 დღეს, სააპელაციო სასამართლოს განაჩენიდან საკასაციო სასამართლოს განაჩენამდე გასული ვადა შეადგენს 1027 დღეს.

⁴⁰¹ European Judicial Systems, CEPEJ evaluation report 2022, part 1, (tables graphs and analysis), p. 134, 140, 151 <https://www.coe.int/en/web/cepej/special-file-report-european-judicial-systems-cepej-evaluation-report-2022-evaluation-cycle-2020-data> [ბოლოს ნანახია: 22.08.2023]

2017, 18, 2021 და 22 წლებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის სავარაუდო ხანგრძლივობა გამოთვლილია უზენაესი სასამართლოს ვებგვერდიდან <https://old.supremecourt.ge/statistics/> [ბოლოს ნანახია: 22.08.2023], ასევე უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებიდან (უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 4 აპრილის წერილი, პ. 248-23).



როგორც გრაფიკიდან ჩანს, შრომით დავებსა და ალიმენტის სარჩელების განხილვის სავარაუდო ვადები გაცილებით აღემატება კანონით დადგენილ 1-თვიან ვადას. ბოლო წლებში გაიზარდა ალიმენტის სარჩელების განხილვის ვადა, ხოლო 2021-2022 წლებში შრომითი და ალიმენტის დავები კარგავს სწრაფი განხილვის პრიორიტეტულობას სხვა სამოქალაქო საქმეებთან მიმართებით. გამოკითხული რესპონდენტებიც ადასტურებენ, რომ შემჭიდროვებულ ვადებში განსახილველი საქმეები, სხვა საქმეების მსგავსად, ჭიანურდება.

„მართალია, ზოგიერთი კატეგორიის საქმის დასამთავრებლად, კანონი ადგენს 1-თვიან ვადას, მაგრამ ჩემს პრაქტიკაში ამ საქმეებს პრიორიტეტი არ ენიჭება და შეიძლება სხვა საქმეების მსგავსად, ერთი ან ორი წელი გაიწელოს“.⁴⁰²

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს, აქ უპირატესობა ენიჭებათ იმ საქმეებს, სადაც ბრალდებული პატიმრობაშია, ხოლო ე.წ. არასაპატიმრო საქმეები წლების განმავლობაში შეიძლება დარჩეს განუხილველი⁴⁰³.

5.4. საქმის არსებითად განსახილველად მომზადება

კვლევით გამოვლინდა, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები არსებითი განხილვისთვის მომზადების ეტაპზე ყველაზე მეტად ჭიანურდება⁴⁰⁴, ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მოსამზადებელი ეტაპზე ზეპირი მოსმენის გარეშე ფორმატის (წერილობით

⁴⁰² 15 დეკემბრის ფოკუს ჯგუფი, ადვოკატები.

⁴⁰³ 4 მაისის ფოკუს ჯგუფი ადვოკატებთან: „თუ საპატიმრო ვადებში არ აქვთ პრობლემა, მაშინ აღარ ჩქარობენ დასრულებას“.

⁴⁰⁴ შეკითხვაზე ყველაზე მეტად რომელ ეტაპზე ჭიანურდება საქმეები ონლაინ გამოკითხული ადვოკატების 45-მა პროცენტმა (ადმინისტრაციულ საქმეებზე) და 51-მა პროცენტმა (სამოქალაქო საქმეებზე) მოსამზადებელი ეტაპი მიუთითა (იხ., ზემოთ, გრაფიკა N 4).

მეჯიბრებითობა) უგულვებელყოფა და მხოლოდ მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის დროიდან საქმის მომზადების დაწყება.

კანონის თანახმად, მოსამზადებელ ეტაპზე მოსამართლე ან მისი დავალებით თანაშემწე იწყებენ საქმის მომზადებას⁴⁰⁵. საქმის მოზადების მიზნით განსახორციელებელ მოქმედებებს შორის არის მხარეთათვის დავალების მიცემა - საქმის მასალების შევსება, სასამართლოს მიერ მტკიცებულებების გამოთხოვა, მესამე პირების ჩართვა პროცესში, სპეცილისტების და ექსპერტების მოწვევა საქმეში და ა.შ.⁴⁰⁶.

მოსამზადებელი სხდომის ჩატარება სავალდებულო არ არის და მას კანონით განსაზღვრული წინაპირობები აქვს. მოსამართლე ნიშნავს მხარეთაგან წერილობით მასალების მიღებიდან 5 დღეში, თუ ამ მასალების საფუძველზე მოსამართლე ვარაუდობს, რომ:

- საქმე მორიგებით შეიძლება დასრულდეს;
- მხარეებმა უარი განაცხადონ არსებით განხილვაზე;
- საქმის მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს.

კანონი ითვალისწინებს მოსამზადებელი სხდომის ნაცვლად ვიდეოკონფერენციის ჩატარებას, ან სატელეფონო გასაუბრებას, რაც გაცილებით ნაკლებ ადამიანურ, დროით თუ მატერიალურ რესურსს მოითხოვს, მაგრამ როგორც წესი, მას არ იყენებენ.

წერილობითი მეჯიბრების ეფექტიანი გამოყენება არ ხდება მოსამართლეებისა და მხარეთა მხრიდან. თითქმის ყველა საქმეზე მოსამზადებელი საკითხების ზეპირ სხდომაზე განხილვის პრაქტიკა, მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს მისი განხილვის ვადას. მეორე მხრივ, ეს მიდგომა ინდიფერენტულს ხდის მხარეს სარჩელის და შესაგებლის გაცვლის შემდეგ სხდომის ჩატარებამდე პერიოდში. მოსამზადებელ სხდომამდე ისინი აღარ აქტიურობენ და უჩინდებთ მოლოდინი, რომ დამატებითი მასალები და შუამდგომლობები ძირითადად მოსამზადებელ სხდომაზე განიხილება, რაც იწვევს სხდომის გადადებას, მათ შორის არაერთხელ.

*„მხარეებს ასეთი ჩვევა აქვთ: წინასწარ არ შემოაქვთ მტკიცებულებები და დანიშნულ სხდომაზე მოაქვთ, რაც მოსამზადებლის არსებითში გადაზრდის საშუალებას არ გვაძლევს და არსებითი განხილვისთვის გვიწევს საქმის გადადება რამდენიმე თვით. მხარეები არ იყენებენ შუამდგომლობის წინასწარ წარმოდგენის შესაძლებლობას“.*⁴⁰⁷

*„მომზადებისას პროცედურებს მხარეები სრულად იყენებენ და არაერთი გადადება ხდება - 2-3-4 მოსამზადებელი სხდომის ჩატარება ხდება საჭირო. ეს იწვევს პირველ ინსტანციაში საქმის დიდხანს დაყოვნებას“.*⁴⁰⁸

მოსამართლეები როგორც სამოქალაქო ისე ადმინისტრაციულ საქმეებში, როგორც ჩანს, ლოიალურად უდგებიან მხარეებს და არ იყენებენ მათ ხელთ არსებულ „მსუსხავ“ საპროცესო

⁴⁰⁵ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლი.

⁴⁰⁶ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 203 მუხლი.

⁴⁰⁷ მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁴⁰⁸ მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

მექანიზმებს, როგორებიცაა მხარისთვის კონკრეტული ვადის განსაზღვრა და ვადის დაუცველობის გამო ჯარიმის დაკისრება⁴⁰⁹. მოსამართლის მხრიდან ვადის დაწესება მეტად მობილური ხდის მხარეს.

პროექტის ფარგლებში შესწავლილ ადმინისტრაციულ საქმეში, მხარემ შეასრულა ერთი განჩინებით დაკისრებული ორი ვალდებულებიდან ის, რომლისთვისაც მოსამართლემ ვადა განუსაზღვრა, მაგრამ მოსამზადებელ სხდომამდე არ შეასრულა მეორე დავალება, რომლისთვისაც ვადა განსაზღვრული არ იყო⁴¹⁰.

ადმინისტრაციულ პროცესში ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს აქტიური როლი აქვს მტკიცებულებების მოპოვებასა თუ სასარჩელო მოთხოვნის სწორად ფორმირებაში⁴¹¹. მოსამზადებელი ეტაპის არაეფექტიანი გამოყენება კიდევ უფრო ნეგატიურად აისახება საქმის ხანგრძლივობაზე და, მოსამზადებელთან ერთად, არსებითი განხილვის გაჭიანურებასაც იწვევს.

„მოსამართლე ეფექტიურად ეხმარება მოსარჩელეს რომ ჩამოაყალიბოს თავისი მოთხოვნა, რასაც ჭირდება 3-4 სხდომა და საქმის განხილვაც ჭიანურდება“⁴¹²

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც მოსამართლე მთავარ სხდომაზე გამოითხოვს იმ მტკიცებულებას, რომლის გამოთხოვაც შეეძლო საქმის მომზადების ეტაპზე, რაც შემდგომში წარმოშობს სხდომების გადადების საჭიროებას⁴¹³.

სასარჩელო მოთხოვნის შინაარსიდან გამომდინარე, მოპასუხეს უფლება აქვს წარადგინოს შეგებებული სარჩელი, რომლის დასაშვებობაზე სასამართლომ ისევე უნდა იმსჯელოს, როგორც ძირითადი სარჩელის დასაშვებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ შეგებებული სარჩელის წარდგენა იწვევს საქმის დამატებითი პროცედურებით დატვირთვას, თავისი შინაარსით ეს ინსტიტუტი მხარეთა შორის არსებული სადავო საკითხის (კონფლიქტის) რაციონალურ, უფრო ეფექტიანად მოგვარების მიზანს ემსახურება. შეგებებული სარჩელის წარდგენა შესაძლებელია სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე⁴¹⁴.

პრაქტიკა მოწმობს, რომ კანონის ამ ჩანაწერს იყენებენ საქმის გაჭიანურებით დაინტერესებული მხარეები:

⁴⁰⁹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლები 203, 206.

⁴¹⁰ მოსამართლემ წარმოებაში მიღების განჩინებით განუსაზღვრა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს შესაგებლის წარმოდგენის ვადა და ასევე დაავალა ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენა. მიუხედავად იმისა, რომ შესაგებლის ვადაში წარმოდგენლობა ადმინისტრაციულ პროცესში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას არ ითვალისწინებს, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაიცვა იგი, ხოლო გამოთხოვილი მასალები მხოლოდ მოსამზადებელ სხდომაზე წარმოადგინა.

⁴¹¹ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და 28¹ მუხლები.

⁴¹² 10 მაისის ფოკუს ჯგუფი, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები.

⁴¹³ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

⁴¹⁴ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილი.

„მოპასუხეები ხშირად იყენებენ გასაჭიანურებლად ბოლო წუთს მომართვას. მაგალითად, შემოაქვთ შეგებებული სარჩელი და როცა მგონია, მთავარ სხდომაში გადავზრდი მოსამზადებელს, ამის გამო მიწევს გადაღება“.⁴¹⁵

„მხარეებს უკიდურესად ბოლო ვადაში შემოაქვთ გაუმართავი შეგებებული სარჩელი, რომელსაც შედეგად მიღებაზე უარი მოჰყვება და, შესაბამისად, კრძო საჩივარი“.⁴¹⁶

სისხლის სამართლის პროცესში საქმის მომზადება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილით, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა, მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ⁴¹⁷.

განსხვავებით სამოქალაქო პროცესისგან, სისხლის სამართლის პროცესში დეტალურად არის გაწერილი მოსამზადებელ ეტაპზე ჩასატარებელი სხდომების ვადები. პირველი წარდგენის სხდომა უნდა გაიმართოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების სხდომიდან 24 საათში, ხოლო წინასასამართლო სხდომა პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან 60 დღის ვადაში (არსებითი განხილვა უნდა დაიწყოს წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს 14 დღეში)⁴¹⁸.

კონკრეტული ვადების კანონით განსაზღვრა შესაძლოა ერთ-ერთი ფაქტორი იყოს, რის გამოც სისხლის საქმეები ნაკლებად ჭიანურდება და გაჭიანურება ძირითადად არასაპატიმრო საქმეებზე ხდება. ამ ვარაუდს ამყარებს რესპონდენტების მოსაზრებაც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო საქმე ძირითადად მოსამზადებელ ეტაპზე ჭიანურდება, ხოლო სისხლის საქმეები არსებითზე. წინასასამართლო სტადიაზე სისხლის სამართლის (არასაპატიმრო) საქმეების გაჭიანურებაზე მიუთითებს გამოკითხული ადვოკატების 14 პროცენტი, ხოლო არსებითი განხილვის სტადიაზე 77 პროცენტი (იხ. ზემოთ, გრაფიკა N. 4).

სისხლის სამართლის სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელი სპეციფიური ნიშანი არის ის, რომ წინასასამართლო სხდომის თარიღს ნიშნავს პირველი წარდგენის (მაგისტრატი) მოსამართლე, ხოლო არსებითი განხილვის თარიღს წინასასამართლო სხდომის მოსამართლე. ანუ სხდომის თარიღს არ განსაზღვრავს ის მოსამართლე, ვინც ატარებს ამ სხდომას.

პრაქტიკაში ეს იწვევს იმას, რომ წინასასამართლო სხდომები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა და სხდომაზე გამოცხადებულ მხარეებს უწევთ ლოდინი მათი სხდომის დაწყების წინ; ხოლო პირველი არსებითი სხდომა ფორმალურ ხასიათს ატარებს და, როგორც წესი, ამ სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევა არ ხდება. მსგავსი პრობლემების მოგვარება მმართველობით ან საკანონმდებლო ჩარევას მოითხოვს.

⁴¹⁵ მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁴¹⁶ პირისპირ ინტერვიუ მოსამართლე ქალი პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁴¹⁷ ამ მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს მტკიცებულების დაუშვებლობას: სსსკ. 83-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁴¹⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე, 205-ე, 219, 225-ე მუხლები. თუ აღკვეთის ღონისძიება მოთხოვნილი არ არის (რაც პრაქტიკაში იშვიათია), სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირველი წარდგენის სხდომისთვის რაიმე ვადას არ ითვალისწინებს.

5.5. სხდომის გადაღების თავიდან აცილება, განხილვის შემჭიდროვებულად წარმართვა და სხდომის მართვა

საერთაშორისო სტანდარტი ყურადღებას ამახვილებს მოსამართლის აქტიურ როლზე საქმის არსებითი განხილვისას სამართალწარმოების მოდელის (შეჯიბრებითი, ინკვიზიციური) მიუხედავად და სხდომის მართვაზე ექსკლუზიურ უფლებამოსილებას ანიჭებს მოსამართლეს. „მოსამართლე პასუხისმგებელია:

- მართოს სხდომა;
- თავად იყოს მომზადებული;
- მიიღოს ზომები, რომ მხარეებიც იყვნენ მომზადებული;
- სხდომა დაიწყოს დანიშნულ დროს;
- ყველა მხარეს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, წარმოადგინოს მტკიცებულებანი;
- სხდომა უნდა წარიმართოს და დასრულდეს უსარგებლო გადაღებების გარეშე⁴¹⁹;
- საქმის გაჭიანურების მიზანმიმართული მცდელობები არ უნდა წახალისდეს⁴²⁰;
- „ასეთი ქმედებების წინააღმდეგ გამოყენებული უნდა იქნას პროცედურული სანქციები“⁴²¹.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის რეკომენდაციით: „სხდომის გადაღება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გამართლებულია და ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს შემდეგი სხდომის თარიღი. თუ სასამართლო დიდი რაოდენობით სხდომებს გადაღებს, ის ახალისებს ადვოკატებს, რომლებიც არ მოეშადნენ საქმისათვის მოითხოვონ ახალი გადაღება. ამ გზით ხდება სასამართლოს დროის ფუჭი ფლანგვა“⁴²².

საქართველოს კანონმდებლობა გარკვეულწილად ითვალისწინებს სხდომის უსაფუძვლო გადაღებების თავიდან აცილებას. მაგ., საპროცესო კოდექსის ისეთი დანაწესები, როგორებიცაა საქმის დასრულება ერთ სხდომაზე, მხოლოდ საჭირო შესვენებებით ან შესვენების გარეშე⁴²³, სხდომის გადაღება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლით და გონივრული ვადით⁴²⁴.

⁴¹⁹ ამერიკის იურისტთა ასოციაცია, სხდომის მართვის სტანდარტები: სტანდარტი 1 ციტირებულია: **David C. Steelman;** John A. Goerd; James E. McMillan: **Caseflow Management: The Heart of Court Management in the New Millennium.** p. 12.. იხ.: რეკომენდაცია R(84)5 სამოქალაქო პროცესის პრინციპებზე, რომელთა მიზანია მართლმსაჯულების ფუნქციონირების გაუმჯობესება, პრინციპი 3.

⁴²⁰ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. V.D.9. <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

⁴²¹ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. V.D.10 <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია 22.09.2023].

⁴²² მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სამართალწარმოების დროის მართვის საუკეთესო პრაქტიკის კომპენდიუმი, (2006) პარ. 3.4. https://rm.coe.int/16807473ab#_Toc153700518 [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]


⁴²³ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁴²⁴ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლი. იხ., აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

მიუხედავად აღნიშნული ნორმებისა, საქმე ერთ სხდომაში იშვიათად მთავრდება. პრაქტიკაში სხდომის გადადება არის საქმეთა გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი. ხშირია შემთხვევები განუსაზღვრელი ვადით, რამდენჯერმე, ან დროის დიდი შუალედით სხდომის გადადებისა.


ონლაინ გამოკითხული ადვოკატების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმე პირველი ინსტანციით საშუალოდ 3-4 სხდომაში მთავრდება, ხოლო სისხლის სამართლის საქმის დასრულებას 5 სხდომაზე მეტი ესაჭიროება⁴²⁵. სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების დასრულებას სააპელაციო სასამართლოში 1-2 სხდომა, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე 1-დან 4 სხდომამდე ესაჭიროება⁴²⁶.

გრაფიკა #53



⁴²⁵ მსგავსი შედეგები დაფიქსირდა პროკურორების ონლაინ გამოკითხვით.

⁴²⁶ მსგავსი შედეგები დაფიქსირდა პროკურორების ონლაინ გამოკითხვით.



„სამოქალაქო-ადმინისტრაციულ საქმეებზე სხდომა, საშუალოდ, 3-4 თვის ან მეტი შუალედით იდება. მოსამართლე ამბობს, რომ მისი კალენდარი დაკავებულია და უფრო ადრე ვერ შეძლებს“.⁴²⁷

„საშუალოდაქმეების 50% გაჭიანურებაზე მოდის მხარეთა სურვილების/სტრატეგიული განზრახვების გამო. თუ მხარეს ეცოდინება, რომ გადადების შემთხვევაში გადადება მოხდება მცირე ვადით, მაგალითად, 1-2 კვირით, მას გაჭიანურების ინტერესიც დაეკარგება ავტომატურად და, შესაბამისად, ადარ დაიწყებენ მიზეზების შეთხზვებს“.⁴²⁸

შესწავლილ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც უკავშირდებოდა სსკ-ს182-ე, 194-ე და 220-ე მუხლებით წარდგენილ ბრალდებას, 2020 წლის 11 მარტს საქმის განხილვა გადაიდო თარიღის განსაზღვრის გარეშე. საქმის განხილვის დრო არ დაუკონკრეტებია მოსამართლეს და განაცხადა, რომ საქმის არსებითი განხილვის თარიღს დამატებით აცნობებდა მოგვიანებით. მომდევნო სხდომა ჩაინიშნა წელიწადისა და ერთი თვის შემდეგ - 2021 წლის 7 აპრილს.

სამოქალაქო საქმეზე - დავის საგანი - სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება, რომლის განსახილველად საპროცესო კანონმდებლობით განსაკუთრებულად შემჭიდროვებულ ვადა - 1 თვეა განსაზღვრული, 2023 წლის 4 აპრილს სხდომა გადაიდო და მხარეებს დაეგზავნათ შეტყობინება, რომ ახალი სხდომის თარიღი ეცნობებოდათ მოგვიანებით. საგულისხმოა, რომ ამ საქმეზე სხდომა ჯერ-ჯერობით არ ჩატარებულა.

⁴²⁷ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

⁴²⁸ წერილობითი ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

5.6. სხდომათა გადადების მიზეზები

სხდომის გადადების მიზეზს, ობიექტური გარემოებების გარდა, პროცესის მონაწილეთა სურვილები და ინტერესები წარმოადგენს. საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სხდომის გადადების ლეგიტიმურ შესაძლებლობებს, რაც მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვითაა განპირობებული. თავის მხრივ, მოსამართლე ფლობს ბერკეტებს, უსაფუძვლო გადადების შემთხვევების ასაცილებლად.

ცხადია, კანონით ვერ იქნება გათვალისწინებული ყველა შესაძლო შემთხვევის პრევენცია, ამიტომ ჩნდება სუბიექტური ფაქტორებით სხდომების გადადების შესაძლებლობები, რაც პროცესის მონაწილეთა ინტერესების საპასუხო შემაკავებელი მექანიზმების არსებობით ყოველთვის არ არის დაზღვეული და სხდომის გაგრძელების საკითხი სამართლის პრინციპების შესაბამისად უნდა გადაწყდეს.

სუბიექტური ფაქტორებით, სხდომის გადადების ინიციატორი ყოველთვის მხარე არ არის. შესაძლოა, თავად მოსამართლე იყოს სხდომის გადადებით დაინტერესებული, ან მხარის და მოსამართლის ინტერესი ერთმანეთს დაემთხვეს. მოსამართლე უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე კი გადადოს სხდომა. მაგალითად, აიღოს ვადა მოსამზადებლად, ამოწურულად ჩათვალოს პროცესისთვის განკუთვნილი დრო, მისცეს მხარეებს მორიგების ვადა, მონაწილეობა მიიღოს სწავლებაში.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ განსაკუთრებული დატვირთულობის პირობებში მოსამართლე თავს არიდებს საქმის დამთავრებას და იყენებს მის ხელთ არსებულ საშუალებებს“.⁴²⁹

„თუ სხდომის გადადებით თავად მოსამართლეა დაინტერესებული, მან შეიძლება მოიშველიოს სხვადასხვა საბაზი საქმის გადასაღებად. მაგ., გადადოს პროცესი მხარეთა მორიგების მიზნით, ან გადადოს გადაწყვეტილების გამოცხადება იმის მიუხედავად, რთული გადასაწყვეტია თუ არა საქმე“.⁴³⁰

მოსამართლის შეცვლის გამო პროცესის გადადებისას, სისხლის სამართლის თუ სათადარიგო მოსამართლე არ არის დანიშნული, საქმის განხილვა თავიდან იწყება⁴³¹. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით, საქმის განხილვაში სათადარიგო

⁴²⁹ : „პირობითად, გამოცდილ მოსამართლეს შეუძლია 7 საქმე ისე ჰქონდეს მომზადებული რომ ერთ დღეს დაასრულოს, მაგრამ რომ იცის 7 გადაწყვეტილებას ერთად მოუწევს ჩაბარების ვადა და ვერ დასწერ, დამხმარე რესურსი თუ არ ჰყავს, უწევს ლავირება, ზოგჯერ სხდომას გადადებს რომ გაანაწილოს ეს ვადები“. პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო. .

⁴³⁰ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილი: „თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია, გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა. აღნიშნულის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რის შესახებაც სხდომის დასრულებისთანავე აცნობებს მხარეებს“. სისხლის სამართლის პროცესი განაჩენის გამოცხადების მიზნით სხდომის გადადებას პირდაპირ არ ითვალისწინებს, თუმცა პრაქტიკაში ეს გამოიყენება. იხ., მაგ. Business media - სააპელაციო სასამართლომ ხაზარაძე, ჯაფარიძე, წერეთლის საქმეზე განაჩენის გამოცხადება გადადო <https://bm.ge/news/sapelacio-sasamartlom-xazaradze-jafaridze-weretlis-saqmeze-ganachenis-gamocxadeba-gadado/121433> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

⁴³¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლი.

მოსამართლის მოგვიანებით ჩართვის პრაქტიკა უკანონოდ იქნა ცნობილი. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ სათადარიგო მოსამართლე უწყვეტად უნდა ესწრებოდეს პროცესს პირველივე სხდომიდან⁴³². სამოსამართლო რესურსი ამის საშუალებას არ იძლევა. როდესაც საქმეში არ არის დანიშნული სათადარიგო მოსამართლე, პრაქტიკაში გავრცელებული წესით, მოსამართლე მხარეებს ეკითხება - არიან თუ არა თანახმა, საქმე იმ სტადიიდან გააგრძელონ, რომელზეც ისინი ჩაერთვნენ საქმეში. მხარეთა თანხმობის არარსებობისას, საქმის განხილვა თავიდან იწყება⁴³³.

სამოქალაქო საპროცესო მოსამართლის ცვლილება ყოველთვის საქმის თავიდან დაწყებას არ იწვევს, რადგან მოსამართლეს შეუძლია ნებისმიერი ეტაპიდან განაგრძოს სხდომა. ამის მიუხედავად, მოსამართლის ცვლილება როგორც ჩანს საქმის გაჭიანურებას იწვევს, რადგან ყოველი ახალი მოსამართლის ჩართვა არა მხოლოდ პროცესის გადადებას იწვევს, არამედ საქმის განხილვის საერთო დინამიკას აყოვნებს.

ერთ-ერთ შესწავლილ სამოქალაქო საქმეში სასამართლო განხილვა დაიწყო 2014 წელს და დღემდე არ დასრულებულა. ამ პერიოდში საქმე გადაეცა მეოთხე მოსამართლეს, საქმე გაიგზავნა ექსპერტიზაზე ორ-ჯერ სხვადასხვა მოსამართლის მიერ შერჩეული კითხვებით.

მხარის მოთხოვნით, სხდომათა გადადების მიმართ მოსამართლეთა მიდგომა ინდივიდუალურია. არიან მოსამართლეები, რომლებიც სხდომის გადადების შუამდგომლობას ადვილად აკმაყოფილებენ. მაგალითად, მხარისგან ავადმყოფობის შესახებ სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე, მოსამართლემ ისე გადადო პროცესი რომ შესაბამისი ცნობის წარმოდგენა მხარისგან არ მოუთხოვია⁴³⁴. სხვა შემთხვევაში მოსამართლემ შეამოწმა ავადმყოფობის სიმძიმეც.

*„როცა შუამდგომლობა არ არის საფუძვლიანი, არ გადავდებ სხდომას, მაგალითად, თუ მიზეზი ავადმყოფობაა. გაჩნია დიაგნოზს. იყო შემთხვევები, როცა არ გავიზიარე; მაგრამ, იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ისეთი დიაგნოზი ეწერა (გულზე ოპერაცია), უნდა გადამედო სხდომა“.*⁴³⁵

საპროცესო კანონმდებლობით, მოსამართლე ამოწმებს გადადების შუამდგომლობის საფუძველს, მაგრამ არ აქვს ჯანმრთელობის ცნობის ნამდვილობის შემოწმების ვალდებულება ან ეფექტური ბერკეტი⁴³⁶ (მაგ., შეუძლია ექიმის დაკითხვა, მაგრამ სხდომის გადადება მაინც საჭირო გახდება ექიმის მოსაყვანად) ისეთი შემთხვევების სამართავად, როცა არსებობს ეჭვი, რომ მხარე განზრახ აჭიანურებს საქმეს.

⁴³² საქმე №316აპ-19, 28 აპრილი, 2021 წელი. რაიონული (საქალაქო) სასამართლოებიდან პროექტმა გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რამდენ საქმეზე იქნა დანიშნული სათადარიგო მოსამართლე 2018-2022 წლებში. პასუხი იქნა მხოლოდ მოწოდებული ორი სასამართლოდან - გორის რაიონული სასამართლოდან მიღებული 16.08.2023 წერილით, ამ ინფორმაციის მოწოდება მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს და რესურსს და სასამართლოს ადმინისტრაციული პერსონალის რესურსები მობილიზება ამ ეტაპზე შეუძლებელია. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 17 აგვისტოს წერილით, 2018-2022 წლებში სათადარიგო მოსამართლე სისხლის სამართლის საქმეებზე არ დანიშნულა.

⁴³³ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

⁴³⁴ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი. ასევე „როდესაც სხდომის გადადებას ავადმყოფობის გამო ითხოვ, ცნობას ზოგჯერ ითხოვენ, ზოგჯერ არ ითხოვენ“. პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

⁴³⁵ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, ქალი.

⁴³⁶ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, ქალი.

სამოქალაქო საქმეებზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მოგვიანებით გამოვლენის შემთხვევაში, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მის მიმართ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის ხელახალ განხილვას, რაც პროცესს უმატებს დამატებით სტადიას,⁴³⁷ ამდენად, არსებული საკანონმდებლო რედაქცია შესაძლებელს ხდის სხდომის გადადების მტკიცებულების არარსებობის პირობებში მის დაუსწრებლად გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის განახლებას გადადების გარემოების ხელახალი გადამოწმების შედეგად.

*„საქმეების გაჭიანურების საშუალოდ 40%-ის შემთხვევებში ბრალი სასამართლოს მიუძღვის. ამის მიზეზი, ძალიან რბილი და ლოალური მიდგომაა. საქმეების გადადება ხდება ხშირად მარტივი/არასაპატიო მიზეზით ან/და მიზეზის არქონის გამო. ასევე, სხდომები იდება 2-3 თვით მაინც და ეს იმ პირობებში, როდესაც საშუალოდ 1 წელი ელოდებოდი პროცესის ჩანიშვნას და უცებ არაფრის გამო, ისევ გადაიდება“.*⁴³⁸

*„მორიგების მიზნით სხდომათა გადადება გაცილებით მარტივად ხდება და გავრცელებულია. ამ შუამდგომლობას დასაბუთება არ სჭირდება და მოსამართლეებიც მხარს უჭერენ მხარეთა ერთობლივ ინიციატივას. ზოგ შემთხვევაში ასეთ შუამდგომლობას მოსამართლე აკმაყოფილებს მიუხედავად იმისა, რომ მეორე მხარე არ ეთანხმება“.*⁴³⁹

სისხლის სამართლის საქმეებზე პრაქტიკაში სხდომების გადადების გავრცელებული მიზეზია პროკურორის შეცვლა. ახალი პროკურორი ითხოვს ვადას საქმის გასაცნობად. საპროცესო კანონმდებლობა ამ საფუძვლით სხდომის გადადებას არ იცნობს, თუმცა მოსამართლეები, ზოგჯერ, ამ შუამდგომლობას აკმაყოფილებენ და ახალ პროკურორს აძლევენ ვადას.

*„მოდის ერთი პროკურორის ნაცვლად მეორე და ამბობს: „მე საქმეში ჩავერთე და გთხოვთ მომცეთ ვადა. მერე, შემდეგ სხდომაზე, ისევ პირველი პროკურორი მოდის. ახლა მე საქმეში მყავს 5 პროკურორი, ხუთჯერ მოვიდნენ, ჩაერთვნენ საქმეში, ხუთივეჯერ გადადეს პროცესი და ახლა, ბოლოს, მოიწერა პროკურორმა - სემინარები მაქვსო. სინამდვილეში ის ერთია რეალური პროკურორი, დანარჩენებს საქმე წაკითხული არ აქვთ“.*⁴⁴⁰

*„პროკურორის შეცვლა არის საქმის გაჭიანურების ერთ-ერთი ხერხი, რასაც ბრალდების მხარე იყენებს, თუმცა ზოგი მოსამართლე ამ საფუძვლით სხდომას დებს, ხოლო ზოგი - არა“.*⁴⁴¹

შესწავლილ სისხლის საქმეზე, რომელიც ეხებოდა სსკ-ს 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) და 210-ე მუხლებით (ყალბი საკრედიტო ბარათის დამზადება) გათვალისწინებულ ბრალდებას, ოთხჯერ შეიცვალა პროკურორი. თითო შეცვლა იწვევდა სხდომის გადადებას სამიდან ნოთხედზე ვადით. სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაიწყო 2020 წლის თებერვალში და დღეის მდგომარეობით, ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

⁴³⁷ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი.

⁴³⁸ წერილობითი ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

⁴³⁹ 17 ნოემბრის ფოკუს ჯგუფი, ადვოკატები. აღნიშნულს ადასტურებს მოსამართლე რესპონდენტიც: „თუ მხარეს გადადება უნდა, ურევას მეორე მხარეს და ეუბნება მორიგებისთვის მომეცი ვადაო. თუ მეორე მხარე არ დაეთანხმა სასამართლოს თავისი ინიციატივითაც შეუძლია მისცეს ვადა“. პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, კაცი.

⁴⁴⁰ 15 დეკემბრის ფოკუს ჯგუფი ადვოკატებთან.

⁴⁴¹ იქვე.

ანალოგიური ვითარება დაფიქსირდა სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ეხებოდა 180 -ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებას (თაღლითობა). აღნიშნულ საქმეზე ხუთჯერ შეიცვალა პროკურორი და თითო შეცვლაზე საქმე გადაიღო 1 თვითან 4 თვემდე ვადით. საქმის განხილვა მთლიანობაში გაგრძელდა 2015 წლის აგვისტოდან 2017 წლის ივნისამდე.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევით, სისხლის სამართლის საქმეებზე სხდომების გადადების მიზეზი 22 პროცენტის შემთხვევებში არის მხარეთა შორის მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებაზე⁴⁴².

აღნიშნულის მიზეზად რესპონდენტები საპროცესო შეთანხმების მოუქნელობას ასახელებენ, ვინაიდან საპროცესო შეთანხმებას ჭირდება ზემდგომ პროკურორთან კონსულტაცია. ეს აჭიანურებს არსებითი განხილვის გარეშე საქმის დროულად დასრულებას⁴⁴³.

პროექტის მიერ ონლაინ გამოკითხული ადვოკატების 29 პროცენტი სისხლის სამართლის საქმეების გაჭიანურების მიზეზად მიიჩნევს სხდომაზე მოწმეთა გამოუცხადებლობას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევით სისხლის სამართლის საქმეებზე სხდომების გადადების შემთხვევათა 32 პროცენტში მიზეზი არის პროკურატურის მოწმის გამოუცხადებლობა⁴⁴⁴.

სისხლის სამართლის პროცესის 228-ე მუხლით: 1. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი მოწმეების გამოცხადება სასამართლოში.

რესპონდენტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხზე, შეუძლია თუ არა მოსამართლეს, ბრალდების მხარეს განუსაზღვროს გონივრული ვადა მოწმეების წარმოსადგენად.⁴⁴⁵ მოწმის გამოუცხადებლობის შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოწმის იძულებით მოყვანას⁴⁴⁶, თუმცა სასამართლოს ამ მექანიზმის გამოყენება შეუძლია მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.

შესწავლილი საქმეებიდან ჩანს, მხარეები (განსაკუთრებით, ბრალდების მხარე) ამ მექანიზმს აქტიურად არ იყენებენ. მაგალითად, სისხლის სამართლის სამ საქმეზე, რომელთა ხანგრძლივობა პირველი ინსტანციით გაგრძელდა 1 წლისა და 7 თვიდან სამ წლამდე და ჩატარდა 7-დან 15 -მდე სხდომა, პროკურატურას თითო სხდომაზე მოჰყავდა 1-2 მოწმე, ხოლო სხდომების ნაწილი გადაიღო მოწმეების გამოუცხადებლობის საფუძველზე. ბრალდების მხარეს არ გამოუყენებია მოწმეთა იძულებითი მიყვანის მექანიზმი საქმის განხილვის დაჩქარების მიზნით.

იმ საქმეებზე, სადაც საქმისწარმოების შემდგომი გაგრძელება სასამართლოს გარე ორგანოების/დაწესებულებების მიერ მოწოდებულ დასკვნებზეა დამოკიდებული, ასეთი დასკვნების დაგვიანება იწვევს სხდომების გადადებას. მაგალითად, საოჯახო დავებში, სადაც საჭიროა

⁴⁴² საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში: „სისხლის სამართლის პროცესების 4-წლიანი მონიტორინგის შედეგები <https://shorturl.at/IDU22> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

⁴⁴³ 30 მარტის ფოკუს ჯგუფი სისხლის სამართლის ადვოკატებთან.

⁴⁴⁴ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის პროცესების 4 წლიანი მონიტორინგის შედეგები, 2021, გვ. 71 <https://shorturl.at/IDU22> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

⁴⁴⁵ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

⁴⁴⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ან ბავშვთა ფსიქოლოგის დასკვნა, მათი წარმოდგენა საგრძნობლად ყოვნდება შესაბამის უწყებებში კადრების სიმცირის გამო⁴⁴⁷.

*„ბავშვის ქონების გასხვისების ნებართვებზე, მხარდაჭერის მიღების საკითხებთან დაკავშირებით, გვჭირდება ექსპერტის დასკვნა. გვყავს მხოლოდ ერთი ფსიქოლოგი რეგიონში და ხშირად ამ დასკვნის მოლოდინში ვართ“.*⁴⁴⁸

ასევე ჭიანურდება ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება. რესპონდენტების აზრით, შესაძლოა პატიმრობაში მყოფი პირის ფსიქიატრიული ექსპერტიზა გაიწელოს 7 და 8 თვე⁴⁴⁹.

ჭიანურდება ასევე არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარმოდგენაც სასჯელისთვის ან განრიდებისთვის⁴⁵⁰.

5.7. მოსამართლის მიერ სხდომის ეფექტური წარმართვა

საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს აღჭურავს მექანიზმებით, რათა ეფექტურად იქნეს გამოყენებული სხდომისთვის განსაზღვრული დრო, მათ შორის:

- მისცეს სიტყვა მხარეებს და ჩამოართვას, თუ ის არ არის კავშირში საქმესთან და ემსახურება პროცესის გაჭიანურებას⁴⁵¹;
- სიტყვის დასრულებისთვის მხარეებს განუსაზღვროს დრო⁴⁵²;
- შუამდგომლობის დასაყენებლად და დასასაბუთებლად მხარეს განუსაზღვროს გონივრული ვადა⁴⁵³, ხოლო თუ მხარე შუამდგომლობებს გაჭიანურების მიზნით აყენებს, ჩამოართვას მხარეს შუამდგომლობების დაყენების უფლება⁴⁵⁴;
- არ დააკმაყოფილოს შუამდგომლობები და განცხადებები ახალი მტკიცებულებების წარმოდგენის ან გამოთხოვის თაობაზე, თუ საქმის მოსამზადებელ ეტაპზე მხარეს შეეძლო მათი წარმოდგენა⁴⁵⁵.
- არ გაგზავნოს საქმე ზემდგომ ინსტანციაში შუალედურ განჩინებაზე კერძო საჩივრის შემოტანის შემთხვევაში, თუ კერძო საჩივრის განხილვის გარეშე შესაძლებელია პროცესის გაგრძელება.

ამ მექანიზმების გამოყენება მოსამართლის ინდივიდუალურ უნარებსა და მიდგომებზეა დამოკიდებული. ზოგი მოსამართლე ამ მექანიზმებს უფრო მკაცრად იყენებს, ზოგი უფრო ლიბერალურად და ამას ამართლებს საქმის სრულყოფილი განხილვის ინტერესით.

⁴⁴⁷ 4 მაისის ფოკუს ჯგუფი, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები.

⁴⁴⁸ იქვე;

⁴⁴⁹ იქვე;

⁴⁵⁰ იქვე.

⁴⁵¹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁴⁵² იქვე;

⁴⁵³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილები.

⁴⁵⁴ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁴⁵⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

„თვითონ პროცესი არის ხანგრძლივი ჩვენთან, ბევრს საუბრობენ მხარეები საქმესთან შემხებლობაში, მაგრამ მაინც ნაკლებს უნდა საუბრობდნენ, უფრო მომზადებული უნდა იყოს საქმე. კი, ვთხოვ, რომ წინასწარ წარმოადგინონ მტკიცებულებები, რაზე თუ აქვთ წარმოსადგენი, მაგრამ არ ასრულებენ. მაგალითად, შუამდგომლობა წინასწარ რომ უნდა დააყენოს, აყენებს პროცესზე. თუ მოსამართლე არ მიიღებს ასეთ შუამდგომლობას იმის გამო, რომ სხდომამდე შეეძლო წარმოედგინა, გამოდის, ძალიან ფორმალური მიზეზით უბნები უარს მტკიცებულების დაშვებაზე და ამით უფლებას ვურღვევ“.⁴⁵⁶

„საპროცესო კოდექსით შემოიღო მხარეს განვუსაზღვრო დრო. მე ვადგენ ხოლმე შუამდგომლობისთვის, მოხსენებისთვის, დასკვნითი სიტყვებისთვის რამდენი წუთი მჭირდება. მხარეს თუ დრო არ მიეცი, ერთი და იგივეს ილაპარაკებს, რათა თავი მოაწონოს თავის კლიენტს და ამ დროს შინაარსობრივად შეიძლება ახალს არაფერს ამბობდეს“.⁴⁵⁷

ზოგიერთი რესპონდენტი აღვოკატი მიიჩნევს, რომ მოსამართლის მიერ ამ მექანიზმების გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქვს მოსამართლეს საქმის სწრაფად დასრულების ინტერესი.

„თუ საპატიმრო საქმეზე მოსამართლეს ვადა გასდის, ის ჩქარობს და ყველაფერზე მოკლე ვალებს აწესებს. მათ შორის დასკვნითი სიტყვის მომზადებაზე, დასკვნითი სიტყვის ხანგრძლიობაზე და ა.შ.“.⁴⁵⁸

ზოგი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მოსამართლის მიერ სხდომის ეფექტურად წარმართვა ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად იცნობს საქმის მასალებს:

„როცა მოსამართლემ საქმის გარემოებები იცის, პროცესი უფრო მარტივდება. მაგ., როცა შუამდგომლობას აყენებ, მოსამართლე ადვილად იგებს კონტექსტს და სწრაფად წყვეტს შუამდგომლობას. როცა არ იცის საქმის გარემოება, ის ცდილობს გაერკვეს შუამდგომლობის არსში, რასაც მეტი დრო სჭირდება. შეიძლება სხდომა გადადოს შუამდგომლობის საკითხის გადასაწყვეტად“.⁴⁵⁹

5.8. საქმის მორიგებით დასრულება, საპროცესო შეთანხმება

სასამართლოების განტვირთვისა და საქმეთა დაჩქარების მიზნით, დიდი მიმწველობა აქვს საქმეთა მორიგებით დასრულებას, რის მიღწევაშიც მთავარი როლი და პასუხისმგებლობა მოსამართლეს ეკისრება⁴⁶⁰.

⁴⁵⁶ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁴⁵⁷ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁴⁵⁸ პირისპირ ინტერვიუ, აღვოკატი, კაცი.

⁴⁵⁹ პირისპირ ინტერვიუ, აღვოკატი, ქალი.

⁴⁶⁰ ევროსაბჭოს რეკომენდაცია R (84)5 სამოქალაქო პროცესის პრინციპებზე, რომელთა მიზანია მართლმსაჯულების ფუნქციონირების გაუმჯობესება, პრინციპი 1, პრინციპი 8, ასევე Caseflow Management Handbook GUIDE FOR ENHANCED COURT ADMINISTRATION IN CIVIL PROCEEDINGS, გვ. 9. <https://dspace.library.uu.nl/handle/1874/343766> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ⁴⁶¹.

კვლევის დროს გამოვლინდა, რომ მოსამართლეთა მონდომება და მცდელობები საქმის მორიგებით დასრულების მიზნით, ინდივიდუალურია.


„ზოგი მოსამართლე ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით სთავაზობს მხარეებს მორიგებას, ხოლო ზოგი საქმის შესაძლო შედეგებზეც მიანიშნებს და უხსნის მორიგების უპირატესობებს. ადვოკატების დარბაზიდან გაყვანა და მხარეებთან მარტო დარჩენა იშვიათია“.⁴⁶²

„მორიგების შესახებ შეკითხვას მხარეებს ყველა მოსამართლე უსვამს, ვინაიდან კანონით ევალება, რომ დაუსვას; თუმცა მოსამართლეების ალბათ 40 პროცენტი გულგრილად სვამს ამ შეკითხვას, ხოლო 60 პროცენტი მორიგების მცდელობას უთმობს 10-15 წუთს“.⁴⁶³

მოსამართლე რესპონდენტი: „პირველ რიგში, საქმე რომ შემოდის, ვფიქრობ მორიგებაზე. თავად მორიგებაზე არაერთი ტრენინგი მაქვს გავლილი და მაქსიმალურად ვცდილობთ მორიგებას. ასე 20 პროცენტ საქმეებში ვაკეთებ მორიგებას, თუმცა საქმის კატეგორიასაც გააჩნია. საოჯახო საქმეებს უმეტესად მორიგებით ვამთავრებ. ამ კატეგორიის საქმეებზე 60-70 პროცენტამდე მორიგებით ვამთავრებ“.⁴⁶⁴

2018 წლიდან მოყოლებული მორიგებით დასრულებული საქმეების მაჩვენებელი მუდმივად იკლებს და 2022 წლისთვის 4 პროცენტზე ჩამოდის.

გრაფიკა #55



რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში მორიგების მაჩვენებელი სხვადასხვაა. მსხვილ სასამართლოებში, ძირითადად, 4-10 პროცენტის ფარგლებში მერყეობს⁴⁶⁵.

⁴⁶¹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლი.

⁴⁶² პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

⁴⁶³ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, ქალი

⁴⁶⁴ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁴⁶⁵ სტატისტიკური მონაცემები მიღებულია უზენაესი სასამართლოს ვებ გვერდიდან www.supremecourt.ge. ასევე უზენაესი სასამართლოს 15 ივნისის N. პ. 499-23 წერილით.

მორიგების მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია, ისევე, როგორც მედიაციით დასრულებული საქმეების დაბალი მაჩვენებელი, შესძლოა აიხსნას მოსამართლის სათანადო უნარ-ჩვევებსა და ძალისხმევის ინდივიდუალურობით, ასევე საზოგადოებაში არსებული დაძაბულობით და დიალოგის კულტურის ნაკლებობით.

სტრატეგიით გათვალისწინებული პროგრამის 4.4.4. პუნქტი ითვალისწინებდა სასამართლო მორიგების განვითარებას და გააქტიურებას. 2017 წლის პროგრამის ფარგლებში, GIZ-ის მხარდაჭერით, შემუშავდა და ჩატარდა სპეციალური კურსი მოსამართლეებისთვის „სასამართლო მორიგების“ თემაზე. როგორც სასამართლო სისტემის სტრატეგიის შესრულების 2017-18 წლების პროგრეს ანგარიშშია მითითებული, აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ქვეექტივების განხორციელება გადაიღო 2018-2019 წლებისათვის.

პროექტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან გამოითხოვა სასამართლო სისტემის სტრატეგიის შესრულების 2019-21 წლების პროგრეს ანგარიშები, თუმცა ეს ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული⁴⁶⁶.

ამასთან, მედიაციის შემოღებასთან ერთად, სასამართლო მენეჯმენტის მხრიდან დაიკლო მორიგების მიმართულებით მოსამართლეების განგრძობითმა სწავლებამ. იუსტიციის სკოლის მონაცემებით, 2018 წლის აპრილის შემდეგ არ ჩატარებულა ტრენინგი მორიგების უნარებში, მაგრამ ინტენსიურად ტარდება მედიაციის მიმართულებით⁴⁶⁷, რაც გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ მორიგებით დავების დასრულების მიმართ სასამართლო სისტემა არ არის მგრძობიარე და მედიაცია მორიგების ინსტიტუტის ერთგვარ ალტერნატივად აღიქმება.

სამოქალაქო საქმეებისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი შეიცავს დათქმას, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, რასაც ამოწმებს მოსამართლე. თავის მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი დამოუკიდებლად ვერ მიიღებს მორიგებაზე დათანხმების გადაწყვეტილებას, რის გამოც ადმინისტრაციულ ორგანოსთან მორიგება პრობლემურია⁴⁶⁸.

ადმინისტრაციულ საქმეებში მორიგების მაჩვენებელი გაცილებით დაბალია. ყოველწლიურად პირველი ინსტანციის სასამართლოებში ადმინისტრაციული დავების მხოლოდ 0.2-0.5 პროცენტი მთავრდება მორიგებით⁴⁶⁹.

სისხლის სამართლის პროცესში ლიმიტირებულია მოსამართლის შესაძლებლობა, რომ მიაღწიოს მხარეთა შორის შეთანხმებას. სამოქალაქო პროცესისგან განსხვავებით, მოსამართლეს არ შეუძლია მხარეებს ცალ-ცალკე შეხვდეს, ან წინასწარ მიანიშნოს საქმის გადაწყვეტის შედეგებზე, ან შეთავაზოს შეთანხმების პირობები. სისხლის სამართლის პროცესი არ ავალდებულებს მოსამართლეს, რომ ყველა ზომა მიიღოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე დასამთავრებლად. აღნიშნული შეზღუდვა გასაგებიცაა საპროცესო შეთანხმების ბუნებიდან

⁴⁶⁶ 2023 წლის 10 ოქტომბრის წერილი.

⁴⁶⁷ იხ.: ვებგვერდი <https://www.hsoi.ge/> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

⁴⁶⁸ 10 მაისის ფოკუს ჯგუფი ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები

⁴⁶⁹ სტატისტიკური მონაცემები მიღებულია უზენაესი სასამართლოს ვებ გვერდიდან www.supremecourt.ge. ასევე უზენაესი სასამართლოს 15 ივნისის N. პ. 499-23 წერილით.

გამომდინარე. ადვოკატების მოსაზრებით, მოსამართლის ვალდებულება - გაარკვიოს მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა - ფორმალურ ხასიათს ატარებს და პრაქტიკაში არაფერს ცვლის, ვინაიდან მხარეებმა თავადაც კარგად იციან, რომ შეუძლიათ საპროცესო შეთანხმებაზე მოილაპარაკონ⁴⁷⁰. შესაბამისად, საპროცესო შეთანხმებით საქმეთა დასრულების დინამიკა ბრალდების მხარის მიდგომებსა და პოლიტიკაზეა დამოკიდებული. სტატისტიკურად, საპროცესო შეთანხმება სასამართლოების განტვირთვის კუთხით გაცილებით უფრო დიდ როლს ასრულებს ვიდრე მხარეთა მორიგება სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმეებზე. სისხლის სამართლის საქმეების 60-70 პროცენტი მთავრდება საპროცესო შეთანხმებით⁴⁷¹.

5.9. უძრაობის პერიოდები საქმეში

მოსამართლის მხრიდან საქმის აქტიური და უწყვეტი კონტროლის მიზანი არის საქმის ე.წ. უძრაობის პერიოდების აღმოფხვრა. ეს ის პერიოდებია, როდესაც საქმეზე არ ხდება არანაირი პროცესუალური მოქმედება, მათ შორის საქმეზე სხდომა არ არის დანიშნული.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის რეკომენდაციით საქმეში არსებულ ასეთ ხანგრძლივ ინტერვალებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და უნდა იქნას მიღებული ზომები საქმის დასაჩქარებლად, რათა მოხდეს გაჭიანურების კომპენსირება⁴⁷².

რესპონდენტებთან გასაუბრების, ისევე როგორც საქმეთა მასალების შეწავლის შედეგად გამოიკვეთა, უძრაობის ხანგრძლივი პერიოდები მეტწილად საქმის მომზადებისას, ასევე არსებითი განხილვის ან გადაწყვეტილების ჩაბარების სტადიაზე ამ საქმეთა გაჭიანურების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია.

*„ერთ მოსამართლეს 4 წელია ჩემი საქმე არ განუხილავს და როცა შევახსენე, თქვა, რომ ჯერ 5 წლის წინანდელი საქმეები აქვს განსახილველი“.*⁴⁷³

*„სარჩელისა და შეპასუხების მიღებიდან, ზოგჯერ 1 წელიწადში ინიშნება პირველი სხდომა, ანუ ამ შუალედში საქმეზე არაფერი არ ხდება“.*⁴⁷⁴

*„2018 წელს შევიტანეთ სარჩელი და დღემდე არ ჩატარებულა არანაირი სხდომა, არც მოსამზადებელი და არც მთავარი“.*⁴⁷⁵

*„ყოფილა შემთხვევები, როცა დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაგვბარდა გამოცხადებიდან 2 წლის შემდეგ“.*⁴⁷⁶

⁴⁷⁰ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

⁴⁷¹ წყარო: უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გათავსებული სტატისტიკური ინფორმაცია. www.supremecourt.ge [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

⁴⁷² მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ., III, C, 9 <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია 22.09.2023]

⁴⁷³ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

⁴⁷⁴ 17 ნოემბრის ფოკუს ჯგუფი ადვოკატებთან

⁴⁷⁵ 10 მაისის ფოკუს ჯგუფი ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან

⁴⁷⁶ იქვე.

ადვოკატი რესპონდენტის აზრით, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საქმის უძრაობა იწვევს როგორც მოსამართლის, ასევე ადვოკატების შრომის გაზრდას. პროცესის მონაწილეებს ავიწყდებათ საქმის დეტალები და ხელახლა უწევთ შესწავლა⁴⁷⁷.

საქმეთა შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქმის უძრაობა თანაბრად ახასიათებს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვას. ვხვდებით განჩინებებს, სადაც საქმე არის გადადებული განუსაზღვრელი დროით, ან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საერთოდ არ არის დაწყებული მისი განხილვა.

ადმინისტრაციულ საქმეში, რომელიც ეხება საქართველოს საქართველოს ეროვნული ბანკის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას და ზიანის ანაზღაურებას, სარჩელი წარმოებაში მიღებული იქნა მიღებული 2021 წლის 19 ნოემბერს, ხოლო მოპასუხის შესაგებელი წარმოდგენილი იქნა 2021 წლის 24 დეკემბერს. საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 6 თვეში, რომელიც არ ჩატარდა მოსამართლის ავადმყოფობის გამო, შემდეგ შეიცვალა მოსამართლე და მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2023 წლის 26 ოქტომბერს. 2021 წლის 29 ივნისიდან 2023 წლის 26 ოქტომბრამდე (2 წელი და 5 თვე) საქმეზე რაიმე საპროცესო მოქმედება არ განხორციელებულა.

მსგავსი მდგომარეობაა ადმინისტრაციულ საქმეში, სადაც მოპასუხეა ერთ-ერთი სამინისტრო. საქმე ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასა და ზიანის ანაზღაურებას. სარჩელი წარდგენილი იქნა 2022 წლის 4 აპრილს, ხოლო მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა 2022 წლის 2 მაისს. მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2022 წლის 28 ნოემბერს, რომელიც ვერ ჩატარდა მოსამართლის ავადმყოფობის გამო. მას შემდეგ საქმეზე სხდომა არ ჩატარებულა.

შესწავლილ სამოქალაქო საქმეზე, ხელშეკრულების შეწყვეტისა და თბილისისი მერიისთვის თანხის დაკისრების მოთხოვნით 2021 წლის ოქტომბერში შეტანილი იქნა სარჩელი და ნოემბერში შესაგებელი. თითქმის 2 წლის განმავლობაში საქმეზე არც ერთი საპროცესო მოქმედება არ ჩატარებულა.

საქმეზე, სადაც დავის საგანი იყო საჯარო რეესტრის მიერ მოსარჩელის უძრავი ქონების სხვა პირზე არასწორი რეგისტრაციის გამო სარეგისტრაციო ჩანაწერის გაუქმება, სარჩელი შეტანილია 2021 წლის ნოემბერში, შესაგებელი საჯარო რეესტრიდან მიღებულია 2022 წლის იანვარში. 1 წელი და 9 თვე საქმე არის უძრავად.

პროექტის მიერ შესწავლილ სისხლის სამართლის საქმეში, რომელიც ეხება სსკ-ს182-ე, 194-ე და 220-ე მუხლებით წარდგენილ ბრალდებას სასამართლო სხდომებს შორის შუალედი შეადგენდა წელიწადსა და 7 თვეს. ამ დროის განმავლობაში საქმეზე რაიმე საპროცესო მოქმედება არ ჩატარებულა.

⁴⁷⁷ 17 ნოემბრის ფოკუს ჯგუფი ადვოკატებთან.

5.10. ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ნაკლებობა

რესპონდენტების აზრით, გარკვეული კატეგორიის საქმეებზე ერთგვაროვანი პრაქტიკის არარსებობა შეიძლება გახდეს საქმისწარმოების გაჭიანურების წყარო.

*„ასევე ჭიანურდება საქმეები, სადაც მკაფიო სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს. მახსენდება დისკრიმინაციის დავა, რომელიც პირველად უნდა განეხილა და ჯერ ერთ მოსამართლეს დაეწერა, მეორე მეორეს და მოგზაურობდა ასე პირველ სტადიაზე“.*⁴⁷⁸

*„იშვიათად, მაგრამ არის სამართლებრივი პრობლემა, რომელზეც პრაქტიკა არ არის. რაც შეეხება ევროსასამართლოს პრაქტიკას, ანალიტიკურ დეპარტამენტს ვუკავშირდებით ხოლმე და ვიღებთ კონსულტაციას“.*⁴⁷⁹

სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად, გამოვლინდა, რომ არაერთგვაროვანი პრაქტიკა გავლენას ახდენს საქმის ხანგრძლივობაზე, თუმცა ეს ფაქტორი ნაკლებად მასშტაბურია. პროექტის მიერ შესწავლილი 187 გადაწყვეტილებიდან გამოიკვეთა მხოლოდ 5 ასეთი გადაწყვეტილება (4 ადმინისტრაციული და 1 სამოქალაქო), სადაც არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა შეიძლება ყოფილიყო საქმის გაჭიანურების ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზი⁴⁸⁰. თითოეული ამ საქმის განხილვას სამივე ინსტანციაში დაჭირდა 1200-დან 2300 დღემდე.

აღსანიშნავია, რომ ამ საქმეებში დავის სამართლებრივი სირთულის გარდა არ შეინიშნება სხვა რაიმე ფაქტორი (სადავო ფაქტების რაოდენობა, მოწმეების რაოდენობა, მხარეთა რაოდენობა ან სხვ.), რაც განაპირობებს საქმის განსაკუთრებულ სირთულეს. შესაბამისად, ამ საქმეთა გაჭიანურება მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის წინააღმდეგობრივი ხასიათით ან მოსამართლის გადატვირთულობით შეიძლება აიხსნას.

5.11. სამოსამართლო უნარების განვითარება საქმეთა მართვის კუთხით

მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია რეკომენდაციას უწევს მოსამართლეებისა და მართლმსაჯულების სისტემის სხვა პროფესიონალებისთვის საქმეთა ნაკადის მართვას, საქმისწარმოების გონივრულ ვადებთან და საქმის მენეჯმენტთან დაკავშირებით სავალდებულო განგრძობადი ტრენინგის ჩატარებას⁴⁸¹. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებგვერდზე მოძიებული ინფორმაციით, 2017-18 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში 4-ჯერ გაიმართა ტრენინგი:

⁴⁷⁸ 15 დეკემბრის ფოკუს ჯგუფი ადვოკატებთან.

⁴⁷⁹ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁴⁸⁰ ადმინისტრაციული საქმე ბს-560(კ-19) ეხებოდა ნოტარიუსის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის განმარტებას და დისციპლინური სახდელის ზომის დადგენას; ადმინისტრაციული საქმე - ბს-499 (კ-19) ეხებოდა თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი დეკლარაციის წარუდგენლობისთვის დაკისრებული ჯარიმის კანონიერებას და ბრალის გამომრიცხავი გარემოების არსებობას; ადმინისტრაციული საქმე ბს-806(2კ-19) ეხებოდა საგადასახდო კანონმდებლობის ნორმების, მათ შორის დღგ-ს და კეთილსინდისიერი გადამხდელის სტატუსის, ასევე საერთაშორისო მომსახურების განმარტებას; ადმინისტრაციული საქმე №ბს-1105(2კ-19) ეხებოდა საადსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის ნორმების განმარტებას; სამოქალაქო საქმე №ას-1582-2018 ეხება ვალის აღიარებასთან დაკავშირებული ნორმების განმარტებას.

⁴⁸¹ მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), გვ. 26. <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია 20.08.2023]

„საქმეთა ნაკადის მართვა“. მათგან ორი მოსამართლეებისთვის, ხოლო ორი - სასამართლო მოხელეებისთვის⁴⁸².

საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ სასამართლო სისტემაში ტრენინგების შესახებ რესპონდენტი მოსამართლეების ნაწილს მონაწილეობა თავად არ აქვს მიღებული. ნაწილი კი ფიქრობს რომ ასეთი ტრენინგის საჭიროება არ არსებობს.

„ტრენინგები არ არის ასეთი. მე თვითონ ვგებავ. მე მგონია, რომ არც მჭირდება“.⁴⁸³

„რატაც ტრენინგი იყო უცხოელების დაფინანსებით, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს“.⁴⁸⁴

„ერთხელ იყო, საქმეთა მართვაზე ვერ წავედი. დრო არ იყო. პრიორიტეტს პროფესიულ ტრენინგს უფრო ვანიჭებ ხოლმე“.⁴⁸⁵

ზოგი მოსამართლე პრიორიტეტს ანიჭებს საქმეთა საკანონმდებლო ცვლილებების ტრენინგებს და ფიქრობს, რომ საქმეთა ნაკადის ტრენინგები არ არის მნიშვნელოვანი⁴⁸⁶.

5.12. მოსამართლის მოტივაცია

ონლაინ გამოკითხული ადვოკატების 59 % მიუთითებს, რომ მოსამართლეებს არ აქვთ საკმარისი მოტივაცია - საქმეები დროულად დაასრულონ.

მოსამართლეთა დემოტივაციას ადვოკატები შემდეგი ფაქტორებით ხსნიან:

- წახალისების მექანიზმის არარსებობა - განხილულ საქმეთა რაოდენობას არ აქვს გავლენა ანაზღაურებაზე⁴⁸⁷;
- ანგარიშვალდებულების არარსებობა - დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დგება საქმის გაჭიანურების გამო⁴⁸⁸;
- მოსამართლის ნიჰილიზმი - გადატვირთული მოსამართლე საქმეთა ნაკადს ვერასოდეს უმკლავდება, ამიტომ შეგუებულია იმ რეალობასთან, რომ ყველა საქმე ჭიანურდება⁴⁸⁹.

მოსამართლის დემოტივაციის მნიშვნელოვანი მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ის, რომ მოსამართლის ეფექტიანობა მისი კარიერული წინსვლის წინაპირობას არ წარმოადგენს. საერთო

⁴⁸² იხილეთ ბმულები: https://www.hsoj.ge/geo/media_center/news/1027-2017-11-14-saqmeta-nakadis-martva;
https://www.hsoj.ge/geo/media_center/news/1136-2018-03-05-saqmeta-nakadis-martva;
https://www.hsoj.ge/geo/media_center/news/1032-2017-11-20-saqmeta-nakadis-martva;
https://www.hsoj.ge/geo/media_center/news/1194-2018-06-11-saqmeta-nakadis-martva [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

⁴⁸³ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁴⁸⁴ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁴⁸⁵ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁴⁸⁶ ინდივიდუალური გასაუბრება, მოსამართლე კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁴⁸⁷ „მნიშვნელობა არ აქვს მათ მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობას, ხელფასს მაინც მყარი, ფიქსირებული რაოდენობით დებულობს და საქმის განხილვის ვადის დარღვევის გამო მოსამართლეს პასუხს არავინ თხოვს“. ონლაინ რესპონდენტი, ადვოკატთა ონლაინ გამოკითხვა.

⁴⁸⁸ 10 მაისის ფოკუს ჯგუფი ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან: „მოსამართლემ თუ იცის რომ საქმეს 5 წელში განიხილავს და არანაირი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. შესაბამისად, ის არც ცდილობს საქმის დროულად დასრულებას. ამიტომ, თუნდაც მსუბუქი ზომები, უნდა არსებობდეს“.

⁴⁸⁹ 4 მაისის ფოკუს ჯგუფი იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებთან.

სასამართლოების 41-ე მუხლით გათვალისწინებული მოსამართლის დაწინაურების კრიტერიუმები დღეს არ არსებობს⁴⁹⁰. მართალია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-13¹ მუხლი კონკურსის გარეშე სხვა სასამართლოში მოსამართლის გადაყვანისას (ორგანული კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე) ითვალისწინებს მოსამართლის საქმიანობის შეფასებას, მათ შორის ვადების და განხილულ საქმეთა კოეფიციენტების კუთხით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ჩანაწერი პრაქტიკაში არ გამოიყენება⁴⁹¹. რა არის მოსამართლის მოტივაცია, რომ სწრაფად განიხილოს საქმე, ეს კითხვა ყველა რესპონდენტ მოსამართლეს დავუსვით. პასუხად, ძირითადად, პროფესიისადმი ერთგულებას ასახელებენ. რესპონდენტი მოსამართლეებიც არ ფიქრობენ, რომ საქმის განხილვის მაჩვენებელს დაწინაურებისას ითვალისწინებდნენ.⁴⁹² მართლაც შეიმჩნევა ნიჰილიზმი. მოსამართლეებს სამწუხაროდ არ აქვთ იმის განცდა, რომ არსებულ დატვირთვას შეამცირებენ.

*„იმის მოლოდინი არ არის, რომ 30-40-მდე ჩამოვიყვანო რაოდენობა და კომფორტულად ვიმუშაო. ზოგჯერ მაგდენი საქმე კვირაშიც შემომდის. არ მინდა ისე დამიგროვდეს და გაიზარდოს რაოდენობა, რომ ერთი წელი და მეტი ვერ მოვახერხო საქმეზე პირველი სხდომის დანიშვნა“.*⁴⁹³

ზოგი რესპონდენტი მოსამართლე მიუთითებს, რომ მისთვის მოტივატორია მართლმსაჯულების ინტერესები და სასამართლოს სანდოობის ამაღლება. გარდა ამისა, დაგროვებული საქმეები მოსამართლეს უფრო მოწვევლადს ხდის დისციპლინური ღონისძიების თვალსაზრისით; როცა მოსადავებელი არაფერი გაქვს, მყარად დგახარ ფეხზე და ეს დამოუკიდებლობის ხარისხის განმსაზღვრელია“.⁴⁹⁴

მოსამართლის მოტივატორი შეიძლება იყოს მოსამართლეთა შორის გარკვეული პროფესიული მეჯობრიც.

*„ისე, სტატისტიკის მეჯობრიც არის, თითქოს, ვინ რამდენი დაამთავრა. მოსამართლეებს არ უნდათ, რომ ჩამორჩნენ. ეს, ძირითადად, ადმინისტრაციის თვალში“.*⁴⁹⁵

ზოგი ადვოკატი ფიქრობს, რომ მოტივაციის თვალსაზრისით, არსებობს განსხვავება ახლად დანიშნულ და ძველ მოსამართლეებს შორის. განმსაზღვრელია ასევე მოსამართლის სტატუსი.

⁴⁹⁰ მოსამართლეთა საერთო სასამართლოების კანონის 41-ე მუხლით გათვალისწინებული მოსამართლეთა დაწინაურების კრიტერიუმები არ არსებობს. ზემდგომ ინსტანციაში მოსამართლეთა გადაყვანები ხორციელდება ამ კანონის 37-ე მუხლით. მოსამართლეთა ზემდგომ ინსტანციაში გადაყვანის გადაწყვეტილებები პრაქტიკულად არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას (მოსამართლეთა უკონკურსო წესით გადაყვანებზე იხ., ზემოთ). იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის 2018-2019 წლების ანგარიშში მითითებულია შემდეგი: „შეფასებისა და დაწინაურების წესის განსაზღვრა გარდაუვალია სასამართლოს სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის, თუმცა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საანგარიშო პერიოდში მიზანშეწონილად მიიჩნია ახალი სისტემის შემოღება, რადგან ამ დონის გადატვირთულობის ფონზე, ის მოსამართლეებს რთულ და უსამართლო მდგომარეობაში ჩააყენებდა“. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ყოველწლიური ანგარიში - 2018-19, გვ. 8. <http://hcoj.gov.ge/files/news/angarishi.pdf> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

⁴⁹¹ მოსამართლეთა გადაყვანის გადაწყვეტილებები მიიღება ფარული კენჭისყრით და არ საბუთდება. იხ., საერთაშორისო გამჭვირვალობა, მოსამართლეთა დაწინაურება, სისტემური და პრაქტიკული გამოწვევები, 2021, გვ. 4 <https://transparency.ge/ge/post/mosamartleta-dacinaureba-sistemuri-da-praktikuli-gamocvevebi> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

⁴⁹² პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁴⁹³ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე, ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁴⁹⁴ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.


⁴⁹⁵ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეები უფრო ცდილობენ პროცესუალური დისციპლინის დაცვას.

„არიან მოსამართლეები, რომლებიც მუშაობენ თავგანწირვით და ნიშნავენ საქმეებს. ეს განსაკუთრებით ეტყობათ ახლად დანიშნულ მოსამართლეებს, რომლებიც ე.წ. გამოსაცდელ ვადაში მონდომებულად მუშაობენ“.⁴⁹⁶

შეკითხვაზე, თუ რა მეთოდით შეუძლია მხარეს მოსამართლეზე მოტივაციური ზემოქმედება საქმის წარმოების დაჩქარების მიზნით, ონლაინ გამოკითხვაში მონაწილე ადვოკატთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

გრაფიკა #56



უმრავლესობა - 76 პროცენტი - მიიჩნევს, რომ საქმის დაჩქარება შესაძლებელია. ამასთან, პასუხების 45 %-ით, საქმის დაჩქარება ლეგალური საშუალებებით (დისციპლინური საჩივრის შეტანა ან მოსამართლისადმი განცხადებით მიმართვა არის შესაძლებელი), ხოლო 31 % საქმის დაჩქარებას შესაძლებლად მიიჩნევს კორუფციული მეთოდებით (კორუფცია, პირადი ნაცნობობა).

ერთმა რესპონდენტმა საქმის დაჩქარების მეთოდად დაასახელა სახალხო დამცველისადმი, ხოლო ერთმა - მედიისადმი მიმართვები.

მოსამართლისადმი განცხადებით მიმართვით საქმის დაჩქარებას მოსამართლეებიც ადასტურებენ.

„უფრო ძველს უფრო ადრე ვნიშნავ. ან, თუ ვინმემ განცხადებით ითხოვა, რომ დაუჩქარო, ვითვალისწინებ“.⁴⁹⁷

⁴⁹⁶ ონლაინ რესპონდენტი ადვოკატი.

⁴⁹⁷ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

ერთი რესპონდენტის აზრით, ადვოკატის განცხადება საქმეს ვერ აჩქარებს, მაგრამ კლიენტის მიმართვამ შეიძლება იმოქმედოს:

*„მე ვუბნები კლიენტებს, რომ თქვენ თვითონ დაწერეთ გულწრფელი განცხადება, თუნდაც სამართლებრივად გაუმართავი და თხოვეთ მოსამართლეს, რომ ჩაგინიშნოთ პროცესი“.*⁴⁹⁸

ზოგიერთი გამოკითხული ადვოკატის აზრით, საქმეს ასევე აჩქარებს სასამართლოს თავმჯდომარესთან საჩივრის შეტანა.

*„ზოგჯერ ამართლებს სასამართლოს კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის სახელზე საჩივრის დაწერა. მოსამართლეებმა იციან, რომ ვადების დარღვევაზე არავინ არაფერს ეტყვი, მაგრამ მაინც არ უნდათ, კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარე შეწუხდეს და ხშირად მოხვდნენ „უფროსის“ თვალში“.*⁴⁹⁹

საქმის ამაჩქარებელი საკანონმდებლო მექანიზმების არარსებობის პირობებში⁵⁰⁰, როგორც ჩანს, მხარეები მიმართავენ საქმის დაჩქარების სხვადასხვა ხერხს, რასაც მოაქვს ეფექტი და მოსამართლე აკეთებს გადახვევას მის მიერვე დაგეგმილი საქმეთა განხილვის მეთოდიდან. ცალკე კვლევის საგანია, რამდენად მასშტაბურია ასეთი შემთხვევები და რამდენად აისახება ეს სხვა საქმეების წარმოებაზე, რომელთა მართვა და მხარეთა მოლოდინებით, სრულად სასამართლოს სისტემას აქვს მინდობილი.

6. მხარეებთან დაკავშირებული გაჭიანურების მიზეზები

ძირითადი მიგნებები:

- მხარეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქმის გაჭიანურებით, იყენებენ სხვადასხვა საპროცესო ბერკეტს საქმის განხილვის შეყოვნების მიზნით;
- არც ადვოკატთა არც პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი პირდაპირ არ ადგენს პასუხისმგებლობას საქმის გაჭიანურების გამო;
- ადმინისტრაციული ორგანოები ხშირად არ არიან დაინტერესებული საქმის დროული დასრულებით;
- ადმინისტრაციული ორგანოები და პროკურატურა, თითქმის ავტომატურად ასაჩივრებს ყველა წაგებულ საქმეს (მიუხედავად საჩივრის პერსპექტიულობისა), რაც იწვევს ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების გადატვირთვას.

⁴⁹⁸ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, ქალი.

⁴⁹⁹ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, ქალი.

⁵⁰⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა საქართველოს მხიდან კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა, საქმის განხილვის დამაჩქარებელი და საკომპენსაციო საკანონმდებლო მექანიზმების არარსებობის გამო (Schrade v. Georgia, 2021. საჩივარი N15016/07).

6.1. მხარეთა მიერ საქმის მიზანმიმართული გაჭიანურება

გამოკითხული ადვოკატების 43 პროცენტი სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმეების დაყოვნების მიზეზად ასახელებს მხარეების მიერ გაჭიანურებისკენ მიმართულ ქმედებებს. აღნიშნულში შეიძლება შედიოდეს როგორც სხდომის გადადებისკენ, ასევე პროცესის სხვა მხრივ გაჭიანურებისკენ მიმართული ღონისძიებები⁵⁰¹.

მხარის მოტივაციაა ძირითადად მოსალოდნელი ნეგატიური შედეგის თავიდან აცილება ან გადავადება.

*„როცა არის შანსი, რომ პირი გამართლდეს, პროკურატურა სპეციალურად აჭიანურებს და ცდილობს - დიდ ხანს ამყოფოს პირი პატიმრობაში“.*⁵⁰²

*„100 000-იან საგადასახადო დავებზე სისხლის სამართლის საქმეც აღიძვრება და, აქედან გამომდინარე, თავად მოპასუხე მხარე არის დაინტერესებული გაჭიანურებით“.*⁵⁰³

*„არის ზოგიერთი პროცესი, რომელიც თავიდანვე წაგებულია და კლიენტის ერთადერთი ინტერესი არის გაჭიანურება. მაგ., გამოსახლება, იპოთეკური სესხი“.*⁵⁰⁴

*„მართვის მოწმობის ჩამორთმევაზე, როცა ნასვამობა აშკარად დიდი პროცენტით დასტურდება, ასაჩივრებენ იმიტომ, რომ გააჭიანურონ ჯარიმის გადახდა, სანამ სასამართლო განიხილავს; ხოლო იმის გამო რომ გასაჩივრება აჩერებს ადმინისტრაციულ აქტს, მძღოლს არ უზღუდება მანქანის ტარების უფლება“.*⁵⁰⁵

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის რეკომენდაციით, შესაძლოა დადგინდეს ადვოკატის ეთიკური ვალდებულება, რომ მისი კლიენტის ინტერესის დაცვისას, ადვოკატმა იმოქმედოს ისე, რომ თავიდან აიცილოს სასამართლო პროცესის არაჯეროვანი დაყოვნება⁵⁰⁶.

დღეისათვის მკაფიო ნორმას ადვოკატთა ეთიკის კოდექსი არ შეიცავს. თუმცა, ეთიკის კომისიის ერთ-ერთ რეკომენდაციაში მითითებულია: „პროცესის განზრახ გაჭიანურება არ არის ადვოკატის როლის შესაბამისი ქმედება, რადგან ადვოკატი არის მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელების ერთ-ერთი გარანტი“.⁵⁰⁷

საქმის მიზანმიმართულ გაჭიანურებისთვის პირდაპირ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი⁵⁰⁸.

⁵⁰¹ სხდომათა გადადების შესახებ მხარეთა შუამდგომლობებზე იხ. ზემოთ.

⁵⁰² 4 მაისის ფოკუს ჯგუფი იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებთან.

⁵⁰³ 10 მაისის ფოკუს ჯგუფი ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან.

⁵⁰⁴ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

⁵⁰⁵ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁵⁰⁶ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. პარ. III 2.

⁵⁰⁷ ინილეთ, ეთიკის კომისიის რეკომენდაცია, 2020,

<https://gba.ge/pdf/5f02e4d238167.pdf/werilobiti%20rekomendacia%20%20012.19%20%20gacemis%20tarigi%2005.01.20.pdf>

[ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

⁵⁰⁸ ეთიკის კომისიის რეკომენდაცია შეკითხვაზე 012/19 - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3679145?publication=0>

[ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

პროექტის მიერ შესწავლილი (ადვოკატების მოწოდებული) საქმეებიდან ჩნდება ეჭვი, რომ პროკურატურა გაჭიანურების საკითხის მიმართ დაინტერესებულია.

პირს ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ ქვეპუნქტით (გადასახადისათვის განზრახ თავის არიდება განსაკუთრებით დიდი ოდენობით). პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა გაგრძელდა 3 წლის განმავლობაში - 2020 წლის ივნისიდან 2023 წლის ივნისამდე. საქმეზე დაიკითხა ბრალდების 12 მოწმე და ჩატარდა 10 სხდომა (2 დან 4 თვემდე ინტერვალებში). თითო სხდომაზე იკითხებოდა 1-2 მოწმე. საქმე ორჯერ გადაიდო პროკურორის მიზეზით - ერთხელ პროკურორის გამოუცხადებლობის, ხოლო ერთხელ პროკურორის შეცვლის გამო. აშკარაა, საქმეს შეგნებულად აჭიანურებდა ბრალდების მხარე, რომელსაც შეეძლო თითო სხდომაზე 4-5 მოწმის წარმოდგენა, ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მოეთხოვა მოწმის იძულებითი მოყვანა (რაც არ გაუკეთებია). საბოლოოდ, პირველ ინსტანციაში ამ საქმეზე დადგა გამამართლებელი განაჩენი.

ადვოკატების გადმოცემით, პრობლემას ქმნის ასევე ის, რომ სხდომის დაწყებამდე პროკურატურა არ იძლევა ინფორმაციას თუ რომელი მოწმე იქნება გამოძახებული მომდევნო სხდომაზე.

„პროკურატურა წინასწარ არ გვეუბნება რიგითობის მიხედვით რომელი მოწმე მოჰყავს პროცესზე, რაც ცუდია, ვინაიდან თუ საქმეში ბევრი მოწმეა, ჩვენ არ ვართ სათანადოდ მომზადებული კონკრეტულ მოწმესთან დაკავშირებით“.⁵⁰⁹

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამ საკითხს სპეციფიურად არ არეგულირებს. ეს პრობლემა დაფიქსირდა ასევე სხვა კვლევაშიც:

„კოდექსში არ არსებობს მკაფიო ვალდებულება მტკიცებულებების რიგითობისა და მოწმეთა გამოძახების დროისა და რიგითობის შესახებ ინფორმაციის წინასწარი გამჟღავნების თაობაზე. ამის გამო, ხშირად პრობლემა საკმარისი დროით უზრუნველყოფა სათანადოდ დასაცავად“.⁵¹⁰

6.2. საქმეთა გაჭიანურება ადმინისტრაციული ორგანოების მიზეზით

მოსამართლე რესპონდენტების აზრით, ადმინისტრაციულ საქმეთა გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზია ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელი იურისტების ნაკლებობა, რაც პროცესების დამთხვევას იწვევს. ამ საქმეთა გაჭიანურებას შიდა ბიუროკრატია და ადმინისტრაციული მასალების დაგვიანებული მომზადება იწვევს.

„როცა საქმე არ არის მომზადებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციული ორგანო მართლმსაჯულებას წარმოადგენს და წარმოების მასალებს პროცესზე მოაქვს, რა დროსაც მიწვევს გადავდო განხილვა. ძირითადად, სხვადასხვა სამსახურებიდან გამოსათხოვი მასალების შეგროვებას ვერ აორგანიზებენ“.⁵¹¹

⁵⁰⁹ 30 მარტის ფოკუს ჯგუფი, სისხლის სამართლის ადვოკატები.

⁵¹⁰ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში, 2021, გვ. 13.

⁵¹¹ პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე კაცი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

„დავებით დატვირთულ ადმინისტრაციულ ორგანოებს არასაკმარისი თანამშრომელი ჰყავს სასამართლოში წარმომადგენლობისთვის. ერთი წარმომადგენელია რამდენიმე მიმდინარე დავაზე. როცა პროცესები ემთხვევა, ეს იწვევს გაჭიანურებას“.⁵¹²

ზოგიერთ საჯარო უწყებაში კადრების ნაკლებობა ამ უწყების წარმომადგენლებთან გასაუბრებაშიც დაადასტურა.

„ჩვენ ვართ 4 წარმომადგენელი და გვაქვს 3000 დავა წელიწადში. თუმცა ჩვენ ვცდილობთ, რომ ჩვენი მიზეზით არასდროს გადაიდოს სხდომა. ჩვენ ვითხოვთ, დაგველოდონ, ვიდრე გამოვალთ სხვა სხდომიდან“.⁵¹³

რესპონდენტი ადვოკატები ხშირად მიუთითებენ, რომ ადმინისტრაციულ ორგანოებს არ აქვთ ინტერესი - საქმე დააჩქარონ.

„პირადი დაკვირვებით, ადმინისტრაციული ორგანოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს საქმე დროულად დასრულება თუ გადაიდება, ვინაიდან მათი წარმომადგენლებისთვის სასამართლო პროცესში მონაწილეობა გახლავთ ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი“.⁵¹⁴

რიგ ადმინისტრაციულ ორგანოებში (განსაკუთრებით იმ უწყებებში, რომლებიც ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებულია) არსებობს არაფორმალური ვალდებულება, რომ საქმის წაგების შემთხვევაში ყველა სასამართლო გადაწყვეტილება გასაჩივრდეს, მიუხედავად საჩივრის პერსპექტიულობისა.

ზოგ შემთხვევაში ეს შეიძლება დამოკიდებული იყოს მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობაზე.

„როდესაც მოდის აუდიტის და კონტროლის სამსახური, ისინი სვამენ შეკითხვას - რატომ არ გასაჩივრდა. გარკვეული არაფორმალური ვალდებულება არსებობს, რომ სამივე ინსტანციაში გასაჩივრდეს ყველაფერი“.⁵¹⁵

„99% შემთხვევაში ასაჩივრებენ ყველაფერს, რაც მათ წინააღმდეგ გამოდის, მიუხედავად იმისა, აღნიშნულ საკითხზე უკვე არსებობს თუ არა მყარი პრაქტიკა. ანუ, მათთვის მნიშვნელობა არ აქვს საქმის პერსპექტივას. წინასწარ განწირულ საქმესაც ასაჩივრებენ“.⁵¹⁶

„ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც საქმეს აგებს, ყოველთვის ასაჩივრებს. იშვიათია, როცა არ ასაჩივრებენ. მაგ., განათლების სამინისტრო დიპლომის აღიარების შესახებ გადაწყვეტილებებს არ ასაჩივრებს, რადგან მისთვის მთავარია - ჰქონდეს პირველი ინსტანციით მიღებული გადაწყვეტილება“.⁵¹⁷

აღნიშნულ ფაქტორს, არაპირდაპირ, ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ადმინისტრაციულ საქმეებზე გასაჩივრების ოდენობა ოთხჯერ აღემატება სამოქალაქო საქმეთა გასაჩივრების მაჩვენებელს. იმ დროს, როცა სამოქალაქო საქმეების 8-14 პროცენტი საჩივრდება სააპელაციო და 1-

⁵¹² პირისპირ ინტერვიუ, მოსამართლე ქალი, პირველი ინსტანციის სასამართლო.

⁵¹³ 10 მაისის ფოკუს ჯგუფი ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან.

⁵¹⁴ წერილობითი ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

⁵¹⁵ 29 მარტის ფოკუს ჯგუფი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სპეციალიზაციის ადვოკატებთან.

⁵¹⁶ წერილობითი ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

⁵¹⁷ პირისპირ ინტერვიუ, ადვოკატი, კაცი.

2 პროცენტი საკასაციო წესით, ადმინისტრაციულ საქმეებზე ეს მაჩვენებელი გაცილებით უფრო მაღალია. ადმინისტრაციული საქმეების 33-55 პროცენტი საჩივრდება სააპელაციო წესით და 7-13 პროცენტი საკასაციო წესით⁵¹⁸.

წაგებული საქმის ავტომატური გასაჩივრების პრაქტიკა არის დანერგილი პროკურატურაშიც:

*„თუ ადვოკატი მოიგებს პირველი ინსტანციის სასამართლოს, პროკურორი „გარბის“ აპელაციაში. ვალდებულია, გაასაჩივროს. ამას მიაქვს ძალიან დიდი დრო. იცის პროკურორმა, რომ აპელაციასაც წააგებს, მაგრამ მაინც ასაჩივრებს და აჭიანურებს საქმეს. წელიწად-ნახევარი აპელაციაში მიდის პროცესი“.*⁵¹⁹

როგორც ჩანს, განსხვავებული პრაქტიკაა დანერგილი იმ საჯარო უწყებებში, სადაც ბაჟის გადახდისგან არ არიან გათავისუფლებული.

*„ადრე იყო ეს ტენდენცია, „მკვდარი საქმე“ მიგვექონდა უზენაეს სასამართლომდე და ბოლომდე უნდა გვედავა. შემდგომში ეს პრაქტიკა შეიცვალა. დღეს გავდივართ უფროსებთან კონსულტაციას, რამდენად პერსპექტიულია დავა და ღირს თუ არა მისი გაგრძელება“.*⁵²⁰

⁵¹⁸ სტატისტიკური მონაცემები მიღებულია უზენაესი სასამართლოს ვებგვერდიდან www.supremecourt.ge. ასევე უზენაესი სასამართლოს 15 ივნისის N. პ. 499-23 წერილით.

⁵¹⁹ 15 დეკემბრის ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ადვოკატებთან.

⁵²⁰ 10 მაისის ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან.

როგორც წინამდებარე კვლევით გამოიკვეთა, საქართველოს სასამართლოებში საქმის-წარმოების გაჭიანურება არის სისტემური, მასშტაბური პრობლემა, რაც განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით. ამ მიზეზების ნაწილი სასამართლო სისტემის შიგნით, ხოლო ნაწილი - სისტემის გარეთ მდგომარეობს. როგორც საერთაშორისო გამოცდილება მეტყველებს, გაჭიანურების პრობლემის მოგვარება სისტემურ მიდგომას საჭიროებს, რომლის პირველი ეტაპი, სწორედ გაჭიანურების მიზეზების დეტალურ შესწავლას მოითხოვს. იმედს გამოვთქვამთ, რომ წინამდებარე კვლევა ხელს შეუწყობს გაჭიანურების მიზეზებთან დაკავშირებით სიდრმისეულ პროფესიულ დისკუსიას, რაც შემდგომ, შესაბამისი სტრატეგიების დასახვისა და ღონისძიებების განხორციელების საფუძველი გახდება.

დანართი 1: საქმეთა ნაკადის მართვისა და საქმისწარმოების გაჭიანურებასთან გამკლავების საერთაშორისო სტანდარტები

ქვემოთ მოცემულია ევროსაბჭოს ფარგლებში საქმეთა ნაკადის მართვისა და გაჭიანურების შემცირების მნიშვნელოვანი სტანდარტები შესაბამის წყაროებზე მითითებით:

1.1. სასამართლოში საქმეთა განხილვის ვადები

- საქმისწარმოების ვადები უნდა იყოს მაქსიმალურად წინასწარ განჭვრეტადი⁵²¹.
- როგორც საშუალო ვადების საქმეთა განხილვის, ასევე კონკრეტული საქმის განხილვის ხანგრძლივობა, წინასწარ უნდა დაიგეგმოს⁵²².
- ეროვნულ დონეზე ვადების დაგეგმვასთან ერთად, ვადები უნდა დაიგეგმოს ინდივიდუალური სასამართლოების დონეზეც⁵²³. თუ ეს მიზნები ვერ იქნა მიღწეული, კონკრეტული ზომები უნდა გატარდეს პრობლემების გამოსასწორებლად⁵²⁴.
- კანონით ან სხვა აქტებით საქმეთა განხილვის ვადების ნორმატიულად განსაზღვრა უნდა მოხდეს ფრთხილად, ისე რომ მხედველობაში იქნას მიღებული საქმეთა შორის განსხვავებები. თუ ვადებს ადგენს კანონი, ამ ვადების ადეკვატურობა და მათი დაცვა, მუდმივად უნდა შემოწმდეს⁵²⁵.

⁵²¹ იხ., მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. I.A.3 <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია 18.10.2023]

⁵²² იქვე, პარ. I. C.9.

⁵²³ იქვე, პარ. IV.C.6.

⁵²⁴ იქვე, პარ. IV.C.8.

⁵²⁵ იქვე, პარ. I. D. 17.

1.2. საქმეთა გაჭიანურებაზე რეაგირება

- ვადების დარღვევის დროს უნდა იქნას მიღებული შესაბამისი ზომები, ასეთი დარღვევების მიზეზების გამოსასწორებლად⁵²⁶.
- მონიტორინგის დროს ყურადღება უნდა მიექცეს საქმის უძრაობის განსაკუთრებით გრძელ პერიოდებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, უნდა იქნას მიღებული ზომები საქმის დასაჩქარებლად, რათა მოხდეს გაჭიანურების კომპენსირება⁵²⁷.

1.3. საქმისწარმოება

- საქმის განხილვის პროცედურებმა (პირველ ინსტანციაში) ხელი უნდა შეუწყონ საქმის სწრაფად წარმართვას; თუმცა, იმავდროულად, მათ უნდა უზრუნველყონ მხარის უფლებაც სამართლიან და საჯარო პროცესზე⁵²⁸.
- დროის მენეჯმენტის ვალდებულება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უნდა გადანაწილდეს მართლმსაჯულების სისტემის ყველა ორგანოსა და საქმის მონაწილე პირებზე (მოსამართლეები, სასამართლოები, ექსპერტები, ადვოკატები, სხვ.)⁵²⁹.
- მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლება აქტიურად მართოს პროცესი, განსაზღვროს სათანადო ვადები; დროის მენეჯმენტი განსაზღვროს ზოგადად დადგენილი ვადების ან საქმის კონკრეტული გარემოებების შესაბამისად⁵³⁰.
- მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლება საქმიდან ამორიცხოს მოწმე, რომლის ჩვენება, სავარაუდოდ, არ იქნება რელევანტური; საქმის კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით შეზღუდოს მოწმეების რაოდენობა, თუ, მისი აზრით, ამდენი მოწმე ამ ფაქტთან დაკავშირებით, არ არის საჭირო⁵³¹.
- უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველა ფაქტორი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს პროცესის მსვლელობაზე, ცნობილი იყოს საქმისწარმოების დასაწყისში⁵³².
- გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მხარეთა მოთხოვნები, შეპასუხებები, მტკიცებულებები წარმოდგენილი უნდა იქნას პროცესის რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე და ნებისმიერ შემთხვევაში მოსამზადებელი სტადიის დასრულებამდე⁵³³.

⁵²⁶ იქვე, პარ. III. B. 8 .

⁵²⁷ იქვე, პარ. III. B. 9 .

⁵²⁸ იქვე, პარ. II D. 13 .

⁵²⁹ იქვე, პარ. III. A.1.

⁵³⁰ იქვე, პარ. V.A.1.2.

⁵³¹ რეკომენდაცია R (84)5 სამოქალაქო პროცესის პრინციპებზე, რომელთა მიზანია მართლმსაჯულების ფუნქციონირების გაუმჯობესება, პრინციპი 3.

⁵³² იქვე, პრინციპი 4 .

⁵³³ იქვე, პრინციპი 5.

- სააპელაციო ინსტანციაში სასამართლომ, როგორც წესი, არ უნდა დაუშვას ფაქტები, რომლებიც არ იქნენ წარმოდგენილნი პირველ ინსტანციაში, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა⁵³⁴.
- მოსამართლემ, სადაც შესაძლებელია, უნდა დაადგინოს საპროცესო მოქმედებების კალენდარი⁵³⁵. დროის მენეჯმენტის, საპროცესო მოქმედებების თარიღებისა და ხანგრძლიობის დაგეგმვა უნდა მოხდეს სასამართლოს მომხმარებლებთან კონსულტაციით⁵³⁶. ამ გეგმიდან გადახვევა უნდა იყოს მინიმალური და შეიზღუდოს მხოლოდ დასაბუთებული შემთხვევებით. როგორც წესი, ვადების გაგრძელება უნდა მოხდეს მხარეებთან შეთანხმებით და მართლმსაჯულების ინტერესიდან გამომდინარე⁵³⁷. კალენდრიდან გადახვევის მიზეზები სისტემურად უნდა აღირიცხოს⁵³⁸.
- სამართალწარმოების დროის მენეჯმენტი მორგებული უნდა იქნას კონკრეტულ საქმეზე და მხედველობაში იქნას მიღებული მომხმარებელთა საჭიროებები⁵³⁹.
- რეკომენდებულია განხორციელდეს საქმეების ადრეულ სტადიაზე გადარჩევა (early triage), რათა გაირკვეს საქმის მსვლელობა (track), დადგინდეს სხვადასხვანაირი გრაფიკი სხვადასხვა ტიპის საქმეებისთვის, შემოტანილი იქნას ავტომატური შეხსენებების სისტემა (ე.წ. გაფრთხილებები) ამ ვადების დადგომისას⁵⁴⁰.
- თითოეულმა მოსამართლემ უნდა გაანალიზოს ბოლო მოქმედება, რაც განხორციელდა ვადაგადაცილებულ საქმეზე (backlog case) და დაადგინოს შემდგომი მოქმედებები, რაც აუცილებელია საქმის ეფექტური გადაწყვეტისთვის. ამ ანალიზის საფუძველზე, მოსამართლემ შეიძლება პრიორიტეტი მიანიჭოს ვადაგადაცილებულ საქმეებზე სხდომის ჩანიშნვას, გადახედოს პროცედურულ კალენდარს, მოაწყოს მხარეებთან ერთად საქმის მენეჯმენტის კონფერენცია, ან მიიღოს სხვა ორგანიზაციული ზომები საქმის დასრულებისთვის⁵⁴¹.
- როგორც წესი (სამოქალაქო საქმეებზე), პროცესი უნდა დასრულდეს ორ სხდომაში, სადაც პირველი არის მოსამზადებელი, ხოლო მეორე ეთმობა მტკიცებულებათა გამოკვლევას, მხარეთა არგუმენტების მოსმენას და თუ შესაძლებელია გადაწყვეტილების გამოცხადებას. სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ის, რომ მეორე სხდომისათვის ყველა საჭირო ნაბიჯი იქნას გადადგმული დროულად და, როგორც წესი, სხდომის გადადებები არ უნდა მოხდეს

⁵³⁴ იქვე, პრინციპი 5.

⁵³⁵ იხ., მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. 5.B.5 <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია 18.10.2023]

⁵³⁶ იქვე, პარ. I. C. 10.

⁵³⁷ იქვე, პარ. X. B. 6 .

⁵³⁸ იქვე, პარ. VII A 11.

⁵³⁹ იქვე, პარ. I. D. 16.

⁵⁴⁰ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), p. 38, <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 22.08.2023]

⁵⁴¹ იქვე გვ. 40.

გარდა ახალი ფაქტების წარმოდგენის ან სხვა გამონაკლისი და მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობის შემთხვევებისას⁵⁴².

- სხდომის გადადება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გამართლებულია და თუ დადგენილია შემდეგი სხდომის თარიღი. თუ სასამართლო დიდი რაოდენობით გადადებას სხდომებს, ის წახალისებს ადვოკატებსაც (რომლებიც არ მოემზადნენ საქმისათვის) მოითხოვონ საქმის გადადება. ამ გზით ხდება სასამართლოს მიერ დროის ფუჭი ფლანგვა⁵⁴³.
- დაჩქარებული პროცედურების გამოყენება, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა წახალისდეს⁵⁴⁴.
- ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს ვალდებულება ითანამშრომლოს სასამართლოსთან ვადების დაცვის მიზნით⁵⁴⁵. საქმის გაჭიანურების მიზანმიმართული მცდელობები არ უნდა წახალისდეს⁵⁴⁶. ასეთი ქმედებების წინააღმდეგ უნდა იქნას გამოყენებული პროცედურული სანქციები⁵⁴⁷.

1.4. გასაჩივრება

- შესაბამის შემთხვევებში გასაჩივრება შეიძლება შეიზღუდოს. ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ., მცირემნიშვნელოვან დავებზე) სააპელაციო განსჯალობა შეიძლება გამოირიცხოს ან საჭირო გახდეს სპეციალური ნებართვა. აშკარად დაუსაბუთებელი საჩივრები შეიძლება იქნას ცნობილი დაუშვებლად ან არ იქნას მიღებული წარმოებაში მარტივი გზით⁵⁴⁸.
- აპელაციაში დამატებითი მოთხოვნების, მტკიცებულებებისა და ფაქტების წარმოდგენა უნდა დაიშვებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ახლად გამოვლენილია ან არსებობს საპატიო მიზეზი, თუ რატომ არ იქნა წარმოდგენილი პირველ ინსტანციაში⁵⁴⁹.
- სააპელაციო განხილვის ფარგლები უნდა შეიზღუდოს მხარის მიერ მოყვანილი საფუძვლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სასამართლოს შეუძლია იმოქმედოს საკუთარი ინიციატივით⁵⁵⁰.
- გარკვეულ შემთხვევებში, სააპელაციო ინსტანციაში საქმე შეიძლება განიხილოს ერთმა მოსამართლემ⁵⁵¹.

⁵⁴² რეკომენდაცია R (84)5 სამოქალაქო პროცესის პრინციპებზე, რომელთა მიზანია მართლმსაჯულების ფუნქციონირების გაუმჯობესება, პრინციპი 1.

⁵⁴³ მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის სამართალწარმოების დროის მართვის საუკეთესო პრაქტიკის კომპენდიუმი 3.4. https://rm.coe.int/16807473ab#_Toc153700518 [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

⁵⁴⁴ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. II.D.14 <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია 18.10.2023]

⁵⁴⁵ იქვე, პარ. V.C.7.

⁵⁴⁶ იქვე, პარ. V.D.9.

⁵⁴⁷ იქვე, პარ. V.D.10.

⁵⁴⁸ იქვე, პარ. II.D. 15; ასევე რეკომენდაცია R(95)5 სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე სააპელაციო სისტემების და პროცედურების შემოღებასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, მუხ. 3.

⁵⁴⁹ რეკომენდაცია R(95)5 სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე სააპელაციო სისტემების და პროცედურების შემოღებასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, მუხ. 5.D.

⁵⁵⁰ იქვე, მუხ. 5. E.

⁵⁵¹ იქვე, მუხ. 6.A.

- უმაღლეს ინსტანციებზე ხელმისაწვდომობა შეიძლება შეიზღუდოს იმ საქმეებით, რომლებიც იმსახურებენ ყურადღებას და რევიზიას⁵⁵².

1.5. ინფორმაციის შეგროვება, ხელმისაწვდომობა და ანალიზი

- საქმისწარმოების ხანგრძლიობის მონიტორინგი უნდა ხდებოდეს მონაცემთა შეგროვების ინტეგრირებული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემით. ასეთი სისტემა სწრაფად უნდა იძლეოდეს დეტალურ სტატისტიკურ ინფორმაციას როგორც ზოგად დონეზე, ასევე ადგენდეს ინდივიდუალურ შემთხვევებს, სადაც მოხდა საქმეთა არაგონივრულად გაჭიანურება⁵⁵³.
- თითოეული კატეგორიის საქმეთა განხილვის ხანგრძლიობის შესახებ ზოგადი და სხვა სტატისტიკური ინფორმაცია უნდა იყოს ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი⁵⁵⁴.
- სასამართლოს მენეჯერებმა უნდა შეაგროვონ ინფორმაცია საქმისწარმოების ძირითად სტადიებთან და მათ შორის არსებული დროის ინტერვალებთან დაკავშირებით⁵⁵⁵.
- შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი მუდმივად უნდა ხდებოდეს სასამართლოს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. პირადი ცხოვრების მონაცემების დაცვით შეგროვებული ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს მკვლევრებისთვის და კვლევითი დაწესებულებებისთვის⁵⁵⁶.

1.6. რესურსები, მათი გამოყენება და განაწილება

- სასამართლო სისტემას უნდა ჰქონდეს ადეკვატური რესურსები, რომ სათანადო ვადაში შეძლოს საქმეთა ნაკადთან გამკლავება. რესურსები უნდა იქნას განაწილებული თანაბრად, საჭიროებების შესაბამისად და გამოყენებული იყოს ეფექტურად⁵⁵⁷.
- საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს რესურსების გადანაწილება სწრაფად და ეფექტურად, რათა თავიდან იქნას აცილებული გაჭიანურება და საქმეთა დაგროვება⁵⁵⁸.
- ხელისუფლების ორგანოებმა უნდა დაადგინონ მოსამართლე და არამოსამართლე პერსონალის რაოდენობა, რაც საჭიროა შემოსული და წარმოებაში არსებული საქმეების გასამკლავებლად. საქმეთა მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის გამოთვლა შეიძლება მოხდეს საქმის წონების სისტემით ან სამუშაოს რაოდენობის დადგენის სხვა მექანიზმით.

⁵⁵² იხ., მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. II.D. 16, <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია 18.10.2023].

⁵⁵³ იქვე, პარ. I. C. 11.

⁵⁵⁴ იქვე, პარ. I.A.4

⁵⁵⁵ იქვე, პარ. IV.A.1

⁵⁵⁶ იქვე, პარ. IV.B.4.

⁵⁵⁷ იქვე, პარ. II.A.1.

⁵⁵⁸ იქვე, პარ. II.A.3

- მოსამართლე უნდა გათავისუფლდეს არასამოსამართლო ფუნქციებიდან და უნდა მოხდეს მათი დელეგირება სხვა პირებსა და ორგანოებზე⁵⁵⁹.
- აპარატმა უნდა უზრუნველყოს მოსამართლე ყველა საჭირო დამხმარე რესურსით, მათ შორის ისეთი ფუნქციების შესრულებით, როგორებიცაა: დოკუმენტების სისწორისა და მხარეთა მიერ პროცესუალური მოთხოვნების დაცვის შემოწმება, ბაჟისა და საქმის ხარჯების გამოთვლა, საპროცესო მოქმედებათა კალენდარის შედგენა და დაცვის მონიტორინგი, მხარეებზე დოკუმენტების გაგზავნა, სხდომის ოქმების შედგენა, სასამართლო გადაწყვეტილებების პროექტების შედგენა⁵⁶⁰.
- ყველა სასამართლოში შეიძლება შემუშავებული იყოს შესაბამისი მექანიზმები. მაგ., ისეთი არჩევითი ორგანო, როგორიცაა მოსამართლეთა პრეზიდიუმი. ეს ორგანო უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს იმავე სასამართლოს ფარგლებში საქმეებით ზედმეტად დატვირთული რომელიმე მოსამართლისგან საქმის მეორე მოსამართლისთვის გადაცემის თაობაზე⁵⁶¹.
- სასამართლოების, მოსამართლეების და სასამართლო აპარატის სპეციალიზაციამ შეიძლება შეამციროს საქმის წარმოებისთვის საჭირო დრო⁵⁶².
- წარმოებაში არსებული საქმეების ხანგრძლივობის შესამცირებლად შესაძლოა მოხდეს პენსიაში გასული მოსამართლეების რესურსის გამოყენება⁵⁶³.

1.7. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები

- უნდა წახალისდეს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, მათ შორის, არბიტრაჟის და მედიაციის გამოყენება⁵⁶⁴.
- სისხლის სამართლის საქმეებზე შეიძლება შემოღებული იქნას განრიდების მექანიზმი, სადაც საქმე შეიძლება დასრულდეს ბრალდებულის მიერ სხვადასხვა პირობის შესრულებით. მაგ., სახელმწიფოსთვის თანხის გადახდით, დანაშაულებრივი გზით

⁵⁵⁹ ევროსაბჭოს რეკომენდაცია R (86)12 რომელიც უკავშირდება სასამართლოების გადატვირთულობის შემცირებისა და თავიდან აცილებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.

⁵⁶⁰ იქვე, პარ. VII A 7-14.

⁵⁶¹ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) დასკვნა #6 (2004) <https://rm.coe.int/-ccje-6-2004-/168074739f> [ბოლოს ნანახია: 22.12.2023] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საყურადღებოდ გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი განხილვის და სასამართლო პროცესში მოსამართლის როლის შესახებ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გათვალისწინებით.

⁵⁶² მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), გვ. 38. <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 22.08.2023]

⁵⁶³ იქვე, გვ. 39.

⁵⁶⁴ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2001) 9, რომელიც ეხება ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო პირებს შორის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებს.

იხ.: მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), p. 34. <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 22.08.2023]

მიღებული ქონების დაბრუნებით, დანაშაულის მსხვერპლისთვის ზიანის ანაზღაურებით და ა.შ.⁵⁶⁵.

1.8. ტექნოლოგიების გამოყენება

- საქმისწარმოების დაჩქარების მიზნით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება უნდა წახალისდეს, განსაკუთრებით ეს ეხება სატელეფონო და ვიდეო კონფერენციებს, სასამართლოსა და მხარეებს შორის ელექტრონულ კომუნიკაციას, საქმის მასალებზე დისტანციურ წვდომას და ა.შ.⁵⁶⁶.
- ციფრული მართლმსაჯულების შემოღებას და მისი მოცულობის გაზრდას შეიძლება ჰქონდეს დადებითი ეფექტი საქმეთა დროული განხილვის, ეფექტური საქმისწარმოების და ხარჯების შემცირების თვალსაზრისით⁵⁶⁷.

1.9. სასამართლო სისტემის ორგანიზაცია

- სასამართლო სისტემაში უნდა არსებობდეს ორგანო, რომელიც მუდმივად გაანალიზებს პროცესების ხანგრძლივობას ტენდენციების გამოკვეთის, ცვლილებების პროგნოზირებისა და პრობლემების თავიდან აცილების მიზნით⁵⁶⁸.
- მართლმსაჯულების ცენტრალურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ დროის მენეჯმენტის სათანადო საშუალებები და პირობები და მიიღონ ადეკვატური ზომები საქმისწარმოების შემთხვევაში⁵⁶⁹.
- სასამართლო სისტემის ყველა ორგანიზაციული ცვლილება უნდა იყოს შესწავლილი სამართალწარმოების ხანგრძლივობაზე შესაძლო გავლენის თვალსაზრისით⁵⁷⁰.

1.10. კანონმდებლობა

- ახალი კანონმდებლობის მიღების წინ, ხელისუფლება ყოველთვის უნდა სწავლობდეს მის ზეგავლენას ახალ საქმეებზე და თავიდან იცილებდეს წესებსა და რეგულაციებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ საქმეების დაგროვება და გაჭიანურება⁵⁷¹.

⁵⁶⁵ რეკომენდაცია R (87) 18, რომელიც უკავშირდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივებას, პარ. 2.B.1.

⁵⁶⁶ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. III.D.10 <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია 18.10.2023], ასევე, რეკომენდაცია R(2001)3 ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მოქალაქეებისათვის სასამართლო და სხვა სახის სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით.

⁵⁶⁷ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია, საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო (Backlog Reduction Tool, 2023), გვ. 37 <https://rm.coe.int/cepej-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია: 22.08. 2023]

⁵⁶⁸ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სასამართლო დროის მართვის განახლებული გაიდლაინები (სატურნის გაიდლაინები), მე-4 რედაქცია, 2021, პარ. II B 5 <https://rm.coe.int/cepej-2021-13-en-revised-saturn-guidelines-4th-revision/1680a4cf81> [ბოლოს ნანახია 18.10.2023]

⁵⁶⁹ იქვე, პარ. I.E. 21.

⁵⁷⁰ იქვე, პარ. II. B 6.

⁵⁷¹ იქვე, პარ. II.C.8.

1.11. პასუხისმგებლობა

- ყველამ, ვინც თავისი ქმედებით ან უმოქმედობით აფერხებს საქმისწარმოებას, უნდა აგოს პასუხი სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით⁵⁷².
- თუ იურიდიული პროფესიის წარმომადგენელი უხეშად და ბოროტად იყენებს პროცედურულ უფლებებს ან მნიშვნელოვნად აბრკოლებს საქმისწარმოებას, შესაძლოა მის შესახებ ეცნობოს შესაბამის პროფესიულ ორგანიზაციას სათანადო სანქციის დაკისრების მიზნით⁵⁷³.

1.12. ადვოკატები

- შესაძლოა დადგინდეს ადვოკატის ეთიკური ვალდებულება, რომლის საფუძველზეც, ადვოკატმა, მისივე კლიენტის ინტერესის დაცვისას, იმოქმედოს ისე რომ თავიდან აიცილოს სასამართლო პროცესის არაჯეროვანი დაყოვნება⁵⁷⁴.
- ადვოკატის ეთიკური ვალდებულება უნდა იყოს, რომ ეცადოს საქმის მორიგებით დასრულებას - როგორც სამართლებრივი დავის დაწყებამდე, ასევე პროცესის ნებისმიერ ეტაპზე⁵⁷⁵.

1.13. სამართალწარმოების გონივრული ვადის დარღვევის შემთხვევაში საქმის დამაჩქარებელი ან კომპენსატორული მექანიზმები.

სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის წინააღმდეგ ეფექტური საშუალებების შესახებ ევროსაბჭოს რეკომენდაცია CM/REC (2010)3⁵⁷⁶ სახელმწიფოებს მოუწოდებს საქმისწარმოების გაჭიანურების შემთხვევაში დანერგონ როგორც პრევენციული ასევე კომპენსატორული მექანიზმები.

კერძოდ აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად, როდესაც სამართალწარმოება ზედმეტად ჭიანურდება, უნდა მოხდეს დარღვევის აღიარება პირდაპირ ან არსებითად. და

- ა. საქმის წარმოება უნდა დაჩქარდეს,, სადაც ეს შესაძლებელია; ან
 - ბ. მსხვერპლს მიეცეს კომპენსაცია ნებისმიერი ზიანის გამო, რომელიც მათ განიცადეს; ან, სასურველია,
 - გ. შესაძლებელი გახდეს ამ ორი ღონისძიების ერთობლივი გამოყენება.
- უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ მოთხოვნები სამართალწარმოების დაჩქარების ან ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ, კომპეტენტური ორგანოს მიერ სწრაფად იყოს განხილული და ისინი წარმოადგენდნენ ეფექტურ, ადეკვატურ და ხელმისაწვდომ საშუალებას;

⁵⁷² იქვე, პარ. III E 11.

⁵⁷³ იქვე, პარ. III E 11.

⁵⁷⁴ იქვე, პარ. III 2.

⁵⁷⁵ რეკომენდაცია R (86)12, რომელიც უკავშირდება სასამართლოების გადატვირთულობის შემცირებისა და თავიდან აცილებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს, პარ. 1. C.

⁵⁷⁶ სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის წინააღმდეგ ეფექტური საშუალებების შესახებ ევროსაბჭოს რეკომენდაცია CM/REC (2010)3

https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805cf8e9 [ბოლოს ნანახია: 22.12.2023]

- უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ კომპენსაციის ოდენობა, რომელიც შეიძლება გაიცეს, იყოს გონივრული და თავსებადი სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან და, ამ კონტექსტში, დაუშვას პრეზუმფცია, რომ ზედმეტად ხანგრძლივი პროცესი გამოიწვევს მორალურ ზიანს;
- განიხილოს არაფულადი ანაზღაურების კონკრეტული ფორმების უზრუნველყოფა, როგორებიცაა სანქციების შემცირება ან სამართალწარმოების შეწყვეტა, საჭიროებისამებრ, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას, რომელიც ზედმეტად ხანგრძლივი იყო.
- საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ახალი ზომების რეტროაქტიულობა, რომელიც მიიღება სასამართლო პროცესის გადაჭარბებული ხანგრძლივობის პრობლემის გადასაჭრელად, რათა სასამართლოში განხილული განაცხადები გადაწყდეს ეროვნულ დონეზე;

დანართი 2: ევროსასამართლოს პრაქტიკა საქმის გონივრულ ვადაში განხილვასთან დაკავშირებით

კონვენციის მე-6 მუხლის გაგებით, სამართალწარმოება იწყება სასამართლოში საქმის შესვლიდან⁵⁷⁷. არსებობს გარკვეული გამონაკლისები. იმ საქმეებზე, სადაც ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვა არის სავალდებულო წინაპირობა და სასამართლოში სარჩელის შესატანად გონივრული ვადის ათვლა იწყება ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვიდან⁵⁷⁸. სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოების გონივრული ვადის ათვლა იწყება გამოძიების დაწყებიდან⁵⁷⁹, პირის დაკავებიდან⁵⁸⁰, ბრალდებულისთვის ბრალის წარდგენიდან⁵⁸¹, ან ეჭვმიტანილის მოწმის სახით დაკითხვიდან.⁵⁸² რაც შეეხება კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედების ბოლო მომენტს, აქ მოიაზრება როგორც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები, ასევე აქ შედის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ვადა⁵⁸³.

შესაძლოა, საქმის ცალკეული ეპიზოდები თავისთავად არ ჩაითვალოს გაჭიანურებულად, თუმცა, ერთად აღებული იწვევდნენ გონივრული ვადის დარღვევას⁵⁸⁴. პროცესის გონივრულობის შეფასებისას, სტრასბურგის სასამართლო ასევე, ყურადღებას მიაქცევს დროის იმ პერიოდებს, როდესაც საქმე იყო უმოძრაოდ და მასზე არ ხორციელდებოდა რაიმე საპროცესო მოქმედება.⁵⁸⁵

⁵⁷⁷ Guide to Article 6 of the European Convention of Human Rights, Right to Fair Trial (civil limb), 2022, p. 55.

⁵⁷⁸ Kress v. France [GC], 2001, § 90; König v. Germany, 1978, § 98; X v. France, 1992.

⁵⁷⁹ Wemhoff v. Germany, 1968, § 19.

⁵⁸⁰ Ringeisen v. Austria, 1971, § 110; Šubinski v. Slovenia, 2007, §§ 65-68.

⁵⁸¹ Neumeister v. Austria, 1968, § 18.

⁵⁸² Kalēja v. Latvia, 2017, § 40.

⁵⁸³ Guide to Article 6 of the European Convention of Human Rights, Right to Fair Trial (civil limb), 2022, p. 55.

⁵⁸⁴ Deumeland v. Germany, 1986, § 90.

⁵⁸⁵ Beaumartin v. France, 1994, § 33.

პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა შესაძლოა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს პროცესის ხანგრძლივობაზე, მაგრამ მთლიანობაში ეს არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ვალდებულებიდან - დაიცვას საქმის განხილვის გონივრული ვადები⁵⁸⁶.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ყოველთვის უარს ამბობდა დაედგინა რაიმე ფიქსირებული გონივრული ვადები სამართალწარმოების თითოეულ ეტაპზე. ამის ნაცვლად, ის იყენებს კრიტერიუმებს, რათა პროცესის გონივრულობა შეაფასოს თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად. ეს კრიტერიუმებია: ა. საქმის სირთულე ბ. მომჩივანის ინტერესი რომელიც იმყოფება სასწორზე. გ. მომჩივანის ქმედებები დ. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მოქმედებები.

ა. საქმის სირთულე

საქმის სირთულე გულისხმობს ფაქტების სირთულეს, სამართლებრივ სირთულეს ან პროცედურების სირთულეს. ფაქტების სირთულე შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოიხატოს: ბრალად წარდგენილი ეპიზოდების რაოდენობა და მათი ხასიათი, დანაშაულის დელიკატური ხასიათი (მაგალითად, მისი კავშირი ეროვნულ უშიშროებასთან), მოწმეებისა და ბრალდებულების რაოდენობა, ექსპერტის დასკვნის საჭიროება, მტკიცებულებებთან დაკავშირებული რთული საკითხები და ა.შ. საქმის სამართლებრივი სირთულე შეიძლება გამოწვეული იქნას სხვადასხვა ფაქტორით, როგორებიცაა: ახალი და ბუნდოვანი კანონის გამოყენება, განსჯადობის საკითხები, კანონის კონსტიტუციურობის საკითხი, საერთაშორისო ხელშეკრულების განმარტება და სხვ. პროცედურების სირთულე შეიძლება გამოწვეული იქნას შემდეგი ფაქტორებიდან, მათ შორის: მხარეთა რაოდენობა, მხარეების მიერ წარმოდგენილი შუალედური საჩივრები, ბრალდებულების და მოწმეების რაოდენობა, მოწმეების მიერ მისამართის ან ვინაობის შეცვლა, საქმის მასალების დიდი მოცულობა, რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული წარმოების არსებობა და სხვ.⁵⁸⁷

ბ. მომჩივანის ინტერესი რომელიც სასწორზეა

მომჩივანის ინტერესი შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური. ამ კუთხით, სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა გამოარჩევს საქმეებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ან განსაკუთრებულ ყურადღებას. ასეთი საქმეებია: საოჯახო დავებთან და უფლებაუნარიანობასთან დაკავშირებული საქმეები (განსაკუთრებით ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით); მამობის დადგენასთან, განქორწინებისა და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული დავები; ავტოსაგზაო შემთხვევის და საპოლიციო ძალადობის მსხვერპლის კომპენსაცია; პროფესიული საქმიანობის ლიცენზიასთან დაკავშირებული დავები; საპენსიო დავები; სამსახურიდან გათავისუფლების დავები; საწარმოო ტრამვის შედეგად მიღებულ კომპენსაციასთან დაკავშირებული დავები; სისხლის სამართლის საქმეები, სადაც ბრალდებული

⁵⁸⁶ Q and R v. Slovenia, 2022, § 80.

⁵⁸⁷ The right to trial within reasonable time under Article 6 ECHR A practical handbook prepared by Ivana Roagna 2018, p. 24.

პატიმრობაში; სამედიცინო დაწესებულების ბრალით გამოწვეული განუკურნებელი დაავადების მქონე პირის უფლება კომპენსაციაზე და სხვ.⁵⁸⁸

გ. მხარეთა მოქმედებები

კონვენციის მე-6 მუხლი განმცხადებლისგან არ მოითხოვს რომ ითანამშრომლოს სასამართლოსთან ან არ გამოიყენოს კანონით მინიჭებული საპროცესო უფლებები. ამ მოქმედებების შედეგად გამოწვეული გაჭიანურება სახელმწიფოს ვერ შეერაცხება⁵⁸⁹.

ევროსასამართლოს პრაქტიკით, არსებობს მრავალი ხერხი, რომლითაც მხარეებმა შეიძლება გააჭიანურონ საქმის წარმოება, მათ შორის: მხარეების მიერ განცხადების შეტანა არაგანსჯად სასამართლოში; სხდომების გადადების და ვადების გახანგრძლივების მოთხოვნები; შეპასუხების დაგვიანებით წარდგენა; ადვოკატის ხშირი ცვლა ან ადვოკატების დიდი რაოდენობა პროცესზე; ფაქტების წარმოდგენა, რომლებიც გადამოწმებას ითხოვენ და რომელთა უსწორობა დადგინდება; სხდომაზე გამოუცხადებლობა; ბრალდებულის მიმალვა; საქმის მორიგების უშედეგო მცდელობები; მრავალრიცხოვანი გასაჩივრებები, მაგ., მიმართვა ადვოკატის ღონისძიების შეცვლაზე, მოსამართლის აცილებები, სხვა სასამართლოზე საქმის გადაცემის მოთხოვნა, შუალედური აქტების გასაჩივრება და სხვ⁵⁹⁰.

ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ მხარეთა მოქმედებებით გამოწვეული გაჭიანურება ვერ მიეწერება სახელმწიფოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნულმა სასამართლომ არაფერი უნდა გააკეთოს. იმ სამართლებრივ სისტემებშიც კი, სადაც საქმისწარმოებაში მოქმედებს დისპოზიციურობის პრინციპი, ეს არ ათავისუფლებს ეროვნულ სასამართლოს ვალდებულებისგან - უზრუნველყოს საქმის სწრაფი განხილვა მე-6 მუხლის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო პროცესუალური წესების შესაბამისად უნდა რეაგირებდეს მხარეთა მოქმედებებზე. მაგალითად, არ დააკმაყოფილოს სხდომის გადადებისა და დროის გახანგრძლივების დაუსაბუთებელი მოთხოვნები, გამოიყენოს საკუთარი უფლებამოსილებები პროცესის დასაჩქარებლად ან უზრუნველყოს ექსპერტის მიერ საკუთარი ვალდებულების შესრულება შესაბამის დროის ფარგლებში⁵⁹¹.

დ. სახელმწიფო ორგანოების მოქმედებები

სახელმწიფო ორგანოებში მოიაზრება არა მხოლოდ სასამართლო, არამედ ასევე პროკურატურა და სხვა საჯარო ორგანოები. მაგ., საკანონმდებლო ორგანოები, რომლებიც ჩართულები არიან სამართალწარმოების პროცესში მხარის ან სხვა სუბიექტის სახით.⁵⁹²

სახელმწიფო ორგანოების მხრიდან პროცესის გაჭიანურებაში შეტანილი წვლილი შეიძლება სხვადასხვა რამეში გამოიხატოს, მათ შორისაა: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის

⁵⁸⁸ იქვე, p. 30.

⁵⁸⁹ Erkner and Hofauer v. Austria, 1987, § 68.

⁵⁹⁰ The right to trial within reasonable time under Article 6 ECHR A practical handbook prepared by Ivana Roagna 2018, p. 33.

⁵⁹¹ იქვე, p. 34.

⁵⁹² იქვე, p. 36.

განახლების შეყოვნება; წინასწარი გამოძიების გაჭიანურება; გამოძიების მოსამართლის მიერ ბრალდებულის გამოკითხვის ან მოწმეთა შორის დაპირისპირების მოწყობის დაყოვნება; ურთიერთდამოკიდებული საქმეების გაერთიანებაზე უარი, დაყოვნება გამოძიების დასრულებაში; ბრალდებულის სამართალში მიცემის დაყოვნება; მოწმის არასწორად გამოძახება; საქმის გაჭიანურება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, მათ შორის საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულების წარმოდგენაში ხელის შეშლა; ბრალდებულისთვის საქმის მასალების დაგვიანებული გადაგზავნა; სამინისტროს მიერ არგუმენტების დაყოვნებული წარმოდგენა; მხარისთვის საქმის განხილვის თარიღის შეუტყობინებლობა; საქმის განხილვის ჩანიშვნა დაგვიანებით; სხდომების მრავალრიცხოვანი გადადება ან სხდომების ჩანიშვნა დიდი ინტერვალებით; საქმის დიდი ხნით შეჩერება სხვა საქმის დასრულებამდე; სასამართლოს მიერ უფლებამოსილებლობის გამოუყენებლობა რომ გამოითხოვოს მნიშვნელოვანი მტკიცებულება; გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მისი წერილობითი სახით ჩაბარებამდე არსებული ხანგრძლივი პერიოდი; ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საქმის მასალების დაგვიანებული გადაგზავნა⁵⁹³.

სასამართლოში საქმეთა გადაჭარბებული სიმრავლე არ ათავისუფლებს სახელმწიფოს გონივრული ვადის დაცვის ვალდებულებისგან. მიუხედავად ამისა, სასამართლოს დროებითი გადატვირთულობა შეიძლება გახდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი თუ, სახელმწიფომ მიიღო საგანგებო პრევენციული ღონისძიებები ამ სახის საგანგებო მდგომარეობის გამოსასწორებლად. თუ გაჭიანურება არის პროგნოზირებადი, უნდა იქნას მიღებული ზომები.⁵⁹⁴

საქმეზე მოსამართლეთა ხშირმა ცვლამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეანელოს პროცესი, ვინაიდან თითოეულ მოსამართლეს თავიდან უწევს საქმის მასალების გაცნობა. აღნიშნული ფაქტორი არ ათავისუფლებს სახელმწიფოს გონივრულ ვადაში საქმის განხილვის ვალდებულებისგან, რამეთუ სახელმწიფოს ვალდებულებაა - უზრუნველყოს მართლმსაჯულების ადმინისტრირების ჯეროვანი ორგანიზება⁵⁹⁵.

სასამართლო პროცესის გაჭიანურების გამო სამართლიანი მისაგებლის უფლება, რასაც კონვენციის მე-13 მუხლი ითვალისწინებს, მოითხოვს ისეთი მექანიზმის არსებობას (სასამართლო ან არასასამართლო), რაც იძლევა პროცესის დაჩქარების ან, საქმისწარმოების გაჭიანურების შემთხვევაში, კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას⁵⁹⁶. შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება პროცესის გაჭიანურებას, არსებობს ორი ტიპის ქმედითი დაცვის საშუალება: ამაჩქარებელი, ანუ პრევენციული და კომპენსატორული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, წევრი სახელმწიფოების ვალდებულებაა თავიანთი სამართლებრივი სისტემა მოაწყონ ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას ყველას უფლება გონივრულ ვადაში საქმის სამართლიან განხილვაზე⁵⁹⁷. აღნიშნულის მიუხე-

⁵⁹³ იქვე, p. 39.

⁵⁹⁴ Guide to Article 6 of the European Convention of Human Rights, Right to Fair Trial (civil limb), 2022, p. 39-40, 69.

⁵⁹⁵ Lechner and Hess v. Austria, 1987, § 58.

⁵⁹⁶ Council of Europe, Guide on Article 13 of the European Convention on Human Rights, 2022, p. 42.

https://www.echr.coe.int/documents/d/echr/guide_art_13_eng [ბოლოს ნანახია 18.10.2023]

⁵⁹⁷ Guide to Article 6 of the European Convention of Human Rights, Right to Fair Trial (civil limb), 2022, p. 109.

დავად, სასამართლოების პერიოდული გადატვირთულობა და საქმეთა გაჭიანურება თანამედროვე მსოფლიოში სასამართლოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს⁵⁹⁸, რომელიც აწუხებთ არა მხოლოდ გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში, არამედ მოწინავე და საუკუნოვანი ტრადიციების მქონე სამართლებრივ სისტემებშიც. შესაბამისად, ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოწინავე სამართლებრივმა სისტემებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს საქმეთა ნაკადის მართვა და საქმისწარმოების დაჩქარება⁵⁹⁹.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან ამერიკულმა სასამართლოებმა, მენეჯერულ მიდგომებზე დაყრდნობით, შეიმუშავეს ღონისძიებათა მთელი სპექტრი, რომელიც ცნობილია საქმეთა ნაკადის მართვის პრინციპების სახით. ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ შემუშავებული სტანდარტებით, საქმეთა ნაკადის მართვისას მნიშვნელოვანია შემდეგი ელემენტების გათვალისწინება:

- საქმეთა მოძრაობაზე სასამართლო ზედამხედველობა და კონტროლი (რომ მართვის სადავეები არ უნდა გაუშვას ხელიდან სასამართლომ);
- საქმეთა განხილვის ვადების დადგენა და მონიტორინგი;
- საქმის პროცესუალური კალენდრის შედგენა და კონტროლი;
- იმ საქმეთა ადრეული იდენტიფიკაცია, რომლებიც შეიძლება გაჭიანურდეს და მათთვის საგანგებო ყურადღების მიქცევა;
- სასამართლო სხდომების მყარი და უცვლელი თარიღების უზრუნველყოფა და სხდომათა გადაღებების შემცირება⁶⁰⁰.

თავის მხრივ, საქმეთა ნაკადის მართვისა და საქმისწარმოების დაჩქარების ამერიკული მიდგომები ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში და აისახა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო საკონსულტაციო დოკუმენტებში. ევროსაბჭოს საკონსულტაციო ორგანოების საქმიანობის ფარგლებში, გასული საუკუნის ბოლოს შემუშავებული იქნა არაერთი რეკომენდაცია და გაიღღაინი საქმეთა დაჩქარებისა და სასამართლოების განტვირთვის მიზნით. მათ შორის აღსანიშნავია:

- რეკომენდაცია R(84)5 სამოქალაქო პროცესის პრინციპებზე, რომლის მიზანია მართლმსაჯულების ფუნქციონირების გაუმჯობესება;
- რეკომენდაცია R(86)12, რომელიც უკავშირდება სასამართლოების გადატვირთულობის შემცირებისა და თავიდან აცილებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს;
- რეკომენდაცია R(87)18, რომელიც უკავშირდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივებას;

⁵⁹⁸ Backlog reduction guideline. https://www.casey.org/media/Backlog-reduction_strategy-brief.pdf [ბოლოს ნანახია: 23.12.2023]

⁵⁹⁹ David Steelman, The history of delay reduction and delay prevention efforts in american courts, 1997, p. 84-94 https://www.academia.edu/41365467/THE_HISTORY_OF_DELAY_REDUCTION_AND_DELAY_PREVENTION_EFFORTS_IN_AMERICAN_COURTS [ბოლოს ნანახია 18.10.2023]

⁶⁰⁰ American Bar Association, Standards Relating to Court Delay Reduction, 1985 p. 5. <https://www.judges.org/wp-content/uploads/2020/03/Time-to-Redefine.pdf> [ბოლოს ნანახია: 23.12.2023]

- რეკომენდაცია R(95)5 სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე სააპელაციო სისტემების და პროცედურების შემოღებასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებით;
- რეკომენდაცია R(2001)3 ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მოქალაქეებისათვის სასამართლო და სხვა სახის სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით;
- მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის მიერ მიღებული სასამართლო დროის მენეჯმენტის სატურნის გაიდლაინები (მიღებული იქნა 2008 წლის 11 დეკემბერს და ექვემდებარება პერიოდულ განახლებას);
- მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის სამართალწარმოების დროის მართვის საუკეთესო პრაქტიკის კომპენდიუმი (2006);
- მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის მიერ 2023 წლის 16 ივნისს მიღებული გაიდლაინი (საქმეთა დაგროვების შემცირების სახელმძღვანელო ინსტრუმენტი - Backlog Reduction Tool⁶⁰¹).

⁶⁰¹ Council of Europe <https://rm.coe.int/cepei-2023-9-backlog-reduction-tool-en/1680aba0a4> [ბოლოს ნანახია 23.08.2023]